

Jean
Cocteau

CINÉMA ORPHIQUE

le sang d'un poète
orphée
le testament d'orphée

ქან
კუცუა

მრთვიკული კინეცტრილუგია

პოეცის სისსლი
მრთველსი
მრთველსის ანღერბი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულ-
ტეტის კინოებისა და სტრუქტურის სამეცნიერო-კვლევითი ლა-
ბორატორია*

თარგმანი ფრანგულიდან,

წინასიტყვაობა და კომენტარები
თინათინ სიხარულიძისა

© ქართული თარგმანი

© გამომცემლობა „კოლორი“ – 2004

Editions du Rocher – 1957 pour „Le sang d’un poète“; 1961 pour
„Le testament d’Orphée“.

Editions Flammarion – 1995 pour „Orphée“

ISBN 99928-0-877-2

ჟან კოკტო ანუ მოკვდავთა შორის პოეტის არსებობის სირთულე

მთი ჯოჯოხეთიდან ვერიდიყეს მოსაბრუნებლად ჩასულ ორფეოსზე, როგორც იმქვეყნიური სამყაროს საიდუმლოს გახსნის ერთგვარი ცდა, კაცობრიობის აზროვნებაში ახალ მიმართულებას – ორფიზმს უდებს დასაბამს და ანტიკური ეპოქიდან დღემდე ხელოვნების ყველა სფეროში (მწერლობა, მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება, ქორეოგრაფია, კინემატოგრაფი) უამრავ ტრანსფორმაციას განიცდის.

თრაკიის მეფის ეაგრესა და მუზა კალიოპეს ვაჟი, ორფეოსი, მომღერალი, მუსიკოსი და პოეტი იყო. მას მიაწერენ კითარის (ლირა) გამოგნებასაც. ორფეოსის მელოდური სიმღერა იმდენად ამაღლებლად ჟღერდა, რომ გარეული ცხოველები თინიერდებოდნენ, მდინარეები ჩერდებოდა, ქარი წყნარდებოდა, კლდეები და მცენარეები მისკენ ილტვოდნენ. პინდარი (V ს. ძვ. წ. ა.) მას იაზონის თანმხლებ ერთ-ერთ არგონავტად იხსენიებს. ორფეოსი, როგორც არგონავტი, ფიგურირებს აპოლონიოს როდოსელისა (III ს. ძვ. წ. ა.) და ვალერიუს ფლაკუსის (I ს.) ერთსა და იმავე სახელწოდების ნაწარმოებში – „არგონავტიკა“: არგონავტებმა ორფეოსის ნიჭი კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოწყობილი ლაშქრობისას აზვირთებული ტალღების დასაშოშმინებლად და სირინოზების ჯადოს დასაძლევად გამოიყენეს. ამის შემდეგ იგი უმაღლესი ქურუმის, მოძღვრისა და მუსიკოსის სახელს იხევეს.

ორფეოსზე არსებულ ურიცხვ ლეგენდათა შორის ყველაზე ცნობილია ლეგენდა მისი ნიშნა ვერიდიყეს სიყვარულის შესახებ.

ორფეოსზე ახალდაქორწინებული ვერიდიყე გველის ნაებნისაგან კვდება. ამ უბედურებისაგან თავზარდაცემული ორფეოსი ზევისისაგან ქვეყნელში ჩასვლისა და ვერიდიყეს მიწაზე დაბრუნების ნებართვას იღებს, პირობით, რომ ცოცხალთა სამყაროში შესვლამდე ვერიდიყეს არ შეხედავს. ორფეოსი თავისი სიმღერით აწყნარებს მძვინვარე ცერბერს, ამშვიდებს ფურიებს, მაგრამ, თითქმის სამშვიდობოზე გასული ველარ ითმენს და ვერიდიყეს შეხედავს. ქალი სამუდამოდ ქრება. ორფეოსის ყველა შემდგომი ცდა უკან დაიბრუნოს ცოლი, უშედეგო აღმოჩნდება. სასოწარკვეთილი იხევ თრაკიის მთებს (პარნასი, ოლიმპოსი) მიაშურებს, სადაც თავისი გულისმომკვლელი სევდიანი სიმღერით ხეებს, კლდეებს, ფრინველებსა და გარეულ ცხოველებს იზიდავს.

მითის მრავალ ვერსიათაგან ერთ-ერთის თანახმად ვერიდიყეს სიყვდილის შემდეგ ორფეოსი უარყოფს ქალის სიყვარულს და მხოლოდ ყმაწვილკაცებთან ურთიერთობით კმაყოფილდება. შეურაცხყოფილი თრაკიელი ქალები კლავენ, ნაკუნებდა ატყევენ ორფე-

ოსს. მდინარე ქებრში გადაგებულ ორფეოსის თავს ტალღები ღირიყული პოეზიის სამშობლო, კუნძულ ლესბოსზე გარიყავს. მისი სული კი ქვეყნელში ეშვება, სადაც სამუდამოდ უერთდება ევრიდიკეს სულს.

სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ოსტატები ორფეოსზე არსებული ამ მითის ინდივიდუალური და ორიგინალური ინტერპრეტაციები ხდებიან – ვერაიდე (438 ძვ. წ. ა.), პლატონი (384 ძვ. წ. ა.), ვერგილიუსი (28 ძვ. წ. ა.), ოვიდიუსი (43 ძვ. წ. ა.), პიერ რონსარი (1555 წ.), ლოპე დე ვეგა (1611 წ.), პედრო კალდერონი (1600 წ.), პიერ კორნელი (1659), პერსი ბიში შელი (1820 წ.), რაინერ მარია რილკე (1923 წ.), ჟან კოკტო (1927 წ.), ჟან ანუი (1941 წ.) და მრ. სხვ.

ჟან კოკტო პირველი კინემატოგრაფისტია, რომელმაც ორფეოსის მითის ეკრანიზაცია განახორციელა. კინოტრილოგია – „პოეტის სისხლი“, „ორფეოსი“, „ორფეოსის ანდერძი“, ავტორის ფანტაზიისა და ბიოგრაფიული რემინისცენ-ციების ანტიკურ მითთან საინტერესო ნაზავს წარმოადგენს.

XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც კოკტო კინემატოგრაფში მოვიდა, უკვე აღიარებული პოეტი, დრმატურგი და პუბლიცისტი იყო; იგი აქტიურად ებმებოდა ყველა ავანგარდისტულ მოძრაობაში, ეს იყო დადაიზმი, კუბიზმი, ფუტურისმი თუ სიურეალიზმი. ჟან კოკტოს, რომელიც ყურადღების გარეშე არ ტოვებდა გამომსახველ მითითი საშუალების არც ერთ ფორმას, არ შეეძლო კინემატოგრაფზე არ ეფიქრა. მარად ახლის ძიებით გატაცებული, მაშინვე ბუნებრივად შეერწყა ხელოვნების ახალგაზრდა დარგს, რომელიც მისი შემოქმედების მსგავსად ხელოვნების მრავალი სფეროს სინთეზს წარმოადგენდა. იმხანად, როცა ლიტერატურული ტრადიციებითა და შედეგებით მდიდარი საფრანგეთი, ამერიკისაგან განსხვავებით, ახალფუნდამენტულ და ჯერ კიდევ მუნჯ კინოს ხელოვნების სრულყოფილიან დარგად აღიარებას აყოენებდა, კოკტო მისთვის ჩვეული ადრთი გრძნობდა, რომ კინოს გამომსახველობითი საშუალებანი მის არაორდინალურ მსოფლმხედველობასა და ნიჭს განსაკუთრებული სიცხადით წარმოაჩენდა. ფილმი მას პოეზიის გადმოცემის შესანიშნავ საშუალებად, მელნის ნაცვლად შუკით ნაწერ ქმნილებად ესახებოდა და სჯეროდა, დადებოდა დრო, როცა მაყურებელი ისევე მიმართავდა ფილმს, როგორც მკითხველი წიგნს.

კოკტომ კინემატოგრაფის შემეგობით „პირად მითოლოგიაზე“ (ასე უწოდებდა ის ყოველი ადამიანის ბიოგრაფიას) აგებული თავისი მსოფლმხედველობა ახალ ფორმებში გარდასახა, კამერას დააყისრა ის, რასაც მანამდე კალამს ანდობდა და როგორც კინემატოგრაფისტი, შეიქრდა იმ თემებზე, რომლებზეც როგორც მწერალი ამახვილებდა ყურადღებას. სიყვარულისა და მწუხარების, სიმარტოვისა და მშენიერების, სიკვდილის გარდუელობასთან შეურიგებლობის თემები მან „უხილაის ხილვადად“ გადამქცევ ხელოვნებაში, კინემატოგრაფში გადმოიტანა.

დღეს კინოლასიყად აღიარებული კოკტოს ორფეული კინოტრილოგიის ფილმები – „პოეტის სისხლი“ (1930), „ორფეოსი“ (1950), „ორფეოსის ანდერძი“ (1960), მისი გამოცანებითა და საკვირველებებით აღსავსე შემოქმედების ეიზუალიზაციად იქცა. მართალია, ჟან კოკტოს კინომეკვიდრობა ფილმთა სიუხვით არ გამოირჩევა, 1* მაგრამ იგი, როგორც მისი მრავალმხრივი ნიჭის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ორიგინალური გამოხატულება, კინოტოდნეთა აზრით, დიდ ყურადღებას იმსახურებს. ჟან კოკტოს შემოქმედებითი ურთიერთობები აკაემიურებს გამოჩენილ კინორეჟისორებთან, ესენია – მარსელ

1* სულ ათამდე ფილმი: „ჯან კოკტო იღებს ფილმს“ (1927)“, „პოეტის სისხლი“ (1930), „მზეთუნახავი და ურჩხული“ (1946), „ოროაიანი არსივი“ (1947), „უბატონი შობილბა“ (1948), „კოროლანოსი“ (1949), „ოროყოსი“ (1950) – უკლა სანტო სოსანი“ (1952), „ოროყოსის ანდერძი“ (1960).

კარნე, მარსელ ლ'ერბიე, სერჟ დე პოლინი, ჟან დელანუა, რობერ ბრესონი, პიერ ბიონი, ანდრე ზეპადა და სხვები, რომელთა ფილმების წარმატებით განხორციელებაში, მას, როგორც სცენარისტს, დიალოგების ოსტატს, დრამატურგიის ზედმიწევნით ეფექტური გამოყენებითა და დახვეწილი გემოვნებით მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. კოკტოს ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული აქვთ ფილმები რეჟისორებს: რობერტო როსელინის - „ადამიანის ხმა“ (1948), პიერ ბიონს - „რუი-ბლასი“ (1948), ჟან-პიერ მელვილს - „ძნელი მოზარდები“ (1950), ჟაკ დემის - „ლაშაში გულუკა მამკაეი“ (1957), ჟიულთან - „სენ ძღუზ დე სემპლი“ (1959), კლოდ ლელუშს - „ადამიანის ხმა“ (1970).

საეჭვოა, რომ ყველაზე კრიპტოგრაფიული, წმინდა ხელოვნებისა და სიურეალიზმის ნიმუშად აღიარებული ფილმი, „პოეტის სისხლი“; ავტორს თავიდანვე ორფიული ტრილოგიის პირველ ფილმად ჰქონოდა მოაზრებული. სამი, ერთმანეთისაგან დიდი ინტერვალით გადაღებული ფილმის ერთ პოეტურ კინოტრილოგიად შეკრება, უთუოდ მათში გატარებულმა ძირითადმა თემამ, მოყვადეთა შორის პოეტის „არსებობის სირთულემ“ განაპირობა („პოეტის სისხლის“ თავდაპირველი სათაურიც „პოეტის ცხოვრება“ იყო). თუკი ფილმი „ორფეოსი“ კინოტრილოგიის ცენტრალური და ყველაზე ნათელი რგოლია, რომელიც ორფეოსზე არსებული ანტიური მითის გათანამედროველ ვარიანტს წარმოადგენს, „პოეტის სისხლი“; ისევე როგორც „ორფეოსის ანდრეი“; ავტორის მეტად თავისებური ხედვაა იმისა, რამაც ანტიურ მითოლოგიაში მისი ყურადღება მიიპყრო.

„პოეტის სისხლის“ შექმნის იდეა 1930 წლის დასაწყისში ვიკონტ და ევიონტესა ნოაის ქალაქგარეთა სახლში დაიბადა. მაშინ კომპოზიტორმა ფორე ორიყმა ანიმაციური ფილმისათვის მუსიკის დაწერა ისურდა. მისი ეს სურვილი ვიკონტესამ აიტაცა. კოკტოს, რომელიც იქ იმყოფებოდა, სთხოვეს ასეთი ფილმის შექმნაზე დათანხმებულიყო. კინაიდან იმხანად არსებული ანიმაციური ტექნიკით ნახატებში გადმოცემული ტრაგიკული აპზის შესატყვის დინამიკაში მოყვანა კოკტოს საეჭვოდ ეჩვენებოდა, ვიკონტ შარლ დე ნოაის, ვისი მეცენატობითაც უნდა გადაღებულიყო კინოსურათი, მან ანიმაციური ფილმის ნაცვლად ისეთი თავისუფალი ნაწარმოების შექმნა შესთავაზა, რომელშიაც იგი მისთვის სასურველი სახეების, მოქმედებებისა და მოქმედების ადგილების შერჩევით, მხატვარ-ანიმატორივით სრულიად განსხვავებულ, ზერეალურ სამყაროს შექმნიდა.

„პოეტის სისხლი“ კოკტომ რამდენიმე თვეში გადაიღო. 1930 წლის სექტემბერში ფილმი უკვე მზად იყო. მაგრამ მაყურებელმა იგი მხოლოდ 1932 წლის იანვარში იხილა. ფილმი არაერთგვაროვნად მიიღეს. უმრავლესობისთვის იგი გაუგებარი დარჩა, ფსიქოანალიტიკოსებმა ამ ნაწარმოებში მათთვის ძვირფასი კომპლექსები აღმოაჩინეს; სნობები სიხარულით ცას ეწიენ. „პოეტის სისხლი“ მაშინვე სიურეალისტურ ფილმად აღიარეს, თუმცა სიურეალისტების მამამთავარმა ანდრე ბრეტონმა იგი დაემო და მას „ყალბი, სუროგატული“ უწოდა. თავად კოკტომ ფილმის ყოველგვარ დეფინიციაზე უარი თქვა, კატეგორიულად უარყო მისი, როგორც სიმბოლიური, ისე სიურეალისტური ხასიათი და მაყურებელს ფილმის სრულიად თავისუფალი აღქმისაკენ მოუწვია. თავისი მუშაობა კინოსურათზე მან შეავეჯე დურგლის საქმიანობას შეადარა, რომელიც მხოლოდ მაგიდის სიმყარეზე ზრუნავს, მაგიდის ალაპარაკება კი სპირიტუალის სენსსზე მოსულთა საქმეა. რაც შეეხება „პოეტის სისხლის“ შინაარსს, კოკტომ ის საამბობლად თითქმის შეუძლებელ ფილმად აღიარა და მის პირველ ჩვენებაზე მოსულ მაყურებელს, საჯარო გამოსვლისას განმარტების სახით დაახლოებით შემდეგი მოახსენა: პოეტი ისეთ სულიერ სიმარტოვეს განიცდის, ისე ახლოს მიაქვს გულთან საყუთარი შემოქმედება, რომ ერთ-ერთი თავისი ნახატის პირი, როგორც ჭრილობა, ხელისგულზე შერჩება. მას უყვარს ეს პირი, უყვარს საყუთარი თავი და როცა მერე დილით ხელის გულზე ნახატიდან გადასული ამ

ჭრილობა-პირით იღვიძებს, მისგან, როგორც შემთხვევითი გაუგებრობისაგან, გათავისუფლებას ცდილობს. თავისუფლება კიდევ, პირი ქანდაკებაზე გადააქვს. ქანდაკება ცოცხლდება. ის გადაწყვეტს შური იძიოს პოეტზე და აიძულებს მას საშინელ თავგადასავლებში გადასვას. გუნდაობა პოეტის ბავშვობაა; ბანქოს ის ღიღობას, ბედისწერას ეთამაშება და იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს, თავისი ბავშვობის ხარკზე, თაღლითობით ცდილობს თამაშის მოგებას. მაგრამ მიწიერი ღიღობის მოპოვების ცდას მისთვის მხოლოდ „უკვდავების მომავლენიებული მოწყენილობა“ მოაქვს. ვიშორებ, რომ ფილმზე მუშაობისას არაფერზე მიფიქრია და მოდით საშუალება მიეცეთ მას, ისეთივე ხელოვნება მოახდინოს ჩვენზე, როგორც ორიკის კეთილშობილურმა მუსიკამ ფილმს რომ ახლავს და, საზოგადოდ, მუსიკამ. საზოგადოდ, მუსიკა ზომ ჩვენს ემოციებს. მოგონებები ანონიმურ საზრდოს აძლევს და თუ ყოველი ჩვენგანი არ ფილმში მისთვის ახლობელ აზრს აღმოაჩენს, მივიჩნევ, რომ მიზანს მივაღწიე. შეეხები ფილმის იმ სამ ეპიზოდსაც, რომელსაც სერიოზული გაუგებრობები მოჰყვა. ეპიზოდის „მსხვერპლის შებღალა“, სათურს პაოლო უჩელოს ერთ-ერთ ტილოს დავეხეხე... ბავშვი, რომელიც სისხლისაგან იცლება... ბავშვობის მოგონებაა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. ის ჩემს რამდენიმე ნაწარმოებში აისახა. თოვლის გუნდით დაშვებული ეს ბიჭი რომანში, „ბნელი მზარდები“; არ კვდება, ფილმში კი კვდება, მაგრამ ეს თემის გააქორება კი არა, მთელი მითოლოგიაა, რომელსაც პოეტი ყოველი მხრიდან და სხვადასხვა კუთხით უდგება; ბავშვს, რომელსაც სინამდვილეში ცხვირიდან ცოტა სისხლი სდიოდა, ჩემს მოგონებაში სისხლს აღვიბინებს, მაგრამ მე რეალისტური სცენის გაღება არ მქონია განზრახული, სახეშეცვლილი მოგონების სცენა მინდოდა გადამეღო. ფილმში არის ლოკები. ისინი ტაშს უკრავენ, მაგრამ ტაშს ბიჭუნას სიყვილის კი არ უკრავენ, როგორც ეს მიიჩნეოს, ბიჭი უკვე ანგელოსს ჰკავს წყაყანილი, არამედ პოეტს, რომელიც თავს იცავს. პოეტი, იმისათვის რომ იცოცხლოს, არაერთხელ უნდა მოკვდეს და არა მხოლოდ გულიდან დაღერილი წითელი სისხლის, არამედ სულის იმ თეთრი სისხლის გაღებაც შესძლოს, რომელიც მის ნაკვალევზე სიარულის საშუალებას იძლევა. სხვაგვარად ის ტაშს ვერ დაიმსახურებს. სულ მცირეოდენი წარმატებისთვისაც კი პოეტმა ყველაფერი უნდა გასცეს.

დასასრულ... მინდა ვითხრა, რომ საჯარო გამოხელისას პოეტი იბნევა, იმ ძილისაგან ფხიზლდება, რომელშიაც თავის ნაწარმოებებს ქმნის; თხზულებას სძულს თავისი ავტორი, ის მას ღრღნის. ავტორი და მისი თხზულება ერთმანეთს ვერ ეთვისებიან. ცოცხალი პოეტი თავისი ქმნილების მსახურია. თხზულება კი მხოლოდ პოეტის სიყვდილის შემდეგ ხდება მისი მსახური. საზოგადოებასაც ცოცხალ პოეტებს გარდაცვლილი პოეტები ურჩევნიათ, რაშიც ვერ გაამტყუნებ. ცოცხალი პოეტი ანაქრონიზმია. ამ საზარელი ხანახაობის თქვენთვის თავიდან ასარიღებლად ახლა ადვილს ჩემი არსებობის ამსახველ იმ ნაწარმოებს დაეუბნობ, რომელიც შესაძლოა ბნელი და მძიმე გეგვენით, მაგრამ სამაგიეროდ ის მასზე ბევრად უფრო პირუთენელია, ეინც ახლა თქვენს წინ დგას და ვესალურებათ. 1* უთოდ მნიშვნელოვანია ავტორის აზრი მის ისეთ ნაწარმოებზე, რომელიც გაუგებრობას, წინააღმდეგობრივ და ერთმანეთისაგან გამომრიცხავ ინტერპრეტაციებს იწვევს. მაგრამ მწერალი და იღუმალეზით გარემოცული პიროვნება, რომელიც აღიარებს, რომ სიცრუეა, რომელიც მუდამ სიმართლეს ამბობს 2*, ხშირად თავად ვარდება წინააღმდეგობაში. მისი მტკიცება, რომ „პოეტის სისხლი“ სიურეალისტური

1* 1932 წლის გამოხელდან „ტეატრ ვიე კოლომბიში“ პოეტის სისხლს“ პრეზენტაციამ. იხ. Jean Cocteau — romans, poesies, oeuvres diverses. Classiques Modernes, 1995, გვ. 1373.

2* Jean Cocteau — romans, poesies, oeuvres diverses. Classiques Modernes, 1995 Theatre de poche. - Le menteur, გვ. 1255

ნაწარმოები არაა, ისევე წინააღმდეგობრივია, როგორც რჩევა, არ ვცადათ მისი გამოფრვა, რადგან ფილმის პირველსავე კადრებში კითხულობთ ტექსტს, რომელიც ყოველგვარი პოეტური ქმნილების, როგორც პერალდოური სიმბოლიკის გამოფრვისაყენ მოგვიწოდებს. იმის აღიარება კი, რომ ძირითადად ძილსა და სიზმრებში თხზავს თავის ნაწარმოებებს კოცტოს ფილმის სიურეალისტური ხასიათის უარსაყოფად საბაბს აღარ უნდა უტოვებდეს; „*პოეტის სისხლი*“ XX საუკუნის 20-იან წლებში წარმოქმნილი მოდერნისტული მიმდინარეობის, სიურეალიზმისათვის დამახასიათებელ ყველა იმ ძირითად თვისებას ამჟღავნებს, რომელიც ხელოვნების წყაროდ ქვეცნობიერის სფეროს – ინსტინქტებს, სიზმრებს, პალუცინაციებს, მეთოდად კი გაწვევტილ ლოგიკურ კავშირებსა და მათ ნაცვლად წარმოიჩინელ სუბიექტურ ასოციაციებს მიიჩნევს. კოცტოს შემოქმედების ცნობილ მკვლევართა აზრით, „*პოეტის სისხლი*“ ისეთივე ტიპური ნიმუშია სიურეალიზმისა კინემატოგრაფში, როგორც რენე კლერის „*ანტრაქტი*“ (1924), ჟერმენ დიულაკისა და ანტონენ არტოს „*ნიჟარა და მუდელი*“ (1928), ლუის ბუნუელისა და სალადორ დალის „*ანდალუზური ძაღლი*“ (1928) და „*ოქროს ხანა*“ (1930). აღსანიშნავია „*ოქროს ხანის*“, განსაკუთრებით კი „*ანდალუზური ძაღლის*“ „*პოეტის სისხლზე*“ ზეგავლენა, რასაც კოცტო ასევე კატეგორიულად უარყოფდა და ამბობდა, რომ „*პოეტის სისხლის*“ გადაღებამდე ამ ფილმებს არც კი იცნობდა, თუმცა თავისივე ესეისტური ხასიათის წიგნში, „*ოპიუმი*“ (1929), (პოეტის სისხლის გადაღებამდე ერთი წლით ადრე), „*ანდალუზური ძაღლის ძაღლის*“ მიმართ თავის აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. რაც შეეხება „*პოეტის სისხლს*“ და „*ოქროს ხანას*“, ისინი თითქმის ერთდროულად, 1930 წელს, ერთი და იმავე მეცენატის შარლ დე ნოაის დახმარებით განხორციელდა. „*პოეტის სისხლში*“ არის მონასტელები, რომლებიც ბუნუელის ფილმების ეპიზოდებითაა ნაყარნახევი. ასეთ ყველაზე აშკარა პარალელებად შეიძლება დავასახელოთ: გაჭრილი ხელისგული „*პოეტის სისხლში*“ და გახვეტილი ხელისგული „*ანდალუზური ძაღლში*“; ქალისა და ხარის სცენა „*პოეტის სისხლში*“ და ქალისა და ძროხის სცენა „*ოქროს ხანაში*“, თუმცა სემანტიკური დატირთვით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

მართალია, „*პოეტის სისხლის*“ შინაარსისა და მნიშვნელობის ინტერპრეტაციისაგან კოცტოს შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობამ თავი შეიკავა, მაგრამ არსებობს ფილმის ცალკეული ეპიზოდების ინტერპრეტაციები. ასეთია „*პოეტის სისხლის*“ პირველი ეპიზოდის ალენ ფილიპონისეული განმარტება. ალენ ფილიპონი ახალგაზრდა მხატვარში ხედავს კაცს, რომელიც ეს-ესაა ხელოვნების ახალ დარგს, კინემატოგრაფს ეზიარა, შეიგრძნო მისი ყოვლისშემძლეობა. 1930 წელია. კინემატოგრაფი მუნჯი და ხმოვანი კინოს მიჯნაზე დგას. პოეტი ხელისგულზე პირის გამოსახულებას ხედავს. პირი ლაპარაკს იწყებს და პაერს თხოულობს. პირს რომ სუნთქვის საშუალება მისცეს, ახალგაზრდა კაცი მინას წიხლით. ამსხვრევს. ალენ ფილიპონის აზრით, ეს სცენა „*პოეტის სისხლის*“ გადაღების იმ პერიოდზე მიუთითებს, როცა კინო ჯერ ისევ მუნჯია, მაგრამ პირველ ნაბიჯებს დგამს და ალაპარაკებას ცდილობს. ფილმის აუტორი ჟან კოცტო, როგორც პოეტი კინემატოგრაფისტი, პირველი პოეტის – ორფეოსისა და პირადი მითოლოგიიდან გამომდინარე, ხელოვნების ამ სრულიად ახალი დარგით აღფრთოვანებულა და მას თავის სათქმელს ანდობს. მისი აზრით, ამ სათქმელს კინემატოგრაფზე უკეთ ხელოვნების ვერცერთი სხვა დარგი ვერ გამოხატავს. 1*

„*პოეტის სისხლის*“ შინაარსისა და მის მნიშვნელობაზე ჟან კოცტოს ცხოვრებასა და შემოქმედებაში ერთობ თამამად მსჯელობს მილორადი. მისი ნარკვევი, „*პოეტის სი-*

ბჭლი“; ფილმი პირველი პირის მხოლოდობით რიცხვში 1* ამ კინოთხზულების თანმიმდევრულ, თითქმის სრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. მასში ჟან კოქტოს ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზედმიწევნით ცოდნასა და ფროიდის „ფსიქოანალიზის შესავალზე“ (თავი „სიზმრის სიმბოლიკა“) დაყრდნობით ნარკევეის ავტორი ფილმის მნიშვნელოვანი ეპიზოდების თავისებურ ახსნას გეთაყვამობს. 2*

კინოტრილოგიის მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთობ ბუნდოვანი შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებისათვის – „პოეტის სისხლი“; გარკვეული ნათელის მოსაფენად ქართულ თარგმანს სწორედ ეს მილორადისეული ინტერპრეტაციები ერთვის. ამგვარი გადარწმუნებლობა კოქტოს ბიოგრაფიაში გამოცანად დარჩენილმა ერთმა გარემოებამ განაპირობა: თითქოს ფროიდს დაეწეროს ნარკევეი კოქტოს „პოეტის სისხლზე“; რაზეც თავად ფილმის ავტორი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, მეგობრებიან სხვადასხვა დროს მიწერილ წერილებში ის აღნიშნავს: “ჩემს ძველსა და პირველ ფილმს, „პოეტის სისხლი“; ქონდა პატივი, ფროიდს ფსიქოანალიზის მეთოდით განეხილა. მისი ნარკევეის გადაყთხევისას მომეჩვენა, რომ ეს ფილმზე არსებული ერთადერთი დასაშვები მსჯელობაა. იმას, რასაც ფილმში ჩენი აჩრდილებისა და ჩრდილოვანი ცხოვრების, ასე ვთქვათ, ჩენი პოეზიის სახით ვაქსოვთ. ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს და მასში გარკვევა, ალბათ, მხოლოდ სხვებს თუ შეუძლიათ“; “ოდესღაც ფროიდმა დაწერა სტატია. ის „პოეტის სისხლზე“ დაწერილი პირველი სტატია იყო, რომელიც წაეციოხე. მასზე ხომ სხვა კიდევ მრავალი დაიწერა. ეს სტატიები მართობდა, არასწორად შიშანდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ შესაძლოა ფსიქიატრები, რომლებიც ჩვენზე იმდენ რამეს გვატყობინებენ, რაც არ ვიცით, სულაც არ სტყვიან; პოეტმა შესაძლოა ზუსტად არც კი იცის რას აკეთებს და საესებით დასაშვებია, რომ იგი სრულიად სხვა რამეს აკეთებდეს, ვიდრე ჰგონია, რომ აკეთებს; „მართალია ფროიდი, როცა პოეტის შესახებ წერს, რომ საქმე გვაქვს კაცთან, რომელსაც სანამ ის საკუთარი ტუალეტითაა დაკავებული, გასაღების ჭკურუტანიდან უთვალთვალევენ“; “ფროიდი ოდესღაც ჩემს ძველ ფილმში საკმაოდ მოურიდებლად ჩაღრმავდა.“ 1958 წელს კი კოქტო მისი შემოქმედების ერთ-ერთ მკვლევარს, ჟან-ჟაკ კიმს სწერს: “ვერაინ ვერასდროს მოახერხა ჩემთვის იმ სტატიის პოეზია, სადაც იგი (ფროიდი) ამბობს, რომ ამ ფილმის ყურებისას ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ინტიმური ტუალეტით დაკავებულ კაცს გასაღების ჭკურუტანიდან უთვალთვალედე“. 3* კოქტო მესხიერებას უწიოდა. უკეთეს შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფაქტი, ის, რომ ფროიდის სტატია დღემდე მიუკვლეველია. ამით შეიძლება აიხსნას.

არსებობს კიდევ ერთი, საინტერესო დეტალი, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოქტო თავისი ნაწარმოებების ფსიქოანალიტიკური, კერძოდ ფროიდისეული ანალიზის წინააღმდეგი არ იქნებოდა: კინოტრილოგიის მეორე ფილმის „ორფეოსი“ სცენარში, ის თითქოს შემთხვევით ახსენებს გერმანელი მწერლის, ვილჰელმ იენსენის (1837 -1911) ნოველის პერსონაჟ ქალს, გრადივას. ზემდენდ ფროიდის ნარკევემა ამ ნოველის შესახებ, „ბოდეა და სიზმრები იენსენის „გრადივას“ მიხედვით“, როგორც მხატვრული ნაწარმოების პირველმა ფსიქოანალიტიკურმა ნიმუშმა, სურეალისტების ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მის ავტორსაც საპატიო ადგილი მიუწინა ლიტერატურის ისტორიაში.

კინოტრილოგიის მეორე ფილმი „ორფეოსი“, რომელსაც თავდაპირველად „ჟამთა დამე“ ერქვა, ეკრანებზე „პოეტის სისხლის“ გადაღებიდან ოცი წლის შემდეგ, 1950

1* Cahiers Jean Cocteau # 9, Gallimard, 1981, p.269-333

2* იხ. კომენტარები

3* Cahiers Jean Cocteau # 9, Gallimard, 1981, p.278-279

წელს, გამოვიდა. ის ორფეოსსა და ვერიდიკეზე არსებული ანტიკური მითის პირველი გათანამედროვებული კინოვარიანტია, რომელიც, კოცტოსავე სიტყვებით, ერთის მხრივ მითშია ჩაყვლილი, მეორეს მხრივ კი - ზებუნებრივში.

ფილმი თითქოს ძირითადად მიჰყვება კიდევ ლეგენდის მთავარ სიუჟეტურ ზაზს, აღსაქმელად იოლია, ბოლო თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობების: ჟან მარეს, მარია კაზარესის, მარია დეას, ფრანსუა პერიეს მონაწილეობა მას განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს; ფილმის ფინალი კი მაყურებელს კეთილი დასასრულის ილუზიას უქმნის. აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმის ლიტერატურული სცენარი მკითხველს გაცილებით მეტ საფიქრალს უჩენს, ვიდრე ფილმი მაყურებელს.

ტრილოგიის, ისევე როგორც კოცტოს მთელი შემოქმედების ერთგვარად შემაჯამებელსა და ბოლო, გამოსამშვიდობებელ კინოფილმს, „*ორფეოსის ანდერძი*“; „*პოეტის სისხლის*“ მსგავსად, მრავალი გაგება და მნიშვნელობა მოეძებნება. ამ ფილმში კინემატოგრაფისტი, როგორც ორფეოსის მითის პირველი ეკრანიზატორი, თავს ანტიკური ეპოქის პირველ პოეტთან, ორფეოსთან, აბიეებს და ფრანგულ კინემატოგრაფში „ახალი ტალღასთან“ ერთად მოსულ თაობას მისთვის დამახასიათებელ ორიგინალურ ესთეტიკურ შეხედულებებს სთავაზობს. „*ორფეოსის ანდერძი*“ (1960), როგორც კოცტოს გედის სიმღერა და მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შეჯამება, ძნელად აღსაქმელ და კრიტიკოგრაფიულ ნაწარმოებად რჩება მათთვის, ვისთვისაც უცნობია ხელოვანის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის უტაპები. ფილმი ანტიკური მითებისა და კოცტოს პირადი ცხოვრების საკვირველი ამალგამაა. ის სავსებით შეგნებულად, ბოლომდე არღვევს კლასიციზმის სიერცის, დროისა და მოქმედების მთლიანობის კანონებს.

1946 წელს „*პოეტის სისხლის*“ ლიტერატურული სცენარის წინასიტყვაობაში თავის შემოქმედებაზე, კერძოდ, კინემატოგრაფზე მსჯელობისას, კოცტო აღნიშნავდა: „*პოეტის სისხლი*“, ისევე როგორც ჩემი ახალი ფილმი „*მზუთუნაბაი და ურჩხული*“, კორიდას მოყვარულებს ეუძღვენი, თუმცა ისინი ხარის მოყვლის წესების დაცვით არ შემიქმნია. წესების ამგვარ უგულვებელყოფას სიცოცხლის უგულვებელყოფა ახლავს, რომელიც უამრავი ადამიანის სულს აღაფრთოვანებს.“

თინათინ სისარულიძე

Jean Cocteau
*

Le sang }

d'un
poète



Émile Zola

პოეტის სისხლი

(პირვანდელი სათაური – „პოეტის ცხოვრება,“)

ტიტრები:

ფილმის ავტორი
კომპოზიტორი
როლებში:

შან კოკტო
ჟორჟ მარიკი
ლი მილერი, პოლინ კარტონი,
ოდეტ ტალაზაკი, ენრიკ რივერო,
შან დეგორდი, ფარნან დიზანი,
ლიუსინენ შაგერი, ფერალ განება,
ბარბეტი.

დადგმის, მონტაჟისა და
კომენტარების ავტორი
ტექნიკური ხელმძღვანელი
ოპერატორი
ხმის რეჟისორი

შან კოკტო
მიშელ შ. ბრნო
ჟორჟ პერინალი
ანრი ლაბრელი

გადაღებულია RCA ფოტოფონით

რეჟისორის ასისტენტი
ოპერატორის ასისტენტი
დეკორაციები
ფოტოგრაფია

ლუი ვაჟი
პრეზენ ენგბერგი
ი. ბ. დ'ოგონი
საშა მაზური

ორკესტრი „ფლამენი“, ედუარდ ფლამენის დირიჟორობით
აქსესუარები
თაბაშირის ტვიფრები

„მეზონ ბერტელინი,
„პლასტიკოს,,

პროდიუსერი

ვიკონტ დე ნოაი

სტუდია „გომონის,, ნაწარმოები

დისტრიბუტორი

„ვობან ფილმი,,

გადაღების თარიღი – 1930 წ.
ფილმის ხანგრძლივობა 49 წუთი

ეკრანზე პროექციონებული ტექსტი:

ყოველი პოეტური ქმნილება გერბია და გაშიფრვას ითხოვს.

რამდენი სისხლი და ცრემლი დაიღვარა ცულებისა და ზარბაზნების, მითური მარტორქებისა და ჩირალდნების, ციხე-კოშკების, შაშვების, მიმოფანტული ვარსკვლავებისა თუ ლაჟვარდოვანი ველებისათვის!

სასურველი სახეებისა და ფორმების, ჟესტებისა და ტემბრის, მოქმედებებისა და მოქმედებათა ადგილების შერჩევით, ის წარმოსახვითი მოვლენებისაგან დოკუმენტური სიზუსტის რეალისტურ ფილმს ქმნის. კომპოზიტორი კი ხმაურებისა თუ სიჩუმის გადმოცემაზე ზრუნავს.

ალეგორიებით მდიდარ ამ კინოფირს ავტორი პიზანელოს, ჰაოლო უჩელოს, პიერო დე ლა ფრანჩესკას, ანდრეა დელ კასტანიოს – გერბებისა და გამოცანების შემქმნელ მხატვართა ხსოვნას უძღვნის. 1*

* * *

სტუდიის იუპიტერების ფონზე დგას ნიღაბაფარებული ავტორი, მხოლოდ თვალები უჩანს; ხელში თაბაშირის ხელი უჭირავს. თაბაშირსაც და ავტორის ხელსაც მაჯამდე, დრაპირებული ქსოვილი ფარავს. ავტორი ფილმის დაწყებას გვამცნობს. 2*

ეკრანზე ვხედავთ ტიტრებს, ტექსტს, მიძღვნასა და პროლოგს. შემდეგ, ახლო ხედით, გამოჩნდება კარის მრგვალი სახელური. ვილაც მისი მეშვეობით კარის გაღებას ცდილობს. 3*

ქარხნის უზარმაზარი მილი გვერდზე იხრება და ჩამოშვავებას იწყებს. 4*

ავტორის ხმა:

„ვიდრე შორს ფონტენუას ზარბაზნები გრუხუნებდნენ, ღარიბულ ოთახში ერთი ახალგაზრდა კაცი...“

ისმის ზარბაზნის გასროლა. ვხედავთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც მოღბერტან დგას და ხატავს. ფურცელი გამჭვირვალეა – შეიძლება თვალი მიადევნო მის ზედაპირზე გაჩენილ კონტურებს. წელამდე შიშველ ახალგაზრდა კაცს შარვალის წვივებამდე აუკეცავს, ველოსიპედისტის ფეხსაცმელი და თეთრი, ნაქსოვი ხელთათმანები აცვია, თავზე კი ლუდოვიკო XV-ის დროინდელი პარიკი ახურავს.

კამერა უკან იხევს და ფანჯრის წინ, პროფილში, ახალგაზრდა კაცს (პოეტს) აჩვენებს. ის პორტრეტის (სახე სამ მეოთხედში) ხატვას ამთავრებს. 5*

ახლო ხედი. პოეტს მარცხენა ბეჭზე ვარსკვლავის ფორმის მოზრდილი ნაიარევი ატყვია. 6*

ავტორის ხმა:

„ეპიზოდი პირველი – გაჭრილი ხელისგული, ანუ პოეტის ნაიარევიები.“

მოღბერტან, ოთახის კუთხეში, ჩიბუხის საწმენდი მავთულისგან გაკეთებული, ძაფის ბოლოზე ჩამოკიდებული მეეტლის თეთრი კარკასი ბრუნავს. 7*

ახლო ხედით – პოეტი ხატავს. კარზე აკაკუნებენ, პოეტი შემობრუნდება, დახედავს ნახატს და სახეზე შემფოთება დაეტყობა.

ნახატის ახლო ხედი. ეს პორტრეტია. მისი პირი გაცოცხლდა, გაიღო და მაგარი კბილები გამოაჩინა. კარზე კაკუნი ძლიერდება.

კამერა აჩვენებს პოეტს, რომელიც მარჯვენა ხელიდან ხელთათმანს იძრობს, მთელი მონღომებით ფხეკს, შლის სურათს და კადრიდან მარჯვნივ გადის. 8*

პოეტი მიდის და კარს აღებს. ჩანს ლუდოვიკო XV-ის კოსტიუმში გამოწყობილი ამხანაგი. პოეტი მას ხელს უწვდის. ამხანაგს, რომელიც მისთვის ხელის ჩამორთმევას აპირებდა, ხელი უკანვე მიაქვს და გამოწვდილ ხელს განცვიფრებული აკვირდება; ქარწალებულივით სწყდება მიწას და უჩინარდება. კარი გაჯახუნდება.

კიბის უჯრედი. თანამედროვედ ჩაცმული ამხანაგი კიბეზე თავდაყირა ეშვება. 9*

ოთახში მარტო დარჩენილი პოეტი კარს უყურებს, ეღიმება, მხრებს იჩეჩს, იხსნის პარიკს და საყიდარისაკენ ისვრის. პარიკი საყიდარს ჩამოეცმება. პოეტი ტუალეტის მაგიდისაკენ მიდის.

რეინის სადგამიან თასსა და სასაპნეს ზემოდან „მეეტლის“ სტილში გაკეთე-

ბული თავის ფორმა დასტრიალებს. ბრუნვისას ეს ძაფის ბოლოზე ჩამოკიდებული თეთრი კარკასი ხან იშლება, ხან იყვება და სხვადასხვანაირი მოცულობით ჩანს.

თასის ახლო ხედი. პოეტი ხელს თასში ჰყოფს. ბუმტუკები და ბუმტუკების ბუყბუყი. ჩანს, რომ ეს ბუმტუკები თასში პოეტის მარჯვენა ხელისგულზე ჭრილობასავით ღია პირიდან გამოდის.

წელამდე შიშველი პოეტი თასიდან ხელს იღებს და აკვირდება...

მის ხელისგულზე (ახლო ხედი) პირია გამოსახული.

უკეთ რომ დაინახოს, პოეტი ფანჯარასთან მიდის.

ტიქსტი:

პირი ნახატიდან შიშველ ხელისგულზე კეთრივით გადავიდა და წყალში ჩაყურყუმალაგებული, თითქოს სინათლის პატარა, კაშკაშა არეში დაინთქა.

მსახიობის ხელს ავტორის თაბაშირში ჩამოსხმული ხელი ცვლის. ხელისგულზე გამოსახული. ნახევრადღია პირიდან წყალი გადმოდის და კაშკაშა თეთრი სინათლე მას, ირგვლივ, გვამის, ლურჯ ლაქასავით დასდებია. 10*

ფანჯრიდან ხელმარჯვნივ, კუთხეში, კედელს მიყრდნობილი პოეტი, ზიზლით ჩასცქერის ხელისგულს, თითქოს მასზე კეთრის ლაქა აღმოეჩინოს. ამ საკვირველებისაგან თავის დასაღწევად იგი მთელი ძალით იქნევს ხელს, მაგრამ პირი ადგილიდან არ იძვრის. იგი ამბობს: “ჰაერი!” პოეტს ხელი ყურთან მიაქვს. პირი ჩურჩულებს: “ჰაერი!” მსახიობის კეფა და ხელი ავტორის თაბაშირში ჩამოსხმული კეფითა და ხელით იცვლება. ხელზე შავად მიხატული პირი იღება და კიდევ ერთხელ ამბობს: “ჰაერი!”

პოეტი (საერთო ხედი) ფანჯრისკენ მიდის, მინას წიხლით ამსხვრევს, ხელს გარეთ ჰყოფს და პირს სუნთქვის საშუალებას აძლევს, ხელს ისევ უკან გამოწწევს, დააკვირდება. მზერას მარცხნივ გააპარებს, კართან მიიბრუნებს და გასაღებით ჩაკეტავს.

ის ფანჯარასთან ბრუნდება, თვალებს ხუჭავს, ხელისგულზე გამოსახულ პირს პირთან მიიტანს და ტუჩებით დააცხრება. 11*

მთერალივით ერთ ადგილას ირწევა, სახეზე ხელებშიფარებული მრგვალ მაგიდასთან, სავარძელში ეშვება; მაგიდას ჭუჭყიანი ფარდაგი აფარია. ზედ ყრია

ძველი გაზეთები, დგას მწვანე აბაჟურიანი ნავთის ლამფა.

პოეტის მთრთოლვარე ხელის ახლო ხედი. ხელი კისრისაკენ ეშვება, ეხვევა მხარს, მარცხენა ძუძუსაკენ მიცოცავს, ყველგან სველ ნაკვალევს ტოვებს, კადრის ძირში ჩადის და უჩინარდება. 12*

სავარძლის ზურგიდან, კამერა ახლო ხედით, პოეტის ამოყირაკებულ სახეს აჩვენებს. თმამამოშლილ პოეტს ქუთუთოებზე გაფართოებული თვალები აქვს მიხატული. 13*

წაფენით – ნილაბი, ერთი მხრიდან თეთრი, მეორიდან კი შავი. ის ღერძის ბოლოზე შექანიყურად ტრიალებს. 14*

ავტორის ხმა:

„მეორე დილით...“ 15*

ზემოდან ქვემოთ, საკმაოდ შორიდან რიჟრაჟის შუქზე კამერა აჩვენებს მაგიდას, რომელზეც პოეტს ჩასძინებია. მას თავი პროფილში, მკლაფზე უდევს, ხელისგული გაშლილი დარჩენია. ისმის: მერცხლების ჭიკჭიკი, მატარებლის კივილი, მამლების ყივილი.

ტექსტი (დაწერილი ავტორის ხელით):

„კინოსიურპრიზები, ანუ როგორ გაეები საკუთარი ფილმის მახეში.“
(ავტორის ხელმოწერა)

კამერა ახლო ხედით აჩვენებს ჩაძინებულ პოეტს, რომელიც თაბაშირში ჩამოსხმულ ავტორად ქცეულა, თავი მკლაფზე უდევს, მისი თაბაშირის ხელისგულზე ჩაძინებული პირი კი სიზმარს ხედავს, მშვიდად ხვრინავს და უაზრო სიტყვებს ჩურჩულებს. 16*

პოეტი იღვიძებს. კამერა მას მეორე მხრიდან, ამჯერად ზურგიდან იღებს. იქვე, ფანჯარასა და პირსაბანს შორის, თაბაშირის, თაბაშირშივე დრაპირებულ, უმკლავო და ნატურალური სიდიდის, ქალის ქანდაკებას ეხედავთ. პოეტი დგება, თან მარჯვენა იდაყვი მარცხენა ხელით უჭირავს.

წელში მოხრილი ქანდაკებას ისე უახლოვდება, თითქოს მისი გავლიდების ეშინია.

პოეტი ქანდაკებას გარს უვლის და უცებ მკვლელივით, თითქოს მსხვერპლს გუდავდეს, პირზე მარჯვენა ხელს აფარებს. 17*

ავტორის ხმა:

„ავევჯზე ხელის შეწმენდა უკვე სახიფათოა. ქანდაკებას კი ასე მოულოდნელად, საუკუნოვანი ძილისაგან მხოლოდ გიჟი თუ გააღვიძებს. 18*“

ახლო ხედით პოეტის მკლავი, რომელზეც ძარღვები დაძაბულობისაგან ხის ტოტებივით ამობურცულა.

ჩანს ხელი და ქანდაკების სახე ახლო ხედით. ქანდაკება თვალს ახელს, უფრო სწორედ, თვალები ქუთუთოებზე ეხატება. პოეტი ქანდაკებას ხელს ამორებს. ქანდაკება შეტოვდება და პირიც გაუცოცხლდება.

კამერა აჩვენებს პოეტს, რომელიც ჭრილობისაგან მოსუფთავებულ ხელი-სგულს დასცქერის, იმშრალებს, დამცინავად გახედავს ქანდაკებას და იქაურობას შორდება. 19*“

ავტორის ხმა:

“უპიზოდი მეორე: აქვთ თუ არა კედლებს ყურები?”

ქანდაკება ამბობს:

„გგონია, ასე ადვილად მოიშორებ ჭრილობას, ასე ადვილად მოაკეტინებ პირს?“

სანამ ქანდაკება ლაპარაკობს, კამერა მთელ ოთახს ზემოდან დაჰყურებს. უფანჯრო და უკარო ოთახი ცარიელია. პოეტი კედლების გასწვრივ დადის, ხელით სინჯავს მათ და უწინდელი კარის ადგილას, მაღალი სარკის წინ ჩერდება; მობრუნდება და... 20*“

ახლო ხედი. ავტორის ხმით უყვირის ქანდაკებას: “კარი გამიღეთ!”

ახლო ხედი. ქანდაკება ირონიულად უპასუხებს: “სხვა გზა არა გაქვს, სარკეში უნდა შეხვიდე და იქ ისეირნო.”

ახლო ხედით პოეტი, რომელიც ამბობს: „სარკეში ვერ შეხვალ“.

ქანდაკების ახლო ხედი: “ყოჩაღ. ე. ი. ტყუილად წერდი, რომ სარკეში შესვლა შეიძლება, თურმე თვითონაც არ გჯეროდა.”

პოეტის ახლო ხედი. მისი ფესტი გაღიზიანებას გამოხატავს: „მე...“

ქანდაკების ახლო ხედი. ის პოეტს სიტყვას უჭრის: “ მიდი სცადე, სცადე...” 21*“

პოეტი მაღალი სარკის წინ დგას. სარკის ჩარჩოსთან ჩნდება სკამი. პოეტი შეკრთება.

ის ფრთხილად სინჯავს, გარს უკლის სკამს, ზედ აღის და სარკეს ხელით ეხება. მისი ბეჭედი სარკეს სამჯერ შეეხება, მაგრამ შუშასთან მიკაყუნების ხმა მხოლოდ მოგვიანებით ისმის.

პოეტი ყოყმანობს, მარცხნივ გაიხედავს, ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხსაც სარკის ჩარჩოზე დგამს და ორივე ხელით ებლაუჭება.

პოეტის ტორსი და მისი გამოსახულება სარკეში. იგი სარკის ზედაპირს უფრო აკვირდება ვიდრე საკუთარ თავს.

ქანდაკების ხმა:

“სცადე...”

სარკის საერთო ხელი. პოეტი სარკეში შედის. მის გაუჩინარებას თან ფეიერვერკით აღფრთოვანებული ბრბოს შეძახილი ერთვის. 22*

(სარკე წყლით სავსე აბაზანით შევცვალეთ. ზედ დეკორაცია დავაბაგრეთ, მარცხნიდან სკამი მივაჭედეთ და ყველაფერი, ზემოდან, კამერით გადავიღეთ. როცა მსახიობმა წყალში ჩაყვინთა, კადრი სწრაფად ვერტიკალურად ვაჩვენეთ და ოპტიკური ცდომილების ეფექტიც ამით დასრულდა).

სარკის შიგნით: ღამეა. გაშეშებული პოეტი, კადრში უხილავ ურიყას შორს, წინ მიჰყავს და მსუბუქად, ხან მარჯვნივ და ხანაც მარცხნივ გადაადგილებს. პოეტს ხელები მაღლა აღუმართავს, სახე ქვემოდან აქვს განათებული და მაყურებლისაკენ მოიწევს, ვიდრე ობიექტივს არ დაეფარება. 23*

კამერა საექვო რეპუტაციის სასტუმროს დერეფნის ხელზე გადადის. კედლებზე ტუჭყიანი შპალერია. იატაკზე ლინოლეუმი. ყოველი ნომრის კართან ფეხსაცმელი აწყვია. დერეფნის ბოლოში, რომელიც მარცხნივ უხვევს, ჩანს კედელი. 24*

ავტორის ხმა:

(ისმის, კადრიდან, როცა პოეტი ობიექტივს დაფარავს და კამერა დერეფნის ხელს აჩვენებს) სარკის ინტერიერი „ფოლი დრამატით“ მთავრდებოდა. 25*

დერეფნის ბოლოს, კუთხიდან, გამოჩნდება ევროპულად ჩაცმული ანამიტი. ის გაზეთის კითხვით მოდის და მესამე კართან, ჩერდება; კარს იქით ვიღაცას ჩინურად დაელაპარაკება; მერე ისევ გაზეთის კითხვით განაგრძობს გზას და ვიდრე თვალს მოეფარებოდეს, სადღაც უჩინარდება. 26*

კამერისაკენ ზურგშექცევით, შემოდის პოეტი. ის უცნაურად დადის, ბარბაცებს, მძიმედ და ნელა მოძრაობს. როცა მარცხნივ, პირველ კარს უნდა ჩაუაროს, მიაყურადებს, შეჩერდება, იჩოქებს და თვალს გასაღების ჭუჭყრუტანას მიადებს. 27*

ახლო ხედით პოეტი (მისი სახე და ხელები). ის გასაღების ჭუჭყრუტანაში იჭყიტება. 28*

ავტორის ხმა:

„გამთენიისას მექსია, ვენსანის სანგრები, არაგოს ბულვარი თუ სასტუმროს ნომერი – ყველაფერი ერთია.“ 29*

კადრში ჩანს ის, რასაც პოეტი ხედავს და რაც მას მანმადე ბუნდოვნად მოესმა. მღვდელმთავარს წიკ-წიკი. ბუხარი, რომელიც სინამდვილეში კლდეა. ამ კლდის მსგავს ბუხარზე ღვთისმშობლის პატარა ქანდაკებაა, მის წინ კი მექსიკელი დაუყენებიათ (ის პოეტს ჰგავს). მარცხნივ, წინა ხედზე – თოფის ღულღულები. ჩანს მიზანში ამოღებული მექსიკელი. თოფების ბათქი. ღვთისმშობლის ქანდაკება ნამსხვრევებად იქცევა. მექსიკელი ძირს ეცემა (ყოველივე ეს, შენელებული კადრებითაა გადაღებული). მექსიკელი დაცემისთანავე ისევ ფეხზე, უწინდელ პოზაში დგება და ღვთისმშობლის ქანდაკებაც მთელდება.

ახლო ხედი. სანახაობით გატაცებულ პოეტს უკეთ დასანახად ჭუჭყრუტანისათვის ხელები შემოუფარებია. თოფების ბათქი.

სასტუმროს ნომერი: მექსიკელი ეცემა და ისევ ფეხზე დგება.

დერეფანი: პოეტი თვალს აცილებს გასაღების ჭუჭყრუტანას. ისმის თოფების ბათქი. კამერა ამ და მომდევნო კადრებში, ძირსდაწვენილ დეკორაციას მადლიდან გადაიღებს, რაც, როგორც კი დეკორაციები ვერტიკალურ მდგომარეობას მიიღებს პოეტის სიარულს, მისი გაოფლიანებული და იმ დეკორაციებით დასვრილი ზურგის კუნთების მოძრაობას, რომელზეც იგი ცოცავს, ხოხავს და გორავს, უჩვეულო იერს მისცემს. ყოველივეს დაემატება მკვეთრი შუქით განათებული, სატუსაღოს ანტროპომეტრული სამსახურის საწამებელი ოთახის გამოსახულება, რაც შთაბეჭდილებას კიდევ უფრო ამძაფრებს. 30*

პოეტი რაღაც შეუცნობელ ძალას, გაურყვეველ მისტრალურ ქარს ეწინააღმდეგება – მძიმედ ინაცვლებს მარჯვნივ და მეორე კარის წინ ჩერდება. კარზე პატარა აბრაა: *“ფრენის გაკვეთილები“*.

ახლო ხედი. პოეტი ბერძნული ორნამენტის არშიებიან ლინოლეუმზე, პატარა საბალეტო ფეხსაცმელთან ჩაიმუხლებს. ისმის ეჭვნების ჟღარუნი. პოეტი თვალს გასაღების ჭუჭყრუტანას მიადებს და ხედავს:

ცარიელ ოთახში, იატაკზე, თივა ყრია. იქვეა ბუხარი და მისადგმელი კიბე. ბუხართან პატარა გოგო მოკუნტულა, აცვია აკრობატის მაისური და ცხენის ეფენი კეიფია. მას შავებში ჩაცმული გუკერნანტი ქალი მათრახით ემუქრება. გოგონა სახეზე იღაყვს იფარებს და ფეხზე ღებება. ეფენების ჟღარუნი. მოხუცი მანდილოსანი გოგონას ხელებს იღლიაში ამოსდებს და ბუხარზე ასვამს. კვლავ ეფენების ჟღარუნი. მათრახი გოგონას სწვდება. (სცენა დიენისის „ოლივერ ტვის-სტის“ სტილში.)

ახლო ხედი. პოეტი ცდილობს ისე მოკალათდეს, რომ უკეთ დაინახოს.

სასტუმროს ნომერი. მოხუცი მანდილოსანი ბუხრის კუთხეში ღვას. გოგონა ბუხრის თავზე. ეფენების ხომლივით მოჩანს, პაერში ფარფატებს. მოხუცი მანდილოსანი ანიშნებს, რომ ფრენა განაგრძოს. გოგონა პაერში მალლა იწევს. კამერა ჭერსმიერულ გოგოს აჩვენებს, რომელიც ეფენების ჟღარუნით ოთახის მოპირდაპირე კუთხისაკენ მიცოცავს და ელექტრონათურის ჩამოშვებულ მავთულს ჩაუვლის.

მოხუცი მანდილოსნის ფეხები. მას ღილებიანი, ყელიანი ფეხსაცმელი აცვია. კაბას იწევს, წრიალებს, ფეხებს აბაკუნებს და მარჯვენა კედელზე მიყუდებული კიბისაკენ მიდის. კამერა უკან იხევს. მოხუცი მანდილოსანი კიბეზე ძვრება და მოსწავლეს მუშტს უღერებს. 31*

ახლო ხედი. ჭერსაკრული გოგონა მოხუც მანდილოსანს ემანჭება და ენას უყოფს.

დერეფანი. პოეტი კარს შორდება, ცდილობს წონასწორობა არ დაკარგოს. ფეხებით იატაკს ებჯინება და მესამე კართან მისულას ცდილობს. და აი, როგორც იქნა, ის მესამე კართანაა.

ავტორის ხმა:

„ჩინეთის საიდუმლოებანი“

ამ კარის წინ ფეხსაცმელი არ აწყვია. სამაგიეროდ გასაღების ხერეკლი ქალღმერთთან დაცობილი და ეს ქალღმერთი ხერეკლიდან გადმოდის. პოეტი ქალღმერთს ხერეკლიდან აძრობს, აგდებს და ხერეკლში იჭვრიტება.

ავტორის ხმა:

„ნომერი 19. ზეციური ჭერი“

ჭერს, რომელზეც ჩამქრალი ელექტროჭადი კეიფია, მხოლოდ ოპიუმის ლა-მფა ანათებს: ჭერზე, როგორც ჩინური ჩრდილების თეატრში, ჩიბუხისა და

ოპიუმის მწვეველის ხელის ღანდები თამაშობს. ხელის ღანდი ჩხირის ღანდს ჩიბუხის ღანდში სჩრის. ოპიუმის ტკაცუნი. კვამლის ჩრდილი. 32*

დერეფნის საერთო ხედი. პოეტი გასაღების ხერხელს შორდება და უფრო მეტი რომ დანიანხოს, ფეხს კარის სახელურს ადგამს; მსუბუქად, თუმცა მოუხერხებლად ადის კარის ზედა ღრეჭომდე და იქიდან ყველაფერის დანახვასა და გაგონებას ცდილობს. ჩინური საუბარი. პოეტს ფეხი კარის სახელურიდან უცურდება და ძირს რბილად ეცემა. წამოდგება, თვალს გასაღების ჭუჭრუტანას მიაღებს, მაგრამ...

ახლო ხედით, როგორც გასაღების ხერხელის ფორმის ნიღბიდან, კარის მეორე მხრიდან, ირიბი ჭრილის თვალი იხედება. 33*

პოეტი შემდეგი კარისაკენ მიცოცავს (ნუ დაგვაიწყდება, რომ ამ დროს, დეკორაცია ძირსაა დაწვენილი). ეს დერეფნის უკანასკნელი კარია. მის ძირში, ღინოლეუმზე, ქალისა და მამაკაცის ცალ-ცალი ფეხსაცმელი დევს.

ავტორის ხმა:

„მე – 19 ნომერში, პერმაფროდიტის უიმელო პაემნები ინიშნებოდა“

გასაღების ხერხელიდან პოეტი ხედავს განიერ დივანს. მისგან ხელმარცხნივ, განუწყვეტლივ ტრიალებს სპირალი. დივანს მთელ სიგრძეზე დიდი შავი დაფა კვეთს. გამოჩნდება თავი თეთრ ნიღაბში, (დაფდაფები). ცარციტ დახატული, წამოწოლილი ქალის ტორსი, (დაფდაფები) მამაკაცის ნამდვილი ფეხი და ხელი, მხრამდე.

ახლო ხედი. პოეტი კარს ხელებით ებჯინება და მთელი სხეულით ეკერის. ზურგი ჩაზნექილი აქვს. კადრი ენებისაღმძვრელ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს. 34*

გასაღების ხერხელი. შავი დაფა ვარსკვლავებით იფარება. (დაფდაფები) ჩნდება სხვა კიდურები და სხვა ტორსი. პერმაფროდიტის ხელი წევს ნაჭერს, რომელიც სასქესო ორგანოს უნდა ეფაროს: ეხედავთ ფირნიშს წარწერით: „სასიკვდილოა“.

პოეტის თვალების ახლო ხედი. 35*

ხედი მესამე გასაღების ხერხელიდან. ჩნდება ნიღაბი, რომელსაც ნამდვილი, ცოცხალი თვალები უბრწყინავს (დაფდაფები). ნიღაბს თავზე ლუდოვიკო XIV-ის დრონდელი გრძელი პარიკი ეხურება (დაფდაფები). ქალის ტორსს ჩასკვნილი ფეხი და ხელი ებმება (დაფდაფები). უწესრიგოდ მიმოყრილი მამაკაცის პერანგე-

ბის, კაბების, თეთრი პალსტუხებისა და წინდების გამოჩენასაც დაფუძნების ხმა ახლავს. უცბად ჩამობნელდება. მამაკაცის ხმა: „ჩააქრე.“ ქალის ხმა: „არ ჩავაქრობ.“ კაცის ხმა: „ჩააქრე მეთქი, გეუბნები“. ქალის ხმა: „არა... თავი დამანებე...“ წყლის ხმაური.

პოეტი დგება და მარჯვნივ გაუხვევს.

კედლის კუთხიდან, გამოჩნდება ქალის ხელი, რომელსაც რევოლვერი უჭირავს.

მალაზიის გამყიდველი ქალის ხმა:

„ხმარების წესები.“

პოეტი რევოლვერს დააელებს ხელს, სინჯავს, და ზურგით კედელს აკრული, პირით დერეფნისაკენ დგება. მისგან ხელმარცხნივ ჩიბუხის საწმენდი მავთული-საგან გაკეთებული თავის ჩრდილი ტრიალებს. ეს თავი მის ოთახში ჩვენ ერთხელ უკვე ვნახეთ. იგი ისე იქცევა, როგორც ამას გამყიდველი ქალის ხმა ურჩევს.

გამყიდველი ქალის ხმა:

„რევოლვერის ტარს ხელი მაგრად უნდა ჩააულო, ასწიო საჩერი, შემართო ჩახმახი, გამოსდო საჩვენებელი თითი, ლულა საფეთქელთან მიიღო და გაისროლო.“

ძლიერი პროექტორებით მკვეთრად განათებული პოეტი კადრში წელამდე მოჩანს. ისმის საფეთქელზე მიდებული რევოლვერის გასროლა. პოეტს იარაღი ხელიდან უვარდება; 36* საფეთქელიდან ნაჩქეფი სისხლი სხეულზე ეღვრება, მეწამულ ნაჭრად იქცევა (რაც მისახვედრია) 37* და ტანზე ეხვევა. პოეტს თავზე დაფნის გვირგვინი ამოსდის.

აეტორის ხმა:

„დიდება მარად!“ 38*

პოეტი დახუჭულ თვალებს ახელს. მძვინვარე გამომეტყველება აქვს. მეწამულ მოსასხამსა და გვირგვინს იგლეჯს; კბილებში, თავისთვის, რაღაცას გამოსცრის. მისახვედრია, რასაც უნდა ამბობდეს: „ამდენი სიბინძურე! ამდენი სიღამპლე! კმარა, მეყოფა...“

დერეფნის საერთო ხედი. კამერა გაქცეულ პოეტს ტრაველინგით მიჰყვება. ის თითქოს დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გარბის. დაწვენილი დეკორაციის ფონზე გადაღებულმა პოეტის ამ გაქცევამ, როცა კადრი დეკორაციებს პერტიკალურად აჩენს, მაყურებელში უცნაური შეგრძნება უნდა გამოიწვიოს.

საგანგებოდ ჩაწერილი გულისძგერა და გაშმაგებული სირბილით გახშირებული სუნთქვის ორმაგი ხმა პოეტის გაქცევას ფონად ედება. პოეტი უჩვეულო მდგომარეობაში შეშლება. გულისცემა ძლიერდება. სუნთქვა ხშირდება. პოეტი კვლავ გარბის. 39*

წაფენით გადასვლა სიბნელეზე სარკის შიგნით. ჩიბუხის საწმენდი მავთული-საგან გაყვთებული მეეტლის თეთრი კარკასი, რომელიც პოეტს განასახიერებს, გეშორდება. ისმის მონახლოებული ტრაქტორის ხმაური.

წაფენით წინა ხედების უკუსვლით ჩვენებაზე გადასვლა. მეეტლის კარკასი იმდენად გვიახლოვდება, რომ ობიექტივს ფარავს. ისმის მიმავალი ტრაქტორის ხმაური.

ავტორის ხმა:

„კარგი იქნებოდა, სარკეებს მეტი ეფიქრათ, ვიდრე არეკლილს უკანვე და-აბრუნებდნენ.“

სარკიანი ოთახი. სარკე პოეტს უკან ისვრის. ბავშვთა საეკლესიო გუნდის გალობა.

პოეტი კადრში ანფასით და მთელი ტანით მოჩანს. გუნდი გალობას წყვეტს. პოეტი შეკრული მუშტებით ქანდაკებისაყენ მიემართება.

ქანდაკების ცოცხალი თავი პოეტს აყვირდება.

პოეტი ხის ჩაქუჩს დასწვდება და ქანდაკებას ჩასცხებს. ქანდაკება იმსხვრევა. თავი შუაზე ეპობა. პოეტი არ ცხრება. ქანდაკების ნამსხვრევეები თაბაშირის ბუღს აყენებს. 40*

პოეტის სრულიად უძრავი გამოსახულება (კინოკადრს ფოტო ცვლის). მას ხელში ხის ჩაქუჩი უჭირავს და თავიდან ფეხებამდე თაბაშირითაა მოთხვრილი.

ავტორის ხმა:

“ყველა ქანდაკება დასამსხვრევეია...”

პოეტის სახის ახლო ხედი. იგი ფქვილში ამოსვრილ იტალიური კომედიის პერსონაჟს ჰგავს.

ავტორის ხმა:

„მაგრამ ვაი, თუ...“

დანგრეული შენობების საერთო ხედი. შუა ნანგრევებში, კვარცხლბეკზე, ზის თეთრი ქანდაკება.

ავტორის ხმა:

„თვითონაც, მათ შორის...“

ქანდაკების ახლო ხედი. მასში პოეტს ვცნობთ. 41*

ავტორის ხმა:

მათ შორის აღმოჩნდი.“

კამერა უკან იხევს. კვარცხლბეკიანი ქანდაკება მონტიეს კვარტალში დგას. იქ ბავშვობაში, კონდორსედან გამოსულ ავტორს არაერთხელ უთამაშნია. თოვს, როგორც „ძნელი მოზარდების“ პირველ თავში. კვარტალს ბავშვობის მოგონებებისათვის ჩვეული უზუსტობები ატყვია: ის უფრო ვრცელი და უკაცრიელია. პოეტის თოვლით დაფარული ქანდაკება იმ შენობის მარცხნივ აღმართულა, რომლის პირდაპირაც ახლა „ტეატრ დე ლ'ევრი“ მდებარეობს.

ავტორის ხმა:

„ისევე დიდება! დიდება მარად! ეპიზოდი მესამე: “გუნდაობა“.

ამსტერდამის ქუჩაზე გამოძვალა თალიდან ჩოჩქოლით გამოდიან კოლეჯის მოწაფეები. მათ მოკლე შარვლები აცვიათ, ბასკური ბერეტები ახურავენ, შალის გრძელი, მუქი ფერის მოსასხამები მოუხურავენ. ხეიბრებს ჰგვანან, რადგან წიგნებით სავსე, მოლესკინის ტყავის ჩანთების სიმძიმისაგან ფეხებს თეძოამოვარდნილივით მიათრევენ. საღამოა. გაზის ლამპიონი ტალახიან თოვლს ანათებს.

მოწაფეები ერთმანეთს დასდევენ.

ერთ-ერთ მათგანს ფეხს უდებენ და ისიც თოვლში ყირავდება (მოკლე კადრი).

საერთო ხედი. მოწაფეები ჩანთებს ყრიან, თოვლს აგროვებენ და ქანდაკების გარშემო იწყებენ გუნდაობას.

(მოკლე კადრი) გაზის ლამპიონთან კედელს აყრული მოწაფე გუნდების სეტყვის ქვეშ დგას და მარჯვენა ხელით დანდობას ითხოვს.

საერთო ხედი. მოწაფეები ქანდაკებას გუნდებით ამსხერევენ. ერთ-ერთი მათგანი კვარცხლბეკზე მიძვრება და ქანდაკების თავს იგდებს ხელში.

ავტორის ხმა:

„მეომრები.“

გაზის ლამპიონთან მოთავსებული კამერა, მარცხნიდან პირველ, კერძო სახლის თუნუქით გადახურული ხვეული კიბის ბაქანს აჩვენებს. ბაქანის ძირში ორ მოწაფეს ამხანაგი მოჰყავს. ბავშვი ტკივილისაგან ტურნებს იყენებს, თითებს იმტკრევს და კოჭლობით მოდის. მოწაფეები ობიექტივს უახლოვდებიან. კადრში ახლა მხოლოდ მოწაფის ფეხი და ცხვირსახოცით გადახვეული გასისხლიანებული მუხლი ჩანს.

საერთო ხედი. ქანდაკება ისეა დანგრეული, თითქოს თოვლისაგან ყოფილიყო გაკეთებული. ახლა ის მოსწავლეების საგუნდაო გამხდარა. კვარცხლბეკზე მისგან თითქმის აღარაფერი დარჩა. 42*

ავტორის ხმა:

„დიდი ბიჭები.“

ამსტერდამის ქუჩაზე გამავალი თალი. ორი, შედარებით უფროსი (ცამეტი და თოთხმეტი წლის) მოწაფე ბიჭი. მათ სხვა მოწაფეებით აცვიათ (მოსასხამების ქვეშ შიშველი კანჭები მოუჩანთ, ზურგზე კი მოლესკინის ჩანთები კუჭებივით აღევთ). ისინი უხერხულად უკიდებენ სიგარეტს, უგემურად ეწევიან და ხვეული კიბის თოვლით დაფარულ ქვედა საფეხურებზე სხდებიან. მათ გუნდებს უშენენ. ერთ-ერთი მათგანი, უფროსი, ფეხზე დგება და ობიექტივს ზიზლით სავეს მშერას უსწორებს.

გაჩაღებული გუნდაობის საერთო ხედი.

მოწაფე, რომელიც ზიზლით უყურებდა ობიექტივს, ცარიელ კვარცხლბეკს ამოეფარება და მასზე დაყრდნობილი, ბრძოლის ველს ათვალთვლებს.

კამერა სარდაფის გისოსებთან ჩამჯდარ მოწაფე ბიჭუნას აჩვენებს. ვიღაც ორი ბიჭი, ერთი მარჯვნიდან, მეორე მარცხნიდან, მისი კაშნეს ბოლოებს მთელი ძალით, ექაჩება. ბიჭუნა ლამისაა დაიხრჩოს. იელაკნება. დაყვირებას ცდილობს. ირგვლივ ჩაცუცქული ცნობისმოყვარე ბავშვები კი მას ემანჭებიან.

კვარცხლბეკზე დაყრდნობილი მოწაფის ახლო ხედი. ის თითქოს საკუთარ რაზმებს აყვირდება.

ავტორის ხმა:

„მოწაფე დარჩელოსი კოლეჯში პირველ მამლაყინწად ითვლებოდა...“ 43*

უმონტაჟო გადასვლა ახალ კადრზე – მოწაფე დარჩელოსს, ხვეული კიბის

საფეხურებზე თავისი შტაბის წევრებით გარემოცულს, ჩანთა გადაუგდია და თოვლის გუნდას აკეთებს.

ავტორის ხმა:

„თოვლის გუნდა მის ხელში შესაძლოა ესპანური მახვილივით საბედისწერო გამომდგარიყო.“

დარჯელოსის ამხანაგის ახლო ხელი. ბიჭი შუა კვარტალში მარტო დგას; გაკვირვებული და პირღია აქეთ-იქით იცქირება...

დარჯელოსი თავის აქნევით ქოჩორს შუბლიდან იშორებს, მოსასხამს უკან მოიგდებს და გააფთრებული თოვლის გუნდას ამხანაგს უმიზნებს. გუნდა მიქრის.

ის ობიექტივში ეარდება.

შემდეგი გუნდა დარჯელოსის ამხანაგს მკერდში ხედება. ბიჭი კადრში წელამდე ჩანს, ერთს წაიბარბაცებს და კადრს მიღმა ეცემა.

ის მიწაზე გდია. კადრში ჩანს მისი გახსნილი ჩანთიდან თოვლში მიმოყრილი წიგნები. კადრის სიმაღლე გულწასულ ბავშვთან ზურგიდან მიახლოებული მისი ამხანაგების მხოლოდ ფეხების დანახვის საშუალებას იძლევა. (ისინი ბავშვთან ჩერდებიან, მერე კი უცბად გარბიან. მხოლოდ ვილაცის წყვილი ფეხი არ ჩქარობს გაქცევას და ნელ-ნელა უკან იხევს.)

კამერა მაღლა ადის. ეს დარჯელოსის ფეხებია. ის თალისაკენ მიდის, ჩერდება და მიწიდან ჩანთას იღებს.

ახლო ხედით დარჯელოსის სახე. იგი წაქცეული ამხანაგისაკენ იხედება, ბეჯითი მოსწავლესავით ენის წვერით ტუნს ილოკავს, თავის აქნევით იშორებს ჩამოშლილ ქოჩორს და სირბილით თალის ქვეშ უჩინარდება.

უკაცრიელი კვარტალი თოვლითაა დაფარული. მის შუაგულში, კვარცხლბეკის წინ, პატარა შავი სხეული ასვენია.

კადრს მიღმა, ამ გამოსახულებისა და მუსიკის ფონზე ავტორი კითხულობს ლექსს:

„Ce coup de poing de marbre était boule de neige,
Et cela lui étoila le Coeur,
Et cela étoilait la blouse du vainqueur,
Étoila le vainqueur noir que rien ne protège.“

Il restait stupéfait, debout
Dans la guérite de solitude,
Jambes nues sous le gui, les noix d'or, le houx,
étoilé comme le tableau noir de l'étude.

Ainsi partent souvent du collègue
Ces coups de poing faisant cracher le sang,
Ces coups de poing durs des boules de neige,
Que donne la beauté vite au coeur en passant.“ 44*.

„ეპიზოდი მეოთხე: „მსხვერპლშებლალვა“. 45*

ახლო ხედით, თოვლზე მოჩანს მოსწავლის სახე. მას პირიდან დუენარევი სისხლი სდის, კვნესის, თვალის გახელა უჭირს. კადრი დამთრგუნველ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს. 46*

ახლო ხედით ჩანს დარჩეულის სახე. ის თითქოს ობიექტივში შემოჭრას ლამობს.

კადრში კვლავ საბრალო ბიჭის სახეა. ბიჭი თვალებს ხუჭავს, პირიდან სისხლი სდის.

ავტორის ხმა:

„ამ საღამოს კვარტალი განსაკუთრებული ელემენტურობით გამოირჩეოდა.“

კამერა უკან იხევს. საერთო ხედი. თოვლზე, კვარცხლბეკსა და ბიჭის სხეულს შორის, ჭალი და ბანქოს სათამაშო მაგიდა ჩნდება. მაგიდასთან, მარცხნივ. საღამოს კაბაში, ზის ქალი. იგი ქალი-ქანდაკების ზუსტი ასლია. მის პირდაპირ, მარჯვნივ, კი ფრაკში გამოწყობილი პოეტი დამჯდარა. მათ ხელში ბანქოს ქაღალდები უჭირავთ. კვარცხლბეკთან, „გულქვა მამაკაცის“ პოზაში, შავი აბრეშუმის ნახევარნიღით, დგას ამხანაგი ლუდოეფო XV. 47*

ისმის ანტრაქტის ზარი. კამერა კვარტლის ხედს შემოივლის. გაღავნის თავზე აივნინი ფანჯრები ორ მუზობელ თეატრალურ ლოჟად ქცეულა.

რელსებზე დამაგრებული კამერა წინ გადაადგილდება და აჩვენებს ლოჟებს. მარცხნიდან შემოდინან, ახალგაზრდა ქალი და ორი ხანშიშესული, დეკოლტირებული მანდილოსანი. ისინი ლოჟის მოაჯირთან სხდებიან. მათ თან ფრაკში გამოწყობილი სამი მამაკაცი ახლავს. მამაკაცები ქალების უკან დგანან.

კამერა მარჯვენა ლოჯაზე გადადის. ლოჯაში შემოდის მსუქანი მანდილოსანი, რომელიც ხავერდის დეკორირებული კაბა აცვია და თან სამი, ფრაკში გამოწყობილი მამაკაცი ახლავს. ერთ-ერთ მათგანს თვალი შავი ბანდით აქვს აკრული. მსუქანი მანდილოსანი ჯდება და ლოჯის მოაჯირზე დადებულ თოვლის სირაქლემის ბუმბულებიანი მარაოთი ხვეტს. ლოჯებში მსხდომნი ერთმანეთს ინტერესით ათვალიერებენ. ჩანს, ქალები მარცხენა ლოჯიდან მსუქან ქალბატონს ქედმაღლურად უყურებენ: ის კი პირზე მარაოს იფარებს და მათ თავის თანმხლებ მამაკაცებთან ჭორავს. მსუქანი მანდილოსანი მარაოს კეცავს, თვალებს ცისკენ აღაყარებს და მხრებს იჩჩავს. ანტრაქტის ზარი წყდება. 48*

ბანქოს სათამაშო მაგიდა. ქალი მაგიდაზე ბანქოს დებს, ხსნის ოქროს საპუდრეს, შიგ იხედება, ხურავს და მასაც მაგიდაზე დებს; მერე ბანქოს ნაცვლად ხელში მოკიაფე მარაოს იღებს, ბანქოსავით შლის, აკვირდება, ინიავებს და არაფრისმთქმელი გამომეტყველებით თავს აქეთ-იქით აბრუნებს.

ამხანაგი ლუდოვიკო XV კადრში წელამდე მოჩანს. ის ნახევარნიღაბს იხსნის და კვარცხლბეკზე დებს.

მაგიდასთან მკვდარი ბავშვი გდია. მის იქით, ფრაკში გამოწყობილი პოეტის ფეხები ჩანს.

ავტორის ხმა:

„ზუსტი და დაუსრულებელი, აი როგორი უნდა იყოს, თაღლითის აზრით, ხელის ელვანზე უსწრაფესი მოძრაობა.“

შენელებული გადადება. კადრის ზემოდან ეშვება პოეტის ხელი, ბავშვის პიჯაკში ძვრება, იღებს გულის ტუზს და ამ ტუზით თითებს შუა კვლავ კადრის ზევით ადის; საიდანაც გამოჩნდა, იქვე უჩინარდება. 49*

ავტორის ხმა:

„იცოდეთ, ბავშვს მფარველი გამოუჩნდა. ის ცარიელი სახლიდან გამოვიდა. შავი იყო და მარცხენა ფეხით ოდნავ კოჭლობდა.“

კამერა აჩვენებს ზეული კიბის ბაქანს. იღება კარი. გამოდის შავი, სხივმფენი ანგელოზი. მისი ხელი კიბის თოვლიან მოაჯირს მიუყვება. ანგელოზი მარცხენა ფეხით კოჭლობს და ბოლო საფეხურიდან ჩამოსული პირდაპირ ობიექტივისაკენ მიდის. 50* ანგელოზის კიბეზე ჩამოსვლას თან სველი ბროლის სასმისის პირზე თითის მოსმით გამოცემული ზუველის მსგავსი ხმა ახლავს. 51*

ბავშვი. ანგელოზი ზურგიდან. ის ბავშვის სხეულზე იხრება. მოჩანს მისი ფრთების აგებულება. ეს ფუტკრის ნერვული სისტემაა. ანგელოზი ბავშვს მოსასხამს აფარებს. 52*

ლოყები. ახალგაზრდა ქალი პუდრს ისვამს. მოხუც მანდილოსანს სძინავს. მისი ქმარი, თეთრწვერა კაცი, მხარზე ეხება. დაბნეული ქალი წელში სწორდება. მსუქანი ქალი ყველას უღიმის და ნაცნობებს სალაშზე სალმითვე უპასუხებს. 53*

მოსასხამზე პირქვე გართხმულა ანგელოზი, რომელიც თავის საქმეს თვითმფრინავის ძრავის ხმაურის თანხლებით აკეთებს. ძრავა ხმაურს თანდათან უმატებს, ხრიალებს, გრუხუნებს. ფეთქდება და სიჩუმისაგან აღაფერს ტოვებს. 54*

ამ საშინელ ხმაურში, კამერა გაზის ლამპიონსა და მოყაყანე ლოყებს ჩაუვლის.

ავტორის ხმა:

„მელნის ლაქასავით გაღლაბნილი მოსასხამი იმ ზებუნებრივი არსების ქვეშ გაუჩინარდა, რომელსაც მსხვერპლის შთანთქმა სულ უფრო აფერმკრთალებდა.“ 55*

ანგელოზის ნეგატივი. გახუნებულ მოსასხამზე გართხმული უზარმაზარი ანგელოზი თავს უკან აბრუნებს და ლოყებს მომაკვდავი პირუტყვის თვალებით გასცქერის. 56*

ძრავის ხმაური კულიმინაციას აღწევს.

კადრში ლოყების გამოჩენასთან ერთად ძრავის ხმაური კლებულობს, ბოლოს კი სულ წყდება. ლოყებიდან ახლა მაცურებლის გაურკვეველი და სიცილნარევი ლაპარაკი ისმის.

კამერა კვლავ მაგიდას უბრუნდება. მაგიდის ძირას, თოვლზე, ჩანს ჩათე-ლილი ადგილი, ეს გამქრალი ბავშვის სხეულის ანაბეჭდია.

ისმის ბროილს თასის ზუვილისებრი ხმა. ახლო ხედით ჩანს პოეტის ხელი, რომელსაც ბანქო უჭირავს. კადრში, ზემოდან, ეშვება ანგელოზის შავი ხელი, სწვდება გულის ტუხს და მიაქვს. 57*

ლუდოვიკო XV, რომელიც ამ სცენას აკვირდება, შეკრთება და ანგელოზის გაუჩინარებას თვალს გააყოლებს.

ანგელოზი ხვეული კიბის მოაჯირს ჰკიდებს ხელს და საფეხურებზე დაღონებული ადის. როცა კიბის თავში აღმოჩნდება, კარს გააღებს, გაუჩინარებამდე ერთხელ კიდევ გახედავს ბანქოს სათამაში მაგიდას და ქრება. 58*

ახალგაზრდა ქალის ახლო ხედი. მას ხელში ბანქო უჭირავს და მედიდური

გამომეტყველებით აცხადებს: “ ჩემო ძვირფასო, თუ კი გულის ტუზი არა გაქვთ, დალუპული ბრძანდებით.” 59*

ახალგაზრდა ქალის პირდაპირ ზის პოეტი, რომელიც ხან ქალს უყურებს და ხან თავის ბანქოს ჩასცქერის. გვესმის პოეტის გულისცემა ისე როგორც ეს თავად მას უნდა ესმოდეს და გრძნობდეს, რომ იგი სხვებსაც მასსავით ესმით. პოეტის პიჯაკის ბორტი გულის ძგერის რიტმში ტოყავს.

კამერა პოეტის უკან გადადის და ახალგაზრდა ქალს ანფასით იღებს. ქალი პოეტს თვალს არ აშორებს. პოეტი ქალის მზერას ველარ უძლებს და მობრუნდება.

კადრში გვერდიდან ჩანს მაგიდა. ახალგაზრდა ქალი გაუნძრევლად ზის. მის თვალწინ პოეტს ხელი ჯიბისაკენ მიაქვს, იღებს რევოლვერს, მიიტანს მარჯვენა საფეთქელთან და გაისურის. გასროლის ხმა. პოეტი თოვლიან მაგიდას ენარცხება. 60*

კამერა მაგიდის მოპირდაპირე მხარეს გადადის: პოეტის სახის ახლო ხედი; მას მარცხენა ლოყა თოვლში უღვევს. საფეთქლიდან თქირალით წამოსული სისხლი მარჯვენა ლოყას უცნაურად ეღვრება. სისხლის ნაკადი იყოფა, ედება წამწამებს და ცხვირის ნესტოებსა და ტუჩის კუთხებთან გროვდება.

აპლოდისმენტები ლოყებიდან. 61*

ამხანაგი ლუდოვიკო XV ლოყებს საყვედურით საესე მზერით გახედავს. აპლოდისმენტები ძლიერდება. 62*

კამერა სისხლის ნაკადების ბადეში გახვეულ პოეტის სახეს უბრუნდება.

პალმით დამშვენებულ კვარცხლბეკზე მიყრდნობილი ლუდოვიკო XV. პალმის რტოების ფონზე მოჩანს ლოყები, სადაც ანტრაქტის დროს წამოწყებული ლაპარაკი გრძელდება.

მაგიდის ხედი გვერდიდან. მასზე პოეტი გდია, სახე არ უჩანს, კვარცხლბეკისაკენ აქვს მიბრუნებული, ცალი ხელი მაგიდიდან ჩამოვარდნია. ახალგაზრდა ქალი ფეხზე დგება. მას შავი ხელთათმანები აცვია და სიგრძით იქამდე სწვდება, სადამდეც ქალ-ქანდაკებას მკლავები ჰქონდა მომტვრეული. ქალი ბანქოს ისვრის. ბანქო აქეთ-იქით მიმოიბნევა და მაშინვე ქალს გაშტერებული თვალები ქუთუთოებზე შავად ეხატება.

ავტორის ხმა:

„ შეასრულა თუ არა თავისი საქმე, ქალი კვლავ ქანდაკებად, ე. ი. უსულო არსებად იქცა. მისი შავი ხელთათმანები კონტრასტულად იკვეთება თოვლზე, რომელზეც მალე მისი ნაფეხურების კვალიც არ დარჩება. 63*

კამერა ქალ-ქანდაკებასა და ამხანაგ ლუდოვიკო XV უახლოვდება. ქალის ნიშანზე თავთის მოსასხამი ამხანაგის მხრებიდან გადმოდის და მის მხრებს ეფინება. ქალი ამსტერდამის ქუჩაზე გასასვლელი თაღისაკენ მთავარეულივით მიიწევს 64* და როცა ხვეულებიანი სახლის კუთხეში, მესრიან კედელს უნდა ჩაუაროს, მსუბუქი ლითონის ბურთულა ნელა გადაკვეთს სივრცეს, მარჯვნიდან მარცხნივ. ქალი-ქანდაკება თაღის ქვეშ შედის. ლითონის ბურთულა ნელა გადაკვეთს სივრცეს მარცხნიდან მარჯვნივ, იქითგან, საიდანაც მოსწავლე დარეჯლოსმა თოვლის გუნდა ისროლა. 65*

კადრში ეხედავთ მოჩუქურთმებულ და ოქროთი მოვარაყებულ სადარბაზო კარს. 66* კარი სულ რამდენიმე საფეხურის თავზე გამოდის. მის ორივე მხარეს დიდროს ერთნაირი, თიხის ბიუსტი დგას. 67* საზეიმო მუსიკა. კარები ფართოდ იღება. გამოჩნდება ქალი-ქანდაკება. მკვეთრი სინათლით განათებული ეს ბრმა მსახიობი ქალი (რომელსაც თვალები ქუთუთოებზე აქვს მიხატული), ფრთხილად დგამს რამდენიმე ნაბიჯს და კიბის თავში ჩერდება; შავხელთათმანიანი ხელით მოსასხამის კაპიუშონს გადაიწვეს და როგორც ბანქოს სათამაშო მაგიდასთან, თავს აქეთ-იქით აბრუნებს.

ამ უკანასკნელ პანტომიმში მსახიობი მთელი ტანით ჩანს.

ქალი, რომელსაც კადრში ზურგიდან ეხედავთ, ხელს მალლა სწევს. ისმის სასტევენების ხმა, რომლითაც კარისკაცები კლიენტებს მანქანას უჩერებენ. კადრის მარჯვენა, დაბალ კუთხეში, თოვლზე, ჩნდება ხარის თავი. პირუტყვი საფეხურების ძირში ჩერდება. ქალი მოსასხამში ეხვევა და კიბეზე ჩადის.

კიბის ცარიელი ბაქანი.

ქალი ხარს მარჯვნივ უდგას და მოჰყავს. 68* ისინი აპარატის ერთი უკუ-სვლითი მოძრაობით გადაადგილდებიან.

ხარისა და ქალის კიდევ ერთი გავლა კადრის დაბალ კუთხეში. ლაქები ხარის სხეულზე ევროპის დაგლეჯილ, დაქუცმაცებულ და ფუნით შეწებებულ რუკას წარმოადგენს. 69*

ცარიელი ეკრანის შავი ფონი. მორიალე მტვერი კადრებს ავერცხლისფერებს. ეკრანის ძირში ხარის რქები გამოჩნდება. ისმის გონგის ხმა. რქები მალლა იწვეს. ეს ლირაა. 70*

კამერა უკან იხევს. ხარი და ევროპა ქრებიან. ერთმანეთის მხრებზე შემდგარი სცენის ორი მუშა ქალს ასახიერებს. ისინი ქსოვილში გახვეულან: ზემოთას დაფაზე ცარციით დახატული პროფილი სახეზე აუფარებია, ქვემოთას კი ლირა და გლობუსი უჭირავს. ეს იმპროვიზირებული ქალი, პროფილისა და აქსესუარების გარდა, დეკორაციის შავ ფონს ერწყმის და ფოსფორით მანათობელ ღამეში შესული, გეშორდება; პატარავდება. 71*

ავტორის ხმა:

„ გზა...“

წაფენა. დაწვენილი ქალი-ქანდაკების ახლო ხედი. მას მსახიობი ქალის ნამდვილი, მხოლოდ თეთრ კანზე ავტორის სტილში კონტურშემოვლებული სახე, მელოტ თავზე კონტურებითვე მიხატული თმა და დახუჭული თვალები აქვს.

ავტორის ხმა:

„...გრძელია...“

წაფენა. კამერა მაღლიდან იღებს დაწვენილი ქალი-ქანდაკების საერთო ხედს. ეს წყალსაცხე მდინარეებისა და თეთრეულის მსგავსად დაფენილი ქსოვილების ნამდვილი აკროპოლისია. ქალს გვერდით ღირა და გლობუსი უდევს. 72*

კამერა კვლავ ქალი-ქანდაკების სახის ახლო ხედს უბრუნდება. მისი ნახევრადღია, კონტურშემოვლებული პირიდან გამოსული კვამლი მაღლა ადის. 73*

ისევ საერთო ხედი. კადრი თანდათან ბნელდება. ეკრანზე მხოლოდ თეთრი, უხეში და ხორკლიანი, მაგრამ ისევ განათებული ზედაპირები მოჩანს.

ავტორის ხმა:

„უკვდავების მომაკვდინებელი მოწყენილობა.“ 74*

მონტაჟით ახალ ხედზე გადავდივართ. ვხედავთ, როგორ შეავდება ქარხნის მილი. 75* ნგრევის გამაყრუებელი ხმაურის შემდეგ, ავტორი აცხადებს:



დასასრული

„უკვდავების მომაკვდინებელი მოწყენილობა,“



Ophée

unusquodlibet

ორფეოსი

ფილმი ეძღვნება კრისტიან ბერარს

ქ. კ.

„ძალიან ბევრის გაგება გნებათ ბატონო ჩემო, ეს კი სერიოზული ნაკლია.“
ორფეოსის სიკვდილი

წინასიტყვაობა

ფილმს არც სიმბოლოები აქვს და არც წინასწარ დასახული იდეა. სიმბოლი-სტური და ტენდენციური ნაწარმოებები მოდაში აღარ არის. ეს რეალისტური ფირი კინემატოგრაფის საშუალებით შესინამდვილეს, ზერეალობასა და იმ ჭე-შმარიტებას ასხამს ხორცს, რომელთაც გოეთე რეალობას უპირისპირებდა. რე-ალობის ამგვარი ხედვა კი დღეს, თანამედროვე პოეტთა მნიშვნელოვანი მიღწე-ვაა.

ორფეოსის სახე

შან შარი

ფილმის ორფეოსი არ არის დიდი ქურუმი, როგორც ის სინამდვილეში იყო. იგი სახელოვანი პოეტია. მისი დიდება მოსვენებას უკარგავს ე. წ. აუანგარდს, 1* რომლის როლსაც ფილმში მითური ბაკქელი ქალები 2* ასრულებენ; ისინი იმ ქალთა კლუბის წევრები არიან, სადაც ორფეოსზე გათხოვებამდე, მოახლედ მსახურობდა ევრიდიკე. ორფეოსი ევრიდიკეს ბაკქელ ქალებთან ურთიერთობას უკრძალავს, მაგრამ ის არ ემორჩილება, რადგან ბაკქელი ქალების დედოფალ აგლაონისს ევრიდიკეზე კელავ დიდი გავლენა აქვს.

ორფეოსი ფილმში არაერთ თემას განასახიერებს. მათ შორის თემას, რომე-ლიც მალარმეს ლექსის შემდეგი სტროფითაა გადმოცემული: „Tel qu'en lui-
même enfin l'éternité le change.“ 3*

პოეტად რომ იშვა, მრავალჯერ უნდა მოკვდე.

აღნიშნული თემის განვითარება პირველად ჯერ კიდევ ოცი წლის წინ, „პოეტის სისხლში“ ვცადე, მაგრამ რადგანაც მაშინდელი პირობები მისი უკეთ განხორციელების საშუალებას არ მაძლევდა, იგი მხოლოდ ცალი თითით შევა-

სრულე. ახლა კი ფილმში, „ორფეოსი“, იმავე თემის ორკესტრირებას მივმართავ.

შთაგონების ანუ სულის შთაბერვის თემა. თუმცა აქ სულის შთაბერვაზე კი არა, ალბათ, უფრო სულის ამოხდომაზე უნდა გვესაუბრა, რადგან ის, რასაც შთაგონებას უწოდებენ, გარედან, ე. წ. ღვთაებრივი ღამიდან კი არა, თვით ჩვენგან. ჩვენი ბნელი ღამიდან იღებს სათავეს. ყველაფერი მაშინ ტრიალდება უკულმა, როცა ორფეოსი საკუთარ შთაგონებას გარედან მიღებულ შეტყობინებებს ამჯობინებს. შეტყობინებებს. რომელსაც ის შეცდომაში შეჰყავს სეფესტი აგზანის. სეფესტის ქვეცნობიერებიდან მოდის და საერთო არაფერი აქვს იმქვეყნიურ სამყაროსთან. მათ ინგლისური, ოკუპაციისდროინდელი რადიოგადაცემების გაუღუნა ატყვია. ზოგიერთი ფრაზა, როგორცაა: “ფრინველი თითებით მღერის“, პირდაპირი ციტატაა. ის აპოლინერს ეკუთვნის. ასე მან თავის ერთ-ერთ წერილში მომწერა.

მიაქციეთ ყურადღება, რომ მოლაპარაკე მანქანები თანამედროვე მითოლოგიიდანაა, რომელსაც რადგან ჩვენც ამ მითოლოგიის პერსონაჟები ვართ, ვერ ვამჩნევთ.

აეტომობილები და მოდური ტანსაცმელი მხოლოდ პოეტური ფანტაზიის ნაყოფია, რომლის მიზანია, ანტიკური მითი ღღევანდელ მაყურებელს თანამედროვე ამბად მიუტანოს.

სახლში მობრუნების კომიკური ეპიზოდი სხვა ქალზე შეყვარებული ცოლიანი მამაკაცის სიტყვების: “ცოლი თვალთ არ დამენახვება“ ან „ცოლს დასანახად ვეღარ ვიტან“, ინსცენირებას წარმოადგენს.

ფინალური სცენა, როცა პრინცესა, ერტებიზი და სეფესტი ორფეოსს ისეთივე რიტუალით აძინებენ. როგორითაც ტიბეტში ნეოფიტებს, 4* რათა მიძინებულებმა დროში იმოგზაურონ, მიცვალებულის მოყვინებად ანუ მის ხელახლა დაბადებად უნდა მივიჩნიოთ.

სეფესტის სახე

იღუარდ ღერმი

სეფესტი თერამეტი წლისაა. მისით მოულოდნელად, სრულიად უმიზნოდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ზოლმე, აენგარდი აღფრთოვანდება. სეფესტის ლოთობა, უზნეობა და თავხედობა ხიბლათ კიდევ, მაგრამ ზონაში მოხვედრისთანავე იგი კვლავ მორცხვ, მეტად გულუბრყვილო და ძალზე კეთილშობილ ყმაწვილად იქცევა.

ერთებიზის სახე

ფრანსუა პერიი

ფილმის ერთებიზი პიესის ერთებიზს სულაც არა ჰგავს: იგი ანგელოზი, აღარაა, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ. უბრალოდ გარდაცვლილი ყმაწვილია,

სიკვდილის მრავალ თანამშრომელთაგან ერთ-ერთი. მას მთლად გარდაცვლილსაც ვერ დაარქმევ, არაერთხელ აფრთხილებს ორფეოსს (თავისუფალი ნების თემა), არ ენდოს უსაფუძვლო რადიოშეტყობინებებს, ვერიდიცე კი გზაზე გარდაუვალი ავარიისაგან იხსნას.

მაგრამ ბედისწერა, რომელსაც ის ცდილობს თავისუფალი ნება დაუპირისპიროს, პრინციპსა მოგონილია და ამიტომ სასამართლოს საგამომძიებლო კომისია, ამისათვის პასუხს არ აგებინებს (პრეტენზიას ვერ უყენებს).

სასამართლო პროცესზე, რომელიც პრინციპსა ქალაქგარეთა სახლში იმართება, ტყუილი აღარ სჭრის. ამიტომ, პრინციპსა და ერთგობი იძულებულნი არიან, პირადული გრძობები (რომელთაც როგორც ოდესღაც ადამიანური სამყაროს ძალაუფლების ქვეშ მყოფნი, კვლავ განიცდიან) დაუფარავად გააშხილონ.

ფრაზა: „ცხადია, ისინი მათ წუმპეშივე უნდა დაგვებრუნებინა,“ მიწიერ სიყვარულთან დაბრუნებას კი არა, არამედ უბრალოდ „მიწაზე“ დაბრუნებას გულისხმობს.

სასამართლო

ეს სასამართლო ჯოჯოხეთის სამსჯავროს წინაშე იმავე როლს ასრულებს, რასაც გამომძიებელი სასამართლო პროცესზე. და არა მხოლოდ!...

ვერიდიცეს საზე

მარია დეა

ვერიდიცე ერთი უბრალო დიასახლისია, მხოლოდ საშინაო საქმეები რომ ეხერხება (საგარეო საქმეებისა კი არაფერი ესმის). იდუმალება მისთვის გაუგებარი რამაა. მითის ყველა მძაფრ ეპიზოდში, ის საოცრად უმანკოა და უზომოდ უყვარს ქმარი. ეს ერთგული სიყვარული იხსნის მას. ორფეოსის სიკვდილს კი გაუგონარი საქციელისაკენ უბიძგებს, საქციელისაკენ, რომელშიაც უკვდავების თემა პპოვებს გამოხატულებას – პოეტის უკვდავსაყოფად სიყვდილი თავს ინადგურებს.

მოკლე ეპიზოდი სარკის წინ. ერთგობი: “ზომ არ მიბრახდებით იმაზე, რაც სასამართლოზე ვთქვი?” ვერიდიცე: „კი მაგრამ, განა რა ბრძანეთ ასეთი სასამართლოზე?“ ერთგობი: “უკაცრავად, არაფერი“...

ეს მოკლე სცენა ნათელს ხდის, რომ ვერიდიცეს უმანკოება ბოლომდე თვით ერთგობისაც კი ვერ გაუცნობიერებია.

პრინციპსა საზე

მარია კაზარეისი

პრინციპსა სიკვდილის სიმბოლოდ ვერ მივიჩნევთ, რადგანაც ფილმში სიმბოლოები არ არსებობს. ის ისეთივე სიკვდილია, როგორიც სტიუარდესა ანგე-

ლოზი. პრინცესა თვითონ ირჩევს ორფეოსის სიკვდილის როლს, როგორც ოდე-სლაც სეფესტისა და ევრიდიკეს სიკვდილის როლი იყისრა. იგი სიკვდილის მრავალ თანამშრომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთია. ყოველ ჩვენგანს საკუთარი სიკვდილი აქვს, რომელიც მას დაბადებიდანვე უთვალთვალებს.

პრინცესა ერთგვარი ჯაშუშის როლს ასრულებს. მან ადამიანს უნდა უთვა-ლთვალოს. ის კი შეეღის მას და თვითონ იღუპება. რა სასჯელი მოელის ამისათვის? არ ვიცი. ეს ისეთივე გამოცანაა, როგორც ჭიანჭველის ბუდისა და სკის საიდუმლო, რომელიც ენტომოლოგებს დღემდე ვერ აუხსნიათ. პრინცესას თითქმის არანაირი შეღავათი არა აქვს. მან ისიც კი არ იცის თუ რა ემუქრება. ორფეოსისა და ევრიდიკეს სიყვარულში ჩანს პოეტთა უსაზღვრო სწრაფვა ყოვე-ლივე არამქვეყნიურისაკენ; ჩანს პოეტთა დაუოკებელი სურვილი სძლიონ უძლე-ურება, რომელიც უამრავ ინსტიქტს გვაკარგვინებს. ეს ინსტიქტები მოსვენებას არ გვაძლევს, ჩვენ კი მათთვის ვერც შესატყვისი ფორმა გვიპოვია და ვერც სამოქმედო ასპარეზი.

ზონამ ყოფნისას, განაჩენის მოლოდინში, პრინცესა სეფესტს ეკითხება: “ზომ არ მოგწყინდათ?” სეფესტი კი კითხვითვე უპასუხებს: “რას ნიშნავს ეს?” პრინცე-სას რეპლიკა: “უკაცრავად. ეს ისე, ჩემთვის ვთქვი“, იმის აღიარებაა, რომ პასუხს იგი სეფესტისათვის უნებურად დასმულ კითხვაში კი არა, მხოლოდ საკუთარ თავსა და მოგონებებში ეძებს.

ზონა

მას არაფერი აქვს საერთო არანაირ დოგმასთან. ის ცხოვრების განაპირა, უკაცრიელი, უბანია; ადგილი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, სადაც არც მთლად მკვდარი ხარ და არც მთლად ცოცხალი.

ემუშე, ერტებისსა და ორფეოსს შორის რომ ჩაივლის, ახალგაზრდა გარდა-ცვლილი კაცი, დაჟინებით გაიძახის თავისას იქ, სადაც შუშების ჩასმას მნიშვნე-ლობა დაუკარგავს. ორფეოსი ერტებისს ეკითხება: “ვინ არის ეს მოხეტიალე ხალხი? ცოცხლები არიან?” რაზეც ერტებისი მიუგებს: “პო, ჰგონიათ რომ არიან. ყველაზე დღევრძელი ხომ უაზრო პროფესიებია.”

სარკეები

სარკეების თემა მაეიწყდებოდა. სარკეში ვხედავთ, როგორ ვბერდებით და ვუახლოვდებით სიკვდილს.

ასეთია ზოგადად ფილმი, რომელშიც ორფეული თემით დაწყებული, თანამე-დროვე მოტივებით დამთავრებული, მრავალი თემა გადაიხლართა. ის კი მაინც მხოლოდ ბერძნულ-ანტიკური მითის თავისუფალ ინტერპრეტაციად წარმოგვი-დგება, რაც ბუნებრივია, რადგან დრო, როგორც წმინდა ადამიანური ცნება, რე-ალურად არ არსებობს.

წარმოსახვითი პროვინციული ქალაქის კაფე. „კაფე დე ფლორის“ სტილში. ის ფასადით პატარა მოედნზე გადის და ამ მოედნისა და მომიჯნავე ქუჩის კუთხე უკავია. ტენტზე, რომლითაც ტერასაა გადახურული, იყითხება წარწერა: „პოეტთა კაფე.“ შემდეგ კადრში ჩანს ამავე კაფეს ხალხითა და თამბაქოს კვამლით სავსე ინტერიერი. ჩახუტებული წყვილები. სეიტრიანი ახალგაზრდა მამაკაცები რაღაცას წერენ, კამათობენ. მაგიდები ხალხითაა გადაჭედილი; ჩანს აქ მომსვლელები ცოტას სვამენ, მაგრამ კაფეში დიდხანს რჩებიან. იწყება ფილმი. ტერასაზე გიტარისტი რაღაცას ლილინებს. საღამოს შვიდი საათია.

კვლავ კაფეს ინტერიერი.

კამერა ახლოდან იღებს მაგიდას, რომელთანაც ახალგაზრდა მწერლები სხედან; მერე კი სხვა მაგიდებსაც ჩაუეღოს. ჩახუტებული წყვილები თამბაქოს ეწევიან, ხმადაბლა საუბრობენ და თან მარცხნივ იხედებიან. კამერა ჩერდება, იღებს უკანა ხედის პანორამას და ყურადღებას ორფეოსზე ამახვილებს. ორფეოსი მაგიდასთან მარტო ზის, ადგება, ეძახის მომტანს, ფულს უხდის. ტოვებს მაგიდას, თავს მალლა სწევს და ცნობისმოყვარეობით მარცხნივ იხედება.

კამერა მაგიდასთან მსხდომ სტუმრებს აჩვენებს. ყველანი ტერასისაკენ იყურებიან. კაფეს შუშებს მიღმა ჩანს დიდი, შავი „როილსი“. მანქანა ჩერდება; სწრაფად გადმოდის მძღოლი.

კამერა ახლო აჩვენებს მანქანიდან სხარტად გადმოსულ მძღოლს. ის მანქანის კარს აღებს. მანქანიდან გადმოდის ქალი (პრინცესა).

პრინცესა (მანქანიდან გადმოსულ მძღოლს, რომელმაც ისე გაუღო კარი, რომ მისკენ არ მიბრუნებულა) – ერთებიზ! ბ-ნ სეფესტს მიეხმარეთ, მოედანზე გადაიყვანეთ.

კამერა აჩვენებს მანქანიდან გადმოსულ ქალს. ის სეიტრიან, აშკარად მთვრალ ყმაწვილს, მანქანიდან გადმოსვლაში ეხმარება.

სეფესტი (ყვირის) – მთვრალი არ ვარ!

პრინცესა – მთვრალი ხართ...

მძღოლი ყმაწვილს მხარში ამოუდგება და უკან მიჰყვება პრინცესას, რომელიც კაფესაკენ მიდის. მძღოლისა და ყმაწვილის პანორამული ხედი. კამერა კვლავ აჩვენებს ქალს. ის ტერასაზე მსხდომ ნაცნობებს მეგობრული ფესტით ესალმება და ქუჩის კუთხეში კაფეს შესასვლელისაკენ მიემართება.

კაფეს ინტერიერი. კამერა ჯერ გასასვლელისაკენ მიმავალ ორფეოსს, მერე კი კაფეში შემოსულ ქალს აჩვენებს და ორფეოსზე ჩერდება. ორფეოსი ქალს გზას უთმობს და თან თვალს აყოლებს. ამ დროს მას ახალგაზრდა კაცი ევახუბება; ის ცდილობს ვიღაცას ხელიდან დაუსხლტეს, დაამტკიცოს, რომ დაუხმარებლადაც გაივლის. თვალუბამღვრეული ახედავს ორფეოსს და თავისთვის იგინება.

ტერასა. – კამერა აჩვენებს ტერასაზე მიმავალ ორფეოსს, რომელიც იქაურობას შორდება და თან გაკვირვებული უკან იხედება. ახლო ხედით ჩანს ტერასის მარცხენა შიდა კუთხე, სადაც კაფეს ბუნქნარი ეკერის. მაგიდა. მასთან ორმოცდაათიოდე წლის, უსუფთაოდ ჩაცმული მამაკაცი და სეიტრიანი, ტყავის სანდლებიანი სამი თმააბურძენელი ახალგაზრდა ზის. მამაკაცი კადრს მიღმა რაღაცას ანიშნებს, ხმამაღლა იძახის:

მამაკაცი – ორფეოს!

ერთერთი ახალგაზრდა კაცი – ხომ არ გაგიჟდით...! (მაგიდიდან დგება)

დანარჩენებიც მას ბაძავენ, მიაქვთ თავისი ჭიქები და მამაკაცს მაგიდასთან მარტო ტოვებენ. ორფეოსი მაგიდასთან მიდის.

მამაკაცი – ერთი წუთით ჩამოჯექით...

ორფეოსი – მგონი ყველა გაეაქციე... (ჯდება)

მამაკაცი (უღიმიის) – თქვენ მგელს უყოფთ თავს ხახაში...

ორფეოსი – მინდოდა საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი. (ხანმოკლე დუმილი. – მამაკაცი სასმელს მოსვამს.)

მამაკაცი – რას დალევთ?

ორფეოსი – გმადლობთ, არაფერს. უკვე დავლიე. პირში ახლაც მწარე გემო მაქვს. უშიშარი კაცი ჩანხართ, ჩნთან გამოლაპარაკება რომ გაბედეთ.

მამაკაცი – ო! შე თამაშვარე მდგომარეობაში ვარ. წერა ოცი წლისამ მივატოვე. ახალს ვერაფერს ვამბობდი. ისინი კი დუმილს მიფასებენ.

ორფეოსი – რა თქმა უნდა, ჰგონიათ ახალს ვერაფერს ვამბობ და იმასაც ფიქრობენ, რომ პოეტი ძალიან სახელგანთქმული არც უნდა იყოს...

მამაკაცი – მართალია, არ უყვარხართ...

ორფეოსი – პირდაპირ მითხარით, რომ ვძულვარ. (თავს ობიექტივისაკენ აბრუნებს)

კამერა აჩვენებს იმას, რასაც ორფეოსი და მამაკაცი ხედავენ. კაფედან გამოსული მშვენიერი ქალბატონი და მთერალი ყმაწვილი მაგიდებისაკენს მიემართებიან. გიტარის ნაცვლად ახლა აქ ჯაზი უკრავს.

ორფეოსი (მიუბრუნდება მამაკაცს) – ეს ახალგაზრდა ლოთი ვინდაა, ახლახან ასე თავაზიანად რომ შემხვდა? ეტყობა კარგი ცხოვრება უყვარს.

მამაკაცი – ფე სეფესტია, პოეტი. თერამეტი წლისაა და უკვე აღმერთებენ. პრინცესა, რომელსაც ის ახლავს, ჟურნალის სპონსორია. მან ახლახან იქ თავისი პირველი ლექსები გამოაქვეყნა.

ორფეოსი – პრინცესა მართლაც ძალიან ლამაზი და ელეგანტურია...

მამაკაცი – უცხოელია. პოეტური სამყაროს გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია. (მაგიდიდან იღებს ჟურნალს) – აი მისი ჟურნალი... – ორფეოსი შლის

ჟურნალს.

ორფეოსი - აქ მხოლოდ სუფთა ფურცლებია.

მამაკაცი - ამას „ნუღიზმი“ ჰქვია.

ორფეოსი - სასაცილოა და მეტი არაფერი...

მამაკაცი - წარმოდგინეთ, ნაკლებად სასაცილო. ვიდრე ამ გვერდებზე დაბეჭდილი სასაცილო ტექსტები იქნებოდა. არანაირი უკიდურესობა არ არის სასასაცილო. ორფეოს, თქვენი უბედურებაც ის არის, რომ ისიც იცით, სადამდე შეტოპთ.

ორფეოსი - მე ის ვიცი, რომ მკითხველს ეუყვარვარ.

მამაკაცი - მაგრამ მის აზრს არვინ იზიარებს.

ტერასის სხვა კუთხე. მწერლების გვერდით, მაგიდა რომ დატოვეს, პრინცესა და სეჟესტი ღვანან.

პირველი მწერალი - ჩვენზე ლაპარაკობენ.

მეორე მწერალი - მგონი, ყველაფერი შეიცვლება და ტექსტებსაც გამოაქვეყნებენ.

პრინცესა - აი მისი ლექსები... გაუფრთხილდით, თორემ ისეთ დღეშია, სადაც გინდა დატოვებს...

სეჟესტი (ახალგაზრდას ხელიდან გლეჯს ფურცლებს) - ახლავე დამიბრუნე... შე ნაგავო! ცხვირპირს დაგიმტვრევ. ყბებს ჩამოგიღებ!...

პრინცესა - დაწყნარდით, ხომ იცით, ალიაქოთი არ მიყვარს!

სეჟესტი - რა თქმა უნდა!

ხელჩართული ჩხუბი მაგიდიდან მაგიდაზე გადადის. კაფეს ინტერიერი. ტელეფონის ჯიხური. მძლოლი ჯიხურში შედის და კრეფს ნომერს.

ერტებიზი - პოლიცია!... “პოეტთა კაფეში“... ჩხუბია...

ტერასა. დიალოგი ორფეოსსა და მამაკაცს შორის გრძელდება.

ორფეოსი - (ირონიულად) მშვიდობით ბრძანდებოდეთ. თქვენს კაფეში კაცს არ მოწყინდება. თავი სამყაროს ცენტრში გეგონება.

მამაკაცი - მართლა სამყაროს ცენტრია, თვითონ იცით და ცუდ გუნებაზეც იმიტომ ხართ.

ორფეოსი - ჩემთვის გამოტანილი განაჩენიც საბოლოოა?

მამაკაცი - არა. და იმიტომ კიდევ უფრო სძულხართ.

ორფეოსი - მამ როგორ მოვიქცე? ვინჩხუბო?

მამაკაცი - (ღგება) - გაგვაყვირეთ...

მამაკაცი მარჯვნივ გაიხედავს და უცბად სახეზე გაოცება ეხატება. ვხედავთ

როგორ მოდიან პოლიციის მანქანები. მანქანებიდან პოლიციელები გადმოდიან. გაწევა-გამოწევა, აყალმაყალი. პოლიციელები კაფეში შედიან.

პოლიციელები – საბუთები... საბუთები...

მამაკაცისა და ორფეოსის მაგიდა.

პირველი პოლიციელი – თქვენი საბუთები.

(ორფეოსი ჯიბიდან საფულეს იღებს. პოლიციელი კითხულობს, თავს მალდა წვეს.)

მაპატიეთ ძვირფასო მეტრ, ვერ გიცანით, თუმცა ჩემ ცოლს მთელი ოთახი თქვენი ფოტოებით აქვს აჭრელებული...

ორფეოსი – ეს ბატონი ჩემთანაა...

პირველი პოლიციელი – კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს... (თავს უკრავს) ბატონებო! (მიდის)

მამაკაცი – ვხედავ პოლიციასთან მშვენიერი ურთიერთობა გქონიათ.

ორფეოსი – ვის, მე?

მამაკაცი – გირჩევთ ახლავე აქედან დაიყაროთ, თორემ მთელი ამ აურზაურის ატეხვასაც თქვენ დაგაბრალდებენ.

ორფეოსი – ესლა მაკლია!...

ტერასის მოპირდაპირე კუთხე: პრინცესა, ყმაწვილკაცი, მძლოლი, ჭაბუკები და ქალიშვილები. ყველანი გაცხარებით, ხელებს იქნევენ, კამათობენ. პოლიცია მათ ჩვენებს ართმევს.

ახალგაზრდა კაცი – გამიშვით! გამიშვით!...

პრინცესა – უფლება არ გაქვთ ამ ყმაწვილს უხეშად მოექცეთ!

მეორე პოლიციელი – საბუთები არა აქვს. (სეფესტს) გამოგვეყვით!

პრინცესა – პასუხს მე ვაგებ.

მეორე პოლიციელი – ახსნა-განმარტებას პოლიციის განყოფილებაში მოგვცემთ.

პრინცესა – ეს დაუშვებელია!

მეორე პოლიციელი – სამსახურეობრივ მოვალეობას ვასრულებთ.

(ახალგაზრდა ძალით მიჰყავთ. ყვირის, ცდილობს ხელიდან დაუსხლტეს პოლიციელებს)

ახალგაზრდა კაცი – გამიშვით! გამიშვით!...

იგივენი, გადაღებული ზურგიდან. აპარატი მათ მოედნისაკენ მიაცილებს. იქ პრინცესას ავტომობილი დგას. ახალგაზრდა, რომელიც პოლიციელებს მარჯვნივ გაპყავთ, ყვირის:

ახალგაზრდა კაცი – არამზადებო! ღორებო! გამიშვით, თავი დამანებეთ! დამანებეთ თავი!

კამერა წინიდან იღებს პოლიციელებსა და ახალგაზრდას. ის ცდილობს პოლიციელებს ხელიდან დაუსხლტეს. ყველანი ერთად, არეულად, ობიექტივისაკენ მიემართებიან. ჯერ მხოლოდ შორიდან ისმის მოტოციკლების გუგუნი.

პოლიციელი – ოპ! უყურეთ ამ ლაწირაკს, მივბინა!

ახალგაზრდა კაცი ხელიდან უსხლტება პოლიციელს და გაგლეჯილი სვიტრით კადრიდან კამერისაკენ მორბის. მოტოციკლების გრუხუნია. მოკლე კადრი – თავზარდაცემული მამაკაცის სახე. ისევ მოკლე კადრი – პოლიციელები ადგილზე შეშდებიან და ყვირიან:

პოლიციელები - ფრთხილად! ფრთხილად!...

მოკლე კადრი – სეფესტი დაეცა, ისე დაენარცხა მიწას, თითქოს ციდან ჩამოვარდა. მოკლე კადრი – ორი მოტოციკლისტი გადაღებული ზურგიდან, მტერის ბუღში უჩინარდება. კამერა მტვერში ამოგანგლულ ახალგაზრდას აჩვენებს. შემზარავი შესახედია. კადრში გამოჩნდება მის წამოსაყენებლად მოვარდნილი ადამიანების ხელები. ცხედარს მიწიდან იღებენ. ორი პოლიციელი გზას გაპყურებს და ყვირის:

პირველი პოლიციელი – ნომერი თუ დაიმახსოვრეთ?

გუშაგი – ვერა. არაფერი ჩანდა.

პირველი პოლიციელი – ყველა საგუშაგოს დაურეკეთ!

პრინცესა – ცხედარი ჩემს მანქანაში გადაასვენეთ და ამ საცოდავებს მიხედეთ...

კამერა აჩვენებს მათ, ვისაც ახალგაზრდა კაცის ცხედარი მიაქვს.

პრინცესა (მძლოლს) – ერთებიზ! მიეშველეთ...

მოკლე კადრი – სანახაობის საყურებლად მოსული ხალხი.

ახალგაზრდა მწერალი – საოცარია, აქ არასდროს მოძრაობა არ ყოფილა!...

ცხელარს როგორც იქნა მანქანაში დაასვენებენ. მამაკაცები და მძლოლი მანქანიდან გადმოდიან. პრინცესა კამერისაკენ ბრუნდება.

პრინცესა – რა სარგადაყლაპულივით გაშეშებულხარო!

ორფეოსის გაკვირვებული სახე. ის ნელა მიდის წინ, თუმცა დარწმუნებული არაა, რომ მას მიმართავენ. პრინცესას ახლო ხედი.

პრინცესა – ღიახ, თქვენ! თქვენ! იქნებ რამეში დაგვეხმაროთ.

მანქანის კარისა და ორფეოსისაკენ მიბრუნებული პრინცესას ხედი, გვერდიდან.

პრინცესა – თქვენი ჩვენებები დამჭირდება. მანქანაში, ჩქარა.

ორფეოსი კადრში მარცხნიდან შემოდის. პრინცესა სწრაფად ჯდება მანქანაში და ყვირის:

წაველით! წაველით!... ჩქარა, რაღას უცდით.

ორფეოსი პრინცესასთან ერთად მანქანაში ჯდება, ისმის კარის ჯახუნი და მანქანა ადგილიდან იძვრის.

პრინცესას ავტომანქანა. კადრში – მანქანის უკანა, პატარა გვერდითი ფანჯარა,

ფანჯრიდან ჩანს როგორ იშლება „პოეტთა კაფეში“ შეკრებილი ხალხი. სწრაფი გადასვლა მარჯვნივ, პანორამულ ხედზე. ახლო ხედი, წელამდე, ჩანს ახალგაზრდა კაცი. მას ტუჩის კუთხიდან სისხლი წვრილ ნაკადად სდის. კადრში გამოჩნდება პრინცესას პროფილი. პრინცესა ახალგაზრდის სახეს აკვირდება.

პრინცესა – ცხვირსახოცი მომეცით.

კამერა აჩვენებს ორფეოსს. ის პირით ჩვენყენ, ასაკეც სკამზე ზის. ფანჯრის მიღმა სოფლის პეიზაჟი მიცურავს. ორფეოსი ჯიბიდან იღებს ცხვირსახოცს და პრინცესას აძლევს. კადრში ახალგაზრდა კაცი აღარ ჩანს. კამერა მხოლოდ პრინცესასა და ორფეოსის ახლო ხედებს აჩვენებს.

ორფეოსი – ეტყობა მძიმედაა დაჭრილი.

პრინცესა – უთქვენოდაც ვიცი...

ორფეოსი – საავადმყოფოს გაცვდით!

პრინცესა – ნუთუ გგონიათ, რომ ყმაწვილს საავადმყოფოში მივიყვან.

კადრში ჩანს სეფესტის სახე და პრინცესას ხელები. პრინცესა ახალგაზრდა კაცს ცხვირსახოცით სისხლს სწმენდს. კადრში ჩანს ორფეოსის ხელი. ის სეფესტს ქუთუთოს უწევს.

პრინცესას ხმა – ხელს ნუ ახლებთ!

გაოცებული ორფეოსი წელში სწორდება.

ორფეოსი – კი მაგრამ... ის ხომ მკვდარია...

პრინცესა ორფეოსს შეხედავს, უფრო სწორად კმერას გაუსწორებს თვალს.

პრინცესა – თქვენს საქმეებს მიხედეთ და სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფას შეეშვიოთ.

(პრინცესა სიგარეტს ეწეოდა. ის სიგარეტს აგდებს) კამერა მძლოლის ზურგსა და მანქანის წინა შუშას აჩვენებს. მანქანა ამუხრუჭებს და შლაგბაუმიან გადასასვლელთან ჩერდება.

ორფეოსის ხმა – თქვენ თვითონ მითხარით, მანქანაში ჩამკვდარიყავი...

პრინცესას ხმა – გაჩუმდებით თუ არა?

მანქანის უკანა ფანჯარა მთელ ეკრანს იკავებს. კადრში გაოცებული ორფეოსის სახე და მძლოლის ზურგი ჩანს; ჩაიქროლებს მატარებელი, შლაგბაუმს ასწევენ. მანქანა გზას განაგრძობს. უკანა ფანჯარა პატარაედება. ჩანს მანქანის ზურგი, მერე მთელი მანქანა, რომელიც სიჩქარეს უმატებს და ლიანდაგებზე გადადის.

პრინცესა (მძლოლს) – ჩვეული გზით იარეთ.

მანქანის საერთო ხედი. პრინცესა მძლოლისაკენ იხრება. მანქანის ხედი შინიდან, ფანჯრის მიღმა ნეგატივით გადაღებული, თითქოსდა დათოვილილი პეიზაჟები მიცურავენ.

პრინცესა - რადიო!

ახლო ხედი – რადიოს სახელურზე, ჩანს ერთებიზის ხელი. მოკლე ტალღების ხრიალი. მორზე, შემდეგ ფრაზა:

რადიო – სიჩუმე უკან-უკან უფრო სწრაფად იხევს. სამჯერ. სიჩუმე უკან-უკან უფრო სწრაფად იხევს. სამჯერ... (მორზე)

მანქანის საერთო ხედი წინიდან. დუმილი. ბალიშებზე გადაწოლილი პრინცესა რადიოს უსმენს.

ჭიკა წყალი მთელ ქვეყანას ანათებს... ორჯერ... ყურადღება, მიღება. ჭიკა წყალი მთელ ქვეყანას ანათებს. ორჯერ... ჭიკა წყალი მთელ ქვეყანას ანათებს. (მორზე)

ორფეოსი – ხად მიედივართ?

პრინცესა – რა ექნა, ძალით გაგაჩუმოთ?

კვლავ ნეგატივით, ჩანს პეიზაჟები, რომელსაც მანქანა ჩაუვლის. ისმის მოტოციკლების გრიალი. კადრში ჩნდება „როილსი“. მოტოციკლების ფარები მანქანას უახლოვდება და უსწრებს. მანქანა ჩერდება. პრინცესა მანქანის მარჯვენა კარიდან გადაიხრება და წინ წასულ მოტოციკლისტს უყვირის:

პრინცესა – სალამი!

მანქანის ხედი შიგნიდან. ორფეოსი ობიექტივისაკენ ზურგით ზის და ხედავს, როგორ ჩაუქროლებს მეორე მოტოციკლისტი, თავს მარცხნივ, აბრუნებს და ამბობს:

ორფეოსი – ესენი, ესენი არიან ბიჭი რომ გაიტანეს!

კადრში – პრინცესა.

პრინცესა – თქვენ რა, მართლა ასეთი სულელი ხართ? გთხოვთ კითხვებით აღარ შემაწუხოთ!

მანქანა ადგილიდან იძვრის, სიჩქარეს უმატებს, მიჰქრის. მოჩანს გზა. შორს, პორიზონტზე, კადრს მოტოციკლისტები კვეთენ.

ღამეა. ჩანს ქალაქგარეთა ჩაბნელებული სახლის რამდენიმე განათებული ფანჯარა. ისმის მოახლოებული მოტოციკლების ხმაური. მანქანა (ჯერ ფარების შუქი გამოჩნდება) და მოტოციკლები უკან მოითოვებენ კამერას, ადიან ბორცვზე და იქ, ვიდრე სახლთან გაჩერდებოდნენ, ნახევარწრეს არტყამენ. ამ მანევრისას მოტოციკლისტები უსწრებენ მანქანას და სახლის ბაქანთან ჩერდებიან; გადმოდინ მოტოციკლებიდან, მოტოციკლებს სახლის კედელს მიაყუდებენ და გაჩერებულ მანქანასთან მიდიან. მანქანიდან გადმოდის მძლოლი. ის მანქანის უკანა კარს ალბს. ისმის მატარებლების სტვენა.

პრინცესა – მუსიე, გადმობრძანდით, ჩემს ხალხს ხელს ნუ უშლით.

პრინცესა მანქანიდან გადმოდის. მას გვერდით მოტოციკლისტები უდგანან.

პრინცესა – ცხედარი მანქანიდან გადმოსვენეთ და მალლა აიტანეთ.

ორფეოსი მანქანიდან გადმოდის, უკან იხედება. მოტოციკლისტებს მანქანიდან გადმოაქვთ ახალგაზრდის ცხედარი. ცხედარს თავი უკან გადავარდნია. ასე უახლოვდებიან კამერას.

ქალაქგარეთა სახლის ინტერიერი. ჩამონგრეული კედლები.

პრინცესა – თქვენ რა, ზეზეურად გძინავთ? (კიბეზე აღის)

ორფეოსი – ვგონებ მართლა მძინავს...

კამერა კიბის თავიდან, ზემოთ მიმავალ ხალხს აჩვენებს. ყველანი კიბის ბაქანზე აღიან, მარჯვნივ უხევევენ, რამდენიმე საფეხურით ძირს ეშვებიან და ღია კარში გადიან.

პრინცესა – რას ზოზინობენ. შევკვრება ზოზინი. (ორფეოსს) აქ მომიცადეთ მუსიე.

როგორც გადაბარგებისას, ან გაქურდვის შემდეგ არეული ოთახი. იატაკზე აქა-იქ თივა ყრია. ავეჯიდან მხოლოდ ძველი მაგიდა და სკამები ჩანს. კედელზე ჩამოხეული შპალერი. კარის ხელმარცხნივ – დიდი სარეე. ოთახის ფანჯრები და დარაბები დახურულია. შემოდის ორი მოტოციკლისტი. მათ ახალგაზრდის ცხედარი შემოაქვთ. მოტოციკლისტებს უკან პრინცესა მოჰყვება.

პრინცესა – იატაკზე დააწვინეთ.

პრინცესა მობრუნდება და ოთახიდან გადის. ორფეოსი. ის კიბეზე იცდის; ცდილობს ოთახში შეიხედოს, დაინახოს რა ხდება. პრინცესა ორფეოსთან მიდის და ეუბნება:

პრინცესა – გამომყევით მუსიე.

ორფეოსი პრინცესას მიჰყვება. პრინცესა კიბის ბაქანზე მარჯვენა კარში შევა, აივლის ოთხ საფეხურს, რომლის თავზეც კიდევ სხვა კარი მოჩანს და აღებს. ორფეოსი კიბის ძირას იცდის. კამერა სარკიანი ოთახის კარიდან აჩვენებს პატარა, შიდა კიბეს, მერე კი პრინცესას, რომელიც მეორე, ოთხი საფეხურის თავზე გამოსულ კარს აღებს და ორფეოსისაყენ ბრუნდება.

პრინცესა – თქვენ მართლა გძინავთ.

ორფეოსი – დიახ... დიახ... მძინავს... ძალიან მიყვირს.

ოთახი, რომელშიც პრინცესა და ორფეოსი შედიან, იაფფასიანი ელევანტურობით საეჭვო რეპუტაციის სასტუმროს ნომერს ჰგავს, რომელიც მის დიასახლისს თავისებური ფუფუნებით მოურთავს. აქ ყველაფერი კიდია ან ყრია: ქსოვილები, ბეწვეული. ფანჯარის დარაბები დახურულია. ფანჯარასთან დივანი, ლამფა და რადიომიმღები დგას. დივანის ხელმარცხნივ, ოთახის სიღრმეში, პატარა კარი აგურისკედლიან დერეფანს უკავშირდება. მოპირდაპირე კუთხეში, ჯაგრისებოდა და ფლაკონებით გადატვირთული ტუალეტის მაგიდის თავზე სამფრთიანი სარკე მთელ ოთახს ირეკლავს. პრინცესა შესვლისთანავე ანთებს ლამფას. ირგვლივ საოცრად რბილი შუქი იღვრება.

ორფეოსი – ბოლოს და ბოლოს, ამიხსნით თუ არა ქალბატონო?...

პრინცესა – არაფერსაც არ ავიხსნით. როცა გძინავს და სიზმრებს ხედავ, ისე უნდა აღიქვა სიზმარი, როგორც ეს მძინარე ადამიანს შეეფერება.

ორფეოსი – მგონი უფლება მაქვს ახსნა-განმარტება მოვითხოვო.

კამერა აჩვენებს პრინცესას. ის დივანთან მიდის, ზედ ეშვება და რადიოს რთავს. რადიოში გადმოსცემენ ინტერმედიას „გლუკის ორფეოსიდან“ (ვერიდიკეს ტირილი).

პრინცესა – სრული უფლება გაქვთ მოითხოვოთ, მე კი სრული უფლება მაქვს უარი გითხრათ, ისე რომ ბარი-ბარს ვართ, ბატონო ჩემო.

პრინცესა დგება და კადრიდან მარცხნივ გადის. მისი კადრიდან გასვლისთანავე კადრში შემოდის ორფეოსი.

ორფეოსი – ქალბატონო! გამორთეთ ეგ მუსიკა. გვერდით ოთახში მიცვალებულია. თავს კი მისი მკვლელები დასტრიალებენ. (სახელურის მობრუნებით რთავს რადიოს და დგება) გიმეორებთ, მოვითხოვ, რომ...

პრინცესა ტუალეტის მაგიდასთან მიდის და სამფრთიანი სარკის ნათურებს ანთებს.

პრინცესა – მოვითხოვ, რომ რადიოს ხელი არ ახლოთ. დაბრმანდით და დამშვიდდით, თუ შეიძლება.

პრინცესა ჯდება და თმის ვარცხნილობას ისწორებს. კამერა მას ზურგიდან და ამასთანავე რადიოსთან გაჩერებულ ორფეოსთან ერთად სარკეში არეკლილსაც აჩვენებს.

რადიო – (მოკლე ტალღების სიგნალი და მერე უცებ, იგივე ხმა, რომელიც მანქანაში ისმოდა). კარგი იქნებოდა, სარკეებს ცოტა მეტი ეფიქრათ. ერთხელ.

ვიმეორებ. კარგი იქნებოდა, სარკეებს ცოტა მეტი ეფიქრათ. ერთხელ. კარგი იქნებოდა სარკეებს...

სარკე ერთიანად იზარება. პრინცესა წამოხტება და კადრიდან სწრაფად გადის. კამერა აჩვენებს რადიოსთან გაჩერებულ ორფეოსს. რადიოდან ისმის მოკლე ტალღების ხრიალი. პრინცესა უცბად ისევ მობრუნდება. კადრში ის ზურგით ჩანს, რადიოს სახელურს ატრიალებს. კვლავ გაისმის მუსიკა გლუკის „ორფეოსიდან“.

პრინცესა – რა საძაგელი ხართ. (ორფეოსს დივანისაკენ უბიძგებს და ისიც უნებურად დივანზე ეშვება) აჰ, ჩემს ოთახში მომიცადეთ. ჩემი მსახურები...

აგურის კედლიანი დერეფნის კართან გამოჩნდება ორი თეთრციტელიანი ჩინელი მსახური; პრინცესას თავის დაბლა დაკვრით ესალმებიან.

შამპანურსა და სიგარეტს მოგიტანენ, ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში...

მსახურები თავის დაკვრით გადიან. ორფეოსი დივანზე ზის, პრინცესა აჩქარებული ნაბიჯით, კარისაკენ მიემართება, მაგრამ უცბად შეჩერდება:

პრინცესა – ძალიან ბევრის გაგება გნებავთ, ბატონო ჩემო. ეს კი სერიოზული ნაკლია.

ორფეოსი კვლავ ზის. მუსიკის პანგები იღვრება.

ორფეოსი – მაგრამ ქალბატონო, მე შინ მელოდებიან.

კამერა უფრო ახლოდან აჩვენებს გასასვლელთან შეჩერებულ პრინცესას, რომელიც კარს ადებს.

პრინცესა – არა უშავს, ცოლი მოგიცდით. რაც უფრო მეტს დაიგვიანებთ, მით უფრო მეტად გაახარებს თქვენი დაბრუნება.

პრინცესა ოთახიდან გადის და კარს ხურავს. ჩინელ მსახურებს პატარა საგორებელი მაგიდით სიგარეტები და ვედროში ჩადებული შამპანური შემოაქვთ.

პანორამული ხედი – ორფეოსი დგება. მერე კი ნელა, სანამ მსახური შამპანურს ხსნის, კვლავ თავის ადგილას ეშვება.

სარკიანი ოთახი. სარკის ორივე მხარეს თითო მოტოციკლისტი დგას. იატაკზე ახალგაზრდის ცხედარი ასვენია. კადრში სწრაფად შემოდის პრინცესა, ცხედართან მიდის და აკვირდება.

პრინცესა – (მოტოციკლისტებს) ყველაფერი მზადაა?
ერთ-ერთი მოტოციკლისტი – დიახ, ქალბატონო.

სცენა გადაღებულია უკულმა, ჩიტის თვალსაწიერიდან. სინამდვილეში სეჟესტი პრინცესას წინ დგას და ნელ-ნელა ძირს ეშვება. პრინცესა მის მოძრაობას ხელს აყოლებს, მაგრამ თვით სეჟესტს არ ეხება. მაყურებელი ამ დროს ეკრანზე ხედავს ყმაწვილს, რომელიც ნელ-ნელა წამოდგება და წელში გამართული პრინცესას წინ აისვეტება:

პრინცესა – სეჟესტ, წამოდექით.

კამერა პრინცესას ზურგიდან აჩვენებს. თვალგადაჭყეტილი სეჟესტი კი, რომელიც ფეხზე ნელა დგება, კადრში ანფასით მოჩანს.

პრინცესა – სალამი.

ახალგაზრდა კაცი (მთვარეულის ხმით) – სალამი.

პრინცესა – იცით ვინ ვარ?

ახალგაზრდა კაცი – ვიცი.

პრინცესა – თქვით.

ახალგაზრდა კაცი – ჩემი სიყვდილი.

პრინცესა – კეთილი. ამიერიდან ჩემი მსახური ხართ.

ახალგაზრდა კაცი – თქვენი მსახური ვარ.

პრინცესა – და ჩემს ბრძანებებს დაემორჩილებით.

ახალგაზრდა კაცი – თქვენს ბრძანებებს დაემორჩილები.

პრინცესა – ძალიან კარგი. მაშ გზას გაუუღვტეთ...

პრინცესა მოტოციკლისტებს მიუბრუნდება. კადრში საერთო ხედით ჩანს პრინცესა, ახალგაზრდა კაცი, სარკე და ორი მოტოციკლისტი.

ჩემს კაბას ჩაეჭიდეთ. ნურაფრის გეშინიათ. ხელი არ გამიშვათ.

პრინცესა უკან იხევს, ზურგსუკან ყმაწვილი უდგას, ნაბიჯზეც არ შორდება. პრინცესა სარკესთან მიიბრუნს და ახალგაზრდა კაცთან ერთად შიგ იჭრება. სარკის ხელი გადაღებული შიგნიდან. მისი ზედაპირი წყლის ზედაპირით დატალღულია. კარებში, ჭიქა შამპანურით ხელში ჩანს ორფეოსი. მას ჭიქა ხელიდან უვარდება. ჭიქა ტყდება. სარკეში შესვლა ორი მოტოციკლისტის შესვლით მთავრდება და სარკე კვლავ ჩვეულებრივ სარკედ იქცევა. ორფეოსი სარკეს მიაწყდება, მაგრამ მის მყარ ზედაპირს ეჯახება: ვხედავთ, როგორ აკაკუნებს სარკის ზედაპირზე, გვესმის აკაკუნის ხმა. ორფეოსის ახლო ხედი. ის პირით სარკისკენ დგას. თავი უკან უვარდება, ხელები ეშვება და გულწასული სარკის ჩარჩოსთან, ძირს ვარდება.

წაფენა

სარკეში არეკლილი ორფეოსის თავის ძალიან ახლო ხედი. მქრქალი, მაგრამ ძლიერი შუქი. კამერა ორფეოსს მთელი ტანით და იმავე მდგომარეობაში აჩვენებს, როგორშიც ის სარკის ძირს ეგდო, მაგრამ ამჯერად ის გუბესთან გდია. თეთრი, პორიზონტამდე მიმავალი ბორცვები. ორფეოსი ახლადგაღვიძებულივით შეინძრევა, იდაყვზე წამოიწევს და გაკვირებული ირგვლივ მიმოიხედავს. ის ქვიშის, თეთრ ბორცვზე ადის და ყვირის:

ორფეოსი – ეჰე, ჰე, ჰე ჰეი!

ქათქათა, თითქოს თოვლით დაფარულ ფერდობზე ეშეება, სხვა ბორცვზე გადადის და ბუნქებს შორის გაკაფული ბილიყისაკენ მიემართება. გზის პირას ჩანს „როილსი“. ორფეოსი მანქანასთან ჩარბის. მანქანის ახლო ხედი. მძღოლს სძინავს... ორფეოსი ანჯღრევს მას და ყვირილით ეკითხება:

ორფეოსი – სად ვართ?

მძღოლი იღვიძებს, სწრაფად გადმოდის მანქანიდან, კარს უღებს და განზე დგება.

თქვენ გეკითხებით, სად ვართ!

ერტებიში – არ ვიცი მიუსიე, მიბრძანეს დაგლოდებოდით და სახლში მიმეყვანეთ.

ორფეოსი – პრინცესა სადაა? სადაა სახლი?

ერტებიში – მიუსიე, იქნებ მანქანაში ჩაჯდეთ.

ორფეოსი მანქანაში შეხტება, თან მძღლს თვალს არ აშორებს. მძღოლი კარს მიიჯახუნებს და საჭკესთან ჯდება. ისმის მეორე კარის მიჯახუნებაც. მანქანა იქოქება. „როილსი“ ადგილიდან იძვრის.

დღეა: სასტუმრო ოთახი ორფეოსის სახლში. ამ ძალზე კომფორტულ ოთახს ეტყობა სასადილოდაც იყენებენ. აქვეა პატარა სამზარეულო, გაზქურა. უამრავი წიგნი. სასადილო მაგიდა ჟურნალებითაა მოფენილი. ოთახის სიღრმეში, მარცხნივ, პატარა კარია. ის ბაღის კიბის ბაქანზე გადის. ოთახის ჭერში გემბანის ტრაპის მსგავსი კიბე ლიუკით, ევრიდიკესა და ორფეოსის საძილეს უკავშირდება. კიბის ძირიდან მოჩანს დივანი... ევრიდიკე ფანჯარასთან ზის. ფანჯრა ბალსა და გზას გადაჰყურებს. ევრიდიკეს გვერდით აგლაონისი და პოლიციის კომისარი დგანან. აგლაონისი ტელეფონზე რეკავს.

გლაონისი (ტელეფონში) – როგორ არა, როგორ არა, ეს ქალი სწორედ სასტუმრო „თერმი“ ცხოვრობდა. აბა ერთი, დირექტორთან დამალაპარაკეთ.

აგლაონისი ყურმილს პოლიციის კომისარს აძლევს. პორტიეს ბიურო სასტუმროში, „თერმი“.

პორტიე – ბატონო დირექტორო, ტელეფონთან გთხოვენ.

სასტუმრო ოთახი ორფეოსის სახლში.

პოლიციის კომისარი – საგანგებო საქმეთა კომისარი გელაპარაკებათ... უკაცრავად ისევ რომ გაწუხებთ. ახალი ხომ არაფერია? ალო! ალო! ალო! არ დაკიდოთ!

ტელეფონი სასტუმროში, „თერმი“.

დირექტორი – შემოდგომა მხოლოდ ის გაგიმეორით, რაც უკვე გითხარით, ბატონო კომისარო. მსგავსი გარეგნობის ქალი ჩვენთან ნამდვილად არ გაჩერებულა და არც არანაირი „როილსი“ მინახავს.

სასტუმრო ოთახი ორფეოსის სახლში.

პოლიციის კომისარი – ორ საათზე შემოგვივლით. უკაცრავად. (კიდებს ყურმილს)

ვერიდიკე ზის, აგლაონისი დგას, კომისარი ყურმილს კიდებს და ოთახში ბოლთას სცემს.

კომისარი – პირდაპირ წარმოუდგენელია! წარმოუდგენელი! არც ოტელ „ფაბიუსში“ არც ოტელ „დე დე მონდში“.

ვერიდიკე – აღარ დაბრუნდება.

აგლაონისის ხელი ვერიდიკეს მხარზე ეშვება. ის მეგობარს ნელა არწევს.

აგლაონისი – დაწყნარდი, დაწყნარდი. მამაკაცები ყოველთვის ბრუნდებიან: ისეთი სულელები არიან.

ვერიდიკე – მამ სადაა? სად უნდა იყოს?

გლაონისი – ვერ მოგატყუებ. იმ ქალთანაა.

ვერიდიკე – (დგება) – ო არა! არა! ამას ვერასოდეს დავიჯერებ. თქვენ. თქვენ მაინც უთხარით ბატონო კომისარო, რომ ეს სიცრუეა. თქვენ ხომ იცნობთ ორფეოსს...

კომისარი – ქალბატონო... ქალბატონო!...
ვერიდიკე – უთხარით, რომ ეს სიცრუეა, უთხარით!
კომისარი – არც კი ვიცი რა გიპასუხოთ. სამაგალითო ოჯახი გაქვთ. მაგრამ ხანდახან მამაკაცები იბნევიან...

ვერიდიკე კედლისკენ მიბრუნდება.

ვერიდიკე – ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

კომისარი ვერიდიკეს ზურგსუკან ჩაივლის და აგლაონისთან მივა.

კომისარი – ძალიან არასასიამოვნო ამბავია.

აგლაონისი – რა, პრესაში სკანდალის ატეხვის გეშინიათ?

კომისარი – არა, არა. საემაოდ მკაცრი განკარგულებები გავუცი; და საერთოდ, ჟურნალისტებმა ამაზე არაფერი იციან.

ზარი ბალის ჭიშკართან. კომისარი შეკრთდება.

აგლაონისი – (ფანჯარაში იხედება) – ჟურნალისტია, ჩემო ძვირფასო კომისარო.

კამერა კედელთან მტირალ ვერიდიკეს აჩვენებს.

ვერიდიკე – რა ამბავია? (კარისაკენ გარბის)

ბალი ორფეოსის სახლის წინ. პატარა ჭიშკარი. ჟურნალისტი ხელის კერით ადებს ჭიშკარს და ბაღში შედის. ორფეოსის სახლის კარი. ვერიდიკე უკვე კიბის ბაქანზეა. ჟურნალისტი მის წინ, კიბის ძირში დგას.

ჟურნალისტი – გამარჯობათ ქალბატონო. ჟურნალ „ლე სოლეის“ კორესპონდენტი გახლავართ. თქვენი მეუღლე შინაა?

ვერიდიკე – ჩემს მეუღლეს სძინავს და ვერავის მიიღებს.

ჟურნალისტი (თავხედურად) – სძინავს?...

ვერიდიკეს ზურგსუკან პოლიციის კომისარი გამოჩნდება.

ვერიდიკე – მთელი ღამე მუშაობაში გაატარა.

კომისარი – მეც მის სანახავად მოვედი, მაგრამ არ გავადვიძებინე.

ჟურნალისტი – კეთილი. გავრბივარ. თუ გნებავთ წამომყევით, ბატონო კომისარო. მანქანით ვარ.

კომისარი – გმადლობთ, მეც მანქანით ვარ.

ევრიდიკე – მინც რისი გაგება გინდოდათ?...

ჟურნალისტი – ინტერვიუ მინდოდა ჩამოშერთმია იმ აუარიანზე, ახალგაზრდა კაცი რომ დაიღუპა. საავადმყოფოში არ მიუყვანიათ; მისი მეგობრები ღელავენ, არ იციან სად ეძებონ.

კომისარი – კეთილი, გასაგებია. რედაქციაში შევივლი.

ჟურნალისტი – ნახვამდის ქალბატონო! (თავს უკრავს და კადრიდან მარცხნივ გადის. კადრში ევრიდიკე და კომისარი გამოჩნდებიან)

აგლაონისი ფანჯარას შორდება და კართან მიდის. ევრიდიკე და კომისარი სასტუმრო ოთახში შედიან.

აგლაონისი – ესეც ასე, გილოცავთ!

ევრიდიკე – რა საშინელებაა...

კომისარი – ნუ ღელავთ. გაზეთის რედაქციაში შევივლი და ყველაფერს მოვაგვარებ. (ევრიდიკე ქვითინებს, აგლაონისი ამშვიდებს)

აგლაონისი – არ გინდა... არ გინდა... გამხნევედი...

ბალი. იქვე ჩასაფრებული ჟურნალისტი. მანქანის ხმაური. ჟურნალისტი მარცხნივ გადაინაცვლებს. გზა სახლის წინ. მოდის „როილის“ და სახლთან ჩერდება. გადმოდის ორფეოსი და მძღოლს, რომელიც ჯერ ისევე ნელა მიაგორებს მანქანას, ეუბნება:

ორფეოსი – მომყვით. ძრავას ძალიან ნუ აახმაურებთ. ასე. ახლავე გარაჟს გაეაღებ...

ორფეოსი ალებს კარს და კადრიდან ქრება. ეს გარაჟად გადაკეთებული საჯინიბოა. ის გზის პირას გადის. „როილის“ სადგომში შედის. ორფეოსი ხურავს შესასვლელ კარს. გარაჟად გადაკეთებულ საჯინიბოში ორფეოსის პატარა ავტომობილი დგას. „როილის“ მის მარჯვნივ, თავისუფალ ადგილას ჩერდება. ორფეოსი ერთებიან ჩაუვლის და გადაულაპარაკებს:

ორფეოსი – მამ ასე, როგორც მოვილაპარაკეთ. (ბაღში გასასვლელ კართან შეჩერდება) ჩემი ცოლი ამ ამბავს მინც ვერაფერს გაუგებს. (გადის)

ბალის მარცხენა მხარე. ორფეოსი სახლისაკენ მიდის. სახლის კუთხიდან გამოდის ჩასაფრებული ჟურნალისტი და გზას უღობავს.

ჟურნალისტი – გაზეთ „ლე სოლესის“ კორესპონდენტი. ე. ი. გძინავთ არა?...

ორფეოსი – რაო?

ჟურნალისტი – იძინეთ ორფეოს, იძინეთ, ხელს აღარ შეგიშლით. ტკბილ სიზმრებს გისურვებთ.

ორფეოსი – აქედან გაეთრიეთ!

ჟურნალისტი – თქვენს ამ გამოსვლას ჩემი გაზეთი სათანადოდ შეაფასებს.

ორფეოსი – მშვიდობით ბრძანდებოდეთ. გზიდან ჩამომეცალეთ.

ჟურნალისტი – ამ თავზელობას კიდევ ინანებთ.

ორფეოსი – პრესის აზრი ფეხებზე მყიდია.

ჟურნალისტი – ეს რაღაც ორიგინალურია.

ორფეოსი – დიახ, ორიგინალურია. – ხელს კრავს ჟურნალისტს და გზას გაუღებია.

კადრში გამოჩნდებიან აგლაონისი, ევრიდიკე და პოლიციის კომისარი. ისინი ფანჯრიდან ბაღში იყურებიან. ბაღში მარჯვნიდან შემოდის ორფეოსი.

აგლაონისი – (ყვირის) – ევრიდიკე! ევრიდიკე! შეხედე, მოვიდა!

შესასვლელი კარი. ორფეოსი კიბის ბაქანზე ადის. ევრიდიკე შესაგებებლად მირბის. ისინი ერთმანეთს კარებში ხვდებიან. ევრიდიკე ორფეოსს კისერზე ეკიდება და ყვირის:

ევრიდიკე – საყვარელო!... საყვარელო!... როგორც იქნა!

ორფეოსიც ეხვევა და ამ დროს აგლაონისსა და პოლიციის კომისარს შენიშნავს.

ორფეოსი – თქვენ აქ რას აკეთებთ?

კამერა აჩვენებს აგლაონისს და პოლიციის კომისარს, რომელიც მას უკან მოჰყვება.

აგლაონისი – ძალიან თავაზიანი ბრძანდებით! არ უნდა გიკვირდეთ ორფეოსს, თქვენგან განსაცდელში მიტოვებული ცოლი თავის ერთგულ ადამიანებს მიმართავს.

კადრში – ორფეოსი და ევრიდიკე.

ევრიდიკე – ისე შემეშინდა, არ ვიცოდი რა მექნა და აგლაონისს დაუურევე.

ორფეოსი – მერე კომისარი?

კომისარი – არ ვიცი, ხელაუთ თუ არა სიტუაციის სერიოზულობას...

ორფეოსი – ეხედავ იმას, რომ ოჯახში დაბრუნებულს პოლიცია და ის ქალი მხვდება, რომელსაც ჩემი სახლის ზღურბლის გადმობიჯება აუუკრძალე!

ევრიდიკე – (კადრში ორფეოსის ზურგიდან შემოდის) – ორფეოს!...

აგლაონისი გასასვლელისაკენ მიემართება. უკან მიჰყვება კომისარი. აგლაონისი კამერისაკენ შემობრუნდება.

აგლაონისი – თქვენი თავზედობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება! ის, რაც ახლა თქვით, შეიძლება სანანებელი გაგიხდეთ.

კიბის ბაქანზე გადის, მაგრამ ზღურბლთან კვლავ შემობრუნდება.

მოდიხართ კომისარო? მგონი თქვენ აქ, ჩემსავით არასასურველი სტუმარი ხართ.

ორფეოსი – მიბრძანდით, მიბრძანდით, არ გიჰყვრთ!

კომისარი – (კართან, დაკიდებულ ქუდს ჩამოსხნის) ზვალ პოლიციის განყოფილებაში გამოგიძახებთ. მშვიდობით ქალბატონო...

ოთახიდან გადის. ფანჯრიდან ჩანს როგორ შორდებიან იქაურობას პოლიციის კომისარი და აგლაონისი.

ვერიდიკე – ორფეოს! აგლაონისი საშიში ქალია! მისი ქალთა ლიგა ყველაფერს იყადრებს... შენ რა, ხომ არ შეიშალე?!

ისმის შიშვეალი ავტომობილის ხმა.

ორფეოსი – მგონი მართლა ვგიჟდები...

ვერიდიკე – სად იყავი?

ორფეოსი – (მოთმინებიდან გამოსული) ო, არა, არა!

ბოლთას სცემს. ყვირის.

ოლონდ დაკითხვას ნუ დამიწყებ, თუ შეიძლება. დაკითხვას ნუ დამიწყებ!

კადრში – ცრემლმორეული და გაკვირებული ვერიდიკე.

ვერიდიკე – პირველადაა ღამე სახლში რომ არ დაბრუნდი და იმიტომ გეკითხები...

ორფეოსი – არაფერი! არაფერი მკითხო!

ისხამს სასმელს, გადაკრავს და ზედ მეორე ჭიქასაც მიაყოლებს.

ვერიდიკე – ორფეოს! ორფეოს! შენ ხომ არ სვამ...

ორფეოსი – ახლა ვსვამ, არ მოგწონს?

ვერიდიკე – ისე გელოდი. ერთი სული მქონდა შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ამბავი მეხარებინა...

მაგიდაზე, ტელეფონთან მოთავსებული კალათიდან, საქსოვ ჩხირებზე აცმულ ბავშვის ფაჩუნს იღებს და ორფეოსს აჩვენებს... ორფეოსი საძინებელი ოთახის კიბისკენ მიიბის. ევრიდიკეს ნაქსოვი იატაკზე უვარდება. ორფეოსი ვერ ამჩნევს სავარძელთან დავარდნილ ფაჩუნს და უნებლიეთ ზედ აბიჯებს.

ორფეოსი – ნურაფერს ახალს და მითუმეტეს მნიშვნელოვანს, ნულარ გამაგონებთ! მხოლოდ ცუდი ახალი ამბები მესმის!...

ორფეოსის პანორამული ხედი. კამერა მას ჭერში ასასვლელ ლუკამდე მიჰყვება.

ევრიდიკეს ხმა – ორფეოს!...

ორფეოსი – კმარა! მეძინება, მე-ძი-ნე-ბა! (ქრება.)

თავახდელ ლუკს სახურავი ეცემა.

მუსიკა

მანსარდის ფანჯარა სახლის უკანა მხრიდან. ორფეოსი ფანჯრიდან გადადის და მისადგამი კიბით ძირს ეშვება. შემდეგ კადრში ჩანს ერთგებიზი, რომელიც ორფეოსს უთვალთვალებს და სახლის ფასადის მხარეს უჩინარდება. ორფეოსი გარაჟში შედის. სასტუმრო ოთახი. ერთგებიზი ოთახში შედის. მუსიკა. გლიუკის „ორფეოსის“ ინტერმედია.

ევრიდიკე – ვინ ბრძანდებით?

ერთგებიზი ევრიდიკეს მოშორებით ჩერდება. ქუდი აღარ ახურავს, ქალს თავის დაკვირით ესალმება.

ერთგებიზი – მძლოლი ვარ, თქვენი ქმარი მოვიყვანე.

ევრიდიკე – მოიყვანეთ, საიდან?

ერთგებიზი – მე იმ ქალბატონის მძლოლი ვარ წუხელ თქვენი მეუღლე მანქანით რომ წაიყვანა.

ევრიდიკე – ღამე მასთან გაატარა?

ერთგებიზი – არა ქალბატონო. ჩემს დიასახლისს მძიმედ დაჭრილი გადაჰყავდა. თქვენი ქმარი კი უბედური შემთხვევის ადგილას იყო, მანქანაში ჩაუჯდა, მაგრამ ჩემს ქალბატონს არ უყვარს, როცა მის საქმეებში ერევან.

ევრიდიკე – მერე რა მოხდა?

ერთგებიზი – მერე ჩვენ გზაზე დაგვტოვა. პატარა მანქანა, რომელიც თვითონ დაჰყავს, თავის ქალაქგარეთა სახლთან უცდიდა და ამ მანქანით ავადმყოფთან ერთად გაქრა.

ვერიდიკე – მერე და ჩემი ქმარი?
ერტებიზი – შე მანქანა ვერ დავკოქე. ვარჩიე დილამდე მომეცადა. თქვენს ქმარს მანქანაში ეძინა. თქვენზე ძალიან ღელავდა...

ვერიდიკე – (პატარა სამზარეულოში, რომელსაც კამერა მალლიდან აჩვენებს) ძალიან მინდა მჯეროდეს თქვენი...

ერტებიზი – მართლა მძლოლი რომ ვიყო, იქნებ მომეტყუებინეთ კიდევ, მაგრამ მძლოლი არ ვარ.

ვერიდიკე – მამ ვინ ხარ?

ერტებიზი – ერთი ჯიბეგახვერებილი სტუდენტი. სულ ორი კვირაა რაც მძლოლად ვმუშაობ. ერტებიზი მქვია.

ვერიდიკე – ცოტა არ იყოს დამამშვიდეთ. ჩემს ქმარს... ადრეც იცნობდით?

ერტებიზი – ორფეოსს ვინ არ იცნობს.

ვერიდიკე ოთახში ბრუნდება.

ვერიდიკე – ... ქმარს ძალიან ვუყვარვარ, ახლახან კი ისე მეჩხუბა, თითქოს შეცვალეს... სმა დაიწყო...

ერტებიზი – ნაქსოვი დაგვარდნიათ.

იატაკიდან იღებს ფაჩუნს.

ვერიდიკე – გმადლობთ.

ვერიდიკე ცალი ხელით ფაჩუნს იღებს, მეორე ხელს კი, რომელიც ფრთხილად შეცველთან მიაქვს, კამერა ახლო ხედით აჩვენებს.

მინდოდა მისთვის მნიშვნელოვანი ახალი ამბავი მეხარებინა. არც კი მომისმინა. ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა. ისე დააბიჯა ფაჩუნს, ვერც კი შენიშნა.

კადრში – ვერიდიკე და ერტებიზი.

ერტებიზი – გადაღლილობამ იცის. მანქანაში კარგად ვერ გამოიძინებ.

ვერიდიკე – ალბათ ასეა. მომავლირა შეძინებო.

სამზარეულოსაკენ მიდის.

ალბათ დაღლილობისაგან ფეხზე თქვენც ძლიევ დგახართ. ახლავე ყავას მოგიდუღებთ.

თან გაზს ანთებს და ქვაბში წყალს ასხამს.

თქვენს პატრონს, მაპატიეთ, იმ ქალბატონს სად უნდა შეხედეთ? დაბრძანდით.

ერთებიზი მაგიდასთან ჯდება.

ერთებიზი – ამის შესახებ განკარგულება ჯერ არ მიმიღია. ალბათ სადმე ქალაქში დაუცდი.

ვერიდიკე – (ქურის წინ, პროფილში) – თუ გნებავთ, ჩვენთან დაელოდეთ. გარაჟის თავზე პატარა ოთახი გვაქვს. წინასწარ გაფრთხილებთ, დიდი ვერაფერი ოთახია, მაგრამ თქვენს მანქანას ჩვენი მანქანის გვერდით დააყენებთ და დაელოდებით...

ერთებიზი – აღიარეთ: იმიტომ მმასპინძლობთ, გნებავთ, ამ ამბის მოწმე გვერდით გყავდეთ. თუმცა მაინც ძალიან თავაზიანი ბრძანდებით.

ვერიდიკე მაგიდას შემოუვლის.

ვერიდიკე – ცდებით. მე მხოლოდ ერთი უბრალო ქალი ვარ.

კარადიდან ფინჯანი და შაქარი გამოაქვს და მაგიდაზე დგამს.

უნდა გამიგოთ, ჩემი წრის ქალს საფუძველი აქვს, რომ ზოგიერთებს ერიდოს.

ერთებიზი – თქვენი ქმარი ის კაცი არაა, ვინმეს თავი გაასულელებინოს.

ვერიდიკე – ძალიან ლამაზი და ძალიან ცნობილი კაცია. მიყვირს, აქამდე ჩემი ერთგული რომ დარჩა.

წყალი დუღს, ქურაზე გადმოდის და გაზს აქრობს. ვერიდიკე წამოიყვირებს და სამზარეულოსაკენ გაიქცევა.

წყალი!

ვერიდიკე იღებს ჩვარს და დაჩოქილი წმენდს იატაკს; კამერისაკენ მოიხედავს. რა სულელი ვარ. მაპატიეთ.

ერთებიზი – ო! ეს გაზი...

ვერიდიკე – რა, ეს გაზი?

ერთებიზი – ღიაა, ფრთხილად იყავით... ვერიდიკეს ესმის გაპარული გაზის შიშინი; დგება, კეტავს გაზს, გაჰკრავს ასანთს და ხელახლა ანთებს. გაზი ტკაცუნით ინთება.

ერთებიზი – როგორ არ მიყვარს ეს სუნი. საამისო მიზეზიც მაქვს...

ვერიდიკე – რა მიზეზი?...

ერთებიზი – თავი გაზით მოეყალი, მაგრამ ეს სუნი სიკვდილის შემდეგაც არ მასვენებს.

ვერიდიკე – სიკვდილის შემდეგ?

ერტებიზი – პო..., თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ უნდა მეთქვა.

ვერიდიკე – რა თქმა უნდა! რადგან მოჩვენებას სულაც არ ჰგავხართ.

ერტებიზი – ერთი საშინელი გოგო მიყვარდა. სამწუხაროდ, თქვენ არ გგავლათ. თქვენ მგონი ვერიდიკე გქვიათ, არა?

ვერიდიკე – ღია მუსიე, მაგრამ თქვენი სახელი დამაიწყდა.

ერტებიზი – ერტებიზი. (გლუკის მუსიკა წყდება)

გარაუად გადაკეთებული საჯინიბო. ორფეოსი „როილსში“ ზის. მანქანის ღია კარი. ორფეოსი რადიოს უსმენს, თან ბლონოტში რაღაცას ინიშნავს...

რადიო – ფრინველი თითებით მღერის. ორჯერ. ფრინველი თითებით მღერის. ორჯერ. ვიმეორებ. ფრინველი თითებით მღერის...

წაფენა. მუსიკა.

ორფეოსისა და ვერიდიკეს საძინებელი. ღამე. ფანჯრიდან მთვარის შუქი იღვრება. სამფრთიან სარკეში ორი ერთნაირი საწოლი ირეკლება; მარჯვენაში ვერიდიკეს, მარცხენაში კი ორფეოსს სძინავს. განათება იცვლება. სარკიდან პრინცესა გადმოდის და საწოლებსაკენ მიემართება; ორფეოსის სასთუმალს უახლოვდება, ადგილზე შეშლება და მძინარე, სიზმრებში გართულ ორფეოსს ამტერდება.

ავტორის ხმა – ეს პირველი ღამე იყო, როცა ორფეოსს მისი სიკვდილი საძინებელში ეწვია; უნდოდა ენახა როგორ ეძინა.

შუქი, რომელსაც პრინცესა ასხივებს ვერიდიკეს საწოლს ეცემა.

ერთი ღლის შემდეგ... (მუსიკის დასასრული)

წაფენა

გარაუად გადაკეთებული საჯინიბო. შუქ-ჩრდილები. მანქანის ინტერიერი. წინა სკამზე ზის ორფეოსი, ხელში ფურცლები უჭირავს, უკანა სკამზე კი ვერიდიკე ზის. ერტებიზი მანქანის ერთ-ერთ ღია კარს ეყრდნობა.

ვერიდიკე – რადიო მარტო მანქანებში ხომ არ არის.

ორფეოსი – ასეთი რადიომიმღები სხვაგან არსად მინახავს.

ვერიდიკე – ე. ი. შენთან ყოფნა თუ მომინდა, მანქანაში უნდა გადმოვსახლდე?

ორფეოსი – ძალას არავინ გატანს! (რადიოს სახელურებს აწვალებს –

შიშინი)

ვერიდიკე – მისმინე საყვარელო...

ორფეოსი – (გაღიზიანებული) ჩუმად!... ისმის მოკლე ტალღების ხრიალი

მოკლე კადრი – ორფეოსი რადიოს მოკლე ტალღის სიგნალებს უსმენს. მოკლე კადრი – ვერიდიკე ერთებიზს შეშფოთებული უყურებს. მოკლე კადრი – ერთებიზი ვერიდიკეს ანიშნებს, კრინტი არ დასძრას.

ორფეოსი – მოკლე და უმნიშვნელო ფრაზების მეტი ვერაფერი დავიჭირე. აი გუშინ კი, საოცარ ფრაზას მოვკარი ყური!

ერთებიზი – იქნებ ცოტა დაისვენოთ...

ორფეოსი – არა, გმადლობთ! რადიოს რომ მოვშორდე და საინტერესო ფრაზებიც სწორედ მაშინ გაისმას?

ვერიდიკე – ორფეოს, შეუძლებელია მთელი ცხოვრება მოლაპარაკე მანქანაში გაატარო. ეს არასერიოზულია...

ორფეოსი – არასერიოზული? ჩემს ცხოვრებას წარმატებებისაგან სიკვდილის მყაყე, ლპობის სუნი უდიოდა. ნუთუ არ გესმის, რომ ყველაზე მოკლედ კი ამ ფრაზათაგან მთელ ჩემს პოეზიაზე უფრო საოცარია? ნებისმიერ მათგანს მთელ ჩემს შემოქმედებას ვანაცვალებდი. იდუმალს მივსდევ, მინდა ხაფანგში მოვიმწყვდიო.

ვერიდიკეს მიუბრუნდება.

ვერიდიკე – ორფეოსს, ჩვენს შვილს ამ მოკლე ფრაზებით ვერ ვარჩენთ.

ორფეოსი – ხედავ ერთებიზ, რანი არიან ქალები. მთელი სამყაროც რომ აღმოაჩინო, ისინი მაინც ბავშვის საფეხებსა და გადასახადებზე გელაპარაკებიან.

ერთებიზი – ორფეოსის პოეზია მაჯადოვებს. ამ მოკლე ფრაზებს კი, ათასჯერაც რომ მოვუსმინო, მაინც ვერაფერს გავუგებ.

ორფეოსი – მაინც საიდან მოდის ეს ფრაზები ერთებიზ? სხვა რადიომიმღები რომ არ იჭერს. დარწმუნებული ვარ, ისინი პირადად ჩემთვის იგზავნება...

ერიდიკე – ორფეოს! შენთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ეს მანქანაა. მე კი რომ მოვკვდე, შეიძლება ვერც შენიშნო...

ორფეოსი – მკვდრები ვიყავით და ვერ ვამჩნევდით...

ერთებიზი – სირინოზებს უფრთხილდით.

ორფეოსი – მე მათ თვითონ ვაჯადოვებ.

ერთებიზი – უბადლო ხმა გაქვთ. მხოლოდ მას უსმინეთ.

ორფეოსი – ჩუმად! (რადიოს მიეკვრება)

რადიო – ვიმეორებ: 2294 ორჯერ. 7777 ორჯერ. 3398 სამჯერ. ვიმეორებ: 2294 ორჯერ. 7777 ორჯერ. 3398 სამჯერ. (მოკლე რადიოტალღის სიგნალები. ორფეოსი იწერს)

ვერიდიკე – ძალზე პოეტურია, ვერაფერს იტყვი!

ორფეოსი – ვინ იცის რაა პოეტური და რა არა? (წელში სწორდება) თუკცა, თუ არ მოგწონს, შეგიძლია წახვიდე. ოღონდ ხელს ნუ მიშლით, სხვა არაფერი მინდა.

ერტებიზი – წაიდე, ვერიდიკე...

ორფეოსი – წაიყვანეთ, სანამ არ გაუგვიყვებივარ!

ვერიდიკე (მანქანიდან გადმოდის) – შენ ეს მანქანა გაგაგიჟებს.

ორფეოსი (გაცეცხლებული) – ოჰ!...

ვერიდიკე ერტებიზის დახმარებით მანქანიდან გადმოდის და მასთან ერთად გასასვლელისაკენ მიემართება.

ორფეოსი (ყვირის) – ჩქარა აქედან გაიყვანეთ, ერტებიზ, ცოდვას ნუ ჩამადუნინებთ!

ორფეოსის საძინებელი. ერტებიზი და ვერიდიკე ოთახში ლუკით აღიან.

ვერიდიკე – ხედავთ. რა საშინლად მომექცა...

ერტებიზი – სულაც არა... ის ხომ გენიოსია, გენიოსები კი, როგორც მოგეხსენებათ, თავისებური ხალხია.

ვერიდიკე – შე ეს მოლაპარაკე მანქანა კი არა... ის მაშინებს, რასაც ორფეოსი მასში ეძებს...

ერტებიზი – ორფეოსი იმ ქალსაც ასევე მოეპყრობოდა... ახლა მას მხოლოდ თავისი ფრაზები აღეღებს.

ვერიდიკე – ვიცი, სულელივით ვიქცევი ერტებიზ, მაგრამ ალლო არ მღალატობს. ასე, ძალღივით, ორფეოსი პირველად მომექცა.

ერტებიზი – ნუ აზვიადებთ. მცირე ოჯახური შელაპარაკება იყო, მეტი არაფერი.

ვერიდიკე – ყველაფერი ასეთი, მცირე ოჯახური შელაპარაკებებით იწყება.

ერტებიზი – სჯობს წამოწვეთ და თვალი მოატყუოთ.

რეკავს ტელეფონი.

ვერიდიკე – თუ შეიძლება, უპასუხეთ. (თვალებს ხუჭავს)

სასტუმრო ოთახი. ტელეფონის მაგიდა. ერტებიზი ყურმილს იღებს.

ერტებიზი – დიახ... ორფეოსის ბინაა. არა... ორფეოსი არ ვარ. დიახ... დიახ... გასაგებია ბატონო კომისარო... აუცილებლად გადავცემ.

ერტებიზი კადრიდან ქრება. ყურმილი ტელეფონზე თავისით იღება. გარაჟის წინ. კადრში ჩანს ერტებიზი, მერე ორფეოსი, რომელიც გარაჟიდან გამოდის და ერტებიზისაკენ იხედება.

ერტებიზი – კომისარმა დარეკა. პოლიციის განყოფილებაში გიბარებთ. თქვენი მეუღლე თავს შეუძლოდ გრძნობდა.

ორფეოსი – მის მდგომარეობაში ეს სავსებით ბუნებრივია.

ერტებიზი – მიდით, დახედეთ...

ორფეოსი – კეთილი. თქვენ კი, თუ შეიძლება, მანქანა გამოიყვანეთ, კომისართან უნდა წამიყვანოთ.

ერტებიზი – ჩემი მანქანა გამოიყვანო?

ორფეოსი – არა, ჩემი. ვერაფერს უნდა მიხვდეს, გარაჟში კიდევ სხვა მანქანაც რომ დგას. თქვენს მანქანას ქალაქში იცნობენ. – ორფეოსი მიდის. ერტებიზი მზერით აცილებს მას და გარაჟში შედის.

გარაჟი. ისმის მოტოციკლების ტაკცანი. ერტებიზი კართან მივრბის და აღებს. ჩანს როგორ ჩაიქროლებენ მოტოციკლისტები. საძინებელი. ვერიდიკე საწოლზე წევს. ორფეოსი ეალერსება.

ორფეოსი – რა დაგემართა? ცუდად ხარ?

ვერიდიკე – არა, კარგად ვარ.

ორფეოსი – მომვლელი ხომ არ მოგიყვანო?

ვერიდიკე – მომვლელი?

ორფეოსი – აბა, მარტო ხომ ვერ დაგტოვებ...

ვერიდიკე (ღიმილით) – მარტო არ ვიქნები...

ორფეოსი – ჩემი ცუდი ხასიათი ნუ გაკვირვებს. წარმატებებისაგან თავბრულახვეულს კინალამ ჩამეძინა. ახლა მთავარია, გამოეფხიზლდე...

ვერიდიკე – ნუ დაიგვიანებ...

ორფეოსი – ხომ აღარ მიჯავრდები? ნერვიული გავხდი...

ორფეოსი ღუკით ჩადის. ქუჩა გარაჟის წინ. ერტებიზს ორფეოსის პატარა მანქანა უკუსვლით გარაჟიდან გამოჰყავს და გზის პირას აჩერებს; მანქანიდან გადმოდის და გარაჟის კარს ხურავს. ბაღიდან გამოდის ორფეოსი; მიდის მანქანასთან და თან მზერით ერტებიზს ეძებს. ამ დროს კარის საგდული ხმაურით ეშვება. ორფეოსი შეკრთება და უკან მოიხედავს.

ერტებიზი – რა მოხდა? ხომ არ შეგაშინეთ?

ორფეოსი – ნერვები ისე მაქვს მოშლილი, მანქანასაც ვერ ვმართავ.

ერტებიზი – საჭკესთან მე დაეჯდები, ოღონდ ხომ არ გეშინიათ რომ მიცნობენ?

ორფეოსი (მანქანაში ჯდება) – მიმიყვანთ და მერე მოშორებით ისეთ ადგილას მომიცდით, სადაც ვერაფერს გიცნობთ.

ძრავის ხმაური. მანქანა იძვრის და კადრიდან ქრება.

ახალ ხელზე გადასვლა

ქუჩა მუშათა უბანში. მაღალ შენობებსა და გაზის ფარანთან დამრეცი კიბუა. მოდის მანქანა და ჩერდება. მანქანიდან გადმოდის ორფეოსი.

ორფეოსი – პოლიციის განყოფილებაში შევივლი და დავბრუნდები.

ერტემიზი (იციანის) – ვინ იცის წინასწარ, დაბრუნდება თუ არა პოლიციის განყოფილებიდან.

ორფეოსი – ეხედავ. ხუმრობის გუნებაზე ხართ! (კიბუზე აღის)

მუსიკა. თანდათანობითი გადასვლა ახალ კადრზე.

ორფეოსი ბოლივარის მოედნის ცენტრალურ სკვერს მიუყვება. გოგონა თოვზე ხტის. ორფეოსი ჩერდება; ქუჩასა და სკვერის ირგვლივ გაშენებულ ციხე-სიმაგრეების მსგავს შენობებს გასცქერის. ქუჩაში პრინცესა მოდის და ერთ-ერთ გალავანში უჩინარდება. ორფეოსი პრინცესას მისდევს და ვოზჟის მოედნის თაღებქვეშ გამოივლის; ვერავის ხედავს. ერთ-ერთი თალიდან გამოსვლისას კვლავ შენიშნავს პრინცესას, რომელიც სხვა თალიდან გამოდის. პრინცესა მაჯის საათს დასცქერის და კვლავ თაღებქვეშ უჩინარდება. ორფეოსი მას ფეხდაფეხ მისდევს, მაგრამ თაღებქვეშ ისევ არავინაა. ორფეოსი თაღების ბოლომდე ჩაირბენს და ქუჩის კუთხეში შეუხვევს. ბულონის დახურული ბაზარი. ტურისტები აჩერებენ სატვირთო მანქანას, რომელიც კინაღამ ორფეოსს დაეჯახა. ორფეოსი ტური-სტებს ეკითხება:

ორფეოსი – აქეთ ახალგაზრდა შავგრემან ქალს ხომ არ ჩაუვლია?

ერთ-ერთი ტურისტი შევედურად უპასუხებს, სატვირთო მანქანა დაიძვრა. სანამ ორფეოსი აქეთ-იქით იყურება, კადრის ცენტრში კვლავ გამოჩნდება პრინცესა. ის ბაზრის ცარიელ რიგებს მიუყვება; ორფეოსი მისდევს, მაგრამ ველოსიპედისტს შეეფუთება. ველოსიპედისტი ცალი ხელით ველოსიპედს მიაგორებს, მხარზე კი კიბე აქვს გადაბული.

ველოსიპედისტი – რა ამბავია ბატონო ორფეოს, ასე სად მიიჩქარით?

ორფეოსი ველოსიპედისტს ხელს ჰკრავს და ბაზრის ერთ-ერთი რიგის ბოლომდე ჩაირბენს. ღობესთან ჩახუტებული წყვილი დგას.

ორფეოსი – მაპატიეთ მუსიკა...

ხედება, რომ სიყვარულისაგან დაყრუებულ-დაბრმავებული წყვილი მას ვერ

ამწინეებს და ბაზრის ლაბირინთებში განაგრძობს სირბილს. ვიღაც მსუქანი ქალი ყუთებს ალაგებს.

აქ ერთ ახალგაზრდა ქალს ხომ არ ჩაუვლია?

მსუქანი ქალი – რაო ბატონო ორფეოს, გოგოებს დასდევთ?

ორფეოსი – ახალგაზრდა, თხელ, ელეგანტურად ჩაცმულ ქალს, ძალიან ეჩქარებოდა...

მსუქანი ქალი – ეს ხომ მე ვარ. (ხარხარებს)

ორფეოსი სირბილს განაგრძობს და ბაზრის ერთ-ერთ გასასვლელთან ჩერდება.

ქალიშვილი (ორფეოსთან მირბის) – ბატონო ორფეოს, თქვენი ავტოგრაფი, თუ შეიძლება.

ორფეოსი – კალმისტარი არ მაქვს.

ქალიშვილი – მონიე! კალმისტარი მომეცი!

ორფეოსს ქალიშვილები ეხვევიან, ტანსაცმელზე ექაჩებიან. ის ცდილობს დაუსხლტეს მათ და ამ დროს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს კვლავ დაინახავს პრინცესას. პრინცესა მანქანაში ჯდება, მანქანა დაიძვრება.

ორფეოსი – დამეხსენით! დამეხსენით!

ქალიშვილები – ავტოგრაფი მოგვეცით. აი აქ, ბლოკნოტზე, აქ შრომის წიგნაკზე მოგვიწერეთ ხელი. ნუ გაგვაწბილებ, საყვარელო...

ორფეოსი (ყვირის) – დამეხსენით!

ქალიშვილები – ახლოს არც ისე მომხიბლავია. იქნებ ის არც არის. ის არის, ის! მომიწერეთ!

მანქანა ადგილიდან იძვრის. ორფეოსი ქალიშვილების შემოტყუას იგერიებს.

მომიწერეთ! მომიწერეთ! აი, აქ... (აქ ორფეოსი ქალიშვილებს თავს აღწევს და მანქანისაკენ მირბის)

ერთ-ერთი ქალიშვილი (ყვირის) – გადარეული!

სხვა ქალიშვილი (მოპირდაპირე მხარეს, კაფედან ქუჩაში გაზეთის ქნევით გამოდის) – აქეთ, ჩქარა აქეთ წამოდი. ახლა მესმის ასე თავქუდმოგლეჯილი რატომ მირბოდა. მოდიეთ ერთი ეს წაიკითხეთ. (ქალიშვილები ერთად კითხულობენ გაზეთს, რომელიც მათ ფარავს.)

წაფენა

გაზეთი ძირს ეშვება. გაზეთს ახლა პოლიციის კომისარი კითხულობს.

კომისარის კაბინეტი პოლიციის განყოფილებაში. საწერ მაგიდას უსხედან:

მამაკაცი „პოეტთა კაფედან“, ჟურნალისტი, ორი მწერალი, აგლაონისი და აგლაონისის ლიგის წევრი, ახალგაზრდა ქალი.

პოლიციის კომისარი – ძალიან, ძალიან აღმაშფოთებელი სტატიაა...

ყაყანი

კომისარი – ერთმანეთს აცალეთ, თორემ ასე ვერაფერს გავარკვევთ. როგორც უკვე ბრძანეთ, ბატონო ჩემო, ეს ფრაზა – ლექსია. ნება თქვენია, ასე იყოს. მე ყველაფრის დაშვება შემიძლია. ახლა კი ბრძანეთ.

მამაკაცი „პოეტთა კაფედან“ – აღნიშნული ტექსტები ორფეოსმა გუშინ დილით გამომიგზავნა. მე ისინი ერთობ უცნაური მომეჩვენა და მეგობრებს წაუვკითხე...

პირველი მწერალი – ვადასტურებ, რომ ერთ-ერთი, ამ საკმარის უცნაური ხასიათის ტექსტი მეც რაღაცას მაგონებს.

კომისარი (ჩახედავს ფურცლებს) – თუ არ ვცდები, აქ საუბარია ფრაზაზე: “ჩიტი თითებით მღერის”. სტილი დაცულია.

პირველი მწერალი – იმ უბედური შემთხვევის დღეს, ყმაწვილი მთლად კარგ გუნებაზე ვერ იყო.

კომისარი – თქვენ ალბათ მსხვერპლს გულისხმობთ?

პირველი მწერალი – უკ სეფესტს. მას ჩვენთვის თავისი პოემა უნდა მოეცა. ეს ფურცლები იმ დღეს, „პოეტთა კაფეში“ ატეხილი ჩხუბისას, ძირს დაყრილი, იატაკიდან აეკრიფე (ეკრანზე მეორდება აღნიშნული სცენა) და ახლა ხელში მისი დაწერილი ფრაზა გიჭირავთ.

მამაკაცი „პოეტთა კაფედან“ – ორფეოსი სეფესტს არ იცნობდა. ის ჩემს მაგიდასთან იჯდა და სეფესტიც პირველად სწორედ მაშინ ნახა. ყმაწვილი ტრაგიკულ გარემოებაში დაიკარგა. მისი გამონათქვამი ფრაზა ორფეოსმა გადმოგვცა და თუმცა ბოლოს მასთან ერთად იჯდა მანქანაში, ირწმუნება, რომ მისი შემდგომი ბედის შესახებ არაფერი იცის.

კომისარი (აგლაონისს) – ქალბატონო, ვგონებ, თქვენ ქალთა კლუბის – „ბაკქელი ქალები“ ხელმძღვანელი ხართ. იქ, სმა გვიან ღამემდე გრძელდება.

აგლაონისი – შამპანურის სმა, ბატონო კომისარო. დიახ, ასეა.

კომისარი – რამეს ხომ არ განაცხადებდით?

აგლაონისი – ორფეოსმა ცოლად ჩემი ერთ-ერთი ყოფილი მოახლე შეირთო. ეს ყმაწვილი ქალი, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს, როცა სევდა შემოაწვება, გულს ყოველთვის ჩვენ გადაგვიშლის ხოლმე. ახლახან გამოგვიტყდა, რომ თავს ძალიან უბედურად გრძნობს.

კომისარი – ქალბატონებო და ბატონებო, თქვენს გულწრფელობასა და სურვილში დაეხმაროთ მართლმსაჯულებას, წუთით ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ ჩვენი ეროვნული სიამაყის, ორფეოსის წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად საკმარისი სამხილი ნამდვილად არ გვაქვს. ორფეოსი! არ დაგავიწყდეთ, დღეს მუნი-

ციპალიტეტის სასულე ორეესტრიც კი მის სახელს – ორფეონს ატარებს!

მწერალი (დგება) – მიგვიფურთხებია ეროვნული სიამაყისათვის: ჩვენ მას თვითონ გავასამართლებთ (კარისკენ მიდის) – კომისარი მაგიდიდან დგება და მოწმეებს მიაცილებს.

კომისარი – ორფეოსიც დავიბარე. სადაცაა უნდა მოვიდეს. იმედია, ყველაფერს ამიხსნის...

მამაკაცი **კაფედან** – თუ მართლმსაჯულება საქმეში ჩარევაზე უარს ამბობს, ჩვენ მას თვითონ მივხედავთ. (თავის დაკერით ემშვიდობება კომისარს და მწერლებთან და აგლაონისთან ერთად ტოვებს ოთახს)

კომისარი (უკან მისდევს) – ბატონებო! ბატონებო!... ქალბატონებო!... (კარი გაჯახუნდება)

ღარიბული ქუჩა. მას კიბით ბოლიეარის სკვერზე აყვავართ. ორფეოსი უახლოვდება მანქანას, რომელშიც ერთებიანი ზის და გაზეთს კითხულობს; ორფეოსი მძლოლის გვერდით ჯდება. ერთებიანი ორფეოსს გაზეთს უწყდის.

ერთებიანი – ეს სტატია თუ წაიკითხეთ?

ორფეოსი – არა, და არც წაიკითხავე. (აგდებს გაზეთს)

ერთებიანი – გეთანხმებით. უხამსობაა და სხვა არაფერი.

ორფეოსი (ვიდრე ერთებიანი მანქანას ქოქავს) – ოღონდ ჩემს ცოლს ნურაფერს ეტყვი.

ერთებიანი – ბევრი ვინმე შეგხვდათ?

ორფეოსი – არა. ქუჩები უკაცრიელიც კი მომეჩვენა. მხოლოდ ქალიშვილები შემხვდნენ. ავტოგრაფები მთხოვეს. თქვენ თუ ნახეთ ვინმე?

ერთებიანი – არაინ. თუმცა როგორ არა! ჩემი ქალბატონი ენახე. პატარა, თავახდილი მანქანით ჩამიარა; სელას უკლო და მომამახა, თუ „როილსი“ მართლა თქვენთან დგას, ქალბატონს თქვენთან დავუცადო.

ორფეოსი – უნდა დასდევნებოდით. დაგეყვირათ, რომ გაჩერებულიყო!

ერთებიანი – როდის იყო მძლოლი ბრძანებებს იძლეოდა. ის მხოლოდ ბრძანებებს ასრულებს.

ორფეოსი – რამე ხომ არ გიბრძანათ?

ერთებიანი – არა. მხოლოდ მითხრა, რომ მის განკარგულებებს თქვენთან უნდა ველოდო. კომისარმა რა გითხრათ?

ორფეოსი – პოლიციაში არ ვყოფილვარ. (მანქანა იქაურობას შორდება)

წაფენა

ღამეა. საძინებელი ოთახი. ახლო ხედით ორფეოსის სიკვდილს ვხედავთ. ის ქუთუთოებზე მიხატული თვალებით, ორფეოსის საწოლის ბოლოში დგას.

ავტორის ხმა – და აი ასე, ყოველ დამე, ორფეოსს მისი სიკვდილი საძინებელში აყითხავდა.

წაფენა

სასტუმრო ოთახი ორფეოსის სახლში.

ერთებიზი – არა, ვერიდიკე. არა...

ვერიდიკე – წავალ. ერთებიზ. აგლაონისთან წავალ. ასე აჯობებს. მხოლოდ მას შეუძლია რჩევა მომცეს.

ერთებიზი – ორფეოსს ეს არ მოეწონება.

ვერიდიკე – იმ ქალის მანქანის გარდა სხვა არაფერი აღელვებს.

ერთებიზი – ქალაქში წაყვანაზე რომ დამითანხმოთ კიდევ. ორფეოსი გარაჟშია და თქვენი სახლიდან გასვლა არ გამოეპარება.

ვერიდიკე – ველოსიპედით წავალ. მიჩვეული ვარ.

ერთებიზი – ალბათ ხუმრობთ, თქვენს მდგომარეობაში...

ვერიდიკე – უნდა წავიდე.

ერთებიზი – ვერიდიკე! უფლება არ მაქვს რამე დაგიშალოთ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, ამას ნუ იზამთ.

ვერიდიკე კიბეზე გასასვლელი კარისაკენ მიდის.

ვერიდიკე – მაინც წავალ. ვერ დამიშლით. მგონი ვგიჟდები.

ოთახიდან გადის.

ერთებიზი (კიბის ბაქნიდან) – აგლაონისი ვერაფერს გირჩევთ, მხოლოდ საშინლად დაილღებით...

ერთებიზი ოთახში ბრუნდება. შორიდან ისმის მოტოციკლების ტკაცანი. ერთებიზი ფანჯარასთან მიდის. ფანჯრიდან მოჩანს მისი თავზარდაცემული სახე. ბორბლების საშინელი ღრჭიალი.

მოკლე კადრი – გზის პირი ორფეოსის სახლის წინ. წაქცეული ველოსიპედი ინერციით მიგორავს. მოტოციკლისტები ელვისებური სისწრაფით ტოვებენ იქაურობას. მოკლე კადრი – გარაჟის ინტერიერი. ორფეოსი მანქანაში ზის და ყური რადიოზე აქვს მიდებული. მოკლე რადიოტალღების ხმაური.

წაფენა

ორფეოსის საძინებელი. ოთახში ტრაპით შემოდის ერთებიზი. მას ვერიდიკეს სხეული შემოაქვს, საწოლთან მიდის და ზედ ასვენებს. ოთახში განათება იცვლება.

სამფრთიანი სარკიდან, მარჯვენა და მარცხენა ფრთას გადასწევს და გადმოდის პრინცესა. ის ანათებს ყველაფერს, რასაც უახლოვდება.

პრინცესა – მიდით, მიდით, სეფესტი! მიეჩვიეთ, რომ არ უნდა ჩამომრჩეთ.

სარკიდან გადმოდის სეფესტი. მას ხელში ლითონის ჩემოდნი უჭირავს.

კარი მოხურეთ, თუ შეიძლება.

სეფესტი – რომელი კარი?

პრინცესა – სარკის. არასოდეს გესმით, რასაც გეუბნებიან.

სეფესტი სარკის ორივე ფრთას ხურავს და პრინცესასთან ერთად საწოლთან მიდის.

იქ ჯარისკაცივით სმენაზე გაშეშებული ერთებიზი დგას.

პრინცესა – სალამი!

ერთებიზი – სალამი!

პრინცესა – ყველაფერი ხომ რიგზეა?

ერთებიზი – მგონი.

პრინცესა – ამით რისი თქმა გნებავთ?

ერთებიზი – არაფრის, ქალბატონო.

პრინცესა – ძალიან კარგი, თორემ ურჩობა ძალიან მძულს. (ზურგს აქცევს და მიდის სეფესტთან, რომელიც ამ დროს ლუკს ხურავს)

პრინცესა – ორფეოსი გარაუშია?

ერთებიზი – დიახ, ქალბატონო.

პრინცესა – რა გემართებათ, სეფესტი, ეს რა სახე გაქვთ? გეგონათ სამუშაოდ მართლა სუდართა და ცელით ხელში გამოეცხადებოდით? ჩემო ბიჭუნაე, ადამიანებს მართლა ისე რომ ვეცხადებოდე, როგორც მათ წარმოუდგენიათ, მაშინვე მიცნობდნენ. ეს კი საქმეს გაგვირთულებდა.

სეფესტი მაგიდისაკენ მიდის.

პრინცესა – ერთებიზი დაგეხმარებათ. მარტო თქვენ ამას თავს ვერასოდეს გაართმევთ. ფარდებს კი, არცერთმა ამაზე რომ არ იფიქროთ, თვითონ გადაეწევა (წევს ფარდებს). მაგიდაზე მხოლოდ რადიოგადამცემი დატოვეთ.

ნახევრადჩაბნელებული ოთახი.

პრინცესა – სეფესტი, გადაცემას შეუდექით. მიდით, მიდით, გაინძერით, გაინძერით. ეხედავ უსასმელოდ გიჭირთ. დროს ვერ დაეკარგავ.

(პრინცესა შუქს ასხივებს)

სეფესტი მაგიდის წინ დგას და რადიოგადამცემს აწვალებს; ისმის რადიომიმღების სახელულების წკაპუნი. პრინცესა ფანჯარას შორდება.

სეფესტი – (რადიოინფორმაციებისათვის დამახასიათებელი ხმით) – ახალგაზრდა ქვრივთა ძაძებს მზე ადვილად ახუნებს. ორჯერ. ახალგაზრდა ქვრივთა ძაძებს მზე ადვილად ახუნებს. ორჯერ. ვიმეორებ, ახალგაზრდა ქვრივთა ძაძებს...

პრინცესა – (სეფესტთან მიდის და ირონიით ეუბნება) – საოცრად გონივრული და დახვეწილი ფრაზებია! ჩემი ხელთათმანები სადაა?

ერტებიზი – ჩანთაში ვერ ვნახე.

(ფრაზების გადაცემა გრძელდება, მათ მოსდევს ციფრები, 5. 5. 7. 2. 3. 7. 3. 5. 5. 7. 12. ვიმეორებ (და ა. შ.) მერე მორზე.

პრინცესა – (სეფესტს) – ხომ არ დაგრჩათ? რა კარგი იქნებოდა!

სეფესტი – დიახ დამრჩა. მომიტევეთ ქალბატონო.

პრინცესა – ასეც ვიცოდი. თქვენი ხელთათმანები მომეცით.

სეფესტი რეზინის ხელთათმანებს აძლევს.

პრინცესა – ჩქარა... ჩქარა... სამუშაო ადგილას დადევით. ხომ იცით, დისციპლინა სამხედრო-საზღვაო ფლოტისაზე მკაცრი მაქვს.

პრინცესა ჩაუვლის საწოლს: თან ხელთათმანებს იცვამს. ევრიდიკეს უსიცოცხლო სხეულს სეფესტის რადიოგადამცემის ნათურების ციმციმი ანათებს.

ერტებიზი – საამისო განკარგულება თუ მიიღეთ?

პრინცესა წელში სწორდება და ხელთათმანებს იძრობს.

პრინცესა – რა ბრძანეთ?

ერტებიზი – გეკითხებით, განკარგულება თუ მიიღეთ – მეთქი?

პრინცესა – როცა მიღებულ განკარგულებას ვასრულებ, ჩემი განკარგულებების შეასრულებასაც ვითხოვ.

ერტებიზი – სწორედ ამიტომ გეკითხებით, განკარგულება თუ მიიღეთ – მეთქი.

პრინცესა – როგორ მიბედავთ!

ერტებიზი – განკარგულება მიღებული რომ გქონდეთ, თქვენს ჯალათებს

საქმე უკვე მოთავებულიც ექნებოდათ.

პრინცესა – თქვენ რა ეს ჩერჩეტი ქალი შეგიყვარდათ?

ერტებიზი – დაუშვათ, რომ ასეა.

პრინცესა – არც იმ და არც ამ ქვეყნად თქვენ არაყის შეყვარების უფლება არ გაქვთ.

ერტებიზი – ისევე როგორც თქვენ.

გააფთრებული პრინცესა ერტებიზისაკენ იწევს.

პრინცესა – რაო?

ერტებიზი – კანონი ყველასათვის კანონია.

პრინცესა და ერტებიზი ერთმანეთის პირისპირ, პროფილით ღვანან.

პრინცესა – გიბრძანებთ, ხმა გაკმინდოთ!

ერტებიზი – ორფეოსი შეგიყვარდათ და აღარ იცით როგორ მოიქცეთ...

პრინცესა – ხმა გაკმინდეთ! (პრინცესას კაბა თეთრდება. ის კადრიდან გადის)

ერტებიზი (გაბრაზებული) – მე... (აღვიწვხვით ქრება)

პრინცესა სეფესტის მაგიდასთან მირბის. მისი კაბა კვლავ შავდება.

პრინცესა – განაგრძეთ, განაგრძეთ გადაცემა! რაც გნებავთ ის მოიფიქრეთ.

სეფესტი – (ოთახისაკენ მობრუნდება) – ქალბატონო... ერტებიზივით გაქრობასა და გამოჩენას, მეც თუ შეეძლება?

პრინცესა – თქვენ ამისათვის ძალიან მოუქნელი ხართ! გადაცემა განაგრძეთ!

სეფესტი – (რადიომიმღებიდან ნაცნობი ხმით) – დაბრძენებას იუპიტერი დასალუჰად გვიპირებს. ვიმეორებ. დაბრძენებას იუპიტერი...

გარაჟი. კამერა რადიომიმღებზე მიდებული ორფეოსის სახესა და ხელს აჩვენებს. ის რადიოს სახელურებს აწვალავს. ისმის უკანასკნელი ფრაზის დასასრული.

რადიო – დაბრძენებას იუპიტერი დასალუჰად გვიპირებს. – სამჯერ. – დაბრძენებას იუპიტერი დასალუჰად გვიპირებს. ყურადღება, მიღება (მორზე)...

(ტექსტის გადაცემა დიალოგის დროსაც გრძელდება.)

ზეცა ღამისეული, არის ღობე მაისისა...

კამერა კარებში გაჩერებულ ერთგებებს აჩვენებს.

ერთგებიზი – ორფეოს! ორფეოს!

ორფეოსი – ბოლოს და ბოლოს, მომასვენებთ თუ არა!

ორფეოსი. ის მანქანაში ზის და მანქანის კართან გაჩერებული ერთგებიზისაკენ ბრუნდება.

ერთგებიზი – თქვენს ცოლს სერიოზული საფრთხე ემუქრება, წამომყევით.
რადიო – ზეცა ღამისეული, არის ღობე მაისისა... ვიმეორებ: ზეცა ღამისე-

ული...

ორფეოსი – გაჩუმიდით!... (სწვდება ქაღალდებს, მუხლზე იღებს და რაღაცას იწერს.)

ერთგებიზი – გეუბნებით, თქვენს ცოლს სერიოზული საფრთხე ემუქრება.

ორფეოსი – ხელს ნუ მიშლით, გამაგონეთ...

ერთგებიზი – გესმით ჩემი?...

ორფეოსი – მოითმინეთ ახლავე ჩაიწერ და... (იწერს) „ზეცა ღამისეული“...

ერთგებიზი (ყვირის) – ორფეოს, ცოლი გიკვდებათ!

ორფეოსი – თქვენ მას არ იცნობთ. ოღონდ შინ დავბრუნდე და რას აღარ მოიგონებს.

ერთგებიზი კადრიდან გადის. კამერა საერთო ხედით აჩვენებს ევრიდიკეს საწოლს. იქვე დგას პრინცესა. საწოლის თავი. პრინცესა ევრიდიკეს კისრიდან მეტალის რგოლს აცლის და ევრიდიკეც ისევე მონოტონურად იწყებს ლაპარაკს, როგორც სეფესტი, პრინცესას ქალაქგარეთა სახლის ეპიზოდში.

პრინცესა – წამოდექით.

ფირის უკულმა დაბრუნების ხერხით ევრიდიკე ღებება. ლოგინიდან გადმოდის და პრინცესას პირდაპირ ჩერდება.

პრინცესა – იცით, ვინც ვარ.

ევრიდიკე – დიახ.

პრინცესა – ბრძანეთ.

კამერა აჩვენებს ლუკს. ერთგებიზი აღებს მას და კიბის თავში ჩერდება. დაილოვი აღნიშნული კადრის ფონზე გრძელდება.

ევრიდიკეს ზმა – ჩემი სიკვდილი.

პრინცესას ზმა – ამიერიდან საიქიოს ეკუთვნით.

ვერიდიკე - ამიერიდან საიქიოს ვეკუთენი.

პრინცესა - ჩემს ბრძანებებს დაემორჩილებით.

ვერიდიკე - დავემორჩილები.

პრინცესა - ძალიან კარგი. (ერტების) ა! აი, თქვენც აქ ხართ! ორფეოსი კი, რა თქმა უნდა, არ წამოგყვით.

ერტებიზი - ამაზე სხვაგან... ვილაპარაკოთ.

პრინცესა - ვილაპარაკოთ. მეც ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

პრინცესა საწოლის ბოლოში გაშეშებულ ვერიდიკეს ჩაუვლის. სეუესტისაკენ მიდის; იძრობს ხელთათმანებს და ორფეოსის საწოლზე აგდებს. ახლო ხედი - ჩანს როგორ ეცემა რეზინის ხელთათმანები ორფეოსის საწოლზე. პრინცესა მიდის სეუესტთან, რომელიც სწრაფად ალაგებს და კეტავს ჩემოდანს.

პრინცესა - ჩემი ხელსაწყოები არ დაგავიწყდეთ. თქვენ მუდამ რაღაც გავიწყდებით!...

სეუესტი ალაგებს და კეტავს ჩემოდანს.

პრინცესა - კეთილი. (ერტების) ერტებზე, მგონი თქვენ მიწაზე დარჩენა გნებაეთ. ამ ლუკში ნამდვილ მესაფლავეს ჰგავხართ. ძალიან სასაცილოდ გამოიყურებით.

ერტებიზი - სასაცილოდ მარტო მე არ გამოვიყურები.

პრინცესა - თქვენს თავხელობას ოქმში შევიტან. სეუესტ!

სეუესტი საწოლთან დგას და ეტყობა უკვირს, რომ იქ ორ ვერიდიკეს ხედავს. ერთი საწოლზე წევს, მეორე კი პრინცესასაკენ მიდის.

პრინცესა - როდის შეიგნებთ, რომ უკან არ უნდა მიიხელოთ? ამგვარ უწყინარ საქციელს ბევრი მარილის სვეტად უქცევია. 5*

პრინცესა მუშტით ამსხვრევს სარკეს. მისი კაბა თეთრდება და იგი მხლებლეთან ერთად გატეხილ სარკეში შედის. სიჩუმე. სარკე კვლავ მთელდება. ერტებიზი გამთვლებულ სარკესთან მიდის. სარკეში მისი გამოსახულება ირეკლება. იგი ოთახისაკენ ბრუნდება; ჩანს როგორ უახლოვდება საწოლზე დასვენებულ ვერიდიკეს. მკედარი ვერიდიკეს ახლო ხედი. ერტებიზი ვერიდიკეს შუბლზე ხელს ადებს.

ოთახის ფანჯრიდან, ქვევით, ჩანს გარაჟი. გარაჟიდან გამოდის ორფეოსი და გულდაწყვეტილი კეტავს კარს.

ერტებიზი (ფანჯრიდან) - ორფეოს! ხომ გაფრთხილებდით. ახლა უკვე ძალიან გვიანია.

ორფეოსი – ძალიან გვიანი?

ერტებიზის ზმა – ამოდით...

ორფეოსი – ჩემს საძინებელში რა გინდათ?

ერტებიზი – შემოდით... ამ ფანჯრით შემოდით, აქედან არ იყო, მოხერხებულად რომ გადაძვერით.

ორფეოსი მისადგამი კიბით ზევით ადის. საძინებელი ოთახი. ორფეოსი ფანჯრიდან ოთახში ხტება და ფანჯარას ხურავს.

ორფეოსი – თქვენ გეკითხებით, ჩემს საძინებელში რა გინდათ?

ერტებიზი – თქვენი ცოლი...

ორფეოსი – რა ჩემი ცოლი?

ერტებიზი – თქვენი ცოლი მოკვდა.

ორფეოსი – ხუმრობთ...

ერტებიზი – რა მებუმრება. გაგონებაც არ გინდოდით...

ორფეოსი (ყვირის) – ევრიდიკე! ევრიდიკე!

ერტებიზი – მისმინეთ... ახლა მაინც მომისმინეთ, ორფეოს.

ორფეოსი საწოლთან მუხლებზე ეცემა.

ორფეოსი – ევრიდიკე!...

ერტებიზი – ტირილით მას ვეღარ უშველით.

ორფეოსი (სახეშეშლილი ერტებიზისაკენ ამოხედავს) – კი მაგრამ როგორ? როგორ? რატომ?

ერტებიზი – ცუდად დაეცა, თუმცა ვიცი, აქ სხვა რაღაცაც იფარება...

ორფეოსი – კი მაგრამ რა? რა? (ორფეოსი ისევ ევრიდიკეს მიუბრუნდება) ევრიდიკე! ევრიდიკე! ეს შეუძლებელია! შემომხედე! მითხარი რამე!

ერტებიზი – თქვენი სიგიჟის გამოსასწორებლად ერთი საშუალება კიდევ გაქვთ.

ზეწრებში თავჩარგული ორფეოსის ახლო ხედი.

ორფეოსი – მე ისევ მძინავს. ეს სიზმარია! საშინელი სიზმარი, რომელსაც ბოლო არ უჩანს! ახლავე გავიღვიძებ! გამაღვიძეთ ვინმემ!

ერტებიზი ორფეოსს მხრებში სწვდება.

ერტებიზი – მისმინეთ, მისმინეთ. მომისმენთ თუ არა?... ორფეოს!

ორფეოსი – (ამოხედავს) ყოველივე ამაოა!

ერტებიზი – ერთი საშუალება კიდევ გაქვთ.

ორფეოსი – (დამწუხრებული) რა საშუალება?

ერთებიზი ორფეოსს მთელი ძალით წამოსწევს და ფეხზე დააყენებს.

ერთებიზი – ორფეოს! (ანჯღრევს) ორფეოს!... თქვენ ხომ იცნობთ სიკვდილს.

ორფეოსი – მე მასზე ვლაპარაკობდი, მე მასზე ვოცნებობდი, მე მას ვუძღვროდი. მეგონა, რომ ვიცნობდი, მაგრამ თურმე არ მცნობია...

ერთებიზი – თქვენ მას იცნობთ... პირადად იცნობთ.

ორფეოსი – პირადად?

ერთებიზი – ნამყოფიც კი ხართ მასთან.

ორფეოსი – ნამყოფი?

ერთებიზი – მის საძინებელში.

ორფეოსი – (ყვირილით აღმოხდება) პრინცესა!

ერთებიზი თანხმობის ნიშნად თავს უკრავს.

ღმერთო!...

ორფეოსი ერთებიზს მკლაუებიდან უსხლტება და სარკესთან მირბის.

სარკე...

ერთებიზი ორფეოსს უახლოვდება და პირით სარკესთან დგება.

ერთებიზი – საიდუმლოთა საიდუმლო უნდა გაგიმზილოთ... სარკე კარია, რომლითაც სიკვდილი მიდი-მოდის. და მართლაც, თუ მთელ შენს ცხოვრებას, სარკეში დააკვირდები, იქ როგორც შუშის სკაში, შენზე ფუტკარავით მზრუნველ სიკვდილს შენიშნავ.

ორფეოსი ერთებიზს ჩაუვლის, სარკეს ხელით მოსინჯავს, მოუბრუნდება და ეკითხება:

ორფეოსი – ასეთი საშინელი რაღაცეები საიდან იცით?

ერთებიზი – რა გულუბრყვილო ბრძანდებით. ამ საშინელი რაღაცეების უცოდინრად ისეთი მძლოლები, როგორც მე ვარ არ არსებობენ.

ორფეოსი – ერთებიზ! რა გვეშველება?

ერთებიზი – უნდა დავეწიოთ და ვინხნათ.

ორფეოსი – არა კაცს ეს არ შეუძლია... თავი თუ არ მოიკლა.

ერთებიზი – პოეტი კაცზე მეტია.

ორფეოსი – მაგრამ ჩემი ცოლი აქაა... მკვდარი... სასიკვდილო სარეცელზე!

სარკეში ჩანს როგორ მობრუნდება და მირბის სასთუმალთან.

ერთები – ეს მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახეა, ისევე როგორც პრინციპაა სიკვდილის ერთ-ერთი გამოხატულება. რასაც ხედავთ, მხოლოდ მირაჟია. თქვენი ცოლი სხვა სამყაროში ცხოვრობს და მე თქვენ ახლა იმ სამყაროში გასამგზავრებლად გეპატიჟებით.

ორფეოსი – მისი გულისთვის ჯოჯოხეთში ჩავალ...

ერთები – ასეთ მსხვერპლს თქვენგან არავინ ითხოვს.

ორფეოსი – ერთები... ევრიდიკე უნდა მაპოვნინო.

ერთები – ხეწნა რად გინდათ. მეც ხომ ამას გთავაზობთ.

(ორფეოსს ხელებს მხრებზე აწყობს:)

ორფეოს, თვალებში შემომხედეთ და ისე მიპასუხეთ, ვის ეძებთ, ევრიდიკეს, თუ სიკვდილს?

ორფეოსი – კი მაგრამ...

ერთები – პირდაპირ გეკითხებით და პირდაპირ მიპასუხეთ, ვის ეძებთ სიკვდილსა, თუ ევრიდიკეს?...

ორფეოსი (განზე გაიხედავს) – ორივეს...

ერთები – რომ ხან პირველს უღალატოთ მეორესთან და ხან მეორეს პირველთან...

ორფეოსი (სარკესთან შიშის) – ვიჩქაროთ.

ერთები – კიდევ კარგი, ცოცხალი რომ აღარ ვარ.

კამერა ორფეოსის საწოლსა და იქ დარჩენილ სიკვდილის ხელთათმანებს აჩვენებს. კადრში გამოჩნდება ერთების ხელი. მას ხელთათმანები მიაქვს.

ვიღაცას თქვენთან ხელთათმანები დარჩენია.

ორფეოსი – ხელთათმანები?

ერთები – წამოიცვით... მიდით... მიდით... წამოიცვით (ესვრის ხელთათმანებს).

ორფეოსი ხელთათმანებს ქაერში იჭერს, ერთხანს ყოყმანობს, მერე კი იცვამს.

ერთები (სარკესთან) – ამ ხელთათმანებით სარკეს წყალივით გააპობთ!

ორფეოსი – დამიმტკიცეთ.

ერთები – თავად სცადეთ. მეც თქვენთან ვიქნები. დრო დაინიშნეთ.

ახლო ხედი. კედლის საათი, ექვს ერთი წამი აკლია. ორფეოსი სარკეში შესვლას ჩამოშვებული ხელებით ცდილობს.

ჯერ ხელები!

სარკისაყენ გაწვდილი ხელთათმანინანი ხელების ახლო ხედი. სარკეში ჩანს ორფეოსი. ის სარკისაყენ მიიწევს. ოთხი ხელი ერთმანეთს ხვდება. ხედი ზევიდან.

ხომ არ გეშინიათ?

ორფეოსი – არა, რისი უნდა მეშინოდეს, ჩვეულებრივი სარკეა, რომელშიც ერთ უბედურ კაცს ვხედავ.

ერტებიზი – მთავარი აქ გაგება კი არა, რწმენაა.

წინაგაწვდილი ხელებით ორფეოსი სარკეში შედის. ახლო ხედით ხელები, რომელიც სარკეს წყალივით აპობს. (გამოყენებულია სინდიყით საეყე ვარცლი). სარკეში ბუნდოუნად ჩანს ზონა. ორფეოსი და მისი მეგზური ზონაში შედიან. მერე კი სარკეში კვლავ საწოლი ოთახი ირეკლება. ორფეოსის ბალის ღობესთან ფოსტალიონი რეკავს. რეკავს ხელმეორედ, მიმოიხედავს და წერილს საფოსტო ყუთის ჭრილში აგდებს. გამჭვირვალე გვერდიდან მოჩანს წერილი, რომელიც ყუთში ეშეება.

ზონა. მუსიკა

დანგრეული ქუჩა. ის რალაციტ გრადივას პომპეისა თუ სენის მარცხენა სანაპიროზე ნგრევაში მოყოლილი კვარტლის ქუჩას ჰგავს. 6* იღუპალი ქარი მხოლოდ ერტებისხს ელამუნება.

ორფეოსი (გაშეშებული წინ მიმავალ ერტებისხს მისდევს) – სად ვართ?

ერტებიზი – სიცოცხლეს სასიყვილილოდ დრო სჭირდება. ეს ზონაა. ის აღამიანთა მოგონებებისა და ჩვეეების ნანგრეეებითაა ნაგები.

ორფეოსი – და ყველა სარკეს ქეეყნად, ამ ზონაში მოყეყვართ?

ერტებიზი – მგონი ასე უნდა იყოს, თუმცა თავი რომ არ გამოვიდო, სჯობს დაბეყითებით არაფერს ვიტყვი. თქვენზე მეტი არც მე ვიცი.

ორფეოსი ჩერდება. ის უკან და ირგვლიე იხედება. ამასობაში ჩამორჩება ერტებისხს, რომელიც თითქოს აღგვილიდან არ იძერის: ეს ზონა მიცურავს მის უკან.

ერტებიზი (მიუბრუნდება ორფეოსს, თუმცა გაშეშებულად წინსვლას არ წყვეტს) – იარეთ... იარეთ...

ორფეოსი (სელას განაგრძობს და უკნიდან უახლოედება ერტებისხს) – მიჭირს, ვერ გეწევიტ, თითქოს არ იძერთ და მაინც წინ მიდინხართ...

ერტებიზი – მე სულ სხვა ვარ.

ორფეოსის ზურგს უკან, ქუჩას მეშუშე გადაკვეთს.

მეშუშე – შუშებს ვსვამთ, შუშებს! შუშებს ვსვამთ, შუშებს!...

ორფეოსი – ეს მოხეტიალე ხალხი აქ რას აკეთებს? ცოცხლები არიან?

ერტებიზი – ჯგონიათ რომ არიან. ყველაზე დღეგრძელი ხომ უაზრო პროფესიებია.

ორფეოსი – შორს მივდივართ?

ერტებიზი – ისეთ რამეს ამბობთ, რაც ჩვენთან არაფრის მთქმელია.

ორფეოსი – ქარი არ ქრის. მაშ რატომ მეჩვენება, თითქოს ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობდეთ?

ერტებიზი – რატომ... მუდამ ეს რატომ. ნურაფერს მკითხავთ, იარეთ. იქნებ ხელი ჩაგკიდოთ?

ერტებიზი ერთს კიდევ გაისრიალებს უძრავად, ხელს ჩაკიდებს ორფეოსს და მიჰყავს; ისინი ერთად ჰკეფენ ესპლანდას; ეხედავთ როგორ ჩადიან კიბეზე და ნანგრევების ფონზე მარცხნივ მიემართებიან. სარკიანი ოთახი სიკვდილის ქალაქგარეთა სახლში. მაგიდასთან სამი მოსამართლე ზის. მაგიდის ბოლოში, მარჯვნივ, სასამართლოს მდივანი სტენოგრაფულ ჩანაწერს აკეთებს. მაგიდის წინ ერტებიზი დგას. მას ისევ ისე აცვია როგორც ფილმის დასაწყისში. კიბის ბაქანზე გასასვლელ კარს ერთ-ერთი მოტოციკლისტი დარაჯობს. დახურული დარაბები. ღამე. მაგიდის ელექტრო ლამფა და ჭერის ნათურა ოთახს თვალი-სმოჭკრეულად ანათებს. მაგიდაზე ქაღალდის დასტები აწყვია.

პირველი მოსამართლე – ინფორმაციის გადაცემა ნაბრძანები გქონდათ?

სეფესტი – დიახ.

პირველი მოსამართლე – კონკრეტული ინფორმაციის გადაცემა თუ გქონდათ ნაბრძანები? უნდა შეგეთანხმებინათ თუ არა წინასწარ მათი ტექსტები? დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ.

სეფესტი – არა, ფრანგებსა და რიცხვებს თვითონ ვიგონებდი, ზოგჯერ კი ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ფრაზებსაც გადაეცემდი.

მეორე მოსამართლე – ერტებიზის ქცევაში რამე უჩვეულო ხომ არ შეგინიშნავთ?

სეფესტი – არა, მხოლოდ მისი სურვილისამებრ გაქრობისა და გაჩენის უნარი მომწონდა. მინდოდა ასეთი რამ მეც შემძლებოდა, მაგრამ პრინციპსამ მითხრა, რომ ამას ჩემი მეტისმეტი მოუქნელობით, ვერასოდეს მოვახერხებდი.

პირველი მოსამართლე – ამას შევეშვით... შევეშვით...

პირველი მოსამართლე მეორისაკენ იხრება და ყურში რაღაცას უჩურჩულებს.

მეორე მოსამართლე – გაიყვანეთ ეს ყმაწვილი და შემდეგი შემოვიდეს.

პირველი მოტოციკლისტი სევესტთან მიდის, მხარზე ხელს ჰკიდებს და გააკავს. სევესტი და მოტოციკლისტი კადრიდან მარჯვნივ გადიან და კიბეზე ეშვებიან. ღია კარში, მეორე მოტოციკლისტის თანხლებით, შემოდის პრინცესა. ის კამერისაკენ მოდის. მეორე მოტოციკლისტი ხურავს კარს და პირველი მოტოციკლისტის ადგილს იკავებს. პრინცესა მაგიდის წინ ჩერდება.

პრინცესა – შეიძლება დაეჯდე?

პირველი მოსამართლე – დაბრძანდით.

პრინცესა (ჯდება) – თუ შეიძლება მოეწვე.

პირველი მოსამართლე – როგორც გენებოთ.

პრინცესა პორტსიგარიდან იღებს სიგარეტს, სანთებელათი უკიდებს და მერე პორტსიგარსა და სანთებელასაც მაგიდის კიდეზე დებს.

პირველი მოსამართლის ხმა – თქვენ ბრალი გეღებათ... რომ განყარგულუბით...

მესამე მოსამართლე – უფრო სწორედ, ნებართვით...

პირველი მოსამართლე – ... სამსახურში მხოლოდ ყმაწვილი კაცის აყვანის უფლება გქონდათ. პირად ზრახვებს აყოლილმა კი, ყოველგვარი განყარგულების გარეშე, საკუთარი ნებით თან ახალგაზრდა ქალიც წამოიყვანეთ. რითი იმართლებთ თავს?

პრინცესა – არაფრით. ყველაფერი გარემოებათა დამთხვევამ განაპირობა.

მეორე მოსამართლე – აქ ვერავითარ გარემოებათა დამთხვევაზე ვერ ვილაპარაკებთ. ყველაფერს მხოლოდ ბრძანებები განაპირობებს. გქონდათ თუ არა საამისო ბრძანება?

პრინცესა – საიქიო და სააქიო კანონები, ერთმანეთისაგან ფრიად განსხვავდება. ისე გადავაჭარბე ჩემს უფლებებს. ვერც კი ვიგრძენი. (მოსამართლეები ხმადაბლა თათბირობენ)

პირველი მოსამართლე – დამატებითი ინფორმაციების მიღებისა და თქვენი შემდგომი დაკითხვისათვის კიდევ ერთი ბრალდებულისა და მოწმის გამოცხადებას ველოთ.

მეორე მოტოციკლისტი – უკვე აქ არიან.

ხელს კიდებს სარკეს, რომლის ჩარჩოშიც გამოჩნდება ორფეოსი. ორფეოსი სარკიდან ოთახში ხტება. სარკის ჩარჩოდან გადმოდის ერტებიზიც. ორფეოსი უკან იხევს.

ერტებიზი – ვირთხებივით გამოგვიჭირეს.

პრინცესა – სალაში! სცდებით მუსიე, დამშვიდდით. აქ მე მასამართლევენ.

ორფეოსი პრინცესას უყურებს და მაგიდას უახლოვდება. ერტებიზი ორფეოსის მარჯვნივ დგება.

პირველი მოსამართლე – მოგვიახლოვდით. (ერთებიზი ახლოს მიდის)
პრინცესა – მიდით ერთებიზს, (გააბოლებს) მიდით, ახლა კი დროა თქვენი სათქმელი – სათქმელი არაფერი მაქვს.

მეორე მოსამართლე – (ქაღალდებს ჩახედავს) – თქვენ ბრალი გეღებათ, როგორც ამ ქალის თანამზრახველს ინტრიგაში. რომელიც მან ზემოდან განკარგულების მიუღებლად განახორციელა. გაქვთ რამე საპატიო მიზეზი თავის გასამართლებლად?

ერთებიზი – მე, როგორც მისი თანამემწე, მას ვემორჩილებოდი.

პირველი მოსამართლე – თუმცა ადამიანური საქმეებისათვის იმ ქვეყნად შეყვინდით, რისი უფლებაც ნამდვილად არ გქონდათ.

პრინცესა ერთებიზს თვალს არ აშორებს.

ერთებიზი – იქნებ...

პირველი მოსამართლე – აქ „იქნებ“ არ არსებობს.

მეორე მოსამართლე – გვიპასუხეთ.

კამერა აჩვენებს ორფეოსს. ის მოშორებით დგას და პრინცესას უყურებს.

ერთებიზი – არ მეგონა კანონს თუ ვარდევედი.

პირველი მოსამართლე – მოგვიახლოვდით...

ორფეოსი კვლავ ობიექტივში იყურება.

პირველი მოსამართლე – თქვენ... თქვენ...!

პირველი მოსამართლე – დიახ, თქვენ. თქვენი სახელი?

ორფეოსი – ორფეოსი.

პირველი მოსამართლე – პროფესია?

ორფეოსი – პოეტი.

სასამართლოს მდივანი, რომელიც ოქმს ადგენს, ამოიხედავს.

მდივანი – ბარათში მწერალი უწერია.

ორფეოსი – ეს თითქმის ერთი და იგივეა...

მეორე მოსამართლე – აქ „თითქმის“ არ არსებობს. რას ეძახით თქვენ „პოეტს“?

ორფეოსი – ადამიანს, რომელიც წერს, მწერალი კი არ არის.

მოსამართლეები ერთმანეთისაკენ იხრებიან და ჩუმად თათბირობენ.

პირველი მოსამართლე (მიუბრუნდება პრინცესას) – ამ კაცს თუ იცნობთ?

პრინცესა – დიახ, ვიცნობ.

პირველი მოსამართლე – აღიარებთ, რომ ცოლი წაგვარეთ?

პრინცესა – დიახ, ვაღიარებ.

პირველი მოსამართლე – რომ ქალი თავიდან მოგეშორებინათ და ეს კაცი მარტო თქვენი გამხდარიყო.

ორფეოსი – ბატონებო!

მდივანი – სინჟე!

პრინცესა (ორფეოსს) – დაწყნარდით, მუსიე, დაწყნარდით. ნუ დეღავთ.

პირველი მოსამართლე – გიყვართ ეს კაცი?

პრინცესა დუმს და სიგარეტს აბოლებს. ორფეოსი შეკრთება.

გიყვართ თუ არა ეს კაცი?

პრინცესა – დიახ, მიყვარს.

პირველი მოსამართლე – მართალია, რომ მის საძინებელში იყავით და უყურებდით როგორ ეძინა? (დუმილი)

პრინცესა – ...დიახ.

კამერა აჩვენებს ადგილზე გაქეპვებულ ორფეოსს.

მეორე მოსამართლე – ამ ქაღალდს მოაწერეთ ხელი.

მეორე მოსამართლე მარცხნივ გადაიხრება. კადრში ჩანს მდივნის ხელი. ის მოსამართლეს ქაღალდს აწვდის. მოსამართლე ქაღალდს პრინცესას წინ, მაგიდაზე დებს. პრინცესა დგება და ორფეოსთან მიდის.

კადრში – ორფეოსი და პრინცესა.

პრინცესა (ორფეოსს) – კალმისტარი გექნებათ. (დუმილი. იცინის) სულ დამავიწყდა, თქვენ ხომ მწერალი არ ხართ.

პრინცესას კალამს აძლევენ. ის იღებს კალამს და ფურცლის ბოლოში ხელს აწერს. პირველი მოსამართლე სკამიდან წამოიწევს. კამერა საერთო ხედით, კართან გაჩერებულ მოტოციკლისტს აჩვენებს.

პირველი მოსამართლე – ეს ორნი ოთახში გაიყვანეთ.

მოტოციკლისტს პრინცესა გააკყავს; ადგილზე გაქეპვებულ ორფეოსს კი ხელს უბიძგებს.

ერთების უნდა ორფეოსსა და პრინცესას გაჰყვეს, მაგრამ პირველი მოსამართლე აჩერებს.

- არა, თქვენ დარჩით.

პრინცესა, ორფეოსი და მეორე მოტოციკლისტი გადიან. შემოდის პირველი მოტოციკლისტი და კართან დგება. შემოდის ევრიდიკე: თითქოს ზეზუურად სძინავს და ზღურბლთან ჩერდება.

მოგვიახლოვდით... მოგვიახლოვდით...

ევრიდიკე მთვარეულივით მოდის და დგება იქ. სადაც უწინ პრინცესა იდგა.

ამ კაცს თუ იცნობთ?

ევრიდიკე (თავს ერტებიზისაკენ მიაბრუნებს) - რა თქმა უნდა... ეს ერტებიზია...

პირველი მოსამართლე - ცდილობდა თუ არა დაგლაპარაკებოდათ თქვენი ქმრის შინ არ ყოფნისას? ან რამე ისეთი, შეურაცხმყოფელი ხომ არ დასცდენია? **ევრიდიკე** (გაკვირვებისაგან გაფართოებული თვალებით) - შეურაცხმყოფელი?... რას ბრძანებთ... ეს ხომ ერტებიზია.

მოსამართლეები თათბირობენ.

პირველი მოსამართლე - ერტებიზ. გიყვართ ეს ქალი? (დუმილი)

პაუზისას კამერა საერთო ხედით იღებს ყველაფერს და ევრიდიკეზე ჩერდება. იგი განცვიფრებისაგან გაფართოებული თვალებით ერტებიზს შესცქერის.

პირველი მოსამართლე - გიმეორებთ. ერტებიზ, გიყვართ ეს ქალი? **ერტებიზი** - დიახ, მიყვარს.

პირველი მოსამართლე - სულ ეს იყო რისი გაგებაც გვინდოდა. ხელი მოგვიწერეთ...

ქალაღღს აწვდის ერტებიზს. ერტებიზი ხელს აწერს.

პრინცესას ოთახი. ჩახუტებული პრინცესა და ორფეოსი დივანის წინ, რადიოსთან დგანან. კამერა ძალიან ახლო ხედით, მხოლოდ მათ სახეებს იღებს. პრინცესა და ორფეოსი ერთმანეთს თვალებში უყურებენ და ჩურჩულებენ: მუსიკა

ორფეოსი (აღელვებული) - და შენ მათ უპასუხე დიახ...

პრინცესა - ჩვენთან ტყუილი არ შეიძლება.

ორფეოსი - ჩემო სიყვარულო...

პრინცესა – მე შენ ჩვენ პირველ შეხვედრამდე ბევრად ადრე მიყვარდი.

ორფეოსი – და ალბათ რა სულელი გეჩვენებოდი...

პრინცესა – რა შეიძლება ვუთხრათ ერთმანეთს? მე ხომ არავის სიყვარულის უფლება არ მაქვს... და მაინც მიყვარხარ (ტუჩებში კოცნის).

ერთმანეთს შორდებიან. პრინცესა დივანზე ეშვება, ორფეოსი კი მუხლებზე ეცემა.

ორფეოსი – ყოვლისშემძლე ხარ.

პრინცესა – თქვენს თვალში. ჩვენთან კი სიყვდილს უამრავი სახე აქვს. ახალგაზრდა თუ მოზუცი, ზემოდან მიღებულ ბრძანებებს ემორჩილება.

ორფეოსი – ამ ბრძანებებს რომ არ დაემორჩილო? მოკვლით ხომ ვერ მოგკლავენ... რადგან თვითონ კლავენ.

პრინცესა – უარესის გაკეთება შეუძლიათ...

ორფეოსი – საიდან მოდის ეს ბრძანებები?

პრინცესა – მათ ერთმანეთს უამრავი გუშაგი გადასცემს და ეს თქვენი აფრიკული ტომების დაფდაფების, თქვენი მთების ექოსა და თქვენ ტყეებში ქართი ამრიალებული ფოთლების ხმას ემსგავსება.

ორფეოსი – მე მივწვდები მას, ვინც ამ ბრძანებებს იძლევა.

პრინცესა – ჩემო საბრალო სიყვარულო... ის ხომ არსად არ ცხოვრობს. ზოგს ჰგონია, რომ იგი ჩვენზე ფიქრობს, ზოგსაც მისი ფანტაზიის ნაყოფი ეგონივართ. ზოგი კი თვლის, რომ ჩვენ მას სიზმარში, საზარელ სიზმარში ეესიზმრებით.

ორფეოსი – რადგან, გამოგვიშვეს, აქედან დაგიხსნი.

პრინცესა – გამოგვიშვეს?

პრინცესა უცნაურად ჩაიცინებს, უკან გადაიხრება და კადრიდან გადის. ორფეოსის სახეც იგივე მიმართულებით კვეთს ეკრანს და დივანის ბალიშებზე გადაწოლილი პრინცესას სახეს უახლოვდება. ორფეოსიც პრინცესას გვერდით დივანზე ეშვება.

ორფეოსი – აღარ მინდა დაგშორდე.

პრინცესა – უნდა დაგტოვო, მაგრამ გეფიცები, ჩვენი ერთად ყოფნის საშუალებას გამოვნახავ...

ორფეოსი – თქვი: მუდამ ერთად ყოფნის.

პრინცესა – მუდამ ერთად ყოფნის.

ორფეოსი – შემომთიციე.

პრინცესა – გეფიცები.

ორფეოსი – მაგრამ ახლა... ახლა რა ვქნათ?

პრინცესა ღებება. ეკრანზე ის ანფასით ჩანს.

პრინცესა – ახლა კი... მათი პოლიცია.

ორფეოსი – სასწაული მოხდება...

პრინცესა – სასწაულები მხოლოდ თქვენთან ხდება...

ორფეოსი – სიყვარული ნებისმიერ სამყაროს შეძრავს.

პრინცესა – ჩვენს სამყაროში ვერავის შეძრავ, ჩვენთან მხოლოდ სასამართლო პროცესების აღძვრა შეიძლება.

მუსიკის დასასრული

კარის გაღების ხმა. პრინცესა და ორფეოსი ერთმანეთს შორდებიან და კარისაყენ იხედებიან. ზღურბლზე ერთ-ერთი მოტოციკლისტი დგას.

მეორე მოტოციკლისტი – წამომყევით.

პრინცესა და ორფეოსი წამოდგებიან.

პრინცესა – მიდი... მიყვარხარ, ნურაფრის გეშინია.

ორფეოსი – არ მინდა ისე დაგკარგო...

პრინცესა – ნუ ჯიუტობ, თორემ ორივე დავიღუპებით...

მეორე მოტოციკლისტი – წამომყევით.

პრინცესა და ორფეოსი გასასულელში უწინარდებიან. მოტოციკლისტიც მათ მიჰყვება.

სასამართლო დარბაზი. კედელთან, პირით შესასულელისაყენ, გვერდი-გვერდ ერტებიზი და სეყესტი სხედან. ფეხზე დგებიან. კამერა მაგიდასთან მსხდომ მოსამართლეებს უახლოვდება. დგება პირველი მოსამართლე.

პირველი მოსამართლე – გაგაცნობთ გამოძიების საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოითანილ განაჩენს: “საგამომძიებლო კომისიის გადაწყვეტილებით ორფეოსის სიყვდილი და მისი თანაშემწეები დროებით გათავისუფლებულნი არიან”.

კამერა ნელა მოძრაობს მარცხნიდან მარჯვნივ და მაგიდის წინ გაჩერებულ სეყესტს, ერტებიზს, პრინცესასა და ორფეოსს აჩვენებს.

პირველი მოსამართლე – „...ორფეოსი – თავისუფლდება პირობით, რომ არასოდეს გაამხელს ნანახს. ვერიდიყე – თავისუფლდება და სიცოცხლეს უბრუნდება პირობით, რომ ორფეოსი არასოდეს შეხედავს მას. ერთი შეხედავა და იგი სამუდამოდ დაყარგავს ვერიდიყეს.

განაჩენის კითხვისას კამერა ნელა აჩვენებს ეპიზოდის ყველა მონაწილეს და ორფეოსზე ჩერდება.

ორფეოსი – კი, მაგრამ...
სასამართლოს მდივანი – ჩუმაღ!

პირველი მოტოციკლისტის თანხლებით, მარჯვნიდან, შემოდის ევრიდიკე.

პირველი მოსამართლე – აი თქვენი ცოლი.

ორფეოსს უნდა მიიხედოს, მაგრამ ერთკებიზის ყვირილი შეაჩერებს.

ერთკებიზი – ფრთხილად!

ორფეოსი თვალეზზე ხელს იფარებს.

არ შეხედოთ...

მოსამართლე ქაღალდებს ალაგებს. ორფეოსისაკენ გადაიხრება.

პირველი მოსამართლე – დასაწყისისათვის კარგია!

ერთკებიზი (მაგიდას დაყრდნობილი მოსამართლისაკენ იწევს) – მაძლევთ უფლებას, რომ ორფეოსი სახლამდე მივაცილო? ვშიშობ, ჩვენი ზედამხედველობის გარეშე, დაკისრებული ამოცანისათვის თავის გართმევა გაუჭირდება.

მოსამართლეები იშლებიან.

პირველი მოსამართლე – შეგიძლიათ გააცილოთ ცოლ-ქმარი... (ირონითა და თავის ოდნავი დაკერით პასუხობს ერთკებიზს) ჩვენი თქვენდამი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად... რა თქმა უნდა.

ერთკებიზი ორფეოსთან მიდის.

ერთკებიზი – ხელთათმანები გაქვთ?

ორფეოსი – არა. თუმცა როგორ არა! აი აქ, ჯიბეში მიღევს.

ერთკებიზი – წამოიცვით და თვალები დახუჭეთ. მე წაგიყვანთ. დასაწყისისათვის ასე აჯობებს.

ორფეოსი – მაგრამ ევრიდიკე... შეიძლება შევხედო?

ერთკებიზი (ხმადაბლა) – არავითარ შემთხვევაში. უკან არ მიიხედოთ. თვალის გახელაც კი არ გაბედოთ. მომყევით.

ერთკებიზი ორფეოსს ხელს ჩაჰკიდებს და მოპირდაპირე მხარეს, ევრიდიკესთან მიიყვანს. ევრიდიკე ორფეოსის უკან დგება და ხელეებს მხრებზე აწყობს.

ერტებიზი (ევრიდიკეს) – მხრებში ჩაეჭიდეთ. ასე უფრო სანდო იქნება, მომკვივით.

ორფეოსი არ ინძრევია. ზურგსუკან ევრიდიკე უდგას, რომელსაც თითქოს ზეზურად სძინავს. მათ წინ ერტებიზი დგას. ვხედავთ როგორ ჩაჰკიდებს იგი ორფეოსს ხელს და წინ ეწევა. ორფეოსს კი ევრიდიკე მიჰყავს. კამერა სწრაფად ჩაუვლის მაგიდას. იქ მოსამართლეები აღარ სხედან. კამერა პრინცესაზე ჩერდება. პრინცესა მაგიდის მარჯვნივ დგას, ხელი სეფესტის მხარზე უდევს. სეფესტი პრინცესას უყურებს. პრინცესა კი სარკეს მიშტერება.

სეფესტი – მოსამართლეები სად არიან? (პრინცესას გაურკვეველი ჟესტი) ძაღლისშვილები!

პრინცესა – სეფესტ... ჩვენ ძველ სამყაროში რომ ვყოფილიყავი, უთუოდ თქვენთან ერთად დავლევდი.

ხანგრძლივი წაფენა

ახლო ხედით – საფოსტო ყუთი ორფეოსის ბაღში. ფოსტალიონის ჩაშეებული წერილი ყუთში ვარდება. კამერა აჩვენებს ფოსტალიონს. ის ერთხელ კიდევ დარეკავს, სახლს ღობიდან გადახედავს და იქაურობას გაეცლება.

სასტუმრო ოთახი. საათი ექვსჯერ ჩამოჰკრავს. კამერა ორფეოსის საძინებელი ოთახის ღუკს აჩვენებს. ოთახში ღუკით ორფეოსი, ევრიდიკე და ერტებიზი ჩამოდიან.

ორფეოსი – როგორ, ექვსი საათია? ექვსი საათი ხომ მაშინ იყო, როცა სარკეში შევედი.

ერტებიზი – ამაზე ნულარ ილაპარაკებთ, თქვენ ხომ პირობა მიეცით.

ევრიდიკე (გონს მოსული ფანჯარაში იხედება) – წერილია.

ორფეოსი – ჩავალ, ამოვიტან.

ერტებიზი – ბაღიდან რომ წამოხვალთ, დაიძახებთ, „მოვდივარ“ და ევრიდიკე დაიძალეება.

ორფეოსი (კბილებში სცრის) – მაგარია!...

ევრიდიკე – საშინელებაა!

ბაღი. კადრში – საფოსტო ყუთი და ჭიშკარი. ორფეოსი ხსნის ყუთს, იღებს წერილს, ხევს კონვერტს და ათვალეიერებს.

სასტუმრო ოთახი ორფეოსის სახლში. კადრში – ევრიდიკეს საძინებელ ოთახთან ჩანს დივანის კუთხე. დივანის თავზე სარკე ჰკიდია. ევრიდიკე სარკესთან მიდის და შიგ იხედება. ერტებიზი ევრიდიკეს უკან დგას.

ერტებიზი – ფრთხილად!

ვერიდიკე – რა, საკუთარ თავსაც აღარ შეიძლება შეეხელო?

ერტებიზი – ხომ შეიძლება ორფეოსი შემოვიდეს და სარკეში დაგინახოთ...

ვერიდიკე – კარგია რომ წამოგვეყვიტო!... (სარკეს შორდება)

ერტებიზი – ვერიდიკე, იმაზე ხომ არ მიბრახდებით რაც სასამართლოზე ვთქვი? კი მაგრამ, განა რა სთქვით ასეთი სასამართლოზე?

ორფეოსის ხმა (ბალიდან) – ერტებებს!

დუმილი.

ერტებიზი – უკაცრავად. (კარისკენ მიდის). როცა ორფეოსი შემოვა, მაგიდის ქვეშ დაიმალებით.

კიბის ბაქანი. ერტებიზი კიბეზე ჩადის. ორფეოსი დაბლაა, ფეხი კიბის პირველ საფეხურზე უდგას.

ორფეოსი (ერტებებს წერილს უწვდის) – ანონიმური წერილია!... უკულმა დაწერილი.

ორფეოსი კიბეზე ადის. ერტებიზი მობრუნდება და ყვირის:

ერტებიზი – ფრთხილად ვერიდიკე, ფრთხილად!... მოდის!...

სასტუმრო ოთახი. წერილით ხელში სწრაფად შემოდის ორფეოსი. კამერა აჩვენებს, როგორ შემოუვლის მაგიდას და სარკისაკენ გაემართება. მოვარდება ერტებიზი:

ერტებიზი – ფრთხილად, ორფეოს! ვერიდიკე, მაგიდის ქვეშ ხართ?...

ვერიდიკეს ხმა – დიახ.

ერტებიზი მაგიდას მარცხნიდან უახლოვდება. ორფეოსი ერტებიზის ზურგსუკან ჩაივლის და სარკესთან მივა. მაგიდის წინა მხრიდან, ვერიდიკე სუფრას ასწევს, თავს გამოჰყოფს და იყითხავს:

ვერიდიკე – სად არის?

ორფეოსი – თვითონ სად ხარ?

ერტებიზი – აქ... აქ არის... მაგიდის ქვეშ.

ორფეოსი – ოჰ, კიდევ კარგი. (წერილს სარკისკენ მიაბრუნებს)

სარკეში არეკლილი წერილის ახლო ხედი. იყითხება: “ქურდო და მკვლელი, საკუთარ საფლავს მიაკითხე.”

ერტებიზი – სარკეებს ერიდეთ.

კადრში სარკეში არეკლილ ორფეოსი და მის უკან გაჩერებული ერტებიზი ჩანან.

ორფეოსი – თქვენ არავინ გეკითხებათ.

ერტებიზი – მხედველობაში თქვენი ცოლის ანარეკლი მქონდა.

ვერიდიკეს ხმა – ერტებიზმა სარკეში ჩახედვა ამიყრძალა.

სანამ ვერიდიკე ლაპარაკობს, ორფეოსს თითი ტუჩებთან მიაქვს და წერილს ერტებიზს აკითხებს. ერტებიზი იღებს წერილს, ჭმუჭნის, ჯიბეში იღებს და ორფეოსს ჩუმად ეუბნება:

ერტებიზი – გააქრეთ ეს სულელური წერილი.

მაგიდის ხედი გვერდიდან. დაოთხილ ვერიდიკეს ნახევარ ზურგს სუფრა უფარავს.

მაგიდის მოპირდაპირე მხარეს კი ორფეოსი და ერტებიზი დგანან.

ვერიდიკე – შეიძლება გამოვიდე?

ორფეოსი და ერტებიზი (ერთხმად) – არა!

ერტებიზი – ერთი წუთით... (ორფეოსს) მიბრუნდით... (ვერიდიკეს) შეგიძლიათ გამოხვიდეთ. (ვერიდიკე გამოდის)

ორფეოსი (ხედი ზურგიდან) – რას წარმოვიდგენდი, მსგაუსი სისულელე ასე რთული და დამძაბეელი თუ იქნებოდა.

ვერიდიკე ერტებიზის გვერდით, მაგიდასთან დგას.

ვერიდიკე – ყველაფერს ეჩვევა ადამიანი.

ორფეოსი – კარგი მისაჩვევია!...

ვერიდიკე – დაბრმავებასა და ხეიბრობას ისევე ეს სჯობია.

კამერა ანფასში იღებს ორფეოსს. უკან, მეორე ხელზე კი ვერიდიკე და ერტებიზი ჩანან.

ორფეოსი – სხვა რა გზა გვაქვს.

ვერიდიკე (ერტებიზს) – იქნებ ასე სჯობდეს კიდევც, ნაოჭები რომ გამოჩნდება, ორფეოსი ვერ დაინახავს...

ორფეოსი – დიდებულია! დიდებული! შენ მგონი მოგეწონა კიდევც.

ერტებიზი – აბა, სხვა რა გზა აქვს!

ორფეოსი – სხვა რა გზა აქვს!... (უნდა კამერისაკენ ზურგით მობრუნდეს.)
ერტებიზი (ყვირის) – ფრთხილად! (ევრიდიკე ჩაიკუზება.)

ორფეოსი პირით კვლავ ობიექტივისაკენ ღებდა. მყაცრი გამომეტყველება აქვს.

ერტებიზი – საშიში ხართ ძვირფასო.

კამერა ევრიდიკესა და ერტებიზის უკან ღვას. კადრში ზურგით, მეორე ხელზე მოჩანს ორფეოსი.

ორფეოსი – გაფრთხილებთ, მუდამ კედელს მიშტერებული, ვერ ვიცხოვრებ.

ევრიდიკე – რამეს დაგაღევიანებთ. თვალები დახუჭე. სანამ მე მაცივარს გამოვალებ, ერტებიზი სადმე დაგსვამს.

ევრიდიკე მაცივართან მიდის. ერტებიზი მაგიდას შემოუვლის, ხელს კეიდებს თვალდახუჭულ ორფეოსს, მოჰყავს მაგიდასთან და ევრიდიკეს ზურგით უსვამს.

ორფეოსი – გეტყვი სხვა რა გზაც აქვს ჩემს ცოლს! კარგად უნდა გაიგოს, რა საშინელ დღეშიც ჩავევარდი.

ერტებიზი – ორფეოს! თვითონ?... გგონიათ თვითონ არ იტანჯება?

ორფეოსი – სცდებით, ძვირფასო. ქალებს ყველაფრის გართულება უყვართ.

გვახსოვდეს, რომ ეს კომიკური სცენაა. კამერა ორფეოსსა და ერტებიზს წინიდან იღებს. ორფეოსი ზის, ერტებიზი მარჯვნივ უდგას. კადრის სიღრმიდან შემოდის ევრიდიკე. მას ლანგარით ყინული, ჭიქები და ბოთლი მოაქვს.

ევრიდიკე (მოდის და ამბობს) – თვალები დახუჭე.

ორფეოსი – იქნებ ცხვირსახოცით ავიხვიო?

ევრიდიკე (ორფეოსის ზურგსუკან) – არა ორფეოს, ვიცი იეშმაყებ. სჯობს ყველაფერს თავიდანვე მივეჩვიოთ.

ორფეოსი თვალებს ხუჭავს და ერტებიზს მკლავზე ხელს უთათუნებს, თითქოს ეუბნება: „დაუჯერებელია“, ევრიდიკე მაგიდას მარცხნიდან მოუვლის და ზედ ლანგარს ღვამს.

ვაღიარებ, ძალიან უხერხულია, მაგრამ არა უშავს, მივეჩვივით.

ორფეოსი – სკამი მოიტანე და დაჯექი. მე ზურგშექცევით ვიჯდები.

(ასეც იქცევა. იღებს მაგიდიდან ჟურნალს და შლის.)

გადაშლილი ჟურნალის ახლო ხედი. ვხედავთ სტატიას სათაურით: “პოეტის სახლი” და ორ დიდ, ორფეოსისა და ევრიდიკეს პორტრეტს. ორფეოსი სწრაფად ხურავს ჟურნალს, თავს მალლა სწევს და ყვირის:

ორფეოსი – ოჰ!

ერტებიზი – თქვენი ცოლის პორტრეტი, თქვენი ცოლი არაა.

ორფეოსი სახეზე ხელებს იფარებს. ევრიდიკე უკნიდან მიუჯდება.

ევრიდიკე – ძალიან დავილაღე...

ორფეოსი – ახლავე რაღაც უნდა ვიღონო. რამე უნდა მოვიფიქრო, თორემ ასე, მთელი ცხოვრება, დამალობანას ვერ ვითამაშებთ.

ევრიდიკე – გინდა საცხოვრებლად სხვაგან გადავიდე?

ორფეოსი – შენ ხომ უკიდურესობების გარეშე არ შეგიძლია!

ერტებიზი – კარგი... კარგი... ორფეოს...

ორფეოსი – მაგრამ ერთი საძინებელი ვეღარ გვექნება. მე აქ, დივანზე დავწევები.

ევრიდიკე – მე კი არა, შენ ართულებ ყველაფერს...

ორფეოსი – მაცლი თუ არა ლაპარაკს? (უნდა მისყენ მიბრუნდეს)

ერტებიზი – ფრთხილად! (ორფეოსს თავს ხელებით საჭირო მიმართულე-ბით მიაბრუნებინებს)

ორფეოსი – მისი ბრალია. მკვდარსაც კი უკან მოახედებს.

ევრიდიკე – სჯობდა ისევ მკვდარი ვყოფილიყავი.

ორფეოსი – გაჩუმდეს! ისე ვარ მოშლილი, არ ვიცი, რას ჩავიდენ!

ერტებიზი – ორფეოს, თქვენი ცოლი, თქვენ ის აატირეთ...

ორფეოსი – რადგანაც ყველას ვაწუხებ, მივდივარ!

ორფეოსი დგება და საძინებლის კიბისაკენ მიდის.

ერტებიზი – ორფეოს! ორფეოს! სად მიდიხართ?

ორფეოსი კიბეზე ადის, ლუკს სახურავს ხდის და ამბობს: “ჩემს ოთახში”. (უჩინარდება; ლუკის თავი იხურება.)

ევრიდიკე მაგიდაზე ემხობა და თავს მკლავებში მალავს.

ერტებიზი – დამშვიდდით... (ხელს .. მხარზე აადებს.)

გლუკის მუსიკა

ევრიდიკე (თავს მალლა სწევს) – ვძულვარ...

ერტებიზი – რომ სძულდეთ, სიკვილის არ გამოგგლეჯდათ ხელიდან. მისი საქციელი სამაგალითო იქნება მუდამ...

ვერიდიკე – ის ჩემს დასახსნელად არ მოსულა...

ერტებიზი – ვერიდიკე!...

ვერიდიკე – თქვენ ხომ იცით, ერტებიზ... თქვენ ხომ მაინც იცით, ახლაც სად მდის. თავის მანქანაში.

წაფენა

საწოლი ოთახი (ღამე). ლუკი. ვერიდიკე გრძელ პერანგში ლუკს ადებს და კიბეზე ჩადის. სასტუმრო ოთახი. ღამე. კამერა დივანსა და მასზე მოუსვენრად მძინარე ორფეოსს აჩვენებს. იქვე ანთია ლამფა.

მუსიკა

ავტორის ხმა – ვერიდიკემ ორფეოსის გული რომ ვეღარ მოინადირა, სიკვილისაგან ასეთი მობრუნება მისთვის გაუსაძლისი გახდა. თავისი არსებობით გამოწვეული უხერხულობისგან ორფეოსი რომ გაეთავისუფლებინა, მას მხოლოდ ერთი საშუალებაღა რჩებოდა.

ვერიდიკე დივანთან მდის, იხრება ხელს იწვდის, მაგრამ ორფეოსის შეხებას ვერ ბედავს. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვეტს და ფრთხილად შეანძრევს.

ვერიდიკე (ძალიან ჩუმად) – ორფეოს! ორფეოს!...

ორფეოსი კედლისაკენ გადაბრუნდება. ვერიდიკე მას უფრო მაგრად შეანძრევს.

ვერიდიკე – ორფეოს!...

ორფეოსი (ძილში) – გიყვართ ეს კაცი? თქვენ გეკითხებით, გიყვართ ეს კაცი?

ვერიდიკე (ანჯღრევს) – ორფეოს...

ორფეოსი – რა მოხდა? შენა ხარ? (თვალს ახელს და უნდა მობრუნდეს.)

ამ დროს სინათლე ქრება. სრული სიბნელე. სიბნელეში ისმის მათი ხმები.

ვერიდიკე – მე ვარ... ვერიდიკე... ვიცი, ხშირად, ძილის წინ, ლამფის ჩაქრობა გაეწივდება, მაგრამ უკვე ერთი საათია, რაც შუქი გამორთეს. შემთხვევით ვისარგებლე და წიგნის ასატანად ჩამოვედი.

ორფეოსი – წიგნის ასატანად? სიბნელეში რომ იყითხო?

ვერიდიკე – უნდა გამიგო...

შუქი ინთება. ევრიდიკე უწინდებურად ორფეოსის საწოლზე დახრილი. ორფეოსი – კედლისკენ მიბრუნებული.

ორფეოსი – ოჰ! ნუთუ არ გესმის, შენი ასეთი დაუდევრობა რით შეიძლება დამთავრდეს? ზევით აბრუნდი და ლუკი დახურე. როგორ შემაშინე.

ევრიდიკე – ხომ აღარ მიბრაზდები?...

ორფეოსი – არა. რა თქმა უნდა არა. ადი და დაიძინე... (ევრიდიკე საძინებელში ადის.)

ავტორის ხმა – შუქის ხანმოკლე გამორთვამ ჩანაფიქრის განხორციელებაში შეუშალა ხელი. ცხოვრება გრძელდებოდა... მეორე დღით კი...

წაფენა

გარაჟი, დილაა. მანქანის ღია კარიდან ჩანს ორფეოსი, რომელიც რადიო-ინფორმაციის დაჭერას ცდილობს, მაგრამ რადიომიმღები მოკლე ტალღებზე გადმოცემულ მორხეს სიგნალებს ვერ ღებულობს. გარაჟში შემოდის ერთებიანი და მანქანის ღია კარს უახლოვდება.

ორფეოსი – ამ სიგნალების თუ გაგეგებათ რამე?

ერთებიანი (მიაყურადებს) – ბირჟის ინფორმაციებია.

ორფეოსი – (იჭერს სხვა რადიო ტალღას) – ამათი...
ერთებიანი – ფრთხილად, თქვენი ცოლი მოდის.

ორფეოსი – ისეუ!

ერთებიანი – სასოწარკვეთამდე ნუ მიიყვანთ.

ევრიდიკე (კარის მეორე მხრიდან) – შეიძლება შემოვიდე?

ერთებიანი (ორფეოსს) – წუთით თვალები დახუჭეთ. (ყვირის:) – დიახ.

შემობრძანდით!

ბაღში გასასვლელი კარით შემოდის ევრიდიკე და მანქანასთან მიდის.

ერთებიანი – თქვენი ქმარი ბირჟის ცნობებს უსმენდა. უკანა სკამზე ჩამოჯექით. ერთებიანი მანქანის უკანა კარს აღებს. ევრიდიკე მანქანაში შედის. რადიოს ხმა. ერთებიანი ევრიდიკეს გვერდით, ევრიდიკე კი ზუსტად ორფეოსის უკან ჯდება.

ევრიდიკე – ხელს ხომ არ გიშლი?

ორფეოსი – შინ რომ არ შემეწუხებინე, ყველა რადიომიმღები აქ ჩამოვიტანე.

ევრიდიკე – რა საშინელი ხმებია.

ისე ახლოს მიაქვს სახე ორფეოსთან, რომ მის ლოყას ეხება.

ერტებიზი – ფრთხილად.

ვერიდიკე – ფრთხილად? ორფეოსი ხომ ვერ მხედავს, მე კი მის ლოყას ვეხები. რა კარგია.

უცბად რადიოდან, რომელსაც ორფეოსი აწვალებს ისმის:

რადიო – ...ოცდაორი. სამჯერ. ორჯერ ორი, ოცდაორი. სამჯერ...

ორფეოსი ზემოთ ამოიხედავს და მანქანის უკანა ხედის დასანახ სარკეში ვერიდიკეს მზერას ხედავს. ვერიდიკე ქრება.

ერტებიზი (ყვირის) – სარკე!

ორფეოსი (ყვირის) – ვერიდიკე!

ორფეოსი და ერტებიზი მანქანიდან გადმოდინან. გაისმის დაუდაფუების ხმა.

ერტებიზი – ეს გარდაუვალი იყო.

ორფეოსი – ასე იყო საჭირო! ასე იყო საჭირო, ერტებიზ! კმარა კომპრომიზები და გარიგებები! ამით ვერაფერს მოაგვარებ. დრამაა საჭირო! მოსახდენი უნდა მოხდეს!

ისმის დაუდაფუების ხმა და ყვირილი: სე-ჟესტ! სე-ჟესტ! სე-ჟესტ! ორფეოსი კარისკენ გარბის.

ერტებიზი – ორფეოს! ორფეოს! (ცდილობს დაამშვიდოს)

კამერა აჩვენებს ღია კარს და ორფეოსს. ორფეოსი ბაღში გამორბის. გზის პირიდან ჭიშკარს ანჯღრევენ, აბრახუნებენ, შიგ შემოჭრას ლამობენ. ორფეოსი ქვების წვიმაში ხედავს, იმსხურევა მიწები.

ორფეოსი (უყვირის ერტებიზს) – ქვები! ქვები! მათგან ჩემს ბიუსტს გამოთლიან.

კადრში მოჩანს გარაჟი და ჭიშკრის მარცხენა კუთხე. ერტებიზი იქით გარბის.

ერტებიზი – შინ შედით! (ქვები მასაც ჩაუქროლებს.)

ორფეოსი ერტებიზის გვერდით, ჭიშკართან, კედელს ეკერის.

ორფეოსი – აი ისინიც! ვიცოდი, მოვიდოდნენ, არამზადები. წერილი, ერტე-

ბიზ! ანონიმური წერილი!.. (ყვირილი) –
ფერილი – სე-ფესტ! სე-ფესტ! სე-ფესტ!

ქუნა. იქ შეკრებილი ახალგაზრდები ქვებს ისერიან და ყვირიან. ბალი.

ერტებიზი – მივალ, დაველაპარაკები...

ორფეოსი – თუ იცით რას ფიქრობს მარმარილო, როცა მისგან შედევრს აქანდაკებენ? ის ფიქრობს: მცემენ! მასახიჩრებენ! შეურაცხყოფენ! დავიღუპე! ცხოვრება მაქანდაკებს ერტებიზს, აცალეთ დაასრულოს თავისი ქმნილება.

ერტებიზი გარაფისაკენ გარბის.

გარაფი – ავტომანქანა. ერტებიზი მანქანიდან რევოლვერს იღებს და ფეხზე შეაყენებს.

ბალი. ერტებიზი ორფეოსთან მიდის და რევოლვერს აძლევს.

ორფეოსი – ლაჩრები!

ერტებიზი – იარაღით დამუქრეთ. თქვენ თქვენს სახლში ხართ!

გზა. სატვირთო მანქანის საბარგულში ფეხზე მდგარი ბაკქელი ქალები ბრბოს შემახილებით ამხნევენ: იერიშზე გადადით! იერიშზე!

ჭიშკარი. ახალგაზრდები კედელზე მიძვრებიან და ჭიშკარს ალებენ. ზოგი უკვე ბალშია. დაფდაფების ხმა წყდება. ახალგაზრდების პირისპირ რევოლვერით ხელში დგას ორფეოსი.

პირველი მწერალი – ეგ რევოლვერი აქ მომეცით. გიბრძანებთ, გესმით, რევოლვერი მომეცით.

ორფეოსი – მე კი გიბრძანებთ აქაურობის გაეცალოთ. უფლებას არ მოგცემთ შემომეჭრათ.

პირველი მწერალი – შემოგეჭრებით კიდეც თუ მოვინდომებ.

ორფეოსი – ჩემი მოკვლა გნებაეთ?

პირველი მწერალი – გვინდა ვიცოდეთ სად არის ჟაკ სეფესტი. თქვენთანაა?

ორფეოსი – არ გაინძრეთ, თორემ გესვრით... იცოდეთ, გესვრით...

ვიღაც ჩინელი ორფეოსს ხელს ამოუტრიალებს. გასროლა. რევოლვერი ძირს ეცემა. ერთ-ერთი ახალგაზრდა დავარდნილ რევოლვერს იღებს. ორფეოსი ნიკაპში მუშტს ურტყამს და ხელიდან უსხლტება. ახალგაზრდა წაიბორძიკებს. გასროლა. ორფეოსს ხელები მუცელთან მიაქვს. ახალგაზრდა გარბის. ორფეოსი ეცემა. ისევ დაფდაფების ხმა.

გზა. დაფდაფების ხმა. ყვირილი. ძრავების გუგუნი.

გვირილი – პოლიცია! პოლიცია! თავს უშველეთ!

კადრში ჩანს ბაკქელი ქალების მანქანა.

აგლაონისი (მანქანაში დგას) – წავედით! წავედით! აქაურობას გავეცალოთ!

ბიჭები მანქანებს ეკიდებიან, შიგ ხტებიან. მანქანები დაიძვრება. მათ ადგილას პოლიციის მანქანა ჩერდება. მოტოციკლების გუგუნი.

ბალი. მოტოციკლისტები ჭიშკრისაყენ უხვევენ, ძირს ყრიან მოტოციკლებს და ბაღში შედიან. მათ უკან პოლიცია მისდევს.

გზა. პოლიციელები გაძალიანებულ ყმაწვილებსა და ქალიშვილებს მანქანაში ყრიან.

ბალი. პირველი მოტოციკლისტი და ერთებიზი ორფეოსის ცხედარს მკლავებში ხელებს ამოსდებენ და გარაჟამდე მიათრევენ. ავტომატით შეიარაღებული მეორე მოტოციკლისტი ჭიშკრის წინ რჩება და იქ მოსულ, დამფრთხალ პოლიციელებს ახლოს არ უშვებს.

პოლიციელები – შესასვლელი გაათავისუფლეთ!

მეორე მოტოციკლისტი – დაჭრილისათვის დახმარების გასაწევად ვართ მოსულები. წყნარად თუ იქნებით ხელს არავინ გახლებთ.

გზა. კადრში ჩანან პოლიციელები, რომლებიც გაძალიანებულ ახალგაზრდებს ხელკეტებით სცემენ. კამერა ბრუნავს: ხან ჭიშკარს, ხან გზას და ხანაც გარაჟად გადაკეთებულ საჯინიბოს აჩვენებს. ძრავის გუგუნი. იღება ჭიშკრი და უკუსულით გამოდის „როილსი“. საჭესთან ერთებიზი ზის. მას მანქანა სწრაფად გაჰყავს გზაზე და გეზს მარჯვენისაყენ იღებს. ერთებიზს უკან გრიგალივით მისდევს ორი მოტოციკლისტი. პოლიციელები გზაზე გამორბიან და მოტოციკლისტებს ესვრიან. მთელ ეპიზოდს ძრავების გუგუნი, სასტვენებისა და დაფდაფების ხმა ახლავს.

წაფენა – უკაცრიელი ქუჩა. ვიადიუკი. მოდის „როილსი“ და შუა ვიადიუკზე ჩერდება. მანქანას ორივე მხარეს თითო მოტოციკლისტი უდგას. მანქანის საჭესთან ერთებიზი ზის. ერთ-ერთი მოტოციკლისტი ერთებიზს უახლოვდება:

მოტოციკლისტი – სალამი! მზადაა?

ერთებიზი – მზადაა.

ერთებიზი მობრუნდება. კამერა ორფეოსის უკან გადაკედებულ თავს, მისი თვალების გაყინულ მზერასა და მთლად გაშვებულ სხეულს აჩვენებს. მანქანა ადგილიდან იძვრის. გზის საერთო ხედი. მანქანა მოტოციკლისტებთან ერთად ნელ-ნელა ქრება.

წაფენა

კიბე პრინცესას ქალაქგარეთა სახლში, ღამეა. დაფდაფების ხმა. კადრში: ორფეოსი და ერთებიზი კიბეზე ადიან. წინ ორფეოსი მიდის, მას თითქოს ზეზუნურად სძინავს. ერთებიზს ხელები მის მხრებს ზემოთ აქვს აწვდილი, და კიბეზე ასვლაში შეულის. ისინი ობიექტივს ჩაუვლიან და, როცა სარკიანი ოთახისაკენ მიმავალი კიბის საფეხურებზე იწყებენ ჩასვლას, მათი ფეხები მხედველობის არიდან იკარგება.

წაფენა

ზონა. განათება იგივეა, როგორც ორფეოსისა და ერთებიზის პირველი მოგზაურობისას. კამერა კიბის ნანგრევებს უახლოვდება. პრინცესა და სეფესტი იცდიან. ისინი თითქმის იგივე პოზაში დგანან, როგორც სასამართლო პროცესის ბოლო კადრში. პრინცესა დიდხანს იხედება მარცხნივ. შაუები აცვია. თმა გაშლილი აქვს. დაფდაფების ხმა კლებულობს და კამერის გაჩერებასთან ერთად წყდება.

პრინცესა – სეფესტ...

სეფესტი – დიახ, ქალბატონო?...

პრინცესა – პირველადაა, თითქოს დროის ცნების შეგრძნება მეუფლება. წარმომიდგენია რა საშინელი უნდა იყოს მოკვდავთათვის მოლოდინი...

სეფესტი – მე კი უკვე დამავიწყდა.

პრინცესა – ხომ არ მოგწყინდათ?...

სეფესტი – ეს რას ნიშნავს?... – დუმილი.

პრინცესა – მაპატიეთ, ეს ისე, ჩემთვის ვთქვი.

ზონა. თაღები. კვლავ გაისმის დაფდაფების ხმა. კედელი, რომლის გასწვრივაც, მოქმედმა გმირებმა უნდა ჩაიარონ, გადაღებულია საშუალო სიმაღლიდან, ტრაველინგით და საკმაოდ შორიდან, რაც კადრში ვრცელი სივრცის მოქცევის საშუალებას იძლევა. კადრში მარჯვნიდან, ერთებიზი და ორფეოსი გამოჩნდებიან; ძლივს მოცოცავენ – სინამდვილეში ისინი მიწაზე წვანან და გადასადგილებლად ხელებს იშველიებენ. გადაღების ეს ხერხი მათ პოზებს უცნაურ ელფერს აძლევს. ისინი ღია ნიშაში შეყუჟულ მოხუც ქალს ჩაუვლიან.

ავტორის ხმა – ეს მოგზაურობა უწინდელს აღარ ჰგავს... ერთებიზს ორფეოსი მიჰყავს იქ, სადაც არ უნდა მიჰყავდეს... აღარც მისი უძრავი სვლაა შთამბეჭდავი. ორფეოსი და მისი მეგობარი გზას ძლივს მიიკვლევენ. საიდანღაც მონაქროლი იდუმალი ქარი მათ ხან უკან ეწევა, ხან კი წინ მიაქანებს.

მსახიობები ვერტიკალურად აღმართულ სიბრტყიდან ცურდებიან და თითქოს აყირაკებულ დეკორაციებს დაჰფარფატებენ. კედლის ძირი. ორფეოსი კედლის ძირას ვარდება და ცოცვით კადრიდან გადის. ერთებიზიც მას მიჰყვება.

დაფაფების ხმა წყდება. მუსიკა.

ჩამონგრეული კიბე. კამერა პრინცესასა და სეფესტს აჩვენებს.

სეფესტი – მოდიან...

პრინცესა მარჯვნივ გარბის, მარტო ტოვებს ადგილზე გაშეშებულ სეფესტს. კადრში მოჩანს თაღები, ისეთი, როგორიც აფირავებულ კედელთან. პრინცესა და ორფეოსი ერთმანეთს ამ თაღებქვეშ ხელებიან.

მუსიკა

კამერა კადრში პრინცესასა და ორფეოსის მიხუტებულ სახეებს აჩვენებს; ისმის მათი ჩურჩული:

პრინცესა – ორფეოს!

ორფეოსი – შენთან შეხვედრის საშუალებას მივაგენი.

პრინცესა – იმდენს, იმდენს გეძახდი ჩუმად და აი, შენც მოხვედი...

ორფეოსი – მესმოდა როგორ მეძახდი, მესმოდა და გელოდი...

პრინცესა – არ მინდოდა მოკვდავთა შორის ყოფილიყავი...

ორფეოსი – სად დავიშალეთ?

პრინცესა – დამალვა აღარ გეჭირდება. თავისუფლები ვიქნებით.

ორფეოსი – მუდამ...

პრინცესა – მუდამ. მაგრად ჩამიხუტე ორფეოს, მაგრად ჩამიხუტე...

ორფეოსი – ყინულივით მშანთაე.

პრინცესა – ადამიანური სითბო ჯერაც არ გავნელებია. რა კარგია.

ორფეოსი – მიყვარხარ.

პრინცესა – მიყვარხარ. ხომ დამიჯერებ?

ორფეოსი – შენი მორჩილი ვიქნები.

პრინცესა – რაც არ უნდა გთხოვო?

ორფეოსი – რაც არ უნდა მთხოვო.

პრინცესა – რომ გაგწირო და სატანჯველად გაგიმეტო მაშინაც?

ორფეოსი – შენი ვარ, აღარასოდეს მიგატოვებ.

პრინცესა – აღარასოდეს.

პრინცესას სახე ორფეოსის სახეს შორდება; ის ერთბაშად მიმართავს.

პრინცესა – ერთბაშად, იცით თქვენგან რასაც მოვითხოვ?

ერთბაშად – კი მაგრამ... ქალბატონო...

პრინცესა – მხოლოდ ესლა შეგვიძლია. წამსაც ვეღარ დაეკარგავთ.

ერთბაშად – იქნებ დაფიქრდეთ კიდევ...

პრინცესა – რაღა საჭიროა ფიქრი, ერთბაშად!

ერთებიზი – არც ერთ სამყაროში, არაფერია ამაზე მნიშვნელოვანი.
პრინცესა – ლაჩარი ხართ?

მიუბრუნდება ორფეოსს.

აქტორის ხმა – პოეტის უკვლავსაყოფად მისმა სიკვდილმა მსხვერპლი უნდა გაიღოს.

პრინცესა – ორფეოს... ერთხელ კიდევ გთხოვ, ნუ ეტლები გაიგო ის, რასაც ახლა ვიხამ. რადგან ამის გაგება თვით ჩვენს სამყაროშიც გაუჭირდებოდათ.

ერთებიზი ორფეოსს კედლისკენ უბიძგებს.

ერთებიზი – აქ გაჩერდით.

ორფეოსს დასახვრეტი ტუსალივით კედელთან მიაყენებს.

პრინცესა – ჩქარა... ჩქარა... (ემახის:) სევესტ!? მუშაობას შეუდექით!

ერთებიზი სწრაფად დგება ორფეოსის უკან და თვალებსა და პირზე ხელს აფარებს. მარცხნიდან გამორბის სევესტი და ორფეოსს ფეხებში სწვდება. ისინი ორფეოსის გაკაკუებას ცდილობენ. ორფეოსი ეწინააღმდეგება.

პრინცესა (ყვირის) – ორფეოს, არ გაინძრე! დამშვიდდი! შენ ზომ სიტყვა მომეცი.

ორფეოსი ნებდება. პრინცესა ერთებიზსა და სევესტთან მიდის და მათ ხელმარცხნივ, კედელთან დგება.

იმუშავეთ! იმუშავეთ! ერთებიზ, გეხმარებით! თქვენთანა ვარ. ნუ მოეშვებით. ითვალეთ, იანგარიშეთ, მომბაძეთ, ჩემსავით თავდაუზოგავად იმუშავეთ. მიდით, კედელს ჩაატანეთ. ასეა საჭირო! ნებისყოფის გარეშე ხეიბრები ვხდებით... მიდით... მიდით... მიდით!...

ერთებიზი (შორეული ხმით) – არ შემიძლია.

პრინცესა – უნდა შეძლოთ ერთებიზ, უნდა შეძლოთ. (ფეხს დააბაკუნებს.)

ერთებიზი – არ შემიძლია...

ერთებიზი ორფეოსს თვალებიდან და პირიდან ხელს აშორებს. ორფეოსს თავი მძინარესავით უკან უვარდება.

პრინცესა – ცუდად მუშაობთ! მე ნულარ დამელაპარაკებით! თავში ჩალრმავეებით სცადეთ გამოხვიდეთ საყუთარი თავიდან! გაიქცით! გაიქცით! გაფრინდით! ყველა დაბრკოლება გადალახეთ!

ჩანს ზეზეურად მძინარე ორფეოსი, რომელსაც თავი ერთების მხარზე უდევს. გაშეშებული სეფესტი კი ორფეოსის ფეხებთან მოყუნტულა. მათ წინ დგება პრინცესა.

პრინცესა – ვხედავ, ახლოს ხართ მიზანთან! მიზანს აღწევთ!
ერთებიზი (იმავე, შორეული ხმით) – მიზანს ვაღწევ...

ეკრანზე პროფილში ჩანს პრინცესა, ერთების და ორფეოსი, რომელსაც ძილისაგან მოწყვეტილი თავი ერთების მხარზე უდევს.

პრინცესა – კიდევ სულ ცოტაც, ერთებიზ. სულ ცოტაც! სულ ცოტა! გამოგივიდათ? მიპასუხეთ. გამოგივიდათ?

კადრში ორი პროფილია. ერთი, ჩვეულებრივი, სეფესტისაა, მეორე კი, უკან გადაგდებული თავით, ორფეოსისა. კედელზე, ორფეოსის თავთან ჩნდება პრინცესას სახე.

გამოგივიდათ?

ერთებიზი (შორეული ხმით) – გამოგივიდა.

პრინცესა – მამ, გზას გაუდგეთ! დრო უკან დააბრუნეთ. ის რაც მოხდა აღარ უნდა განმეორდეს.

ეკრანი ბნელდება. კადრში ზონის იგივე დეკორაციები, რაც პირველი მოგზაურობისას, მაგრამ ახლა ფირი უკულმა ბრუნავს. ორფეოსი უკან იხევს. ერთების მას ცალი ხელით მართავს. გზაზე მეშუშებს ხედებიან. უცბად ერთების ხელი შუბლთან მიაქვს და ჩერდება. ჩერდება ორფეოსიც.

ზონა. მის ფონზე: პრინცესა, ერთების, ორფეოსი და სეფესტი.

ერთებიზი (იგივე, შორეული ხმით) – ძალიან დავიღალე...

პრინცესა – ფეხებზე მყიდია! იმუშავეთ! მიღით იმუშავეთ! გიბრძანებთ.

ფირი კვლავ უკულმა ბრუნავს. ერთების წელში სწორდება და მიდის; ორფეოსი უკან იხევს. ორივენი დანგრეული ქუჩის ბოლოში უჩინარდებიან. საძინებელი ოთახი. ერთების და ორფეოსი სარკიდან ოთახში შემოდინან. ზონა.

პრინცესა – სად ხართ?

ერთებიზი – საძინებელ ოთახში...

პრინცესა – ხელთათმანები სადაა! ჩქარა, ხელთათმანები!

ორფეოსის საძინებელი. საათი ექვსჯერ რეკავს. ორფეოსი ხელთათმანებს იძრობს და ერთებისს ესერის. ერთების ხელთათმანებს ჯიბეში იღებს. ორფეოსი კადრიდან მარჯვნივ გადის. კამერა ერთებისზე ჩერდება.

ვერიდიკეს ხმა – მიყურებდი როგორ შეძინა?
ორფეოსის ხმა – კო, ჩემო სიყვარულო.

კამერა ჩახუტებულ ორფეოსსა და ვერიდიკეს აჩვენებს. ორფეოსი ვერიდიკეს წინ მუხლებზე დგას.

ვერიდიკე – საშინელი სიზმრები დამესიზმრა...
ორფეოსი – ცუდად ხომ არა ხარ?
ვერიდიკე – არა, ოღონდ ცოტა თავი მტკიავა...
ორფეოსი (კოცნის) – მე მოგარჩენ.

ვიდრე ისინი ასე საუბრობენ, კამერა ოთახის შუაგულში გაჩერებულ ერთ-ერთ ბიზს აჩვენებს.

ვერიდიკეს ხმა – მუშაობდი?
ორფეოსი – ვმუშაობდი...
ვერიდიკეს ხმა – ძალიან ბევრს მუშაობ. დაისვენე.
ორფეოსის ხმა – ჩემი წიგნები თავისით არ იწერება.
ვერიდიკეს ხმა – შენი წიგნები სწორედაც რომ თავისით იწერება...
ორფეოსი – მე მხოლოდ ოდნავ ვეხმარები. ბიჭი ხომ არ გაბრაზებს?
ვერიდიკე – ორფეოს, იქნებ გოგოა...
ორფეოსი – ბიჭია, ბიჭი.
ვერიდიკე – წიხლებს მირტყამს. მუშტებსაც, როგორც მოკრივე.
ორფეოსი – მამასავით საძაგელი იქნება.
ვერიდიკე – რას ამბობ, შენ და საძაგელი? (ერთმანეთს კოცნიან და იცი-ნიან.)
ორფეოსი – ბევრს არ ვუყვარვარ.
ვერიდიკე – ნუ სცოდავ, გაღმერთებენ!
ორფეოსი – ბევრსაც ვძულვარ.
კამერა კვლავ ერთგებიანზე ჩერდება, რომელიც წყვილს დიდხანს აკვირდება და სარკესთან ნელ-ნელა, წაფენით ქრება. კადრში – ცოლ-ქმარი.

ვერიდიკე – ეს მხოლოდ სიყვარულის ერთგვარი გამოხატულებაა.
ორფეოსი – ქვეყნად მხოლოდ ერთი, ჩვენი სიყვარული არსებობს...

ზონა. კადრშია სეჟესტი. ის ახლადგალევიძებულივით დგება. ორფეოსი აღარსადაა. ერთგებიანს ხელები თავთან მიაქვს.

პრინცესა – გამოგივიდა?
ერთგებიანი – გამომივიდა.

ერთგებიანი მარცხნივ იხედება. ნანგრევებიდან გამოდის ორი მოტოციკლისტი.

სეფესტი – ქალბატონო! ქალბატონო! თქვენი თანამემწეები! ნუთუ თქვენს დასაპატიმრებლად მოდიან?...

პრინცესა – დიახ, სეფესტ...

სეფესტი – გაიქცით!

პრინცესა (საშინლად დაღლილი ხმით) – სად?

სეფესტი – ქალბატონო, დაპატიმრების შემდეგ, აქ, თქვენთან, რა ხდება?

ერტებიზი – კარგი არაფერი...

სეფესტი – ეს ყველგან ასეა.

ერტებიზი – აქ კი მითუმეტეს...

პრინცესა (იქაურობას შორდება, ერტებიზს მოუბრუნდება) – ერტებიზ!...

ერტებიზი – დიახ, ქალბატონო?... (ახლოს მიდის პრინცესასთან)

პრინცესა – გმადლობთ.


ერტებიზი – არაფრის. ცხადია, ისინი მათ წუმპეშივე უნდა დაგვებრუნებინა, უნდა დაგვებრუნებინა.

(პრინცესასა და ერტებიზის მხრებზე მოტოციკლისტების ხელთათმანიანი ხელები ეშვება.)

პრინცესა – მშვიდობით, სეფესტ...

მუსიკას დაფდაფების ხმა ფარავს. პრინცესა და ერტებიზი მოტოციკლისტებს მიჰყვებიან. სეფესტის ახლო ხედი. ის წინ მოდის და მიმავალთ შემოფოთებული გასცქერის. ზონის ნანგრევების ვრცელი ხედი. მოტოციკლისტების თანხლებით მიმავალი პრინცესა და ერტებიზი თანდათან პატარავდებიან. მათი ჩრდილები მწყობრად მიცურავენ კადრის ფონზე და სანამ სულ გაქრებოდნენ, ეკრანზე ჩნდება სიტყვა:

დასასრული



unizyppurubnk vbyeyirich

ორჯომის ანდერძი

ფილმის ავტორი – შან კოკტო

ტექნიკური ხელმძღვანელი – კლოდ პინოტო

ოპერატორი – როლან პონტუაზო

მხატვარი – პიერ გიუფრუა

ხმის ოპერატორები – პიერ გერტრანი, რენე სარაზანი

მონტაჟი – მარინ-ჟოზეფ იოიოტი

კოსტიუმები და სეულატურა – შანიე შანი

პროდიუსერი – შან ტიუნი

„ლეს ელისიონ სინემატოგრაფიკსათვის„

სანამ მსახიობების გეარები დაიწერება, ეკრანზე მიღის უკანასკნელი კადრები ფილმიდან „ორფეოსი„

როლებში:

შან კოკტო
შან პიერ ლეო
ნიკოლ კურსალი
ფრანსუაზა პრისტოფი
ანრი კრამიე
დანიელ ჟელენი
ფილიპ ჟიუზო
დანიელ მუსგანი
ალის საპრიჩი
მარინ-ჟოზეფ იოიოტი
ედუარდ დერმი
მიტრ ანრი ტორესი
მიშელ კომტი
მარია კაზარასი
ფრანსუა პერიე
ქალბატონი ალექ ვინკელები
ფილიპი
გი დიუტი
ჟ. კ. პეტი
ალის ჰაილიგარი
მიშელ ლეპუა
ჟარარ შატაღანი
იულ ბრინარი
კლოდინ ოჟე
ჟაკლინ ვიკასო
ლუჩია გოზა
პაბლო ვიკასო
ლუი-მიგელ დომინგანი
შარლ აზნავერი
სერჟ ლივარი
შან მარე
ბრიჟიტ მორისანი

პოეტი
მოსწავლე
ახალგაზრდა დედა
მეღდა
პროფესორი
ეჭიმი პრაქტიკანტი
I ცხენკაცი
II ცხენკაცი
ბოშა ქალი
ბოშა ქალი
სეუესტი
კონფერანსიე
გოგონა
პრინცესა
ერტუბიზი
დაბნეული მანდილოსანი
გუსტავი
I ძალუკაცი
II ძალუკაცი
იზოლდა
შეყვარებული ქალი
შეყვარებული ვაჟი
მდივანი
მიხერვა

ოიდიპოსი
ანტიგონე

ორფეოსის ანდერძი
ანუ
„ნუ მკითხავთ რატომ“

ტიტრების შემდეგ დაფაზე ცარცით ორფეოსის პროფილის ხატვას ვიწყებ და თან ვამბობ:

კინემატოგრაფს შეუძლია მრავალ ადამიანს ერთდროულად, ერთიდაიგივე სიზმარი აჩვენოს და ამას გარდა, ირეალური ხილვები რეალიზმისათვის დამახასიათებელი სიცხადით გვიჩვენოს. ამაშია მისი უპირატესობა. ერთი სიტყვით, ის პოეზიასთან ზიარების შესანიშნავი საშუალებაა.

ჩემს ფილმში, როგორც სტრიპტიზულ სენსში, სულის სრულ გასაშისვლელად, თანდათან ვთავისუფლდები სხეულისაგან, რასაც იმ არც თუ მცირერიცხოვანი და მოკრძალებული საზოგადოებისათვის ვაკეთებ ზეჭეშმარიტების წედომა რომ სწყურია, ზეჭეშმარიტებისა, ერთ დღეს ჩვენი ეპოქის გამოხატულებად რომ იქცევა.

აი რას უანდერძებს პოეტი მომდევნო თაობებს, მას მუდამ მხარში რომ ედგნენ.

თმასავით გაშლილი კვამლი იფანტება და კლავნეას დანის წვერიდან გამო-სული საპნის ბუშტით ამთავრებს.

ჩემი ხელი, დანა და საპნის ბუშტი ეკრანიდან ქრება, მათ ნაცვლად მოჩანს ცარიელი სტუდია, სადაც შემდგომში ერთმანეთს სხეადასხვა დეკორაცია შეენაცვლება.

სკოლის მერხთან მიმჯდარი ბიჭუნა თავაულებლად წერს. ამ დროს გამო-ჩნდება ლუდოვიკო XV-ის ტანსაცმელში გამოწყობილი პოეტი. იგი თავის სამკუ-თხა ქუდს პაერში ისვრის და მერხს უახლოვდება.

კომენტარი – ქუდი ხელს მიშლიდა და სხვა დროში მოვისროლე, იქ, საიდან გამოსვლის უფლება თვითონაც მხოლოდ ორიოდ წუთით მომეცა.

პოეტი – პროფესორს მინდა ეესაუბრო.

ბიჭუნა (გაოცებული) – აქ რას აკეთებთ?

პოეტი – არაფერს! თქვენ რა, მისი ვაჟი ხართ?

ბიჭუნა – მამა არქიტექტორი მყავდა, გარდაიცვალა. მე თვითონ მინდა ცნობილი პროფესორი გავხდე, მაგრამ ამას დრო დასჭირდება...

პოეტი – გასაგებია...! (ქრება)

კომენტარი – ხელთათმანები დამრჩა ერთხელ კიდევ მომიწევს ბიჭუნას დაფრთხობა.

ახლო ხედი: დამფრთხალი ბიჭუნა.

მერხზე დავიწყებული ხელთათმანების წასაღებად მობრუნებული პოეტი.

პოეტი – მაპატიეთ. (ისევ ქრება)

ბიჭუნა – (ფეხზე წამოსტება და ყვირის) მუსიე! მუსიე!

პოეტი ქრება.

ცარიელი სტუდიის ერთ კუთხეში სვერის დეკორაცია: ბალის გრძელი სკამი, გაზის ლამპიონი და საბავშვო ეტლი. ახალგაზრდა, ასე ორმოციოდე წლის დედა ჩვილს არწევს და თან საჩხარუნოს იქნევს. გამოჩნდება პოეტი, რომელიც დედას ზურგიდან უახლოვდება და მისკენ იხრება. მის დანახვაზე შეშინებული ქალი ერთს წამოიცივლებს და ჩვილი ხელიდან უეარდება.

პოეტის ხმა – ჩინებულია!

პოეტი თითებს ატაკუნებს და ქრება. ძირს დავარდნილი, ატირებული ჩვილი დედას ხელში აკყავს, ეტლში აწევს და სტუდიის პროექტორებს შორის მიღობის.

კომენტარი – ასე შეეხვდი მეორედ პერსონაჟს, რომელსაც ყოვლად უაზროდ, ბედ-იღბალი აკურთ.

ცარიელი სტუდიის კიდევ ერთი კუთხე. გრძელი ხალიჩის ბოლოდან შედდა ინვალიდის ეტლს მოაგორებს. ეტლში მოხუცი ზის. პოეტი ჯერ არ ჩანს (თუმცა მისი ხმა ისმის, თამბაქოს ყნოსავს). მედდა შეყოვნდება. გამოჩნდება პოეტი. ხელში ცხვირსახოცი უჭირავს. შეშინებული მედდა უკან იხევს.

პოეტი – ნუ გეშინიათ მადმუაზელ! ასე ნაძლევის გამო მაცვია... ეტლით პროფესორი ხომ არ მოგაყოთ?

მედდა – დიახ, მუსიე. მაგრამ ხომ ვერ ამიხსნიდით...

პოეტი – არა, ეს შეუძლებელია. ერთი კითხვა რომ მიეცე პროფესორს?

მედდა – პროფესორი ვერას გაიგონებს და ვერც ვერაფერზე გიპასუხებთ.

როცა ჩვილი ყოფილა, დედამისს თურმე რაღაცის შეშინებია...

პოეტის სასაცილო გამომეტყველება.

ბავშვი ხელიდან გაეარდნია, თავი დაურტყამს და, თუმცა ამით თითქოს არაფერი დაშავებია, მაგრამ ერთ დღეს...

კომენტარი – პროფესორის სიცოცხლე ძაფზე ეკიდა და ეს ძაფიც გაწედა.

ახლო ხედი. მომაკედავ მოხუცს პირი ღია რჩება. კელავ ახლო ხედი. მოხუცს ხელიდან პატარა მრგვალი კოლოფი უვარდება. უზომოდ შეშინებული მედლა ინვალიდის ეტლს უკან მიაგორებს, თუმცა ჯერ არ იცის, პროფესორი რომ მოკვდა. ჩანს კოლოფი და პოეტის ხელი. ის დაიხრება და კოლოფს იღებს. კოლოფი, პოეტის ხელი და ფეხი კადრიდან ქრება. ხალიჩაზე მხოლოდ ფეხის მტერიანი ნაკვალევია.

კომენტარი – როგორც იქნა კოლოფი, რომელსაც ჩემთვის თავისუფლება უნდა მოეტანა ხელში მეჭირა და სიყვარულით ვეაღერებოდი.

სტუდიის კიდევ ერთი, სხვა კუთხე. კოლები და დისტილატორები. სტუდენტ-პრაქტიკანტის დახმარებით ოთახში მძიმედ შემოდის პროფესორი (ასე, დაახლოებით, ორმოცდაათი წლის იქნება). ორივეს თეთრი ხალათი აცვია და თეთრი ჩაჩი ხურავს. პროფესორი მეცნიერული გამოკვლევებისათვის საჭირო აქსესუარებით გადატვირთულ დიდ მაგიდასთან სკამზე ეშვება.

პროფესორი – არა უშავს. ოღონდ ცოტა თვალს მოვატყუებ, მერე კი ისევ ჩვენს გამოკვლევებს მივუბრუნდები.

სტუდენტი-პრაქტიკანტი – პროფესორო, იქნებ ნემსი გაგიკეთოთ?

პროფესორი – არა, გმადლობთ. მარტო დამტოვეთ. მალე უკეთ გავხდები. ეს სულ იმ დაცემის ბრალია. არაინ იცის, როდის იჩენს ხოლმე თავს ასეთი უაზრო შემთხვევის შედეგი.

კომენტარი – შესაძლოა, ეს სულ სხვა და არა ჩვილი პროფესორის დაცემაზე იყო საუბარი, მაგრამ დროის მიღმა ყოფნა მთელ პასუხისმგებლობას მაინც მე მაკისრებდა.

სტუდენტი-პრაქტიკანტი ტოვებს პროფესორს და ადის კიბეზე, რომელიც არსად მიდის. კიბე აქ მივიწყებული, რომელიდაც ძველი, დეკორაციის ნაწილია. ახლო ხედი. პროფესორი თავს ძალიან ცუდად გრძნობს. მის მხარზე ჩნდება ხელი. პროფესორი თავს მაღლა ასწევს და დაინახავს პოეტს. მას ლუდოვიკო XV-ის დროინდელი პარიკი ახურავს.

პოეტი - მოგესალმებით. ვერ მიცანით?

პროფესორი - მგონი...

პოეტი - აბა, გაიხსენეთ.

პროფესორი - ის უცნაური კაცი ხომ არ ხართ, სიყმაწვილეში რომ გამო-
მეტხადა?

პოეტი - გამოიცანით...

პროფესორი - მაშინ ცამეტი წლისა ვიყავი... თუმცა გუშინდელ დღესავით
მახსოვს, რა ძალიან შემაშინეთ... მინდა გავიგო...

პოეტი - პროფესორო, ალბათ მთელ ქვეყანაზე ერთადერთი ხართ, ვინც
გაგებას არ ცდილობს და ერთადერთი, ვისაც აუხსნელი ესმის. მე კი ზედმეტის
ცოდნა მოვიწოდებ. საშინელი დაუდევრობა გამოვიჩინე, რაზეც ახლა პასუხს
ვაგებ. დროსა და სიურკეში ამებნა გზა-კვალი. სად არ გექმებთ. ეს ჩემი თე-
ატრალური კოსტიუმი არ გეგონოთ, იმ ეპოქის სამოსელია, რომელშიც სახი-
ფათო წამოწყებამ მიმიყვანა. რომელი წელია ახლა?

პროფესორი - 1959

პოეტი - დასწყევლოს ღმერთმა! ჩემი ანგარიშით ახლა 2209 წელი უნდა
იყოს.

პროფესორი - მაშინ ხომ მე უკვე ამ ქვეყნად აღარ ვიქნებოდი...

პოეტი - პროფესორი ლანჩვენი... 1*

პროფესორი (პოეტი ამ დროს მაგიდას გარს უვლის) - პროფესორი ლანჩვე-
ენი ყველა მეცნიერივით მეტისმეტად გულუბრყვილო იყო. ზუსტი მეცნიერებე-
ბის არსებობა მხოლოდ XIX საუკუნეში სჯეროდათ. პროფესორმა ლანჩვენიმ
არ იცოდა, რომ დროისა და სიურკის პერსპექტივები ერთი და იმავე კანონებს
ექვემდებარება. მართალია, თქვენი წასვლიდან 250-მა წელმა განვლო, მაგრამ
თქვენმა დაბრუნებამ განვლილი წლები გააუქმა და ეს 250 წელი არცერთ ჩვენგანს
აღარ ენება. ხომ ვერ ამიხსნიდით როგორ მოახერხეთ დროში მოგზაურობა?

პოეტი (რომელიც სტუდიის ერთ-ერთ კუთხეში კედელს მიჰყრდნობია) -
პოეტებმა ბევრი საშინელი რამ იციან.

პროფესორი - ზოგჯერ მგონია, რომ მათ ჩვენზე გაცილებით მეტიც კი იციან.

პოეტი - პროფესორო, დროის მიღმურობა, განსაკუთრებით კი იქ ცხოვრება
ძნელი ასახსნელია. შეიძლება დაიბნე. მე ხომ თქვენ ზედზედ და ანაქრონულად,
თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე შეგხვდით. სულ რაღაც რამდენიმე
წუთის წინ, ძვირფასო პროფესორო, ღრმად მოხუცებული გიხილეთ, ავადმყოფს
ხელიდან აი ეს კოლოფი გაგივარდათ. მე ის ავიღე და ვგონებ, ამით თქვენ და
საკუთარ თავსაც გარკვეული სამსახური გაუწიე.

პოეტი უახლოვდება პროფესორს, იღებს ჯიბიდან კოლოფს და აძლევს.
პროფესორი რეკლავერის ტყვიებით სავსე კოლოფს ხსნის.

პროფესორის ხმა - აი ეს კი, შესანიშნავია. ამით დასტურდება, რომ
მატყუარა არა ხართ და მეც მოვახერხებ იმ წინააღმდეგობების დაძლევას
მოსვენებას რომ არ მაძლევენ. იმასაც ეხედები, რომ საკუთარი აღმოჩენის

წარმატებას ვერ მოვესწრები, მაგრამ რას იზამ, თქვენ რომ არა იგი ავადმყოფის ხელში აღმოჩნდებოდა და ჩემთან ერთად დასამარდებოდა. განა ასე არ არის? ეს კი, მართლაც შესანიშნავია...

პროფესორი აქეთ-იქით იყურება, თითქოს ეშინია, მის ნათქვამს არაეინ მოკერას ყური და ჩუმაღ კითხულობს:

ძვირფასო მუსიე, კაცურად, ერთი ისიც მითხარით ჩემს სიკვდილსაც ხომ არ შესწრებიხართ?

პოეტი – (მკერდზე მათრახს მიიღებს და რევერანსით პასუხობს) – მომიტევეთ პროფესორო, მაგრამ მომავალი ძალიან ცუდად მახსოვს.

პროფესორი – ამ ტყვიების თავისებურება თუ იცით?

პოეტი – ვიცი. ერთი შეხედვით დიდი არაფერია.

პროფესორი – მთავარი აქ დენთია.

პოეტი – სწორედ ამ თქვენი ტყვიებისთვის დაგეძებთ სივრცისა და დროის საშინელ ქაოსში. თუ არ ვცდები, ისინი შუქზე უსწრაფესად დაჰქრიან. პროფესორო, იქნებ ცდისპირად გამომიყენოთ. ეს ჩემი ხსნის ერთადერთი იმედი, შინ დაბრუნების ერთადერთი საშუალებაა.

პროფესორი – ცეცხლსასროლი იარაღი თუ გაქვთ?

პოეტი – ნუ გავიწყდებათ, მე მხოლოდ კაჟიანი რევოლვერი შემიძლია შემოგთავაზოთ.

პროფესორი – რამ დამაბნია? ის, რაც გეჭირდება, უჯრაში მიღევს. ჩვენს დროში მეცნიერები შეიარაღებულნი უნდა იყვნენ. ხომ არ მოსწევდით?

პოეტი – უარს არ ვიტყვი.

პროფესორი ცეცხლს უწვდის.

იმისათვის, რომ 1770 წელს სიგარეტი მომეწია იძულებული გავხდი თავი მის გამოგონებლად გამომეცხადებინა. ეს გამოგონება მაშინ აბსურდულად მიჩინიეს და მითხრეს, რომ მას არავითარი წარმატება არ ექნებოდა.

პროფესორი – ჩემი ექსპერიმენტის განვითარების ეტაპები თქვენთვის უცნობი არ უნდა იყოს. ამისათვის ჯერ უნდა მოგკლათ.

პოეტი – პირობითად?

პროფესორი – პირობითად.

პოეტი – დარწმუნებული ხართ, რომ გამოგივათ?

პროფესორი – სავსებით. მე გავასწორებ დროის იდუმალ ნაოჭს და თქვენი ცხოვრების წარსული წლები დაფაზე დაწერილი ციფრებივით წაიშლება.

ჩვენთან ზურგშეკცევით, ჩანს პოეტი. ის სტუდიის კეებერთელა, გასაწევი

კარისაყენ მიემართება, შეჩერდება, მობრუნდება, შორს მოისერის სიგარეტს და მათრახს მალლა ასწევს.

პოეტი – რა ნაცნობი მუსიკაა.

პროფესორი – აბა, ნუ გეშინიათ. შხადა ხართ?

პოეტი (მათრახს პაერში აწივლებს) – ცეცხლი!

პოეტი კადრს მიღმა ძირს ვარდება და მაშინვე, თანამედროვე კოსტიუმში გამოწყობილი წამოდგება. ფილმის შემდგომი მსვლელობისას მას სულ ეს კოსტიუმი ეცმება.

პოეტი მთვარეულივით ვეებერთელა კარისაყენ მიემართება.

კომენტარი – პროფესორი საყმაოდ მოქნილი გონების კაცი იყო და კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ კოსტიუმის შეცვლით ვერც ჩვენ დროს მოვაბრუნებდი და ვერც მასში ხელახლა სისხლსავსე ცხოვრებას გაეგარძელებდი.

პოეტი ალებს სტუდიის კარს. საღამოა. კადრში ჩანს „ვიქტორინის“ სტუდიები. ვეებერთელა კარის ზღურბლზე გამოჩნდება პროფესორი, რომელიც პოეტს დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს.

პროფესორი – წარმატებას გისურვებთ!

პოეტი – დიდად დამავალეთ!

პროფესორი – სულაც არა. მე პასუხს არ ვაგებ იმაზე, რაც შემდგომში შეიძლება შეგემთხვათ...

პოეტი – რას იზამ, ასეთი რისიკიანი პროფესია გვაქვს.

ისმის პენდელის მუსიკა.

პოეტი გეშორდება. ამასობაში პროფესორი ხურავს კარს, რომელზეც როგორც ჩრდილების თეატრში, სტუდიის მაღალი ამწის გამოსახულება ეცემა.

პოეტი ახლა ფასში ჩანს. ის უწინდებურად მთვარეულივით, უკვე ბოლო პროვანსის გზაზე მიიბიჯებს. მას წინ ცხენკაცი ხვდება. ამ ახალგაზრდა, შავმა-ისურიან კაცს გრძელი, შავი ძუის კული აბია და თავზე, კისრამდე, ცხენის ნილაბი აქვს ჩამოცმული.

ცხენკაცი ჩერდება. მობრუნდება და ნილაბს მოიხსნის; ის ბოშას კგავს, სერიოზული გამომეტყველებით აყოლებს თვალს მიმავალ პოეტს.

როცა ცხენკაცი ხელახლა გაიყვითებს ნილაბს, ახლა პოეტი მიბრუნდება მისკენ და უკან გააყვება.

ნელ-ნელა, ტუნძულით, ეგვიპტური სამარხის მსგავს საფლავს მიადგებიან. აქ ცხენკაცი ცარცის ლოდებს შორის უჩინარდება. პოეტიც მას მისდევს, მიუყვება კედელს, რომლის მსგავსიც მხოლოდ ბავშვობის სიზმრებში თუ არსებობს.

ისმის გიტარაზე აუღერებელი ფლამენოს ხმადაბალი კანკები. რომელიც თანდათან ხმადაბალი და ყურისწამლები ხდება. მას ბიჭების ერთი ჯგუფი ასრულებს.

ბოშათა ბანაკი. ბოშებს ის კლდეში ბუნებრივად გამოყვანილი ცირკის ადგილას მოუწყვიათ. პოეტი ფრთხილად მიიწევს მათყვენ. ფურგონის საფეხურზე ჩამომჯდარ ცხენაკს ცხენის თავი მუხლებზე უდევს და ფაფარს უვარცხნის. ფლამენკოს მელოდია თანდათან ცხრება და მის ნაცვლად სავარცხლის ხმა ისმის. მოშორებით ახალგაზრდა ბოშა ქალი ცეცხლიდან კერძს გადმოდგამს. ცეცხლის ალში ჩნდება სეფესტის ფოტო ფილმიდან „ორფეოსი“. ფოტო ცეცხლიდან ამოვარდება და დაგრაგნილი ბოშა ქალს უვარდება ხელში. ქალი შლის გრაგნილს, დასცქერის და სხვა, სიგარეტის მწვეველ ბოშა ქალთან მიაქვს, რომელიც პატარა მაგიდასთან მიმჯდარა და კარტზე მკითხაობს. ბოშა ქალი იღებს ფოტოს, ნაყუნებად აქცევს და მაგიდასთან მისულ პოეტს უწვდის. პოეტი ფოტოს ნაყუნებით ხელში უკან იხევს, ტოვებს ბოშათა ბანაკს. ცხენაკი ფეხზე წამოდგება და გაქცეულ პოეტს თვალს გააყოლებს.

კომენტარი – შორიდანვე ვიცანი სეფესტის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტო, ჩემი ფილმიდან „ორფეოსი“. არ მომეწონა ის ცხენაკი. ვიგრძენი მახეში გაბმას მიპირებდა და ვარჩიე, უკან აღარ გავყოლოდი.

პოეტი „მებაჟეთა გზით“ სენ-ჟანის შუქურასთან ჩადის.

აღლოთი ვგრძნობდი, სეფესტის დახეული სურათი წყალში რომ გადამეყარა, საბუღისწერო შეცდომას ჩავიდენდი.

პოეტი ფოტოს ნახევებს წყალში ყრის და მაშინვე ყვავილის გვირგვინის ფორმის საშინლად აქაფებული წყლიდან სეფესტი ბუტკოსავით ამოვარდება, ფრენით, მშვიდად ეშვება ნაპირზე, პოეტის წინ და იბისკუსის ყვავილს უწვდის.

პოეტისა და სეფესტის დიალოგი. შუქურა მათ სახეებს მკვეთრად ანათებს.

პოეტი – სეფესტი!

სეფესტი – ეს შენ დამარქვი ასე.

პოეტი – ძლივს გიცანი. შენ ხომ ქერა იყავი.

სეფესტი – ასე ფილმისათვის იყო საჭირო. ახლა ეს ფილმი აღარაა, ცხოვრებაა.

პოეტი – შენ ხომ მოყვდი.

სეფესტი – როგორც ყველა.

პოეტი – ზღვით რატომ დაბრუნდი?

სეფესტი – რატომ... ისევ და ისევ ეს მარადიული რატომ. ძალიან ბევრის გაგება გნებავთ. ეს კი სერიოზული ნაკლია.

პოეტი – ეს სიტყვები უკვე საღდაც მსმენია.

სეფესტი – თქვენი დაწერილია. ეს ყვავილი გამომართვით...

პოეტი – ის ხომ მკვდარია.

სეფესტი – თქვენ ხომ ფენიქსოლოგიის დიდი მკოდნე ხართ?

პოეტი – ეს რაღაა?

სეფესტი – მეცნიერება, რომელიც მრავალჯერ სიყვდილის სანაცვლოდ თავიდან დაბადებას გეპირდება.

პოეტი – არ მომწონს ეს მკვდარი ყვავილი.

სეფესტი – ყოველთვის როდი გააცოცხლებ მას, რაც მოგწონს. წავიდეთ...

პოეტი – სად მივდივართ?

სეფესტი – ნულარაფერს მკითხავთ.

ისინი ერთად მიუყვებიან შუქურისაკენ მიმავალ აღმართს. ბინდდება. კამერა ზეერავს ჩემს გობელენს, „ივლითი და ოლოფერნი“. ისმის საყვირების ხმა.

კომენტარი – ივლითმა ეს-ესა ნაბუქოდონოსორის 2* კაპიტან ოლოფერნს თავი მოჰკვეთა. მოსამსახურე ქალი იმ ოთახის ზღურბლთან დგას, სადაც ოლოფერნის თავი გაგორდა. ივლითი უკვე უბრალო ქალი და მდიდარი ებრაელი ბანკირის ასული აღარაა. ამიერიდან იგი საკუთარი ლეგენდის სარკოფაგად იქცა. სწორედ ასეთი ივლითი მიაბიჯებს ახლა მთვარის შუქზე ჩაძინებულ მცველებს შორის.

კადრში სტუდიაა. გობელენის წინ ესტრადა აღუმართავთ. სადღესასწაულოდ გამოწყობილი პატარა გოგონა კონფერანსიესთან ესტრადაზე ახტება და მაყურებელს ესალმება.

კონფერანსიე (მაგიდასთან ზის) – ახლა კი ყურადღება! ვინ იყო, ანტიკურ ხანაში თავის ფარდაგს ჯერ რომ ქსოვდა და მერე ისევე არღვევდა?

გოგონა – პენელოპე. 3*

კონფერანსიე – ყოჩაღ. ვინ იყო პენელოპე?

გოგონა – პენელოპე ოდისეისის ბოლო განსაცდელი იყო, რომელიც მას თავისი მოგზაურობის დასასრულს უნდა დაეძლია. 4*

კონფერანსიე – შესანიშნავია. აბა, თუ იტყვი რას ასახავს ეს გობელენი?

გოგონა – ივლითსა და ოლოფერნს.

კონფერანსიე – ვინ არის მისი აუტორი?

გოგონა – ჟან კოკტო.

კონფერანსიე – ჟან კოკტო ვინღაა?

გოგონა (ყოყმანობს) – მევიოლინე?

კონფერანსიე – ასეა, ასე. და ეს მევიოლინე უკრავს რომელ ვიოლინოზე?

გოგონა (თვალებს მადლა აღაპყრობს და იხსენებს) – რომელ ვიოლინოზე და

კონფერანსიე – ეე... ის, ეე... ის ვიოლინოზე...

გოგონა – ეშმაკის ვიოლინოზე!

კონფერანსიე – ეშმაკის კი არა, ენგრის ვიოლინოზე. 5* კეთილი, ახლა კი მხურვალე აპლოდისმენტებით დაეაჯილდოვოთ ჩვენი კონკურსის პატარა მონა-

წილე...

კონფერანსიე ტაშს უკრავს.

გოგონა წარმოსახვით მაყურებელს ესალმება. ამ დროს მის უკან, ესტრადაზე, პოეტი და სეფესტი მიაბიჯებენ. ისინი მარჯვნივ მიდიან. პოეტს ხელში იბისკუსის ყვავილი უჭირავს. სეფესტი პოეტს თითქოს უხილავი ძაფებით მართავს. გოგონა ტოვებს სტუდიას, რომელიც უცებ თეატრის კულისებს ემსგავსება.

ბალი, მწუხრის მზე.

პოეტი და სეფესტი ორანჟერეისაკენ მიემართებიან.

სეფესტი – ვიქჟაროთ. მწუხრის მამლები ყვირიან...

ორანჟერეა. მოლბერტზე ფართო ზეწარი გადაუფარებიათ, სადგამზე კი დასახატად ყვავილის ცარიელი ქოთანნი დაუდგამთ. სეფესტს პოეტის მაცა უჭირავს და იბისკუსის ყვავილის ცარიელ ქოთანში ჩადებას აიძულებს.

სეფესტი – დღის სინათლეზე გამოიტანეთ თქვენი ღამე და კარგად დაინახეთ ვინ არის მბრძანებელი და ვინ, ბრძანებების აღმსრულებელი.

პოეტი ჩაბლუჯავს ფუნჯებს და მოლბერტიდან უკან იხევს. მოლბერტზე გადაფარებული ქსოვილი ირხევა და მიფრინავს. ჩვენ თვალწინ დიდი ფერწერული ტილოა – „ოიდიპოსი და მისი ქალიშვილები.“ 6* მერე, ისევე როგორც წინა სცენაში, ზეწრის მომდევნო აფრენის შემდეგ, ჩანს შედარებით მომცრო ტილო – „მკედარი ორფეოსის თავი.“ 7*

კომენტარი – რა თქმა უნდა, ხელოვნების ნაწარმოებები თავისით იქმნებიან და დედ-მამის მოვლაზე ოცნებობენ. ცხადია, ისინი მანამდეც არსებობენ, ვიდრე მათ ოსტატი აღმოაჩენს, მაგრამ რატომ მუდამ ეს „ორფეოსი“, მუდამ ეს „ოიდიპოსი!“. მეგონა ციხე-კოშკის შეცვლით მოჩვენებებიც შემეცვლებოდნენ, რომ მათ აქედან ყვავილი გააქცევდა.

უკანასკნელ ნახატს რომ ეფარა, ის ზეწარიც მიფრინავს და აშიშვლებს დაფას, რომელსაც პოეტი ჩვრით წმენდს. იგი ხან ყვავილის ქოთანს და ხანაც დაფას აკვირდება, თითქოს იბისკუსის გადმოხატვას ცდილობს. დაფის საწმენდი ჩვრიდან პოეტის ავტოპორტრეტი გამოდის. პოეტი უკან იხევს და გაბრაზებული ყრის ფუნჯებს.

სეფესტი სახეზე სიყვდილის ნიღაბს აიფარებს და ამბობს:

სეფესტი – ნუ ჯიუტობთ, მხატვარი ყოველთვის თავის პორტრეტს ქმნის. ამ ყვავილს კი, ვერასოდეს დახატავთ.

პოეტი სწვდება იბისკუსის ყვავილს, აგლეჯს ფურცლებს და ფეხით თელავს.

პოეტი – დამპალი ნაგავი! ნაგავი! ნაგავი!

სეფესტი (ძირს დაცვენილ ყვაილის ფურცლებს რელიქვიასავით სათუთად აგროვებს და ქოთანში დებს) – არ გრცხენიათ?

ისინი ორანჟერეიდან გამოდიან და ჩემი მოზაიკებით დამშვენებულ სანტო სოსპირის ვილას ეზოში შედიან.

სეფესტი ყვაილის ქოთანს მაგიდაზე, სატირის მოზაიკის წინ დგამს და პოეტს რომ ადგილი დაუთმოს, უკან იხევს.

მაგიდასთან დგას პოეტი. შავი მანტია და ოქსფორდის უნივერსიტეტის ოთხეუთხა ქუდი ახურავს. პოეტი ჯდება.

სეფესტი – თქვენი ჯერია დოქტორო, გვიჩვენეთ, რაც შეგიძლიათ.

ხანგრძლივი მუსიკალური მუნჯი, სცენა ი. ს. ბახის „მენუეტისა“ და „ფანტაზიების“ თანხლებით. კადრში პოეტის ხელებს ქოთნიდან ყვაილის დაგლეჯილი ფურცლები ამოაქვთ. პოეტი აცოცხლებს ყვაილს, რომელსაც ამ მაგიური აქტის დასასრულს გულში ბუტკოს უდებს.

სეფესტი – წავედით...

პოეტი (უმანტიოდ და უქედოდ) – სად მიგყავარ?

სეფესტი – ქალღმერთთან.

პოეტი – რომელ ქალღმერთთან?

სეფესტი – ზოგნი მას ათენა-პალადას, ზოგნიც მინერვას უწოდებენ. 8* 9* ამ ქალბატონს ხუმრობა არ უყვარს.

პოეტი – რომ არ წამოვიდე?

სეფესტი – ეს ბრძანებაა, რომელსაც სჯობს დაემორჩილოთ.

პოეტი – ყვაილს რა ვუყვით?

სეფესტი – ქალღმერთს მიაერთვით. ქალღმერთი ქალია და არ შეიძლება, ყვაილები არ უყვარდეს.

პოეტი – არ წამოვალ.

სეფესტი – თქვენ მართო დამტოვეთ ზონაში, სადაც ცოცხლები ცოცხლები არ არიან, მკედრები კი მკედრები.

არეულად მეტყველებს

სულ არ გიფიქრიათ ერთებიზისა და პრინცესას დაპატიმრების შემდეგ რა შეიძლება დამმართნოდ? წუთით მაინც დაფიქრებულხართ, რა მართოდ მტოვებდით და მერე სად?

ისევ ჩვეულებრივად იწყებს ლაპარაკს.

დამემორჩილეთ.

პოეტი – გემორჩილებით.

ორივენი ვილაში შესასულელ კარში უჩინარდებიან.

უზარმაზარი, ცარიელი სტუდია, რომელსაც მთელ სივრცეზე ფიცარნაგის გზა ჰკვეთს. გზა სამ საფეხურიან კართან მთავრდება.

პოეტი და სევესტი ამ გზას მიუყვებიან, გაივლიან კარს და საფეხურებზე ეშვებიან.

აქ, კადრში – კიბის საფეხურებიდან მოშორებით, გრძელ მაგიდასთან. ფილმის „ორფეოსი“ მსაჯულებივით პრინცესა და ერტებიზი სხედან.

მოჩანს სკამები, ქალაღის დასტები.

გონგის მსგავს ხმაზე, რომელიც პრინცესასა და ერტებიზის გამოჩინას ახლავს თან, პოეტი ზურგშექცევით უკან აღის იმ საფეხურებზე, რომლებიც ახლახან ჩამოიარა. სევესტი კიბის თავში რჩება, პოეტი კი კვლავ ნელ-ნელა ეშვება კიბეზე. უახლოვდება მაგიდას, და როცა თავისი ფილმის, „ორფეოსი“, გმირების როლის შემსრულებლებს იცნობს, ეღიმება.

პოეტი – აი ეს მესმის!

პრინცესა (ცივად) – რა გესმით?

პოეტი – გთხოვთ, მომიტევეთ, საოცარმა მსგავსებამ შემაცდინა... აქ რას აკეთებთ?

პრინცესა – შეკითხვებს მე ვიძღვევი. სასამართლოს საგამომძიებლო კომისიის წევრები ვართ, რომლის წინაშეც ზოგიერთ თქვენს ქმედებაზე უნდა აგოთ პასუხი. სასამართლოს სურს იცოდეს სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ. (მიმართავს ერტებიზს) თუ შეიძლება ბრალდების ორი მთავარი პუნქტი გაგვაცანით.

ერტებიზი (ქალაღდებით ხელში, ფეხზე დგას) – პირველი: ბრალი გედებათ უცოდველობაში, ე. ი. მართლმსაჯულების შეურაცხყოფაში იმით, რომ პოტენციურად მრავალი დანაშაულის ჩამდენმა და დამნაშავემ, მხოლოდ ერთ, ჩვენს კომპეტენციაში შემავალ დანაშაულზე უნდა აგოთ პასუხი.

მეორე: ბრალი გედებათ, რომ გამუდმებით ცდილობთ უკანონოდ შეაღწიოთ თქვენთვის უცხო სამყაროში. ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

პოეტი – ორივე შემთხვევაში თავს დამნაშავედ ვცნობ და ვაღიარებ, რომ ცდუნებების ტყვეობაში ვცხოვრობდი, თუმცა დანაშაული არ ჩამიდენია. იმასაც ვაღიარებ, რომ ხშირად მებაღებოდა სურვილი იმ მეოთხე, იდუმალი კედლის იქით გადავმხტარიყავი, რომელზედაც ადამიანები თავიანთ სიყვარულსა და სიზმრებზე წერენ.

პრინცესა – კი მაგრამ რატომ?

პოეტი - ალბათ ჩვეულ სამყაროში ყოფნა მომბეზრდა; მისმა აუტანელმა ადათ-წესებმა დამალა, ისევე როგორც იქ გაბატონებულ კანონებთან ურჩობამ და იმ შემოქმედებითმა წვამ, ადამიანური ბუნების უმაღლესი გამოხატულება რომაა...

პრინცესა - თუ არ ვცდები, ურჩობა ღვთისმოსაობა გგონიათ?

პოეტი - ურჩობა რომ არა, რა ეშველებოდა ბავშვებს, გმირებს, ხელოვანებს? **ერთებიში** - ბედის ვარსკვლავის ამარა დარჩებოდნენ.

პრინცესა - აქ მახვილსიტყვაობის შეჯიბრზე დასასწრებად არ მოვსულვართ. ეგ ყვაილი მაგიდაზე დადეთ.

პოეტი ყვაილს მაგიდაზე დებს. ყვაილი ქრება.

პრინცესა - ვინ მოგცათ ეს ყვაილი?

პოეტი - სეფესტმა.

ერთებიში - სეფესტი... თუ არ ვცდები, სიცილიის რომელიღაც ტაძრის სახელია.

პოეტი - ახალგაზრდა პოეტსაც ასე ჰქვია ჩემს ფილმში „ორფეოსი“, თუმცა, თავდაპირველად, ეს სახელი ჩემი ლექსის - „ანგელოზი ერთებიში“, ერთ-ერთ ანგელოზს დავარქევი.

პრინცესა - რას გულისხმობთ ფილმში?

პოეტი - ფილმი აზროვნების ის საოცარი წყაროა, რომელსაც მივიწყებული მოქმედებების გაცოცხლება და არარეალურის რეალობად წარმოჩენა შეუძლია.

პრინცესა - რას უწოდებთ არარეალურს?

პოეტი - იმას, რაც ჩვენ უბადრუკ შესაძლებლობებს აღემატება.

ერთებიში - ერთი სიტყვით, თქვენს შორის არსებობენ ისეთებიც, ვინც ჰგვანან იმ უხელფეხო ინვალიდს, რომელსაც ესიზმრება, თითქოს ხელებს იქნევს და დარბის კიდეც.

პოეტი - პოეტის შესანიშნავი დეფინიციაა.

პრინცესა - მაინც ვის უწოდებთ პოეტს?

პოეტი - იმას, ვინც თავის ლექსებს ცოცხალ ან მკვდარ ენაზე კი არა, არამედ ისეთ ენაზე თხზავს, რომელზეც ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს. და ცოტას თუ ესმის.

პრინცესა - ასეთ ენაზე რა ალაპარაკებთ?

პოეტი - თანამემამულეებთან შეხვედრის სურვილი იმ სამყაროში, სადაც ძალიან ხშირად, ეგზიბიციონიზმს, რაც სულის სრულ გაშიშვლებაში გამოიხატება, მხოლოდ ბრძემბი მიმართავენ.

ერთებიში - სეფესტი!

სეფესტი (კიბის თავიდან, სადაც იჯდა და თავის გამოსულას ელოდა) - აქ ვარ. **პრინცესა** - ვინ ხართ?

სეფესტი (მაგიდისაკენ მიემართება) - ამ კაცის შვილობილი. ჩემი ნამდვილი სახელი ედუარდია, მხატვარი ვარ.

პრინცესა – ის თქვენ პოეტ – სეფესტად მოგიხსენიებთ.

ერტებიზი – სეფესტი თქვენი მეტსახელი ხომ არაა?

პოეტი – ვგონებ, უფრო ფსევდონიმია.

ერტებიზი – საკმაოდ დახვეწილი და ორაზროვანი ფრანგულით მეტყველებთ.

პრინცესა – მიწიერი დროის სულ რამდენიმე წუთის წინ ისეთი გამოთქმა [აქ ვარ], იხმარეთ, რომლის ამ სამყაროში ხმარების არავითარი უფლება არ გქონიათ.

სეფესტი – მართალს ბრძანებთ. ნერვებმა მიმტყუნეს, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

პრინცესა – ასე ნულარ მოიქცევით. ვინ დაგროთ ნება, ამ კაცს რომ გამოეცხადეთ და ყვაილი მიუტანეთ?

სეფესტი – ყვაილი მკვდარი იყო და მიბრძანეს, ის მისთვის გასაცოცხლებლად გადამეცა.

პრინცესა – შეგიძლიათ თქვენი უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე საბუთი წარმოგიდგინოთ?

ერტებიზი – ოღონდ არ იფიქროთ, რომ გაუჩინარებით დაგვიმტკიცებთ რამეს.

პოეტი – არც გაუჩინარებაა იოლი.

ერტებიზი – მაგრამ არც ისე ძნელია, როცა შეყვარებული, იძულებული ხარ, საყვარელი ადამიანის თვალში არარაობად იქცე.

პრინცესა – თქვენ რა სულ დაკარგეთ ჭკუა!

ერტებიზი – მაპატიეთ. ზოგჯერ მეც ღრუბლებში დავფრინავ.

პრინცესა – გირჩევთ თავი დაანებოთ სულელურ ხუმრობას, რომელიც ადამიანებს მათი პატივმოყვარული ზრახვების ამოუბაზე მიანიშნებს.

ერტებიზი – ამ მხრივ ვერ არაფერი გვემუქრება. მგონი თქვენი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა გთხოვეს.

სეფესტი – მეც იმ კაცის აზრისა ვარ, რომელიც აცხადებს, რომ ყველაფერი რისი დასაბუთებაც შეიძლება, ბანალურია, სამწუხაროდ, სიტყვაზე უნდა მენდოთ.

პრინცესა – ჭკუის სწავლებასაც მიბედავთ? მეტისმეტი არ მოგივიდეთ. ოქმში უნდა შევიტანო.

მიმართავს პოეტს.

მუსიე!

პოეტი – გისმენთ.

პრინცესა – თქვენი დაწერილია:

„Ce corps qui nous contient ne connait pas les nôtres
Qui nous habite est habité.

Et ces corps les uns dans les autres
Sont le corps de l'éternité." 9*

პოეტი – ვაღიარებ, მე დაეწერე.

პრინცესა – ვისგან იცით ასეთი რაღაცები?

პოეტი – რა რაღაცები?

პრინცესა – ის რასაც ცოცხალსა და მკედარ ენაზე კი არა, საკუთარ ენაზე გამოთქვამთ.

პოეტი – არავისგან.

პრინცესა – სტყუით!

პოეტი – გეთანხმებით, თუ ჩემსავით აღიარებთ, რომ ყველანი იმ იდუმალი ძალის მონები ვართ, ჩვენში რომ ბუღობს, გემართავს და თავის ენაზე გვალაპარაკებს.

ერთებიზი (პრინცესასაკენ იხრება და ხმადაბლა ეუბნება) – გამორიცხული არაა, იდიოტი იყოს.

პრინცესა (ასევე ხმადაბლა პასუხობს) – ინტელექტუალები ნაკლებ საშიშნი არიან.

პოეტი – მასკარილი 10* და ლეპორელოც 11* თავს მათ მასწავლებლებლად აცხადებდნენ. პოეტი მათ ჰგავს.

პრინცესა – გეყოთ ღაზღანდარობა. შეკითხვებზე მიპასუხეთ.

პოეტი – მე მხოლოდ მოკრძალებულად განემარტაუდი ჩემს მოსაზრებებს.

ერთებიზი – არც თქვენი მოკრძალება გვაინტერესებს და არც შედიდურობა. იმაზე გვიპასუხეთ, რასაც გეკითხებით. მორჩა და გათავდა. ნუ გავიწყდებათ, რომ გამოქვეაბულების, ტყეების, ჭაობებისა და წითელი მდინარეების ღამისეული ნაზავი ხართ, რომელიც ერთმანეთის შთანთქმელი გიგანტური და ზღაპრული ურჩხულებითაა სავსე. ზედმეტი ფილოსოფია კი არ გეჭირდება.

პრინცესა – საცხოვრებელი ადგილი?

პოეტი – მე აქ სტუმრად ვარ. ერთ მეგობარ ქალთან ვცხოვრობ.

პრინცესა (თვალები ახლო ხედი) – რას მიედ-მოედებით? იქ, სადაც ჩვენ ვართ, „აქ“ არ არსებობს.

ერთებიზი –

ერთებიზის თვალების ახლო ხედი.

ჩვენ არსად ვართ.

პოეტი – და, მიუხედავად ამისა, ახლახან ჩემი მოზაიკებისა და გობელენის წინ ჩავიარე, ჩემი მასპინძელი დიასახლისის ვილას რომ ამშვენებს.

პრინცესას ხელები. ის თითებს ნერვულად აკაკუნებს მაგიდაზე.

პრინცესა – შესაძლოა თქვენ მართლაც ჩაუარეთ თქვენს გობელენსა და მოზაიკებს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ვილაცამ მათი თქვენ გზაზე დაწყობა ისურვა.

მნიშვნელობა არა აქვს, სად წარმოიდგენთ თქვენი გულუბრყვილობით მათ არსებობას. მოწმე შემოიყვანეთ, თუ შეიძლება.

სტუდიაში გაჩნდება პროფესორი. მას პიეამო და ფოსტლები აცვია

პროფესორი – სადა ვარ?

ერტებიზი – პროფესორო, თქვენებრ განსწავლულ ადამიანს მსგავსი შეკითხვა არ შეუენის. ეს იმ ლამაზ ქალს უფრო უხდება, ვითომ გული რომ წაუვიდა და მერე გონს მოვიდა.

პროფესორი (ძალიან დაბნეული) – ლოგინში ვიწექი... მეძინა...

პრინცესა (ელემება) – პროფესორო, თქვენ ახლაც ლოგინში წევხართ და გძინავთ, ოღონდ ჩვენ, ცხადში გვხედავთ. თქვენ დროის იმ ერთ-ერთ ნაოჭში აღმოჩნდით, რომლის შესახებაც გამოკვლევა გაქვთ დაწერილი. მართალია, ეს გამოკვლევა თქვენს მაღალ ინტელექტზე მეტყველებს, მაგრამ ჩვენი სამყარო მას ვერ მოიწონებს. მალე გამოფხიზლდებით და სიზმრად ნანახ პერსონაჟებად მიგვიჩნევთ.

მუნდშტუკით პოეტზე მიუთითებს:

ამ კაცს თუ იცნობთ?

პროფესორი სათვალეს იყვითებს.

პოეტი – პროფესორო, თქვენ ცუდი მეხსიერება გაქვთ, თუმცა თავი იმით შეგიძლიათ იმართლოთ, რომ გძინავთ. ახლახან არ იყო ლუდოვიკო XV-ის ნაჭუჭიდან რომ გამომიყვანეთ და მისი მოსასხამის, ჩექმების, ფაბოს, თეთრი პარიკის, სამკუთხა ქუდისა და პალსტუხისაგან გამათავისუფლეთ?

პროფესორი – დასწყევლოს ღმერთმა!

პოეტი – ბრალს არაფერში გდებთ. თქვენ პატიოსნად გამაფრთხილეთ, რომ შეასაძლო შედეგებზე პასუხს არ აგებდით.

პროფესორი – აქ რას აკეთებთ?

პრინცესა (მაგიდაზე გამეტებით აკაკუნებს და წესრიგისაკენ მოუწოდებს) – ბატონებო, გიმეორებთ განკარგულებებს აქ მე ვიძღვევი. კარგი იქნება, თუ გარუმდებით და მხოლოდ ჩემს შეკითხვებზე მიპასუხებთ. რა ვითარებაში შეხვდით ამ კაცს?

პროფესორი – ისე, უბრალოდ...

პოეტი – თუ საჭიროა

ერტებიზი – ჩუმად!

პრინცესა – მიპასუხეთ!

პროფესორი (პროფესორისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი ტონით ამბობს) – უკვე იმედს ვკარგავდი, რომ ჩემი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენის,

გაცოცხლების მეთოდის ბოლომდე მივიყვანდი, როცა ამ კაცმა ჩემთვის უცნობი ხასიათის უნარი გამოამჟღავნა. მან ქრონიები, ანუ დროის ნაწილაკები გააცოცხლა, დატოვა ჩვენი დროითი სივრცე, მარადისობაში იმოგზაურა და იქ გზაბნეულმა მომავლიდან აწმყოში დამაბრუნა. ის რომ არა, შესაძლოა ჩემი აღმოჩენა ჩემთან ერთად შთანთქმულიყო. ჩემი აღმოჩენის გეიანი წარმატებაც ამაზე მეტყველებს. ექსპერიმენტიც მასზე ჩავატარე. მეტსაც გეტყვით, ინსტიტუტული კოლეგების ავტორიტეტის დაკარგვის შიშმა ჩემი აღმოჩენა ფანჯრიდან სენაში მომასროლინა... მდინარეში, ჩემი სახლის წინ რომ მიედინება.

პრინცესა – ამდენად, თქვენ დროში გზაბნეული კაცის თავის ეპოქაში დაბრუნება მოგიხერხებიათ?

პროფესორი – სწორედ ასეა. მახიდან გავათავისუფლე, რომელშიც თავისმა დამდუჟებულმა დაუდევრობამ გააბა.

პოეტი – მერე რომ სხვა მახეში გავბულიყავი, რადგან გაცოცხლებას ვერ დავარქმევ პროფესორო, იმ ბინდუნდსა და წყვიდადს, რომელშიც თქვენი ლაბორატორიიდან გამოსული დავდივარ.

პროფესორი – ვწუხვარ. საუბედუროდ, ალბათ ჩემი აღმოჩენა მთლად სრულყოფილი არ იყო. ახლა კიდევ მიხარია, რომ გავანადგურე.

ერტებიზი – რა სახით იყო წარმოდგენილი თქვენი აღმოჩენა?

პროფესორი – ერთი კოლოფი ტყვია-წამალი იყო, რომელსაც ჩემი გამოგონილი დენთი შუქზე უსწრაფესად მიაქროლებდა. სწორედ ის კოლოფი გადავაგდე მდინარეში.

ერტებიზი – იმედია ამას სავალალო გენეტიკური ცვლილებები არ მოჰყვება. ისე კი, ჭკვიანურად მოქცეულხართ.

პრინცესა – ადამიანები, თავიანთი ამბიციების დასაკმაყოფილებლად სამყაროს პირველყოფილი ქაოსის წინააღმდეგ მიმართულ (მართალია მოუქნელ). მაგრამ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ კანონებს არღვევენ, რითაც თავს დიდ საფრთხეში იგდებენ, რომ ბორკილების მსხვერველი მხოლოდ პროგრესის ილუზია შეიქმნან.

პროფესორი (შეურაცხყოფილი) – ქალბატონო! ამგვარად თქვენ მთელ მეცნიერებას ადანაშაულებთ.

ერტებიზი – ანუ იმას, რასაც თქვენ უწოდებთ მეცნიერებას, რადგან მხოლოდ ერთი მეცნიერება არსებობს, მეცნიერება სულის შესახებ, რომელსაც ადამიანები ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

პრინცესა – კიდევ ერთხელ, გთხოვთ...

ერტებიზი – მაპატიეთ.

პრინცესა – რას მეტყვოდით, თქვენთვის ამ კაცის გამართლება რომ შეუძლებელია?

პროფესორი – გეტყვოდით, რომ ის პოეტი, ე. ი. საჭირო კაცია, თუმცა კი არ ვიცი რისთვის. ქალბატონო, შეიძლება ერთი რაღაც მეც გკითხოთ?

პრინცესა – ჯერ ვნახოთ, მაქვს თუ არა მასზე პასუხის გაცემის უფლება.
პროფესორი – მეცნიერის უბრალო ცნობისმოყვარეობაა, მაინტერესებს, რო-

მელი საათია?

ერტებიზი – არც ერთი არაა პროფესორი, არც ერთი. შეგიძლიათ ძილი განაგრძოთ. თავისუფალი ბრძანდებით.

პროფესორი – გმადლობთ. რაღაც არსებობის სირთულის... უცნაური დაღლილობის... გრძნობა მეუფლება... ასე მგონია...

ერტებიზი (ალერსიანად) – დაიძინეთ... დაიძინეთ, პროფესორი. მეც ასე მირჩევნია.

პროფესორი – გმადლობთ. ქალბატონო... გემშვიდობებით.

და სანამ წაფენა გააქრობდეს, ამბობს:

ძინავს.

პრინცესა (ირონიულად) – ღამე მშვიდობისა.

მერე პოეტს მიუბრუნდება.

რა თქმა უნდა ვიცი, რომ თქვენი ასავალ-დასავალის მიხვეულ-მოხვეული გზები ერთგვარ ლაბირინთს ქმნის, რომელიც ჩვენი ლაბირინთისაგან ერთობ შორია, თუმცა ისინი მაინც ერთმანეთში იხლართება. ისიც ვიცი, თქვენი ცოდვებისა და მიწიერი კანონების დაუმორჩილებლობის მიმტევებელი ერთი ადამიანი მაინც რომ გეპოვათ, ეს შეუცნობელი სამყაროს შეცნობის საშუალებას მაინც ვერ მოგცემდათ – მხოლოდ იმ უმაღლეს მოწყალებას გიბოძებდათ, რომელიც თქვენ, ბატონო ჩემო, უკვე ხშირად, ბოროტად გამოიყენეთ და რომელიც ერთ დღეს, შეიძლება წაგერთვათ კიდევ, ხოლო თუ კი მე აქ რამეში ჩემს ძალაუფლებას გადავაჭარბე, ეს იმიტომ, რომ ვიდრე თქვენს მეგზურს მის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობაზე გავესაუბრებოდი, ჯერ თქვენი გაფრთხილება მინდოდა.

პოეტი – არ მესმის რისი თქმა გნებათ.

ერტებიზი – არც არაფრის გაგებას გთხოვენ.

პრინცესა – თავს ნუ იგდებთ. ვიცი, ყველაფერი შესანიშნავად გესმით, ოღონდ აღიარებას, ისევ თავის მოსულელება გირჩევნიათ. გაჩუმდით და თავი ბედნიერად ჩათვალეთ, რომ წინასწარი გამოძიების ტრიბუნალი არნახულ მოწყალებას იჩენს.

პრინცესა (სეფესტს) – მომიახლოვდით. დიახ... თქვენ... თქვენ... გგონიათ, მართლა არ გამოქცევიხართ უფროსს? თქვენში არსებული, მტანჯველი გაორების გამოძწევი ორი ურთიერთგამომრიცხავი პიროვნება რომ ერთმანეთისთვის შეგეთავსებინათ და ერთ პიროვნებად ქცეულს, თქვენებრ გაორებული კაცისათვის, მამადაც რომ გეკუთვნით და მამობილადაც, მისი ახირებული იდეების განხორციელებაში დახმარებოდით?

სეფესტი – ქალბატონო, მმართველობისა და კანონების წარმოუდგენელი სიმრავლე თავდაც კარგად მოგეხსენებათ. ისინი ხშირად გაუგებარს ხდიან, ვინ

ვის უნდა ემორჩილებოდეს და ვინ ვის მბრძანებლობდეს.

პრინცი – გეთანხმებით. ამას გავითვალისწინებთ. იმ უცნაური გზის შესახებ რაღას მეტყვიით, რომლითაც მოგვევლინეთ.

სეფესტი – ვფიქრობ, ეს წყალსა და ცეცხლში გამოვლილი გზა იმ იმპერატივების შედეგია, მე რომ ბრმა იარაღად მიყენებს და რომელთა ახსნაც ჩემს უბადრუკ შესაძლებლობას აღემატება.

პრინცი – რახან ჯიუტობით და თქვენსას არ იშლით, ის მაინც მითხარით, აქ, ქვემოთ, თქვენს მეტამორფოზას რა მასშტაბების მიღება შეუძლია.

სეფესტი იშმუშნება.

ო, ... ოღონდ ასეთ განცვიფრებულ სახეს ნუ მიიღებთ! მე ორქიდეას თავისქალად გარდაქმნას ვგულისხმობ. ეს სამგლოვიარო და ინფანტილური მასკარადი, თუ არ ვცდები, მკვდრეთით აღდგომის მოვლენებს უკავშირდება. რა იყო თქვენი მზანი, ამ კაცის განცვიფრება, თუ მისი ერთგვარი ფრთხილება?

სეფესტი – არა. ეს რიტუალი იმ ცერემონიალის ნაწილია, რაზე დაწერილებით ლაპარაკის უფლებაც მე არა მაქვს.

პრინცი – შეიტანეთ ოქმში – ბრალდებული პასუხის გაცემაზე უარს აცხადებს.

მიმართავს პოეტს.

თავის გასამართლებლად რამეს ხომ არ დაამატებდით?

პოეტი – მხოლოდ იმას ვიტყვი, თუ რაიმე სასჯელს ვიმსახურებ, ყველაზე მძიმე სასჯელი ჩემთვის ორ წყალს შუა, ანუ თქვენივე ენით რომ ვთქვათ, ორ მმართველობას შორის ყოფნა იქნებოდა. კინემატოგრაფისტი აქ ტერმინ „ყალბ კოლორიტს“ გამოიყენებდა. რას არ მიეცემდი, ოღონდ ისევე მყარი მიწა მეგრძნო ფეხქვეშ და ამ უცნაური სამყაროს ბინდ-ბუნდში აღარ მებორიალა.

პრინცი – მართალია, ეს ჩვენს უფლებამოსილებაში არ შედის, მაგრამ სასამართლო ამის შესახებ იმსჯელებს.

პრინცი წამოდგება და ქაღალდებს აგროვებს.

საგამომძიებლო კომისიის წინასწარი განაჩენით, თქვენ სიცოცხლე მოგესაჯათ.

ამას ამბობს და ნელ-ნელა ქრება.

ერტებიზი – ღმობიერი განაჩენია. განსაკუთრებით თქვენს ასაკში.

საიდანღაც იღებს დამალულ ყვავილს და პოეტს უწვდის:

ინებეთ თქვენი ყვავილი.

პოეტი – ერთებიზ!

ერთებიზი – ჩუმაღ!...

პოეტი (ხმადაბლა და ფრთხილად) – მერე და პრინცესა?

ერთებიზი (პოეტთან ერთად კარისაკენ მიემართება) – კარგად მოგეხსენებათ, რომ მან მოკვდავი შეიყვარა და ადამიანთა დროის კანონები დაარღვია...

პოეტი – მერედა ორფეოსი?

ერთებიზი – მისი გადარჩენა მხოლოდ მირაჟი იყო. ორფეოსის ღვთაებრივი თავი დაიღუპა, ევრიდიკე კი ისევ ჯოჯოხეთში დააბრუნეს. ერთ ბრძენ კაცს უთქვამს – ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით არ უნდა გადააფურთხო. ყვავილი გამომართვით.

პოეტი – გამორთმევას ვერ ებედავ.

ერთებიზი – ეს არც პირველად და არც უკანასკნელად ხდება, როცა ამ ყვავილს გართმევთ და მერე ისევ უკან გიბრუნებთ.

პოეტი – მაგრამ ამჯერად თქვენს ფესტში ისეთი სითამამე გამოსჭვივის, მეშინია ჩემი გულისათვის თქვენ და პრინცესა არ გაგასამართლონ...

ერთებიზი – ამაზე უარესს რაღას მოგვისჯიან.

პოეტი – რა მოგისაჯეს?

ერთებიზი (რომელიც თანდათან ქრება და ტოვებს ჩვენს სამყაროს) – სხვების გასამართლება. მოსამართლეობა.

ხანგრძლივი დუმილი.

სეფესტი – სამწუხარო...

პოეტი – სეფესტი, ეს საგამომძიებლო კომისია ძალზე საეჭვოდ მეჩვენება. ჩვენს ქმნილებებს, ჩვენი სახით, მხოლოდ დედ-მამის მოკვლა და ფართო ასპარეზზე გაჭრა სწყურიათ. მაგრამ ჩვენი მენტალიტეტით შექმნილ არსებებს თავისი წარმომავლობა აინტერესებთ... თავს ვეკითხები...

კარის მეორე მხარეს გადადის.

სეფესტი – სჯობს თავს ნურაფერს ჰკითხავთ. ასე აჯობებს.

პოეტი – თავს ვეკითხები, შენ თვითონ თუ...

სეფესტი – შესაძლოა. ზოგჯერ გადანამაშულებთ, აჩრდილთა ზონაში რომ მიმატოვეთ, ზოგჯერ კი მიხარია, იმ აბსურდულ სამყაროში რომ აღარ ვცხოვრობ. რომელშიაც ვცხოვრობდი. ჩემი აღმფრთხილების მიუხედავად მინდა იმ ჩიხიდან დაგაღწევინოთ თავი, რომელშიც აღმოჩნდით და თუმცა ზონისათვის არ არსებობს გუშინ, დღეს, ხვალ ადამიანური ყოფიერება მაინც მას ემორჩილება.

ამიტომ, ჩემი მიზნის მისაღწევად, მინდა გარდაუვალ განსაცდელებში გიმეგზუროთ, უფრო სწორად, ბოლომდე თქვენთან ვიყო მათი დაძლევისას, რადგან სასურველს მხოლოდ ასე მივაღწევ.

პოეტი – ხომ ვერ მეტყობდი, რა როლი გაყისრია ან მე რა განსაცდელები მეღის?

სეფესტი – არა. თავადაც არ ვიცი. ღინებას მიეყვები. ერთადერთი, რაც ვიცი,

ისაა, რომ ეს ყვაილი თქვენი სისხლის ნაწილია და თქვენი ბედის სინკოპებს ეხმანება. წავიდეთ. უკვე ისედაც ბევრი რამ გითხარით. უნდა დამემორჩილოთ.

პოეტი (ისევე როგორც მოზაიკებიან ეზოში, პასუხობს) – გემორჩილები...

უკაცრიელი სტუდიის ვრცელი ხედი, გადაღებული ცხაურებიდან. პოეტი და სეფესტი ფიცარანგაიანი გზით კვეთენ მას, აღიან კიბეზე, რომელიც თავიდან იქ არ მდგარა და მხედველობის არიდან ქრებიან.

გობელენი.

ესტრადაზე მიმავალი სეფესტი და პოეტი ეკრანს მარჯვნიდან მარცხნივ კვეთენ.

ვილა სანტო-სოსპირის წინამდებარე ბაღი. მანდილოსანი. მას იმპრესიონიზმის დროინდელი, სარა ბერნარის სტილის კაბა აცვია. ხელში დეტექტიური რომანი და მზის ქოლგა უჭირავს. გვერდს უელის აუზს, ჩერდება, თავს წევს და იძახის:

მანდილოსანი – გუსტავ! გუსტავ!

მსახური (მაღლა, ტერასიდან) – ღიახ, ქალბატონო გრაფის ასულო.

მანდილოსანი (გადაშლილ წიგნს ქოლგის ბამბუკის სახელურს ურტყამს და კითხულობს) – ვინ არის მკვლეელი?

მსახური – არ ვიცი, ქალბატონო გრაფის ასულო.

მანდილოსანი – წარმოუდგენელია! თქვენ რა, გნებავთ მაიძულოთ თავიდან ბოლომდე წავეიკითხო წიგნი, რომელიც მხოლოდ სამოცდაათი წლის შემდეგ გამოვა?

მსახური – ბოდიშს გიხდით ქალბატონო გრაფის ასულო...

მანდილოსანი – თქვენს ბოდიშს რა თავში ვიხლი.

კადრში პოეტი და სეფესტი გამორჩნდებიან. ისინი ტერასიდან ბაღში კიბით ეშვებიან.

ვინ არიან ის კაცები?

მსახური – რომელი კაცები, ქალბატონო გრაფის ასულო?

მანდილოსანი – ის ორი უცნობი, ჩემ სახლში რომ სეირნობს.

მსახური – მე ვერავის ვხედავ ქალბატონო გრაფის ასულო.

მანდილოსანი – ო, ეს მეტისმეტია! თქვენ რა, გიჟი ხომ არ გგონივართ!

მსახური – ოჰ! ქალბატონო გრაფის ასულო!

მანდილოსანი – თავისუფალი ბრძანდებით. ეს რა დროში ვცხოვრობთ!

ორადმოკეცილი მსახური უჩინარდება.

მანდილოსანი კისერზე ჩამოიდებულ სასტვენს ჩაბერავს. ისმის საღამოს მატარებლის გაბმული, მელანქოლიური სტვენა.

მანდილოსანი – დღეს აშკარად ყველაფერი თავდაყირა დგას.

ბაღის ბოლოში ჩანს ორი მობანავე; წინ მიმავალი მეორე სასტვენის ხმაზე ანუბისის 12* თავს იღვამს, უკან მიმავალი, რომელსაც ძაღლის კუდი აქვს გამობმული, იხრება, ვითომ ცხოველია (ძაღლკაცი) და ამხანაგს ხელებს თეძოებზე აწყობს.

კადრში ჩანს კიბის ძირას გაჩერებული პოეტი და სეჟესტი.

მანდილოსანი და ძაღლკაცი ვილის შემინულ კარში უჩინარდებიან.

პოეტი – ეს ის ქალღმერთია?

სეჟესტი – ნუ მაცინებთ. ეს დაბნეული მანდილოსანია, ეპოქები რომ ერევა. თავად ყველაზე უკეთ უნდა იცოდეთ, რომ ასეთი რამეებიც ხდება.

მესამე სასტვენის ხმაზე ძაღლკაცი, რომელიც ორი მობანავისაგან შედგება, ხტუნვა-ხტუნვით უკან ჩაუვლის მანდილოსანს. ის კი მხრებს აიჩეჩავს და შეწუხებული სახით თვალებს ცისკენ ალაპყრობს.

პოეტი (სეჟესტთან ერთად ტოვებს ვილას და თან ამბობს) – რა უცნაური ძაღლია!

კადრში – ზღვისკენ ჩამავალ ფერდობზე მოჩანს მესერი, რომლის აბრაზეც წერია:

კერძო საკუთრება მახეები

იბისუსის ყვავილი პოეტს ხელიდან ეცლება, თითქოს ის უხილავ ერთგებებს მიაქვს.

ისმის ტრისტანის 13* ბუკის ხმა. პოეტი და სეჟესტი კლდოვან, ზღვისკენ ზიგზაგებით ჩამავალ კიბეზე ეშვებიან.

იახტის, „ორფეოსი II“, ხედი. იგი აფრთხილებული ეკრანს მარცხნიდან მარჯვნივ კვეთს.

კადრში „ორფეოსი II“ -ის გემბანი. პოეტი და სეფესტი გვერდი-გვერდ სხედან და იახტის კიჩოს გასცქერიან.

იახტის საჭესთან კაპიტანი დგას, მის ხელმარცხნივ კი ქალი. შუასაუკუნეების დროინდელ კაბაში.

პოეტი – ახლა ხომ ნამდვილად ისაა?

სეფესტი – არა, ეს იზოლდაა. 14* მთელი ქვეყნის გემბანებზე დგას. ისევ ტრისტანთან შეყრა სწყურია.

კამერა კვლავ პოეტსა და სეფესტს უბრუნდება.

დარსის პორტის (ვილფრანში) ხედი.

ნავს პოეტი და სეფესტი ნაპირზე გაჰყავს; ისინი კადრიდან მარცხნივ ქრებიან.

კვლავ ვხედავთ პოეტსა და სეფესტს. ისინი კიბეებით სენ-პიერის საყდართან აღინ.

კომენტარი – ვგონებ მე და სეფესტმა სენ-პიერის საყდარს ჩაუუარეთ. ის 1957 წელს, საკუთარი სარეჟიზაჟიით მოეხატე და გარდასული ახალგაზრდობის მოსაგონრად ბოლიესა და სენ-ჟანის მეთევზეებს ვუძღვენი, ისევე როგორც ვილფრანშიის მეთევზეებს, რომლებთანაც ჩემი ცხოვრების არაერთი დღე გამიტარებია.

შემდეგ პოეტსა და სეფესტს ვილფრანშიის „ბნელი ქუჩის“ თაღებქვეშ ვხედავთ.

„ბნელი ქუჩის“ საერთო ხედი.

პოეტი და სეფესტი ქუჩაში პოეტის ორეულს ხედებიან. ორეულს პოეტისაგან განსხვავებულად აცვია.

პოეტის ორეული. ის პოეტსა და სეფესტს მოუბრუნდება.

მომდევნო კადრში კი პოეტი მიბრუნდება თავისი ორეულისაკენ. სეფესტი პოეტს ზურგიდან უახლოვდება.

სეფესტი – ვერ გამიგია, რა გემართებათ?

პოეტი – ოღონდ არ მითხრა, რომ არ დაგინახავს.

სეფესტი – როგორ არა, დავინახე. ისე, როგორც ახლა თქვენ გზავდავთ.

დილოგისას პოეტი და სეფესტი გვერდი-გვერდ მიაბიჯებენ.

პოეტი – თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ დამინახა...

სეფესტი – თქვენ ხომ ყველგან იმას გაიძახოდით, რომ თუკი სადმე შეხვდებოდით, ხელსაც არ გაუწვდით ჩამოსართმევად.

პოეტი – მე მას ვძულვარ.

სეფესტი – ან კი რისთვის უნდა უყვარდეთ. ის ხომ თქვენს ნაცვლად ართხელ შეურაცხვეს და გვემეს...

პოეტი – მოვკლავ.

სეფესტი – არ გირჩევთ. რაგინდ უკვდავიც არ უნდა იყოთ, თუ მას მოვლავთ, ისეთ სულელს ვედარავის იპოვით, თქვენი გულისათვის მოკედეს.

პოეტი – საიდან მოდიოდა? ან საით მიდიოდა?

სეფესტი – აი კვლავ დაიწყო შეკითხვები. შესაძლოა ის იქ მიდის, საიდანაც თქვენ მოდიხართ, თქვენ კი იქ მიდიხართ, საიდანაც ის მოვიდა. სულ იმას ცდილობთ, არსებობდეთ და სწორედ ესაა, სიცოცხლეს რომ გიმწარებთ. ვიჩქაროთ! ღმერთებს ლოდინი არ უყვართ.

ტრისტანის ბუკის ხმა წყდება.

პოეტი და სეფესტი ლუკიდან ამოდიან და კიბით ბოს დასახლების დიდგვაროვანთა ნანგრევებად ქცეული სახლებისაკენ ეშვებიან.

ქვის სამტვრევებისაკენ მიმავალი უვალი გზის ხედი. პოეტი და სეფესტი ჩერდებიან და შორეულ ხმას უსმენენ.

ხმა – მე სიზმრების მჩხიბავი, მწუხარების სვეტი და რყინის ნიღბიანი ქალწული ვარ.

პოეტი – ისაა?

სეფესტი პოეტს ანიშნებს უკან გააყვეს. ისინი ქვის სამტეხლოში შედიან. უზარმაზარ ქვის სამტეხლოში, როგორც ტაძრის შუაგულში გაჩერებულნი, ერთი ბეწონი მოჩანან. ისმის პოეტის ხმა (თუმცა ეს ხმა მისი პირიდან არ ამოდის).

პოეტის ხმა – ეს შენა ხარ დამნაშვე პელოპონეზ. 15* იცოდე, სხვა ხიფათიც გამუქრება. ხედავ ქანდაკებები დამლამობით შავებით იმოსებიან და მგზავრებს ხოცავენ. არც თვითონა ვარ ბიუსტი. თრთოდე! ძალუმადა მაქვს ძარღვებში ზღვის ქაფი და ტალღების ენაც მესმის: დაჩოქილები გასაპნულ თეთრეულს რომ ბერტყავენ, შენ გლანძღავენ და დაგცინიან.

პოეტისა და სეფესტის ახლო ხედი. დაივრიალებს ვაზური მუსიკა. მაყურებელი ხედავს იმას, რასაც პოეტი და სეფესტი: ახალგაზრდა ჩახუტებული წყვილი. თითოეულ

მათგანს რვეული მეორის ზურგზე უდევს და შიგ საკუთარ შთაბეჭდილებებს იწერს.

სეფესტი – შეყვარებული ინტელექტუალები (პოეტს ელიმება).

გოგონა და ბიჭი –

ქვა-ლორდიან ფერდზე ჩამორბიან და ახალგაზრდა შეყვარებულების წინ ჩერდებიან.

თქვენი ავტოგრაფები გვინდა.

...შეყვარებულები ავტოგრაფებს აძლევენ.

გმადლობთ, მადამ, გმადლობთ, მუსიე.

ბავშვები გარბიან.

ისინი გომეტრიული ფორმის ნანგრევების კვარცხლბეკთან ჩერდებიან. კვარცხლბეკზე, გრძელ. თეთრ კაბაში, დგას ორაკული. მის ნიჟარებისაგან გაკეთებულ თავს რამდენიმე თვალი და პირი აქვს. ბავშვები უხილავი კიბით ორაკულის პირებამდე ძვრებიან და შიგ ახლად მიღებულ ავტოგრაფებს სჩრიან.

პოეტი – ეს ავტოგრაფების მჭამელი კერპი რაღაა?

სეფესტი – მანქანა, რომელიც რამდენიმე წუთში, ვისაც გინდა სახელს გაუთქვამს. მერე კი უნდა ეცადო ცნობილი გახდე. რაც არც ისე იოლია. განვითარებულ ქვეყნებში მოკლე სამუშაო დღეები აქვთ.

ბავშვები კვარცხლბეგიდან მაშინვე ძირს ეშვებიან. კერპი თვალებს ახელს და პირებიდან უგრძეს ლენტებს უშვებს. ლენტები იშლება და ფრიალებს.

პოეტი – პირებიდან რა ამოსდის?

სეფესტი – რომანები, პოემები, სიმღერები... ის ავტოგრაფებით იყვებება, როცა ავტოგრაფებს აღარ აწვდიან. ჩერდება – მთელ დროს საჭმლის მონელებას, ოცნებასა და ძილს ანდომებს... მას ექვსი თვალი და სამი პირი აქვს... ოღონდ ნუ მკითხავთ, რატომ.

სეფესტს პოეტი სხვაგან მიჰყავს. რაღაც უფსყრულივითაა, ორივენი მოიხრებიან, დანტესა 15* და ვერგილიუსს 16* ჰგვანან.

სეფესტი – ახლა კი მშვიდობით, აქ უნდა დაგტოვოთ... ვწუხვარ, მაგრამ ეს ბრძანებაა.

პოეტი – ვინ იძლევა ბრძანებებს?

სეფესტი – რომ ვიცოდე კიდეც, მაინც არ გეტყოდით.

პოეტი – დარჩი ჩვენთან, სეჟესტ.

სეჟესტი – როგორ გგონიათ, შეიძლება იცხოვრო ადამიანებთან, როცა მათ შინთვის სასიყდილო განაჩენი გამოაქვთ?

პოეტი – ნულარ მიმატოვებ... თუმცა გასაუჩინარებლად ხომ სარკე გჭირდება?

სეჟესტი – სარკეებს თავზე ზედმეტი წარმოდგენა აქვთ; ყველაფერს უკუღმა წარმოაჩენენ და ღრმა გრძობებზეც აცხადებენ პრეტენზიას.

პოეტი – შენ რა, სხვა გზებიც იცი?

სეჟესტი უკან-უკან იხევს.

სეჟესტი – თვალები დახუჭეთ...

უკან-უკან იხევს, გამჭვირვალე და უხილავი ზდება.

სეჟესტის ხმა – ... თვალები გაახილეთ.

პოეტი – სად ხარ?

სეჟესტის ხმა – ძალიან შორს და სულ ახლოს. მედლის მეორე მხარეს.

პოეტი – აჟი სულ ვამბობდი, შენი არაფერი მესმის მეთქი.

სეჟესტის ხმა – ნუთუ ამ სამოცდაათი წლის მანძილზე ყველაფრის გაგების სურვილმა არ დაგღალათ?

პოეტი (ყვირის) – სად ხარ, სეჟესტ?

სეჟესტის ხმა (შორიდან) – სადაც დამტოვეთ...

პოეტი ლოდების უკან უჩინარდება.

კადრში სამრეცხაოს ხედი.

პოეტი ცარიელ სამრეცხაოში მიაბიჯებს.

ისმის უხილავი მრეცხავი ქალების ხმა.

კომენტარი – ისეთი დაღლილი ვიყავი, ქალების ხმა მომესმა, თითქოს ჩამუხლულები სარეცხს რეცხავდნენ და თან მე დამცინოდნენ.

პოეტი ტოვებს სამრეცხაოს, დახედავს საათს და გზას განაგრძობს, ერთი მიწისქვეშეთიდან მეორეში გადადის. ბოლოს შედის ქვის სამტეხლოში, რომელიც ეგვიპტურ ტაძარს მოგვაგონებს და უცებ ფრაკში გამოწყობილი მდივნის წინ აღმოჩნდება. მდივანს კისერზე ჯაჭვი უკეთია, მაგიდასთან ზის და მარჯვენა თეთრხელთათმანიანი ხელით ტელეფონის ყურმილს ადგილზე დებს.

მდივანი – რამდენიმე წუთის მოცდას თუ ინებებთ, ბატონი მინისტრი მიგიღებთ.

კადრში – პოეტი. უზარმაზარი, ფანტასმაგორული მოსაცდელი დარბაზის ფონზე ის სულ უფრო პატარა მოჩანს...

კომენტარი – მეც ვიცდიდი, ვიცდიდი და ვიცდიდი.

ერთმანეთს ცვლის კადრები, რომლებზეც ხან მომლოდინე პოეტი ჩანს, ხან მდივანი.

მდივანი – ბატონი პრეზიდენტი რამდენიმე წუთში მიგიღებთ.

კომენტარი – მეც ვიცდიდი!... ისევ და ისევ ვიცდიდი...

მდივანი – დიდად დამავალბეთ, კიდევ რამდენიმე წუთსაც თუ მოიცდით. ვიდრე მისი ბრწყინვალეობისა და უმაღლესობის, პრემიერ მინისტრი მიგიღებდეთ.

კომენტარი – წუთებს ბოლო არ უჩანდა, მე კი ისევ ვიცდიდი და ვიცდიდი.

მდივანი – რამდენიმე წუთსაც თუ მოიცდით, მისი უდიდებულესობა თქვენს მიღებას ინებებს.

კომენტარი (ცარიელი მოსაცდელის ფონზე) – ამდენი ლოდინისაგან შეიძლება თავადაც მოსაცდელად იქცე.

უხილავი პოეტი კვლავ ხილული ხდება; დგება ქვიდან, რომელზეც იჯდა და ელოდა და მდივანთან მიდის. მდივანი ამჯერად მაგიდასთან დგას.

მდივანი – ყოველგვარი იმედი აქ დატოვეთ. 17*

პოეტი – ასეც ვიცოდი. ყოველი შემთხვევისათვის დავთარში ჩემი გვარი ხომ არ ჩამეწერა?

მდივანი (ცერით ზურგსუკან, ცარიელ სივრცეზე მიუთითებს) – აზრი არა აქვს.

დაუკაკუნებლად შედით.

მდივანი და მისი მაგიდა პოეტის თვალწინ ქრება და ახლა იგი ვეებერთელა თაღებისაგან მიემართება.

სტიუარდესას არაადამიანური ხმა – გთხოვთ, შეიკრათ უსაფრთხოების ქამრები და არ მოსწიოთ. You are festzuechnallen und nicht zu rauchen.

გთხოვთ შეიკრათ უსაფრთხოების ქამრები და არ მოსწიოთ.

პოეტი მინერვას 18* დარბაზში შედის. მას ხელში იბისკუსის ყვაეილი უჩნდება და ჩვენც მასთან ერთად ვხედავთ შემდეგს:

შორს, უზარმაზარ ესტრადაზე დგას მინერვა, ხელმარცხნივ და ხელმარჯვნივ მცველებად ცხენაკები უდგანან. მინერვა ცალი ხელით შუბს ეყრდნობა, მეორეში გორგონას 19* თავიანი ფარი უჭირავს, ჩაფხუტი ახურავს. უცნაური, მყვინთავის კოსტიუმის მსგავსი, პრიალა და შავი შქმობტმასნილი ტანსაცმელი აცვია. პოეტი მიდის და ყვავილს უწვდის, მაგრამ მინერვა თავს მიაბრუნებს.

პოეტი (უკან იხევს და თან ამბობს) – არც ლაზარეს უდიოდა მაინცდამაინც კარგი სუნი... ნახატიც არსებობს, რომელზეც მართა და მარიამი 20* ცხვირს ნაჭრით იფარავენ... მაპატიეთ... მაპატიეთ...

როგორც კი პოეტი იქაურობას შორდება, მინერვა შუბს იქნევს და სტყორცნის.

ჩანს მიმავალი პოეტი. შუბი მას ზურგში, მხრებს შორის ესობა.

პოეტის ხედი წინიდან. შუბი კვეთს პოეტის სხეულს და მკერდიდან გარეთ გამოდის. პოეტს ხელები მკერდთან მიაქვს, მუხლებზე ეცემა და გვერდზე დაწოლილი, ძალიან ხმადაბლა და რამდენჯერმე ჩურჩულით იმეორებს:

რა საშინელებაა... რა საშინელებაა... რა საშინელებაა...

მინერვასა და მისი გარემოცვის ხედი.
ცხენაკები ესტრადიდან ჩადიან.

ხედი, რომელზეც ერთ-ერთი ცხენაკი პოეტს სხეულიდან შუბს აძრობს.

ხედი, რომელზეც ცხენაკები პოეტის სხეულს წამოსწევენ და გააქვთ.

იქ სადაც პოეტის გვამი იდო დარჩენილი სისხლის კვალი და ძირს დავარდნილი იბისყუსი წითლდება.

რამდენიმე ხედი, რომლებზეც პოეტის სიკვდილის მომსწრე მეგობრებია აღბეჭდილი.

ნანგრევებისა და ეკალხლართისაგან გაკეთებულ ლოჟაში, როგორც კორიდას დროს პრეზიდენტისათვის განკუთვნილ ლოჟაში, ჟაკლინ პიკასო და ლუჩია ბოზე სხედან. მათ უკან პიკასო და ლუი-მიგელ დომინგენი დგანან. 21, 22, 23, 24* ზემოდან გადაღებული საფლავის ქვის ვრცელი ხედი: ცხენაკები მასზე მე მასვენებენ.

ხედი, რომელზეც ბოშები საფლავის ქვის გარშემო იყრიებიან და დამტირიან. (ხედებს თან ახლავს სევილიის დამკრძალავი პროცესიის სასულე ინსტრუ-

მენტებსა და დაფდაფებზე შესრულებული მუსიკა.)

პოეტის სახის ახლო ხედი. მას ქუთუთოებზე ხელოვნური, ფართოდ გახე-
ლილი თვალები აქვს დადებული; მისი ნახევრადღია პირიდან ნელა ამოდის
კვამლი.

კომენტარი – ისე მოიქეცით ჩემო მეგობრებო, ვითომ დამტირით, რადგან
პოეტები სინამდვილეში არ კედებიან, ისინი მხოლოდ თავს იმკედარუნებენ.

საფლავის ხედი, რომელზეც პოეტი წამოისვეტება.

ხედი, რომელზეც პოეტი ტოვებს საფლავის ქვას, ბოშებს და სხვა გამოქვა-
ბულებისაყენ მიემართება.

პოეტი ქვის სამტეხლოს ნაპრალიდან გამლილ ველზე გადის, ყოყმანობს, არ
იცის, საით წავიდეს და თითქოს „ლა“-ს დიაპაზონის ყურისწამლებ ბგერას
ეხმინება.

კადრში – სფინქსი.

მას ქალის ტანი აქვს, ნელა არხევს გრძელ, თეთრ ბუმბულებიან ფრთებს და
კედლის გასწვრივ, „ჯოჯოხეთის ველის“ პეიზაჟის თავზე მიფარფატებს. პოეტი
სფინქსს წინ უსწრებს, თუმცა ხელოვნური თვალებით მას ვერ ხედავს.

კადრში – ოიდიპოსი.

ბრმა ოიდიპოსი, ანტიგონეზე 25* დაყრდნობილი, თებეს ერთ-ერთი სახლის
კარიდან გამოდის და რაღაცას ბუტბუტებს. გზაზე ის სულ ახლოს ჩაუვლის
პოეტს, მაგრამ პოეტი მას ვერ შენიშნავს და შორდება.

კომენტარი – სფინქსი, ოიდიპოსი... ყველანი, ვისი გაცნობაც ასე გინდოდა,
ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გზაზე შეგხვდნენ, შენ კი ვერ შენიშნო.

პოეტი, რომელიც ისევ წინ მიიწევს, ამჯერად, ალკების მთების ერთ-ერთ
გზაზე მიაბიჯებს.

კომენტარი – ზეზეური ძილისაგან გზატკეცილზე გამოძვლიდა და, როცა
აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი, თითქოს ჩემი ფილმიდან, „ორფეოსი“ მოტო-
ციკლების ხმაური შემომესმა. ვიცოდი, რა საქმეც ევალებოდათ მოტოციკლი-
სტებს. მეც სეფესტის სიკვდილით უნდა მოვმკვდარიყავი.

ბოლოს პოეტი მთიანი გზის მოსახვევში ჩერდება.

თურმე ვცდებოდი. ეს მხოლოდ საგზაო პოლიცია ყოფილა.

პოეტის ხედი. ის ხვდება, რომ მას „ორფეოსის“ შავ ანგელოზებთან კი არა, ჩვეულებრივ, მოტოციკლებიან პოლიციელებთან აქვს საქმე.

პირველი მოტოციკლისტი – თქვენი საბუთები.

პოეტი – რაშია საქმე?

პირველი მოტოციკლისტი – ვალდებული არა ვარ, ახსნა-განმარტება მოგცეთ. ფეხით მოსიარულე, როგორც წესი, საეჭვო პიროვნებაა.

პოლიციელი შორდება პოეტს და ამხანაგთან მიდის.

კლდეებში ჩნდება სეფესტი, კლდიდან გადმოდის, მიდის პოეტთან და იქითყენ ეწევა, საიდანაც მოვიდა.

სეფესტი – ჩქარა, ჩქარა მომყევით.

გზისპირა კლდის ხედი. სეფესტი ისე აკრავს პოეტს კლდეზე, როგორც ჯვარზე.

სეფესტი (გრიგალივით მობობოქრე ქარში ყვირის) – ბოლოს და ბოლოს მიწა ხომ თქვენი სამშობლო არაა.

ერთად ქრებიან.

მოტოციკლისტები ხვდებიან ვისთანაც აქვთ საქმე და შეცდომის გამოსწორებას ცდილობენ.

მეორე მოტოციკლისტი – მოდი, ავტოგრაფი გამოვართვათ.

პირველი მოტოციკლისტი (როცა დაინახავს, რომ პოეტი გაქრა) – ო! ესღა გეპყლდა...

ხედი, სადაც გაცემულ მოტოციკლისტს პოეტის პირადობის მოწმობა ხელიდან უვარდება და მიწაზე დავარდნისთანავე იბისყუსის ყვავილად იქცევა.

ხედი, სადაც ახაგაზრდა ქალებითა და ვაჟებით გადაჭედილი სპორტული მანქანა ფერდობის თავზე აღის და მთელი სისწრაფით, ხმაურით, ყვირილით, სიცილითა და ჯაზური მუსიკით გადაღმა ეშვება.

ხედი, სადაც გადარეული ახალგაზრდების დასაწევად პოლიციელები მოტოციკლებზე სხდებიან.

კადრშია ყვავილი. ის მტვერში ბზრიალებს და ეკრანიდან ქრება.

აეტიმანქანა შორს მიდის, უჩინარდება. მას უკან ტკაცანით მოტოციკლისტები მისდევენ.


კომენტარი – დასრულდა. მხიარულმა ტალღამ გადარეცხა ჩემი გამომსაშვილობებელი ფილმი. ვწუხვარ, თუ არ მოგეწონათ. მე ხომ მას, ისევე როგორც გადამღები ჯგუფის ყოველმა მოკრძალებულმა წევრმა, მთელი ძალები შევალე.

ჩემი ფილმის მთავარი გმირი იბისყუსის ყვავილია. მისი მსვლელობისას არაერთი ცნობილი ხელოვანიც თუ იცანით, ისინი თავიანთი პოპულარობის გამო კი არ გამოჩენილან ეკრანზე, არამედ იმიტომ, რომ როლებს შეეფერებოდა და კიდევ იმიტომ, რომ ჩემი მეგობრები არიან.

ხედი, სადაც ჩემი ხელი ორფეოსის პროფილის ხატვას ამთავრებს.

ხედი, სადაც საპნის ბუმტი კვამლად იქცევა, კვამლი კი სიტყვად:

დასასრული





Ծնունդդ
չես
համբարանդ

შენიშვნები და კომენტარები

პოეტის სისხლი

„პოეტის სისხლი,“ ყველაზე ბუნდოვანი, ეზოთერული მანერით დაწერილი კინოსცენარია და, ამასთანავე, ორფივეული კინოტრილოგიის ფილმგასაღებად ითვლება; მასში ასახული ბურუსით მოცული მოვლენების ასახსნელად, კომენტარებს კოცტოს შემოქმედების მკვლევარის, მილორადის ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციებიც ერთვის. (*Milorad, „Le sang d'un poete“ le film a la premiere personne du singulier“ – Cahiers Jean Cocteau # 9 p. 269, Gallimard, 1981*)*

1* პიზანელო (ანტონიო პიზანო – 1395-1455), იტალიელი მხატვარი და ოქრომჭედელი; უჩელო (პაოლო დი დონო – 1397-1475), იტალიელი მოზაიკოსი და მხატვარი, რომლის შემოქმედებაც კუატროჩენტოს სინთეზის ნიმუშად ითვლება. კასტანიო (ანდრეა დელ – 1423-1457), ცნობილი ფლორენციული ფრესკების ავტორი.

2* „პოეტის სისხლი“ თავით ფეხებამდე შენიღბულ ავტორს (რომელიც ჟან კოცტოსთან იგივედბა) განასახიერებს. ავტორი გაქეპვების, ქანდაკებად ქცევის გზაზე დგას: ფილმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა; ქსოვილები და დრაპირება კი ჯერ კიდევ კოცტოს მოყვარულთა ფილმიდან, „ჟან კოცტო იღებს ფილმს“ (1927) იღებს დასაბამს და ფილმის „პოეტის სისხლი“ ასევე ერთ-ერთი მთავარი თემა ხდება. დაბინტული პროლოგი-ავტორი მაყურებელზე მძიმედ დაჭრილი, დასახიერებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჭრილობა და დასახიერება ფილმში არაერთხელ გვხვდება; ჟორჟ კოცტომ, ჟან კოცტოს მამამ, 1898 წელს საწოლში რევოლვერით მოიკლა თავი, რითაც იმხანად ცხრა წლის ვაჟიშვილის მგრძნობიარე ფსიქიკას წარუშლელი დაღი დაასვა.“

„ყოველთვის, როცა ოჯახსა თუ ქუჩაში სისხლი იღვრება, მას მალავენ, თეთრ ზეწარს აფარებენ, მოდის ხალხი, ივრება ადამიანთა წრე, რომელიც საშუალებას არ იძლევა დაინახო.“ – წერს კოცტო ესეისტური ხასიათის წიგნში, „ოპიუმი“. სისხლი, რომელიც ოჯახში იღვრება, მამის – ჟორჟ კოცტოს სისხლია, ხოლო სისხლი, რომელიც ქუჩაში იღვრება, თოვლის გუნდით დაშავე-

* ქვეცნობიერის კვლევის ზემოქმედ ფროიდისეული მეთოდის მოშველიება ფილმის კომენტარებისას იმდენად მოჭარბებული აღმოჩნდა, რომ აუცილებლად ჩათვალეთ ზოგიერთი ადგილის მაქსიმალური შერბილება და საწოთრო ადგილების მოღაანად ამოღებაც კი. ვინაიდან თვით ჟან კოცტო თავისი ფილმის ასახსნელად ყველაზე ლოკურად ფროიდის ფსიქოანალიზის მეთოდს მიიჩნევდა, ჩვენც სხვა კომენტატორთაგან უპირატესობა მილორადს მივცით.

ბული კოლეჯის ამხანაგის სისხლი, პოეტს მამის თვითმკვლელობით გამოწვეული ტრაგედია რომ განუახლა.

3* „კარის მრგვალი სახელური. ვილაც მისი მობრუნებით კარის გაღებას ცდილობს.“ ესეისტურ წიგნში „*არსებობის სირთულე*“ კარის კომპლექსის შესახებ კოკტო აღნიშნავდა: „*პოეტის სისხლში*“ ყველა იმ გამოვლენილ ცნობისმოყვარობას ხედავს, რომელიც აკრძალული კარის გაღებას გვაძიულებს“. რომელ აკრძალულ კარზეა აქ ლაპარაკი? „*პოეტის სისხლში*“ ჩვენ არაერთ კართან გვაქვს საქმე. კონკრეტულ შემთხვევაში, კარი რომლის გაღებასაც სახელურის მოტრიალებით ცდილობენ იგივე მნიშვნელობა ეძლევა, რაც ეკრანზე გაშვებულ ტექსტს. ყოველ პოეტურ ქმნილებას პერალდიკურ სიმბოლიკასთან რომ აიგივებს და მის ახსნას, გამოფერას ითხოვს. ამას გარდა, კარს სექსუალური დატვირთვაც ეძლევა. ფროიდი თავის ნაშრომში „*შესავალი ფსიქონალიზში*“ – (Payot.1964, თავი – „*სიზმრის სიმბოლიკა*“ გვ. 173) – კარს მდებრობითი სექსის გამოხატველ სიმბოლოთა რიგში აყენებს და მას როგორც საშოს, ქალის სხეულში შესასვლელ სიმბოლოდ მოიაზრებს. კარს რომლის გაღებასაც ცდილობენ, ნორმალური სექსუალური აქტის მნიშვნელობა ეძლევა და იგი ოიდიპოსის კომპლექსითაა დაკეტილი ანუ აკრძალული.

4* ქარხნის მილი ჩამოშვავებას იწყებს, მაგრამ ის მხოლოდ ფილმის დასასრულს შვავდება. შესაბამისად ამ ეპიზოდის კომენტარსაც ბოლოსათვის შემოვინახავთ.

5* a) ფონტენუა – ბელგიის ტერიტორია; იქ 1745 წელს ფრანგებმა მარშალ დე საქსის ხელმძღვანელობით ლუდოვიკო XV-ის ეპოქაში ინგლისელთა და პოლანდიელთა ლაშქარი დაამარცხეს.

b) ლუდოვიკო XV-ის პარიკი და ფონტენუას ბრძოლა (1745 წ.) ერთმანეთთან ქრონოლოგიურ კავშირშია და უთუოდ ფილმის მოქმედების უწვეულო დროით და სივრცით განზომილებაზე მიაწინებს. თუმცა ფროიდის მოწაფეებმა ფრაზაში: „ვიდრე შორს ფონტენუას ზარბაზნები გრუხუნებდნენ“ ფარული აზრი დანახეს: მამაკაცობის გამომხატველი სექს-სიმბოლოები – ზარბაზნის ლულები ცნობილი პიროვნებების, საქმიანი ადამიანების ცხოვრებაზე შემოქმედებენ, მნიშვნელოვნად ცვლიან მას – გრუხუნებენ. ამ დროს ღარიბულ ოთახში, რომელსაც ფროიდის მიხედვით იგივე სიმბოლური დატვირთვა აქვს რაც კარს, ახლგაზრდა კაცი განმარტოვებულა. იგი პოეტია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მოგვიანებით ირკვევა, რომ ის წერს, ხატავს და აქანდაკებს კიდევ. მოცემულ ეპიზოდში იგი პორტრეტის ხატვას ამთავრებს.

6* პოეტის როლის შემსრულებლის რივეროს შიშველი ტორსის გადაღებისას კოკტოს მის მარცხენა ბეჭზე მოზრდილი ნატყვიარი შეუნიშნავს: მსახიობი ასე საყვარლის ქმარს დაუსახიჩრებია. კოკტომ იარას შენიღბვის ნაცვლად ხაზი გაუსვა – თავისი ცნობილი ვარსკვლავი შემოავლო. ეს ვარსკვლავი კოკტოსათვის განგების, ბედისწერის, ნიჭისა და პოეზიის გამომხატველი ნიშანია და ხშირად ახლავს თან მის ხელმოწერას. კოკტომ ამავედროულად ნაიარევს შინა-არსობრივი დატვირთვაც მისცა და ფილმის პირველ ეპიზოდსაც „გაჭრილი

ხელისგული ანუ პოეტის ნაიარევები“ უწოდა. ადულტერი კოკტოსათვის ოიდიპოსის სამკუთხედს განასახიერებს და „პოეტის სისხლის“ წინამდებარე ანალიზიც ნაწარმოების ოიდიპოსისეულ დრამასთან მჭიდრო კავშირზე მიგვანიშნებს. ოიდიპოსი კლავს ანუ ასაჭურისებს მამას და თავს თვალების დათხრით, დაბრმავება-დასაჭურისებით ანუ მკვლელობით ისჯის. ფსიქოანალიზში მოკვლა და დასაჭურისება ტოლფასი ცნებებია. ნაიარევი ჭრილობის ნაკვალევია. რას წარმოადგენს პოეტის ნაიარევი? თუ კი ხელი ფროიდის მიხედვით მამრობითი სქესის გამოშხატველი სიმბოლოა, „გაჭრილი ხელისგული“ კასტრაცია-დასაჭურისებასთან, იმავე ოიდიპოსის დრამასთან წარმოშობს ასოციაციას. ეს კი როგორც მამის კასტრაცია-მკვლელობაში, ასევე ძის კასტრაცია მკვლელობაში, ბიბლიური სასჯელის ფორმით: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ კპოვებს გამოხატულებას.

7* კოკტოს ეს ნამუშევარი, რომელიც მისგან ვიკონტ დე ნოაიმ შეიძინა, ფილმში პოეტს ეკუთვნის. მავთულის მეტლე მიგვანიშნებს მუხების წინამძღოლ (მუზაგეტ) აპოლონზე, ხელოვნებისა და პოეტების ღვთაებზე. რომელიც თავად მართავს ანტიკურ ეტლს. ჩიბუხის საწმენდი მავთული კი პოეტის (კოკტოს) ოპიუმანობაზე მეტყველებს.

8* ნახატის ახლო ხელი. ეს პორტრეტია. მისი პირი გაცოცხლდა, გაიღო და მაგარი კბილები გამოაჩინა. გაცოცხლება-აღდგომა მნიშვნელოვანი თემაა კოკტოს შემოქმედებაში; იგი ხშირად ხელოვნების ნაწარმოების გაცოცხლების ავტორისეულ ილუზორულ განცდას გამოხატავს. თუმცა „პოეტის სისხლში“ საქმე სხვაგვარადაა. „პირი გაცოცხლდა და მაგარი კბილები გამოაჩინა“ – ფსიქოანალიზი ჩვენ აქ ფანტასმაგორიის წინაშე გეაყენებს – პირი, რომელსაც ფროიდი იმავე სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, რასაც კარსა და ოთახს (იხ. ფროიდის დასახელებული ნაშრომი თავი – „სიზმრის სიმბოლოა“), კასტრაციით იმუქრება და თან ინცესტის ამკრძალავ ოიდიპოსის კომპლექს ეხმინება: ნახატი პოეტს, (რომელიც კოკტოსთან იგივედება) ქვეცნობიერიდან ამოუტივტივებს მუქარას: „დედას ცოლად შეირთავ“. პოეტი მთელი მონდომებით ფხეკს, შლის სურათს. კომპლექსით გამოწვეულ საშინელ მუქარას პოეტი კვლავ ქვეცნობიერში დევნის.

9* პოეტი კარს უღებს ლუდოვიკო XV-ის ტანსაცმელში გამოწყობილ ამხანაგს, რომელსაც ფილმში ჟან კოკტოს იმჟამინდელი ინტიმური მეგობარი ჟან დებორდი განასახიერებს. დებორდი კოკტოსათვის ფილმსა და ცხოვრებაშიც ერთსა და იმავე როლს ასრულებს. (ამ მეთოდს კოკტო მოგვიანებით ტრადიციად აქცევს: „ორფეოსს“ და „ორფეოსის ანდერძში“). იგი ასევე თავის მეგობარ მამაკაცებს – ჟან მარესა და ედუარდ დერმის ათამაშებს. პოეტის ხელის დანახვა ამხანაგს იმდენად აშინებს, რომ იგი გარბის.

10* ა) კოკტო ხარეზს გამონაგონად აქცევს, კადრში ხელისგულზე პირის გამოსახვას ტექნიკური ხარეზი დაემთხვა, გამოსახულებების ერთმანეთზე დადებისას პირის მონახაზი ხელისგულზე მკვეთრი აღმოჩნდა. კოკტომ აღნიშნული დეფექტის ანალოგიით 1959 წელს მილი ლა ფორეს სენ-ბლენის ეკლესია,

სადაც დღეს მისი ნეშტი ასვენია, მოხატა. იესო ქრისტეს ცისკენ აღმართული ხელი მან ანალოგიური, ნათელი ლაქით გაასხივოსნა. აღნიშნული ფრესკის შესახებ კოკტო წერდა: „ანგელოზი უკიდურეს მარჯვენა კუთხში დგას, სუდარის კიდე აუსწევია, ქრისტე კი საფლავს ტოვებს და მარჯვენა, შარაყანდელით გასხივისნებულად, გახერხტილი ხელისგულით ცისკენ მიგვანიშნებს.“

b) თაბაშირის ხელისგულზე ნახევრადლია პირიდან წყალი გადმოღის – პარალელი ქრისტესათვის გვერდში ისრით მიყენებულ ჭრილობასთან: მაცხოვარს იარიდან წყალი და სისხლი სდიოდა. ჟან კოკტო თავს იესო ქრისტესთან აიგივებს; მათ ინიციალებიც საერთო აქვთ: Jesus Chris t - Jean Cocteau = J.C. ქრისტესთან იდენტოფიკაციის თემას კოკტო უფრო თამამად ავითარებს ლექსში, „ჯვარცმა“:

c) „მსახიობის ხელის ავტორის თაბაშირის ხელით შენაცვლება ავტორისა და ფილმის პერსონაჟის იდენტურობაზე მეტყველებს. ფილმის პოეტი, იგივე ჟან კოკტო, ცოცხალი პოეტიდან თანდათან ქანდაკებად, გარდაცვლილ, ცნობილ პოეტად იქცევა – ფილმის კიდეე ერთი მნიშვნელოვანი თემა.“

11* „დამხრჩვალ პირი“ გაცოცხლებას ითხოვს. აღდგომა-გაცოცხლების თემას კოკტო ფილმებში „ორფეოსი“ და „ორფეოსის ანდერძი“ იმეორებს: ორფეოსი აცოცხლებს ევრიდიკეს, სეჟესტს სხვა სამყაროდან პოეტთან გასაცოცხლებლად „მკვდარი ყვავილი“ იბისკუსი მიაქვს.

პოეტის დამოკიდებულება პირ-ჭრილობასთან ამბივალენტურია. ჯერ ის ზიზღით აკვირდება ხელს, როგორც კაცი, რომელიც ხედავს, რომ კეთრი შეჰყრია და ამოდ ცდილობს მის მოშორებას (ცნობიერის ქვეცნობიერში განდევნას), მაგრამ მოულოდნელად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს; ჭრილობა-პირს ტუჩებით დააცხრება – პირველი მინიშნება ავტოეროტიზმზე.

12* მინიშნება აშკარა ხდება. პოეტი გაორებულია. ის კაციცაა (მამაკაცის სხეული) და ქალიც (ჭრილობა-პირი ხელისგულზე). ჭრილობა-პირი, ამასთანავე ქვეცნობიერში განდევნილი, ძველად მიღებული ტრავმაა, რომელიც ახლა პოეტთან ერთად „ცნობიერისა და ქვეცნობიერის“ ურთიერთუკავშირით ტკბება. ესეისტურ ნაწარმოებებში („ოპიუმი“, „არსებობის სირთულე“) კოკტო არაერთხელ აღიარებს, რომ თავის ნაწარმოებებს უმთავრესად ცნობიერისა და ქვეცნობიერის ურთიერთაღრევიტ ქმნის.

13* პირადმა სახის ახლო ხედი. ჩამოშლილი თმა და ქუთუთოებზე მიხატული გაფართოებული თვალები სექსუალური ტკობის მანიშნებელია.

14* ერთი მხრიდან თეთრი, მეორედან კი შავი ნილაბი დღისა და ღამის მონაცვლეობის, ისევე როგორც ცნობიერის (თეთრი – დღე) და არაცნობიერის (შავი – ღამე) ალეგორიული გამოხატულებაა. მიუხედავად ავტორისა, რომელიც აცხადებს: „მეორე დღით“, სინამდვილეში ნილბის ტრიალი დღისა და ღამის უთვალავ გასვლაზე მიგვანიშნებს.

15* ამ დროს კადრში ისმის რიმსკი კორსაკოვის მუსიკა „ოქროს მამლიდან“ – „Coq d'or“. კოკტოს სიტყვების თამაში უყვარს: მამალს ანუ კოკტოს სძინავს. (კოკტოს გვარის ფუძე სიტყვა – „მამალიდან“ – coq წარმოსდგება; d'or კი

ისევე ვედრს როგორც სიტყვა, სძინავს – dort; კვლავ მინიშნება, რომ ფილმის პოეტი და ჟან კოკტო ერთიდაიგივე პიროვნებაა.

16* ძილში მოსურჩულე მძინარე პოეტის პირი, ძილი კოკტოს შემოქმედებისათვის აუცილებელი და განუყოფელი პირობაა. კოკტო სხვადასხვა დროს და მრავალჯერ ამბობს, რომ ფხიზელს იშვიათად თუ შეუქმნია რაიმე ღირებული. წიგნში „ოპიუმი“ კი პირდაპირ აღიარებს, რომ ძილში წერას არის დაჩვეული.

17* რეიმონ რადიგეს (1903-1923), ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლისა და კოკტოს ინტიმური მეგობრის, უეცარმა სიყვდილმა ისევე თავღზარდამცემად იმოქმედა პოეტზე, როგორც ოდესღაც მამის თვითმკვლელობამ. სწორედ რადიგეს სიყვდილის შემდეგ გაჩნდა მის შემოქმედებაში ქანდაკებები – ახალი პოეტური აქსესუარი: ცივი გახევებული, ფერმერთაღი, უძრავი და ცხედარივით მრავალმნიშვნელოვანი. ქალ-ქანდაკებს ბიჭური ვარცხნილობა აქვს და ვენერა მილოსელივით უმკლავია. კიდურების არარსებობა-ამპუტაცია სექსუალურ ნაკლზე ანუ კასტრაციასზე (იხ. ფრიდის დასახელებული ნაშრომი, თავი – „სიმშრის სიმბოლია“), ბიჭური ვარცხნილობა კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქანდაკება მხოლოდ ჯგავს ქალს, სინამდვილეში კი ქალი არ არის. ქანდაკება როგორც ძველ საბერძნეთში ქსოვილშია გახვეული. პოეტი მკვლევრით, თითქოს მსხვერპლს გუდავდეს, მას პირზე მარჯვენა ხელს აფარებს.

18* „ქანდაკებას ასე მოულოდნელად, საუკუნოვანი ძილისაგან მხოლოდ გიჟი გააღვიძებს“ – პოეტს ხელისგულზე გაჩენილი ცოცხალი ჭრილობა-პირი ანუ კომპლექსი, რომელსაც მის ქვეცნობიერებაში დიდხანს მძინარე მზეთუნახავივით ეძინა, ქანდაკების პირზე გადააქვს და სულს შთაბერავს. პოეტი საკუთარ ქმნილებას ქვეცნობიერში განდევნილი კომპლექსის მეშვეობით აცოცხლებს. ჟან კოკტო არც მალავს, რომ თავისი ქმნილებების უმრავლესობა ქვეცნობიერის გავლენით, ძილ-ღვიძილში, ოპიუმის გავლენისა და რეალობა-ირეალობის ზღვარზე აქვს შექმნილი.

19* პოეტი ჭრილობისაგან თავისუფალ ხელისგულს დასცქერის. კომპლექსისაგან გათავისუფლებას იგი ხელოვნების ნაწარმოებში მისი სუბლიმაციით ცდილობს, ყოველ შემთხვევაში, ამას მისთვის დროებით, მაგრამ მაინც მოაქვს შვება.

ანდრე ფრენოსათვის მიცემულ ინტერვიუებში, რომელიც მოგვიანებით ესეისტურ ნაშრომად „საუბრები კინემატოგრაფზე“ ჩამოყალიბდა, კითხვაზე მაინც რატომ წერთ, რატომ აქვეყნებთ და ქმნით პიესებსა და ფილმებს, კოკტომ უპასუხა: ალბათ მათ სხეულიდან უნებურად გამოვყოფ, რადგან ჩემი საიდუმლოებების შუქზე გამოტანისა და ყველასათვის ურცხვად განდობის სწრაფვას სხვაგვარად ვერაფრით აეხსნა.

20* ავტორის ხმა: აქვთ თუ არა კედლებს ყურები? ამ კითხვაზე ანგელოზი ერტებიზი, კოკტოს ამავე სახელწოდების ლექსში, დადებითად პასუხობს:

კედლები, კედლები,
მათ აქვთ ყურები.
სარკეები კი, სარკეები,
სატრფოს თვალებით შემოგვეცქერაინ.

ქანდაკება ამბობს: გგონია, ასე ადვილად მოიშორებ ჭრილობას, ასე ადვილად მოაკეცილებ პირს?" - ხელოვნებაში გადატანილ კომპლექსს პოეტისათვის მხოლოდ დროებით მოაქვს შეება, მაგრამ არა სამუდამოდ, ამიტომ იგი მარად შემოქმედებით ძიებაშია. კამერა ოთახს ჩიტის თვალსაწიერიდან ზეერავს. ოთახის კედლებს არც ფანჯარა აქვს და აღარც კარი. „პოეტის სისხლის“ ავტორი საკუთარი თავისა და ნაწარმოების ტყვეობაშია. პოეტი კედლების გასწვრივ დადის, ხელით ეხება მათ და მაღალი სარკის წინ ჩერდება. უწინ აქ კარი იყო. კომპლექსებით დამძიმებული პოეტისათვის გარე სამყარო აკრძალული ხდება; ამასთანავე ჩნდება კოცტოსათვის მნიშვნელოვანი სარკის თემაც, რომელიც ქანდაკების თემის მსგავსად, რადიგეს სიკვდილის შემდეგ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კოცტოს შემოქმედებაში. პირველად სარკეს მის პიესაში, „ორფეოსი“ (1925) ვხვდებით. იქ ის, როგორც „პოეტის სისხლში“, კარის როლს ასრულებს, რომლითაც სიკვდილი, ორფეოსი, ევრიდიკე და ანგელოზი ერთებიანად თავისუფლად გადი-გამოდან.

21* „სხვა გზა არა გაქვს, სარკეში უნდა შეხვიდე და იქ ისეირნო. ... მიიდი სცადე, სცადე.“ - ქანდაკება აქ ერთსა და იმავე დროს მშობლის, ავტორიტეტული პიროვნების, მენტორისა და მუზის როლში გამოდის.

22* სარკე ადამიანის სხეულის ნაცვლად მის სულს ირეკლავს. პოეტი იმის მაგივრად, რომ დამთრგუნველ კომპლექსს გაექცეს, „სარკეში შედის“ - საკუთარ თავში ღრმავდება. სულის ინტროსპექციას იწყებს.

23* ფილმის ეს ეპიზოდი ანგელოზი ერთებიანად სიტყვებს პიესიდან „ორფეოსი“ - „ისე შეხვალ სარკეში, როგორც წყალში“, კინემატოგრაფის საშუალებით ხილვადს ხდის.

24* რა ხდება სარკის იქითა მხარეს საკუთარ თავში ჩაღრმავებისას? - „ღამეა“, სხეულის ღამე ანუ ადამიანის ქვეცნობიერი სამყარო. საეჭვო რეპუტაციის სასტუმროს დერეფანიც ამას გულისხმობს: ...სასტუმრო ადამიანისათვის დროებითი საცხოვრებელია. ფრიდისათვის საცხოვრებელი, სახლი ადამიანის, როგორც მრავლისმომცველი მთელის, გამომხატველი ტიპური სიმბოლოა და აქ უთუოდ ადამიანის „სხეულის ღამეში“ ე. ი. ქვეცნობიერში, ავტორის, კოცტოს ჩაღრმავება იგულისხმება. იკეთება ის გარმობაც, რომ სასტუმრო, ადამიანის სულის დროებითი სამყოფელი, სხეულივით საეჭვო რეპუტაციისაა.

25* „ფოლი დრამატიკ“ - follies ანუ სიგიჟეები, შინაფრენისათვის დამახასიათებელი იდუმალება, ყველას რომ გვახასიათებს, dramatis - დრამატული და ტრაგიკულია. მთელი ფილმი ტრაგიკული და ამავდროულად სანახაობითი (რადგანაც სიტყვა დრამა თეატრს უკავშირდება და მაყურებლისათვის გამიზნულ სპექტაკლს ნიშნავს) „სიგიჟეების“ დემონსტრაციას წარმოადგენს.

26* a) ანამიტი - ანუ ვიეტნამელი. ანამი - ვიეტნამის მოძველებული სახელწოდება. ასე უწოდებდნენ ჩინელი იმპერატორები ჩრდ. და ნაწილობრივ ცენტრალურ ვიეტნამსაც, რომელიც VII - X სს-ში ჩინეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა.

b) რეალური ფაქტიდან გამომდინარე ასოციაცია. „პოეტის სისხლის“ გადაღებისას (1930) ჟან კოცტო და მისი ამხანაგი ჟან დებორდი სასტუმრო „მადლენ

პალასში“ ცხოვრობდნენ. სადაც მათ ვიეტნამელი ბიჭი ემსახურებოდა.

27* წინააღმდეგობას, რომლის გამოც პოეტს გადაადგილება უჭირს, ფსიქო-ანალიზი ცენზორს უწოდებს. ცენზორი პოეტს არააცნობიერის ზღურბლის გადაბიჯებას უძღვის.

28* ხერხელს ფროიდი იგივე მნიშვნელობას აძლევს, რასაც ოთახსა და კარს, აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ეპიზოდი დედის წიაღში დაბრუნების სურვილს გამოხატავს. სასტუმროს „ფოლი დრამატიკის“ ოთახები პოეტში შინაგანად არსებული დედა-კაცია, ხოლო ის, რასაც იგი ამ ოთახებში (სასტუმროს ნომრებში) ხედავს, პოეტური ქმნილებების ჩანასახები.

29* a) ვენსანის სანგრები – იხ. ვენსანის ციხე-სიმაგრე (აშენ. 1337-1370 წწ.) – საფრანგეთის მეფეების რეზიდენცია, რომლის სანგრებშიც 1804 წლის 20 მარტს ბონაპარტემ მის წინააღმდეგ შეთქმულებაში უსაფუძვლოდ ეჭვმიტანილი პერცოგი აგენი დაახვერტინა (ლუი ანტუან ჰენრი დე ბურბონი. პერცოგი აგენი (1772-1804). 1944 წლის 20 აგვისტოს კი ამავე სანგრებში ფაშისტებმა მძევლები დახოცეს.

b) არაგოს ბულვარი – იხ მძეები არაგოები: არაგო ფრანსუა – ფრანგი ასტრონომი და ფიზიკოსი (1790-1853) საზ. მოღვაწე; არაგო ფაკი – ფრანგი მწერალი და მოგზაური (1790-1855) წიგნის, „*მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო*“ ავტორი. არაგო ეტიენი – ფრანგი მწერალი და პოლიტიკოსი – (1802-1892 პარიზის მერი 1859 წ; არაგო ემანუელი, ფრანსუა არაგოს ვაჟი – ფრანგი პოლიტიკოსი (1812-1896).

30* ჟან კოკტოს გაღვიძება და რეალობასთან დაბრუნება უჭირს: დიდი ხანია ძილში ვპოულობდი შვებას. იმის შეგნება, რომ ძილს ღვიძილი უნდა მოჰყოლოდა, მოსვენებას მიყარავდა; საშინელი სიზმრები მესიზმრებოდა. დილაობით რეალობასთან დაბრუნება მიჭირდა... რეალობა და სიზმრები ერთმანეთში მერეოდა. ჭუჭყიან ლაქას ემსგავსებოდა... ო, ეს დილები! თითქოს ბინძურ წყალში ჩაგდებულს ცურვას გაიძულებენ“ (წერილი ფაკ მარიტენს, 1925); როცა ვიღვიძებ, ვინმესთან ურთიერთობა მჭირდება, მაგრამ ვერძნობ. სამყაროდან შუა ზღვაში მოტივტივე გემის ნამსხვრევივით მოწყვეტილი ვარ... მთავარია იცოდე, რა უფრო შევიმსუბუქებს სულიერ მდგომარეობას – ამოეფარო ნიღაბს, თუ დამისეული ჭუჭყისაგან გათავისუფლდე.“ (ჟან მარეს წიგნიდან, „*ჩემი ცხოვრების ისტორია*“). სასტუმროს ოთახი, სადაც კოკტო ყოველ დღით იღვიძებს და შფოთიანი მექსიკა, სადაც რეპრესიების დროს 1867 წელს, იმპერატორი მაქსიმილიენი დახვერიტეს, ვენსანის სანგრები, რომელშიც 1804 წ. ბონაპარტემ სრულიად უდანაშაულო პერცოგი აგენი დაახვერტინა, II მსოფლიო ომის დროს კი ფაშისტებმა მძევლები დახოცეს, ისევე როგორც არაგოს ბულვარი, იქ აღმართული გილიოტინით, კოკტოში ერთნაირად მძიმე ასოციაციებს იწვევს.

სასტუმროს პირველ ოთახში, როგორც რიჟრაჟის ამზრუნენი გახსენება და რეალობასთან შეგუების აუცილებლობა, ისმის მალვიძარას წიე-წიეი, რომელიც დროის უმოწყალო დინებაზეც მიგვანიშნებს.

მოჩანს მღვდრობითი და მამრობითი სქესის გამომხატველი სიმბოლოები:

კლდე-ბუხარს – ფროიდი იგივე მნიშვნელობას ანიჭებს, რასაც კარს, ოთახსა და ხვრელს. ხოლო მასზე დადგმული ღვთისმშობლის პატარა ქანდაკება – დედაზე, ქალწულ, უმწიკვლო ქალზე მიგვანიშნებს და ინცესტის აკრძალვას გამოხატავს. ბუხარის წინ დგას მექსიკელი. ის პოეტს ჰგავს და უთუოდ თავად პოეტია. პოეტს იზიდავს ქალი. ეს დედა, ან ქალი-დედა (იოკასტე) კლდოვან ბუხარზე დგას. საქმე ოიდიპოსის კომპლექსთან მიღის – „დედას ცოლად შეირთავ“, მაგრამ არ აყენებს სასჯელი ინცესტისათვის: მოჩანს თოფის ლულები. მექსიკელს მიზანში იღებენ. ისმის თოფების ბათქი. კადრში ვერ ვხედავთ ვინ ისვრის. მხოლოდ იარაღი ჩანს. ფროიდის მიხედვით იარაღი, კონკრეტულად კი ცეცხლსასროლი იარაღი, როგორცაა თოფი, მამაკაცის სექსის გამომხატველი სიმბოლოა. ლულები მამის სამყაროს ნაწილია, იარაღით დამუქრებას კი ფროიდი სქესობრივი კავშირის გამომხატველ სიმბოლოდ მიიჩნევს. გამოდის, პიროვნებას სექსით აფიზიზლებენ (გაეიხსენოთ აგრეთვე ფონტენუას ზარბაზნები, რომლებიც შორიდან ქუხდნენ). ეს პიროვნება ჟან კოკტოა. მისი პასიური პომოსექსუალიზმში აღიქმება როგორც ოიდიპოსისათვის განუთუნელი სასჯელი; მამა თავისი სექსით ასაჭურისებს ანუ კლავს შეილს, ვინც იგი ოიდიპოსის კომპლექსით მოჰკლავს ანუ იგივეა, რაც დასაჭურისა. გაეიხსენოთ ის გარემოება, რომ კოკტოს მამამ თვითმკვლელობისათვის სწორედ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ღვთისმშობლის ქანდაკება ნამსხვრევებად იქცევა. მამის და არა შეილის კავშირი დედასთან, თუმცა ეს კავშირი თრეუნავს შეილსაც – „მექსიკელი ეცემა“. ეპიზოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც მკვლელობა-სასჯელი სექსუალიზმის ფონზე. საეჭვო რეპუტაციის სასტუმროს ოთახი გარიჟრაჟზე ერთის მხრივ შეიძლება პასიურ პომოსექსუალიზმთან, კასტრაციასთან (მექსიკელი, რომელიც იღვა ეცემა) მეორეს მხრივ კი (რადგან ფსიქონალიზმში მკვლელობა და დასაჭურისება ტოლფასი ცნებებია) მკვლელობასთან გაეიგივოთ. ფრაზა, „მექსიკელი ისევე ფეხზე დგება და ღვთისმშობლის ქანდაკებაც მთელდება“, ოიდიპოსის კომპლექსისა და სქესობრივი კავშირის უსასრულო განმეორებადობაზე მიგვანიშნებს. სასტუმროში საწამებელი ოთახის, ანტროპომეტრული სამსახურისა და სატუსალოს ეზოს მკაცრ ატმოსფეროს დაუსადგურებია.

31* ბუხარი სასტუმროს მეორე ოთახშიც ფიგურირებს და მას აქაც იგივე სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც წინა ეპიზოდში. ბუხართან პატარა გოგო მოუწებულა. მას ბოშების მოტაცებული ბავშვივით აკრობატის მაისური აცვია. ტექსტში არის შენიშვნა – „დიენსის ოლივერ ტვისტის სტილში.“ „ოლივერ ტვისტში“ ნაცემი ბავშვი გაქცევით შველის თავს და ქურდთა ბანდას უკავებარდება; იქ მას ქურდობასთან ერთად ფრენას, აკრობატიკასაც ასწავლიან. „ვასწავლით ფრენას.“ ზმნა voler – პოლისემურია,

იგი ფრენასაც ნიშნავს და ქურდობასაც. კოკტოს სიტყვების თამაში და ორაზროვნული გამოთქმები უყვარს. ბავშვების გამტაცებლები, უმთავრესად ბოშები, მოტაცებულ ბავშვებს ქურდობასთან ერთად ცირკში ტრაპეციაზე სიარულს, ფრენასაც ასწავლიან. დიენსის რომანის გმირის ოლივერ ტვისტის ხსენებაც უთუოდ ზმნა voler-ის ორმაგმა მნიშვნელობამ განპირობა.

თუმცა ფროიდის სიმბოლიკის გათვალისწინებით, ფრენას სექსუალური დატვირთვაც აქვს.

რაც შეეხება მოხუც გუვერნანტ ქალს, ის კოცტოსათვის რეალური ფაქტიდან გამომდინარე ასოციატია. ბავშვობაში მას მართლაც ჰყავდა მკაცრი და შეუხედავი გერმანელი გუვერნანტი ქალი ფროილან ჟოზეფინ ებელი.

32* სასტუმრო „ფოლი დრამატის“ მესამე ოთახი. ოთახი 19, „ღეთაბრივი ჭერი.“ მის მობინადრეებს თავისი საიდუმლოებები აქვთ. ჟან მარე წიგნში „ჩემი ცხოვრების ისტორია“ იგონებს, რომ ჟან კოცტოს ოპიუმის მოწვევა განმარტოებით და ფარულად ერჩინა. სიფრთხილის გამო „კარის ძირში პირსახოცებს ვაწყობდით“ – იგონებს მარე. „ჩინურ მისტერიებში“ ავტორი ოპიუმის მოწვევას გულისხმობს. პოეტი გასაღების ხერხიდან იღებს ქაღალდს და ოპიუმის ლამფით განათებულ ჭერსა და მასზე, როგორც ჩინური ჩრდილების თეატრში, არეკლილ ოპიუმის მწველის ხელს ხედავს.

33* ეს უთუოდ მადლენ პალასის ვიეტნამელი მსახურის თვალაა. გაურკვეველი დარჩა მისი როლი კოცტოსა და ჟან დებორდის ოპიუმანობაში: უცნობია მსახური უთვალთვალებდა, ხელს უწყობდა თუ მათთან ერთად ეწეოდა ოპიუმს.

34* დერეფნის მეოთხე და ბოლო კარი. წარწერა №19. ეს ნომერი ეწერა „ჩინური მისტერიების“ ოთახის კარსაც. აქ უდაოდ უნებლიე შეცდომაა, რადგან ფილმის ამ ბოლო IV კარის ჩვენებისას ავტორი აცხადებს: № 23. ამ ოთახში, ანუ სასტუმროს ნომერში, პერმაფროდიტის უიმედო პაემანები ინიშნება. განიერი დივანი, განუწყვეტლივ ტრიალებს სპირალი, რაც სქესობრივი კავშირების განმეორებადობაზე მეტყველებს. დივანს მთელ სიგრძეზე განიერი შავი დაფა ჰყოფს. დაფა ცარცის ნახატებით იფარება, რაც უთუოდ ჟან კოცტოს ლიცეუმში სწავლის წლებსა და მოწიფულობის ასაკზე მიგვანიშნებს. კადრში გამოჩნდება თეთრნიღბიანი თავი როგორც ავტორის ნიღბიანი თავი ფილმის დასაწყისში. დივანზე ფრაგმენტულად, ხან მამაკაცისა და ხანაც ქალის გამომხატველი სიმბოლოების გარემოცვაში ვხედავთ პიროვნებას. ეს პერმაფროდიტია. ე. ი. პერმაფროდიტიც ავტორთან იდენტიფიცირდება.

35* შავ დაფაზე გაჩენილი ვარსკვლავები კონკრეტულ შემთხვევაში სქესობრივი ტკობის სიმბოლური გამოხატულებაა. სხვა სხეულის კიდურებისა და ტორსის გამოჩენა კი სქესობრივი პარტნიორის გამოჩენაზე მეტყველებს; ეს კი პერმაფროდიტისათვის სიტუაციის გართულებას ნიშნავს. პერმაფროდიტი წევს ნაჭერს... ვხედავთ ფორნიშს წარწერით: სასიკედილოა, რაც პერმაფროდიტიზმისა და საერთოდ სექსუალობისადმი უარყოფით დამოკიდებულებასა და აკრძალვაზე მიგვანიშნებს.

36* როცა პოეტი დერეფნის ბოლოს აღმოჩნდება კედლის კუთხიდან გამოდის ქალის ხელი. მას რევოლვერი უჭირავს. ვისია ეს ხელი? არც მექსიკელის ეპიზოდში ჩანდა ვის ეჭირა თოფები. ამ შემთხვევაში კი იდუმალებას შუქი ეფინება. ეს უმკლავო ქანდაკების ხელია. ჩვენ მას ხმაზე ვცნობთ, როცა ის რევოლვერის ხმარების წესს გვასწავლის. ეს ქალი-ქანდაკება პოეტს თვითმკვლელობისაკენ მოუწოდებს. პოეტი უხილავი ქანდაკების მითითებით ტყვიას საფეთქელში იხლის.

37* საფეთქლიდან ნაჩქეფი სისხლი პოეტს სხეულზე ეღვრება, მეწამულ ქსოვილად იქცევა და ტანზე ეხვევა. ფილმში პირველად ჩანს სისხლი. კიდევ ერთი გახსენება, რომ კოკტოს მამამ თავი საწოლში მოიკლა და რომ იგი სისხლით გაჟღენთილ ზეწრებში გახვეული იპოვეს: ფაქტი, რომლითაც შეიძლება აეხსნათ ქსოვილებისა და დრაპირებების თემის სიხშირე კოკტოს მთელ შემოქმედებაში. ქანდაკების სქესმა არ უნდა შეგაცდინოს. ქანაქებაში მამა იგულისხმება და არა დედა. ყველაფერი: სიცივე, სიფრემრთაღე, მკვლელობა-კასტრაცია, ქანდაკების დრაპირება, კოკტოსათვის მამის საწოლში თვითმკვლელობიდან გამომდინარე რეალური ასოციაციებია; მამის აჩრდილი, კონკრეტულ შემთხვევაში ქანდაკება ძეს მისივე თვითმკვლელობის მსგავსი თვითმკვლელობისაკენ უბიძგებს, რაც პატარა ჟან კოკტოში „ოიდიპოსის კომპლექსის“ ზეგავლენით, მომხდარის გამო, საკუთარი ბრალის შეგრძნებას ბადებს, უკვე ზრდასრულ პოეტ კოკტოს კი ბიბლიური სასჯელით: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“, თავის დასჯის სურვილს აღუძრავს.

38* მამისა და ძის სისხლით შეღებილი ქსოვილი დიდებაზე მიგვანიშნებს: ოიდიპოსის ტრაგედიამ ხელოვნების ნაწარმოების შექმნა განაპირობა. ამ ნაწარმოებმა მის ავტორს სახელი მოუხვეჭა: პოეტს „თავზე გვირგვინი ამოსდის“, რაც მეწამულ დრაპირებასთან ერთად პოეტს მუზეების წინამძღოლ (მუზაგეტ) აპოლონს ამსგავსებს. აღსანიშნავია, რომ მუზოგეტი აპოლონი, ორფეოსის მითის ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, ორფეოსის მამად მოიაზრება. ნათელი ეფინება ჩიბუხის საწმენდი მავთულისაგან გაკეთებული ანტიკური ძეგტლის სახესაც, რომელიც მუზეების წინამძღოლ აპოლონთან იდენტიფიცირდება. პოეტი დახუჭულ თვალებს ახელს. მისი თვითმკვლელობა ჯერ მხოლოდ საკუთარ თავში ჩაღრმავების დამავიგირგვინებელი ფანტაზმია.

39* პოეტის ამბოხი ბედისწერასთან. ის იგლეჯს მეწამულ მოსასხამსა და გვირგვინს, რომელიც როგორც ოიდიპოსისეული მამისმკვლელობისა და საკუთარი სასჯელის გახსენება, პოეტის ნაიარევების კიდევ ერთი გამოხატულებაა. პოეტს სურს გაექცეს საშინელ რეალობას – მამისმკვლელობას, სურს კვლავ ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტიდეს, საშინელი ცოდვა კი ქვეცნობიერების ლაბირინთებში განდევნოს. პოეტის გაქცევას ფონად საგანგებოდ ჩაწერილი გულისხმება და გაშმაგებული სირბილით გახშირებული სუნთქვის ხმა ედება. მის გაშმაგებას თან შიში და ძრწოლვა ახლავს.

40* როცა სარკე პოეტს უკან ისვრის, ის ზუსტად იმავე ადგილას დგას, სადაც საკუთარ თავში ჩაღრმავებამდე იდგა; ე. ი. ქანდაკებასთან ერთად ოთახშია გამოწვევებული. პოეტის ბედისწერასთან ამბოხი გრძელდება. იგი ქანდაკებას ხის ჩაქუნს ურტყამს. „ქანდაკება იმსხვერვა. თავი შუაზე ეპობა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქანდაკება მამას განასახიერებს. ე. ი. პოეტი ჩვენს თვალწინ ოიდიპოსისეულ მამისმკვლელობას იმეორებს. აქ თვით გაჩეხილი თავიც კი ფიგურირებს.

41* პოეტი ბობოქრობს. ქანდაკების ნამსხვერევები თაბაშირის ბულს აყენებს. ავტორის ხმა გვამცნობს: „ყველა ქანდაკება დასამსხვერევია“, მაგრამ ვაი თუ თვითონაც მათ შორის აღმოჩნდი. დიდება, დიდება მარად... მამისმკვლელობას

იქვე შესატყვისი სასჯელი მოსდევს. დიდება „ფოლი დრამატუის“ დერეფნის ბოლოში დგას. იგი ოიდიპოსის ტრაგედით შთაგონებულმა ნაწარმოებმა წარმოშვა. თუმცა ამ ეპიზოდს მრავალი სხვა გაგება და ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს: თვითონ უნდა იყო ქანდაკება იმისათვის, რომ სხვა ქანდაკებები გაანდგურო. ეს ნიშნავს, რომ თვითონ უნდა იქცე ქანდაკებად (მოკლულ იქნე) იმისათვის, რომ მოკალი (ქანდაკებად აქციე);

42* ა კონდორსე, მარი ჟან ანტუან დე კარიტა (1743-1794) მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი და დიპლომატი.

ბ კოტო კონდორსეს სახელობის ლიცეუმში სწავლობდა. ლიცეუმიდან გამოსულს, მას აღნიშნულ უბანში არაერთხელ უგუნდავია. დამსხვრეული თაბაშირის ქანდაკების ბული თოვლის ასოციაციას იწვევს და აუტორიც ფილმის მესამე ეპიზოდის დაწყებას გვაუწყებს: „გუნდაობა“. პოეტი ქანდაკებად იქცა. ის მონტიეს კვარტალს ამშვენებს. გუნდაობის ეს ეპიზოდი ჟან კოტოს *„სწელი მოზარდების“* თავის კინემატოგრაფიულ ვარიანტად ითვლება, მაგრამ მას ერთი ახალი ელემენტი ერთვის: ბავშვები ქანდაკებას გუნდებს უშენენ და ანგრევენ: მწარე ფიქრები დიდების ფარდობითობაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე რეალობაში, იმ რეალობაში, რომელიც თვით ქანდაკებებსაც ანადგურებს. ამასთანავე, პოეტის ძეგლთან მოსწავლეთა განსაკუთრებული აგრესიულობა (ერთ-ერთი მოსწავლე ქანდაკების თავს იგდებს ხელში), ისეუ მაძისმკვლელობის ცოდვისა და სასჯელის მთავარ თემებთან გვაბრუნებს – კოტოს მამა თავში ჭრილობით გარდაიცვალა; კოტომ „ფოლი დრამატუის“ ეპიზოდში ძისათვის ცოდვის გამო-სასყიდ სასჯელად თავში მიყენებული ჭრილობა წარმოიდგინა და ბედისწერასთან ამბოხისასაც ნამსხვრევებად სწორედ ქანდაკების თავი აქცია. დანაშაულისასჯელის ამ უწყვეტ დიალექტიკაში მოსწავლეები მამის შურისმგებელ ძალას განასახიერებენ.

43* მოსწავლეების გაცხოველებული გუნდაობა კოტოში ბავშვობის, პირადად მისადმი გამოხატულ აგრესიულობის მოგონებას აღძრავს. შედარებით უფროსი, თოთხმეტი წლის მოწიფული მოსწავლე დარჟელოსი, მისთვის თანალიცეუმელი, მიმზიდველი ბიჭის ნიშუშიცაა და სხვა მოსწავლეების კრებითი სახეც. აუტორის განცხადება კი: „მოსწავლე დარჟელოსი კოლეჯში პირველ მამლაყინწად ითვლებოდა“, დანარჩენ მოსწავლეებს უნებლიედ დედლების კატეგორიაში „აქვეითებს“. მანამ სხვა მოსწავლეები გუნდებით პოეტის ქანდაკებას ამსხვრევენ, დარჟელოსი ქვასავით მკერივი გუნდით მასზე უმცროს, ცამეტი წლის ამხანაგს ასახიჩრებს. ეს ანონიმური ამხანაგი პოეტთან იდენტიფიცირდება. პარალელურად მიმდინარე სცენებში მოსწავლეები ანგრევენ პოეტის ქანდაკებას, დარჟელოსი კი თავად პოეტს, კოტოს უსწორდება.

44* *თოვლის გუნდა მარმარილოს მუშტის დარტყმას ჰკავდა,*
ამ გუნდამ მის გულს ვარსკვლავის ფორმის ჭრილობა მიაყენა,
მკვლელს კი პერანგი ვარსკვლავით დაუშმენა,
ვარსკვლავით დააჯილდოვა შავბნელი, სამუდამოდ წარწყმენილი
მკვლელი.

გაოგნებისაგან ზეზეურად გაშეშებულმა
თავი მარტოობას შეაფარა,
სკოლის შავი დაფასავით ვარსკვლავებით მოხატული
ფითრის, ცყორის და ოქროს კაკლებქვეშ იდგა კანჭშიშველი.

ასე მოჰქირან ხშირად კოლეჯიდან
სისხლისდამანთხეველი,
თოვლის გუნდებივით მკერივი მუშტები
და ელვანზე უსწრაფესად, უნებურად, გულს სილამაზეს ანიჭებენ.

ამ ლექსით მთავრდება კოცტოს ესეისტური წიგნი „*ოპიუმი*“ (1929). მარმარილოს მუშტში პოეტი ქანდაკებას გულისხმობს, რასაც „*ბნელი მოზარდებისა*“ (1929) და „*პორტრეტები-მოგონებების*“ (1935) ტექსტებშიც ადასტურებს. დარჯელის უბრალო შეხებაც თოვლს მარმარილოდ აქცევს. თოვლის ამ გუნდამ პოლის მკერდი ქანდაკების მუშტით შეანგრია; მარმარილოს მუშტის დარტყმა ქანდაკების მუშტის დარტყმასთან იგივედება. აქ ცხადდება საინტერესო ასოციაციები: თოვლი და მარმარილო; ქანდაკება და დარჯელოსი. დარჯელოსი და ქალი-ქანდაკება თანამზრახველები არიან. დარჯელოსი ქალი-ქანდაკების სახესხვაობაცაა. კოცტოსეული გაგებით მისი, (ქალის), „*ანგელოზია*“. ამიტომ, ვინაიდან ქალი-ქანდაკება სიკედილსაც განასახიერებს, დარჯელოსი როგორც მისი მსახური „*სიკედილის ანგელოზად*“ და მკვლელად მოიანზრება. დარჯელოსის შესვრებით ქალი-ქანდაკება ერთდროულად იძიებს შურს როგორც პოეტზე, ამასთანავე მასზე, ვინც ამ პოეტში იგულისხმება. ანუ ჟან კოცტოზე.

45* ა) *l'hostie* - რელ. - 1) წმინდა შესაწირი ანუ მსხვერპლი; სეფისკვერი - მართლმადიდებლებთან, ხშიადი - კათოლიკებთან;

ბ) კოცტო ფილმის მეოთხე ეპიზოდის სათაურს, „*მსხვერპლის შებღალვა*“ პაოლო უჩელოს ტილოს დაესესხა. ასე ეწოდება უჩელოს პრედელის - „*მსხვერპლი სასწაული*“ (*Miracle de l'hostie*), II სცენას, რომელიც იტალიაში, Galleria Nazionale delle Marche d'Urbino -ში ინახება. „*პოეტის სისხლში*“ შებღალულ, ღმერთისათვის შესაწირ, წმინდა მსხვერპლს ბავშვი განასახიერებს, რომელიც დარჯელოსმა თოვლის გუნდით მოკლა, შებღალა.

46* ახლო ხედით მოჩანს მოსწავლის სახე, მას პირიდან დუენარევი სისხლი გადმოსდის. მამის, ჟორჟ კოცტოს, თვითმკვლელობის რეალური ფაქტიდან გამომდინარე ასოციაცია. კოცტოს მამამ საწოლში, საფეთქელში რევოლვერის გასროლით დაასრულა სიცოცხლე. თოვლი და სისხლი აღნიშნულ კადრში კოცტოს მამის სისხლით გაუღწეოთილ თეთრ ზეწრებთან ასოცირდება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კოცტოს მართლაც ჰყავდა ამხანაგი პიერ დარჯელოსი, რომელმაც ფილმში ასახული გუნდაობის მსგავსი შემთხვევა ვერ მოიგონა.

47* „ამ საღამოს კვარტალი განსაკუთრებული ელვგანტურობით გამოირჩეოდა“ - ამგვარი განცხადება ფილმს ახალ განზომილებას ანიჭებს; ასახავს გარემოს, რომელშიც ფილმის ავტორი ცხოვრობს და მოღვაწეობს. დრამას,

რომელსაც აქამდე თითქოს მხოლოდ ჩვენ ვესწრებოდით, სხვა მაყურებელიც უერთდება. „პოეტის სისხლი“ მაღალი წრის საზოგადოების შარლ და მარილორ ნოაიების დაკვეთით გადაიღეს და კადრშიც მაღალი წრის საზოგადოებისათვის ჩვეული ატრიბუტიკა, ჭადი, ბანქოს სათამაშო მაგიდა და ელეგანტურ, სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი მაყურებელი მოჩანს. აღნიშნულ სცენასა და დეკორაციებს კონტრაპუნქტად სხვადასხვა სიბრტყეზე განვითარებული რამდენიმე მოქმედება გასდევს: თოვლზე კვარცხლბეკსა და მკვდარი ბიჭუნას სხეულს შორის ჩნდება ჭადი და ბანქოს სათამაშო მაგიდა. ქალი, რომელიც მაგიდასთან ზის, ქალი-ქანდაკების ერთ-ერთი სახესხვაობაა, ლუდოვიკო XV-ის ტანსაცმელში გამოწყობილი ღებორდი კი ფილმში თავის თავსაც განასახიერებს და კოცტოს პიესის „ლამაში გულქვა მამაკაცი“ პერსონაჟსაც, თავისი დუმილითა და გულგრილობით მასზე შეყვარებული ქალი სასოწარკვეთამდე რომ მიჰყავს. ეს პიესა შექმნილია სპეციალურად ედიტ პიაფისათვის, კოცტოს ე. წ. „ჯიბის თეატრიდან.“

48* ფილმის აქამდე განსახიერებულ ეპიზოდებში კოცტოს თეატრალური ელემენტები შეაქვს – „ანტრაქტის ზარი წყდება“ – წარმოდგენა უთუოდ გაგრძელდება და ის, რაც აქამდე ფილმში ვნახეთ, შეგვიძლია სპექტაკლად ჩავთვალოთ. პოეტს საზოგადოებაში თავის გამოჩენა უყვარს. იგი თავის ყველაზე ინტიმურ და ცხოვრებისეულ დრამას (გასისხლიანებული ბავშვი თოვლში, ბანქოს თამაში ბედისწერასთან) სპექტაკლად, სანახაობად აქცევს, ლოჟებს აჩვენებს: ოდესღაც ოჯახში განებივრებულ პატარა ბიჭს, ასე დამოვიდებულს ოჯახის აზრზე, ახლა სურს მუდამ კეთილგანწყობილი მსაჯულების აზრი ესმოდეს. ორი მებობელი თეატრალური ლოჟა მასზე მზრუნველი, მოთვალთვალე მშობლის თვალეობა.

49* მაგიდასთან მკვდარი ბავშვი გდია. ბანქოს თამაშისას პოეტი თაღლითობს: სიცრუე-სიმართლის თემა კოცტოს შემოქმედებაში (იხ. პიესა „მატყუარა“ – „Menteur“; „ჯიბის თეატრიდან“). ტუზი უმაღლესი კარტია ბანქოში. გულის ტუზი წითელია, ფონი კი თეთრი აქვს. ის ისევე გამოიყურება, როგორც სისხლი თოვლზე, ზეწარზე, მსხვერპლზე. ამავე დროს გულის ტუზი ბავშვის გულიცაა.

50* სახლი ფროიდისათვის ადამიანის, როგორც მრავლის მომცველი მთელის, ერთადერთი, ყველაზე ტიპური და სწორი სიმბოლური გამოხატულებაა. ცარიელი სახლი ბინადარის, ანგელოზის მიერ მიტოვებული სახლია; ანგელოზი სულია, რომელიც სახლიდან (სხეულიდან) გადის. მფარველი ანგელოზი ამ შემთხვევაში მოკლული ბავშვის სულია. ბავშვის მფარველი ანგელოზი შავია. კოცტოს შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარის, ჟან-ჟაკ კიმის აზრით, ბავშვის სიკვდილი აქ რადიგეს სიკვდილთან ასოცირდება. რადიგეს კრეოლი ღედა ჰყავდა. ანგელოზის შავი ფერიც უთუოდ ამით აიხსნება. ამას გარდა, შავი ავისმომასწავებელი და სამგლოვიარო ფერიცაა. ის, რომ ბავშვის მფარველი ანგელოზი „მარცხენა ფეხით ოდნავ კოჭლობს“, არასასურველი მოვლენის მარჯვედ გამოყენების კიდევ ერთი შემთხვევაა, რომელსაც კოცტო შინაარსობრივ დატვირთვას ანიჭებს. ერთ-ერთ თავის სტატიაში იგი ამის გამო აღნიშნავდა: „...ზანგმა

მსახიობმა ბენგამ, რომელსაც ანგელოზი უნდა ეთამაშა, ფეხი იღრძო და გადა-
ღებზე კოჭლობით მოვიდა. ეპიზოდის განსაკუთრებული წარმატებაც სწორედ ამ
მისმა კოჭლობამ განაპირობა.“ შესაძლოა აღნიშნული ეპიზოდი ბიბლიური ანგე-
ლოზისა და იაკობის შეჭიდებზეც მიგვანიშნებდეს, ისევე როგორც რადიგზე,
რომელიც სინამდვილეში მართლაც შეუმჩნეველად კოჭლობდა. თუმცა ამ ფაქტს,
როგორც საზოგადოდ კოჭტოს მიერ ასახულ სხვა სახეებსა და ფაქტებს, მრავ-
ალი მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია შეიძლება მოეძებნოს.

51* ყურის შუილის მსგავსი ხმა კოჭტოს თავში ჩაღრმავებას, მის პიპნოზურ
მდგომარეობას ახლავს თან, რაც შესაძლოა ოპიუმის მიღებითაც იყოს გამოწვე-
ული. კოჭტო ცდილობს ანალოგიური მდგომარეობა, კინემატოგრაფის საშუალე-
ბით, როგორც კოლექტიური პიპნოზი, მაყურებელსაც განაცდევინოს.

52* ანგელოზი მუშა ფუტკარივითაა. ის ყვაილებიდან მტკერსა და ნექტარს
აგროვებს, რომ შერე სკაში დედოფალს (სიკვილს) მიართვას. ანგელოზის ფრთების
ფუტკრის ფრთებთან ასოცირებაც ალბათ ამით უნდა აიხსნას.

53* ლოყების ქარაფშუტა მაყურებელი სანახაობას გულგრილად ადევნებს
თვალს. თუმცა ეს სანახაობა მთლად სპექტაკლი არაა. ეს თვით სიკვილ-
სიცოცხლის ჭიდილია.

54* მოსასხამზე პირქვე გართხმული ანგელოზი მინიშნებაა კოჭტოს პომოსე-
ქსუალიზმზე.

55* შავი ანგელოზი თეთრი მსხვერპლის შთანთქმამ გაათეთრა. ბავშვი ანგე-
ლოზს შეერწყა, ანგელოზად იქცა ანუ მოკვდა.

56* „ანგელოზის ნეგატივი... გახუნებულ მოსასხამზე გართხმული ანგელოზი...“
– სიკვილი სიცოცხლის ნეგატივია. სიტყვა ანგელოზი კი – ange, კოჭტოს
სახელის Jean-ის ანაგრამა – (ange – Jean). სიტყვაში უზარმაზარი, დიდი, მამა
იგულისხმება, რადგან პატარა ვაჟიშვილისათვის მამა ყოველთვის დიდ, უზა-
რმაზარ პიროვნებად, მშობლად აღიქმება. ფერგადსული, გახუნებული მოსა-
სხამი, ისევე როგორც სხვაგან თეთრი ზეწარი, მნიშვნელოვანი ასოციაციური
დეტალია. მასზე ესენა მამა. ფრანზ „მომაკვდავი ცხოველის თვალებით“ კი
ამგვარ ინტერპრეტაციას დამაჯერებლობას მატებს.

57* გულის ტუზი მკვდარ ბავშვს ეკუთვნის და არა პოეტს, რომელმაც ის
თადლითობით ჩაიგდო ხელში, თამაშში კონირად რომ გამოეყენებინა: პოეტმა
მამას სიცოცხლე წაართვა. მაგრამ დანაშაულს მუდამ შესატყვისი სასჯელი
მოსდევს. პოეტმა პატრონს უნდა დაუბრუნოს ის, რაც წაართვა ე. ი. სიცოცხლე,
რაც მის სიკვილს მოასწავებს.

58* ანგელოზი სახლში ადის და როგორც ვერიდივე „ორფეოსში“, სიცო-
ცხლეს უბრუნდება.

59* გულის ტუზის მიჩნევა ბავშვის სიცოცხლედ, რომელიც მას პოეტმა
წაართვა და რომელიც ბავშვს პოეტის სიკვილით უკანვე უნდა დაუბრუნდეს,
ახალგაზრდა ქალის ფრანსას: „თუ კი გულის ტუზი არა გაქვთ, დაღუპული
ბრძანდებით“ ანბანურ ჭეშმარიტებას ანიჭებს – თუ კი ცოცხალი არა ხართ,
მკვდარი ბრძანდებით.

60* პოეტი შეშფოთებულია. მისი დანაშაულის შესატყვისი სასჯელი, რომელიც მან „ფოლი დრამატის“ ღერეფანში მხოლოდ წარმოიდგინა, ახლა რეალურად ცხადდება. პოეტი, რომელიც ჟან კოკტოსთან იგივედება, კოკტოს მამასავით, მარჯვენა საფეთქელში რევოლვერის გასროლით ასრულებს სიცოცხლეს. იგი თოვლით დაფარულ მაგიდას ენარცხება, როგორც კოკტოს მამა დაქნარცხა თეთრ ზეწარგადაფარებულ საწოლს. აქ თოვლი სითეთრით ზეწართან ასოცირდება.

61* ამ აპლოდისმენტების გამო კოკტოს დიდი უსიამოვნება შეხვდა; თეატრის მარცხენა ლოჟაში მან თავდაპირველად რეალური პიროვნებები, არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები – ვიკონტი და ვიკონტესა ნოაი და მათი ახლობლები გადაიღო, მაგრამ საქმემ სკანდალური ხასიათი შეიძინა: ლოჟაში მსხდომმა საზოგადოებამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მიიჩნია, რომ თვითმკვლელობისათვის ტაშის დამკერვლებად გამოიყვანეს; კოკტომ ლოჟების სცენა თავიდან გადაიღო და რეალური პიროვნებები მსახიობებით შეცვალა. არისტოკრატიის ასეთი აღშფოთება მისთვის გაუგებარი დარჩა: ჩვეულებრივ თეატრში ისინი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ტაშს უკრავდნენ მკვლელობას, თვითმკვლელობასა თუ ინცესტს. „*პოეტის სისხლში*“ კი მათ ბრალი მხოლოდ გულგრილობაში დასდეს.

62* ლუდოვიკო XV, რომელიც „ლამაში გულქვა მამაკაცის“ გულგრილობით უნდა გამოირჩეოდეს, მაღალი წრის საზოგადოებასთან შედარებით გაცილებით გულმონწყალედ გვევლინება. ამ როლის შემსრულებელი ჟან დებორდი (კოკტოს მეგობარი) ფილმსა და სინამდვილეშიც ყველაზე ახლოს იდგა იმ რეალურ დრამასთან, რომელიც წარმოდგენის სახით გათამაშდა. როცა ანგელოზი პოეტს გულის ტუხს (სიცოცხლეს) ართმევს, ამხანაგი ლუდოვიკო XV შეკრთება: იგრძნობს, რომ საქმე სინამდვილეს ეხება.

63* მამის „მკვლელობის“ შესატყვისი სასჯელად ქალ-ქანდაკებას პოეტის თვითმკვლელობამდე მიყვანა პქონდა განზრახული. მისი ჩანაფიქრი განხორციელდა.

64* ქალი-ქანდაკება და ამხანაგი ლუდოვიკო XV (დებორდი) გარკვეულ წილად ერთ საქმეს ემსახურებიან. ჟან დებორდი, კოკტოს ინტიმური მეგობარი, კოკტოსათვის მკედარი მამისა და ქანდაკების სახესხვაობაა. მისი მოსასხამი (მამაკაცის სიმბოლური გამოხატულება) ქალის მხრებს ეფინება. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქალი-ქანდაკების მამაკაცურ საწყისს და მის სახესაც მამის სახესთან აიგივებს.

65* ქალი მონტიეს კვარტალს თავისი საქმის დასრულების შემდეგ იმავე გზით ტოვებს, რა გზითაც ის ამხანაგის სასიყვდილოდ გაწირვის შემდეგ დატოვა დარჟელოსმა. ეს ქალს კოკტოს სიყვარულის კიდევ ერთ მამაკაცობიექტთან, დარჟელოსთან აიგივებს. მეტალის ბურთულის (რომელიც თოვლის გუნდის სახესხვაობაა) აქეთ-იქით მიმოსვლა ოიდიპოსისეული მკვლელობა-სასჯელის დიალექტიკაზე მიგვანიშნებს.

66* ეს მონტიეს კვარტილიდან საიქიოში მიმავალი კარია.

67* a) დენი დიდრო (1713-1784) – ფრანგი ფილოსოფოსი, განმანათლებელი

და ენციკლოპედისტი.

b) დიდრო ენციკლოპედისტი, განმანათლებელი, ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებაა; ასეთივეა შვილისათვის მშობელი მამა. დიდროს ბიუსტი ორია, როგორც მშობლები: დედ-მამა.

68* ქალი-ქანდაკების კიდევ ერთი მამაკაცური შტრიხი; ხარის სახით მოვლენილი ძველევგვიპტური ღმერთი – აპისი, რომელიც თავისი არსით მიცვალებულთა მფარველ ღმრთაებას, ოზირისს უკავშირდება.

69* ლაქები ხარის სხეულზე კოკტოს გეოგრაფიულ რუქაზე გამოსახულ კონტინენტებს. კერძოდ, ევროპას აგონებს – მინიშნება მითურ ევროპაზე, თებეს დამაარსებელი ლეგენდარული კადმოსის დაზე, რომელიც ხარად ქცეულმა ზევსმა მოიტაცა.

70* ლირა პოეზიის ეიზულური მეტაფორაა. მტკერი, კადრებს ვერცხლისფრად რომ აერაყებს, უდროო დროს დაგვილი სტუდიის მტკერია: კიდევ ერთი შემთხვევითობა. რომლითაც კოკტომ ისარგებლა, ფილმის შინაარსსა და იდეას მიუსადაგა. სანტერესოა, რომ აღნიშნული კადრები ჩარლი ჩაპლინმა რეჟისორის მნიშვნელოვან, ტექნიკურ-ესთეტიკურ მიგნებად მიიჩნია.

71* კოკტოს ხელით დახატული ალეგორიული ქალის პროფილი კოკტოს შემოქმედებას განასახიერებს: ქალ-ქანდაკებას პოეტის შემოქმედება ცვლის. პოეტს სურს გაიმეოროს, თავისებურად გადმოსცეს, სული შთაბეროს, გააცოცხლოს ქანდაკების მედარი სახე. ქალი ამასთანავე პოეტის შთაგონების წყარო და მუზაა, რაზეც ლირა მეტყველებს. კამერა ყველაფერს მაღლიდან, თითქოს ციდან იღებს. ევროპის რუქას გლობუსი ენაცვლება. პოეტის სახელი ჯერ მხოლოდ ევროპაში იყო ცნობილი, მოგვიანებით კი მთელს პლანეტას მოედო. იმპროვიზირებული ქალი, რომელიც გვმორდება, თანდათან პატარაედება, მინიშნებაა დროის დინებაზე. ის რაც გვმორდება, პატარაედება, წარსულს ბარდება, წარსულს მოასწავებს. ამ აზრს ადასტურებს ავტორის შენიშვნაც – „გზა გრძელია“.

72* ქალი-ქანდაკება, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში მამას განასახიერებს, სასიკვდილო სარეცელზე წევს. თუ კი წინა კადრში ქალის პროფილი დაფაზე იყო დახატული, ახლა კოკტოს სტილში შესრულებული ნახატი მსახიობის ცოცხალ სახესა და ნაკეთებს კონტურებად შემოვლებია. კოკტოს შემოქმედება ენაცვლება მამის ოიდიპოსისეულ მეკვლეობის კომპლექსს, რომელმაც შემოქმედს ხელოვნების ნაწარმოების შექმნა შთააგონა. აქ იკვეთება ფილმის ძირითადი იდეა: კოკტომ თავისი შემოქმედებით „გააცოცხლა“ მამა, ისევე როგორც ორფეოსმა გააცოცხლა მის მიერ უნებლიედ მოკლული ვერიდიკე (*იხ. კინოსკენარი „ორფეოსი“*). გარემოების ამგვარი შეფასება კოკტოს მთელ შემოქმედებას ოიდიპოსისეული დანაშაულის გამოსყიდვის მცდელობად აქცევს: ქალი-ქანდაკება, იგივე მედარი მამა, საკუთარი საფლავის ქანდაკებად გადაიქცევა. ეს ქანდაკება ძემ მამისათვის შექმნა: ვაჟიშვილმა მამას ძეგლი დაუდგა და შესაბამისად კოკტოს მთელი შემოქმედებაც მამისათვის დადგმული ცოდვის გამოსასყიდი ძეგლი გამოდის. აკროპოლისი – ძვ. წ. ა. V ს. - ში ქალღმერთ ათენას

საპატივეცემულოდ აგებული ძეგლია. ის თეთრია. ისევ სითეთრე, ისევ ზეწარი-
ვით თეთრი, სისხლივით წითელი და სიყვდილივით სამინელი, სამგლოვიარო
სარეცელივით შავი დრაპირებები. დრო მარმარილოს ქმნილებებსაც კი ცვეთს.
თვით აკროპოლისსაც საფრთხე ემუქრება. კოცტოს ამ შემთხვევაში ხელოვნების
ნიმუშის მარადიულობა და ავტორის სიყვდილის შემდეგ მისი შემოქმედების
ხვედრი აფიქრებს. იგივე აზრს ატარებს გუნდაობის ეპიზოდით. როცა ბავშვები
პოეტის ქანდაკებას ამხევევენ.

73* პირიდან ერთდროულად სულიც ამოდის და ობიექტის კვამლიც, რომე-
ლიც პოეტს საკუთარ ქვეცნობიერებაში ჩაღრმავებასა და იქიდან მხატვრული
ნაწარმოების გამოტანაში ეხმარება.

74* „უკვდავების მომაკვდინებელი მოწყენილობა“ – კიდევ ერთი პესიმისტური
აზრი დიდებანზე. როცა ნაწარმოები კლასიკად იქცევა, გარკვეულ წილად იძულე-
ბით შესასწავლი, ერთხელ და სამუდამოდ დასრულებული, მკვდარი და მოსა-
წყენი ხდება.

75* ქარხნის მილი, რომელიც ფროიდის სიმბოლიკის თანახმად, მამაკაცის
სქესის გამომხატველი სიმბოლოა, მამის მკვლელობის კიდევ ერთი გამომხატუ-
ლება და ფილმის მთავარი თემა ხდება.

ქარხნის უზარმაზარი მილი ჩამოშვავებას ფილმის დასაწყისში იწყებს. ე. ი.
ფილმის მოქმედება მილის ჩამოქცევის დასაწყისსა და მისი საბოლოო ჩამონგრე-
ვის დროით მონაკვეთში თავსდება (სიზმარიც ასეა, გრძელი გვეჩვენება, სინა-
მდვილეში კი წამიერია). ამგვარად, ფილმი ჩვენთვის ჩვეული დროისაგან გა-
ნსხვავებული დროის მონაკვეთსა და იმ განზომილებაში მომხდარ ამბებსა და
მოვლენებზე მოგვითხრობს, რომელმაც კომპლექსებითა და ეზოთერიზმით და-
ტვირთული, ავტორის ღრმად პირადულ განცდებსა და პრობლემებზე აგებული
კინოსცენარის შექმნა განაპირობა.

ორფეოსი

1* ავანგარდი – მხატვრულ-შემოქმედებითი მიმდინარეობების პირობითი სა-
ხელწოდება. მასში გაერთიანებულმა მე-20 საუკუნის მწერლებმა და ხელოვანე-
ბმა უარი განაცხადეს ადრე დამკვიდრებულ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებსა
და ტრადიციებზე, კერძოდ, რეალიზმზე და ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის,
შემოქმედისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ახალი, უჩვეულო გა-
მომსახველობითი საშუალებების ძიება დაიწყო.

ავანგარდისტული პრინციპები გაიზიარეს მხატვრულ-ლიტერატურულმა მი-
მდინარეობებმა: ექსპრესიონიზმმა, კუბიზმა, ფუტურნიზმმა, დადაიზმმა, სურეალი-
ზმმა და სხვ.

2* „Tel qu'en lui-meme l'eternite le change“ – (მარადისობამ გაქცია იმად,
რაც იყავი სულის სიღრმეში) – პირველი სტრიქონი სტეფან მალარმეს სონე-
ტისა – „ედგარ პოს საფლავი“.

3* ბაკელი ქალები – (იგივე მენადები, თიადები) დიონისეს, რომაელების მიერ ბაზუსად წოდებული ღვინისა და ვენახის ღმერთის თანამგზავრი, მისი კულტის მსახური ქალები. ანტიკური კერამიკული ჭურჭელი და ქანდაკებები მათ უმთავრესად აღვირახსნილ, თმაგაშლილ, მკერდშიშველ და ტყავით შემოსილ, ზოგჯერ მსუბუქ, გამჭვირვალეკაბიან ქალებად წარმოგვიდგენს.

4* ნეოფიტი – (ბერძნ. neophitos – ახალმოქცეული) – გარკვეულ რელიგიაში ახალმოსული, ახალმოქცეული ადამიანი.

5* მინიშნება „ძველი აღთქმის“ პერსონაჟის, ლოტის ცოლზე. უზენაესმა წრეგადასული ბიწიერებისათვის ქალაქები სოდომი და პომორა მიწიდან აღსაგველად გაწირა. მხოლოდ სოდომში მცხოვრებ ლოტს, მის ცოლსა და ორ ასულს აღუთქვა გადაარჩენა იმ პირობით, რომ ქალაქიდან გასვლისას არც ერთი მათგანი უკან არ მოიხედავდა, მაგრამ ლოტის ცოლმა პირობა დაარღვია, რისთვისაც მარილის სვეტად იქცა. უკან მოხედვის, როგორც სპეციფიკური შემთხვევა, საერაღურის დასანახად აკრძალვის დარღვევისა, ჯოჯოხეთიდან ეერიდვის დასახსნელად ჩასული ორფეოსის მითშიც ფიგურირებს.

6* „გრადივას პომპეი“ - მინიშნება გერმანელი მწერლის, ვილჰელმ იენსენის [Wilhelm Jensen – (1837-1911)] ამავე სახელწოდების მოთხრობაზე, „გრადივა“ (1903). ზიგმუნდ ფროიდის ნარკვევმა, „ბოღვა და სიზმრები იენსენის „გრადივას“ მიხედვით“, როგორც მხატვრული ნაწარმოების პირველმა ფსიქონალიტიკური მეთოდით კვლევის კლასიკურმა ნიმუშმა, სურეალისტების, მათ შორის ჟან კოკტოს, ცხოველი ინტერესი გამოიწვია და ამ თხზულების ავტორს, ვილჰელმ იენსენს სათანადო ადგილი დაუმკვიდრა ლიტერატურის ისტორიაში. [Laffont-Bompiani, „Le nouveau dictionnaire des oeuvres“ (de tous les temps et de tous les pays; Bompiani et editions, 1994, v. III p. 3035)]; [Laffont-Bompiani, „Le nouveau dictionnaire des auteurs“ (de tous les temps et de tous les pays, Bompiani et ed. Robert Laffont, 1994, v. II, p. 1601)].

ორფეოსის ანდერძი

1* პოლ ლანჟევანი – ფრანგი ფიზიკოსი. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1872-1946). პარადიგმატური მოვლენებისა და ულტრაბგერის თეორიის მკვლევარი.

2* ივლითი, ოლოფერნი, ნაბუქოდონოსორი – ბიბლიური პერსონაჟები. მტრისაგან მშობლიური ქალაქის გადასარჩენად იუდეველმა ქალმა, ივლითმა მტრის, ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის სარდალი ოლოფერნი მოხიბლა, დაამინა და მძინარეს თავი მოჰკვეთა.

3* პენელოპე – კუნძულ ითაკას მეფის, ოდისეუსის ცოლი, ტელემაქეს დედა. ბერძნული მითოლოგიისა და კომედიის „ოდისეას“ (X-VIII ს. ქრისტესშობამდე) პერსონაჟი; ცოლ-ქმრული ერთგულების სიმბოლო მოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ოცი წელი ელოდა ტროას ომიდან ქმრის შინ დაბრუნებას და მისი ხელის უამრავი მთხოვნელს ისტუმრებდა დაპირებით, რომ დაწყებული

ხალიჩის ქსოვის დამთავრებისთანავე ერთ-ერთი მათგანის ცოლი გახდებოდა; მაგრამ დღისით მოქსოვილს დამით არღვევდა.

4* ოდისეესი – კუნძულ ითაკას მეფე, პენელოპეს მეუღლე, ბერძნული მითოლოგიისა და ჰომეროსის პოემების, „ილიადასა“ და „ოდისეას“ პერსონაჟი. ტროას ომის მთავარი გმირი; მას მიაწერენ ტროას ხის ცხენის შექმნის იდეასაც.

5* ენგრის ვიოლინო – მთავარი გამოთქმა. ცნობილი ფრანგი მხატვარი – ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი (1780-1867) თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ამაყობდა ვიოლინოზე დაკვრის უნარით. პოეტი კოკტო კი გობელენების შექმნის ცოდნით ამაყობს.

6* ოიდიპოსი – „ფეხბედასიებული“. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი. თებეს მეფის ლაიოსისა და იუკასტეს ვაჟი. მშობლებმა ის სასიკვდილოდ გაწირეს – ჩვილი ფეხებით სიტერონის მთაზე დააკიდებინეს, რადგან ორაკულმა მას მამის მოკვლა და დედის ცოლად შერთვა უწინასწარმეტყველა. როცა საბედისწერო წინასწარმეტყველება მაინც ახდა, სასოწარკვეთილმა ოიდიპოსმა თავლები დაითხარა.

7* „ოიდიპოსი და მისი ქალიშვილები.“ „მკვდარი ორფეოსის თავი“ – ჟან კოკტოს ფერწერული ტილოებია.

8* ათენა-პალადა (იგივე რომაული მინერვა) – ეტრუსკული წარმოშობის ბერძნული ქალღმერთი; ხელოსანთა და ექიმთა მფარველი, იგი ცოდნისა და სიბრძნის სიბოლოდაც არის მიჩნეული.

9* გეამი რომელშიც ვცოცხლობთ,
ვერ გრძნობს, არსებობს ჩვენში.
ორივეს – ერთ სულსა და ხორცს.
მარადისობა ეთქმის. – ლექსის მიახლოებითი, აზრობრივი თარგმანი, რომლის ბუნდოვანების შესახებაც კომენტატორთაგან არაერთხელ აღნიშნულა.

10* მასკარილი – მოლიერის კომედიების პერსონაჟი. მხიარული და საზრიანი მსახური.

11* ლეპორელი – მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მარადიული გმირის, დონ-ჟუანის (XVII-XX ს.ს.) განუყრელი მსახური. მოლიერის „დონ ჟუანის“ (1665) სგანარელისა და იტალიური კომედიების მსახური პერსონაჟების ანალოგი. მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანის“ (1787); პუშკინის „ქვის სტუმრის“ (1830); ალექსეი ტოლსტოის „დონ ჟუანის“ (1862) პერსონაჟი.

12* ანუბისი – გარდაცვლილთა ძველევგვიპტური ღმერთი; ადამიანის ტანიანი და ტურის თავიანი არსება. მონაწილეობდა გარდაცვლილი სულების განკითხვაში. ბერძნებმა ის პერმესთან გააიგივეს და სახელთა შერწყმით. პერმანუბისი /პერმეს+ანუბისი/ უწოდეს.

13*, 14* ტრისტანი და იზოლდა – შუასაუკუნეების კელტური (სავარაუდოდ ბრეტონული წარმოშობის) ლეგენდის პერსონაჟები. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამ ლეგენდის მრავალი ფრანგული და უცხოური ვარიანტი არსებობს.

15* პელოპონეზი და პელოპისის ცოდვა – პელოპონეზი – კუნძული საბერძნეთში, რომელსაც „პელოპისის კუნძულსაც“ უწოდებენ. ლიდიელმა (მც. აზია) გმირმა პელოპსმა მეფე ოინომოსზე მისი მზაკერული გამარჯვების მოწმე და თანამზრახველი მირტილე ვერაგულად ზღვაში გადააგდო. ზღვის ქარაფი რომლიდანაც მირტილე ზღვაში ვარდებოდა, იმდენად მაღალი აღმოჩნდა, რომ ვარდნისას მან პელოპისსა და მისი შთამომავლობის დაწყევლა მოასწრო. აქედან დაედო დასაბამი ე. წ. პელოპისის ცოდვას, რომლის გამოც პელოპისის შთამომავლები გამუდმებით ზოცავდნენ ერთმანეთს.

16* დანტე ალიგიერი (1265-1321) – დიდი იტალიელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი, საზოგადო მოღვაწე და დიპლომატი.

17* ვერგილიუსი – რომელი პოეტი (70-19 ქრისტესშობამდე). „გეორგიკების“ და „ენეიდას“ ავტორი. ბერძენი პოეტების, თეოკრიტესა და პომეროსის მიმდევარი. დიდი გავლენა იქონია ლათინურ და დასავლურ მწერლობაზე, კერძოდ დანტეს პოეზიაზე.

18* მინერვა – იხ. ივ. ათინა-პალადა, № 8*

19* გორგონები – გველის თმიანი, ტახის კბილიანი და ოქროს ფრთიანი ურჩხულები – სამი საარაყო და: სტენო, ერიალე და მედუზა – აქვავებდნენ ყველას, ვინც კი მათ შეხედავდა.

20* ლაზარე, მართა, მარიამი – ბიბლიური პერსონაჟები. ლაზარე, რომელიც იესო ქრისტემ გარდაცვალებიდან მეოთხე დღეს მკვდრეთით აღადგინა, მართასა და მარიამის ძმა იყო.

21* პაბლო პიკასო – (პაბლო რუის ბლასკო) ცნობილი ესპანელი მხატვარი და მოქანდაკე (1881-1973) რომლის შემოქმედებამაც უდიდესი გავლენა იქონია თანამედროვე ხელოვნების ევოლუციაზე (კუბიზმი, სიურეალიზმი, აბსტრაქციონიზმი, ექსპრესიონიზმი...).

22* ჟაკლინ პიკასო – ჟაკლინ როკი, პაბლო პიკასოს მეუღლე.

23* ლუჩია ბოზე – ცნობილი იტალიელი კინომსახიობი.

24* ლუი-მიგელ დომინგენი – ცნობილი კასტილიელი ტორეადორი, ლუჩია ბოზეს ქმარი, რომელიც კოცტომ 1953 წელს, ესპანეთში მოგზაურობისას გაიცნო.

25* ანტიგონე – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი. ოიდიპოსის ქალიშვილი. მეამბოხე სულის სიმბოლო ანტიგურ ლიტერატურაში.

სარჩევი

ჟან კოკტო ანუ მოკვდავთა შორის პოეტის არსებობის სირთულე	9
პოეტის სისხლი	19
ორფეოსი.....	43
ორფეოსის ანდერძი	113
შენიშვნები და კომენტარები.....	147


რედაქტორი:
გულავრ ჭარელიშვილი

მხატვრები:
დათო სისარულიძე
შალვა ცხომრიბაძე

კომპიუტერული მომსახურება:
ლევან მინთეზაშვილი

წიგნი დასურათებულია ავტორის გრაფიკული ნამუშევრებით


აიწყო და დაკაბადონდა „კოლორის“
კომპიუტერულ ცენტრში







პოეტის სისხლი












მტყუანსი













ԸՆԾԳԱՆԻՆ ՆԵՐՍԻՍ













შენიშნულ შემოცანათა ბასეორება

ბეჭდობი	ბეჭდობი	დაბეჭდობი	შედეგები
9	№ I	მითი ზეცოცხეთიდან	მითი ზეცოცხეთიდან
9	№ VII	ქითარის (ლირა)	ქითარის (ლირა)
9	№ XVII	ბაგეზბეგასაგ მცობილია ღებინლა მისი ნიჭვა	ბაგეზბეგასაგ მცობილია ღებინლა ნიჭვა მცობილია
48	№ IV	მცობილია ღებინლა	მცობილია ღებინლა
59	ქვეთ IV	სიკვარულის უზანახე	უზანახე
63	ქვეთ X	უზანახე	უზანახე
65	№ XVI	უზანახე	უზანახე
88	№ III	უზანახე	უზანახე
109	№ III	უზანახე	უზანახე
123	№ III	უზანახე	უზანახე
126	XIII	უზანახე	უზანახე
127		უზანახე	უზანახე
129	ქვეთ	უზანახე	უზანახე
131	XIV	უზანახე	უზანახე
136	№ XVIII	უზანახე	უზანახე
136	XVIII	უზანახე	უზანახე
136	ქვეთ III	უზანახე	უზანახე
137	№ XIII	უზანახე	უზანახე
164	№ XIII	უზანახე	უზანახე
165	№ VIII	უზანახე	უზანახე
166	№ VIII	უზანახე	უზანახე
	№ XIX	უზანახე	უზანახე
	№ XIX	უზანახე	უზანახე
	№ XIV	უზანახე	უზანახე
	№ XIV	უზანახე	უზანახე